ძუ ლომის გამოღვიძება

გაიღვიძე და შეცვალე შენი სამყარო

ლიზა ბევირი

ძვირფასო მეგობარო,

ღმერთმა თავის ასულებს გარკვეული მიზანი, ანთებულობა და ძლიერება განუსაზღვრა. ბევრი ჩვენგანი დიდხანს თვლემდა ჩრდილში. ახლა ღმერთი მოგვიწოდებს, რომ გამოვიღვიძოთ, წამოვდგეთ და ქვეყნიერება შევცვალოთ. ღმერთმა შემოქმედებითი და სტრატეგიული ზეგავლენის მოხდენის უნარი მოგცათ თქვენს ირგვლივ არსებულ სამყაროზე.

ძუ ლომის გამოღვიძება ღვთისგან შთაგონებული სიტყვაა და აცხადებს, რომ ამ მომენტისთვის ხართ დაბადებულნი. წინამდებარე წიგნის მეშვეობით ღმერთმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალი. მან გამაძლიერა და ყველა დონეზე გამომიწვია. არაერთი სულიერი დისთვის მომისმენია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც ძლიერებისა და წინასწარგანზრახული მსახურების ადგილზე დადგნენ, როცა ღმერთი ამ გამოცხადების მეშვეობით მათ გულებს დაელაპარაკა.

მთელი სიყვარულით და მხარდაჭერით გიგზავნით ამ წიგნს თქვენ და თქვენს მეგობარ წინამძღოლებს. გთხოვთ, იგი და ინტერნეტით ხელმისაწვდომი სხვა რესურსები ყველა ნაცნობს გაუზიაროთ. დარწმუნებული ვარ, რომ „ძუ ლომის გამოღვიძება“ დაგეხმარებათ იმ პოზიციის დაკავებაში, საიდანაც ბნელეთს გაფანტავთ, უიმედოს გადაარჩენთ და თქვენს გვერდით მყოფებთან ერთად წამოდგებით დედამიწაზე ღვთის მეფობის გამოსაცხადებლად.

საყვარლებო, ამ სიტყვამ სამუდამოდ შეცვალა ჩემში სიყვარულის, წინამძღოლობის, მსახურებისა და გაცემის გაგება. ვლოცულობ, რომ თქვენც გარდაიქმნათ ამ წიგნის გვერდებზე თქვენთვის განსაზღვრული ღვთის სათქმელის მეშვეობით. ვისურვებდი, გამეგო, თუ რა გავლენას მოახდენს ეს სიტყვა თქვენზე და თქვენს მზრუნველობას მონდობილებზე.

პატივისცემით,

ლიზა ბევირი

LisaBevere@gmail.com

ლიზა ბევირი ფეისბუქსა
და ტვიტერზე

teach reach rescue
Messenger International®
MessengerInternational.org

ძუ ლომის გამოლვიძება

გამოილვიძე და შეცვალე შენი სამყარო

ლიზა ჯევირი

თბილისი

2013

Lioness by Lisa Bevere, Georgian
© 2013 Messenger International
www.Messengerinternational.org
Originally published in English as Lioness
Additional resources in Georgian by John & Lisa Bevere
Are available for free download at: www.CloudLibrary.org
To contact the author: JohnBevere@ymail.com

ძუ ლომის გამოღვიძება, ლიზა ბევირი, ქართულად
© 2013 Messenger International
www.Messengerinternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
სახელწოდებით „ძუ ლომის გამოღვიძება“
ჯონ და ლიზა ბევირებისაგან დამატებითი
რესურსები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია
შემდეგ მისამართზე: www.CloudLibrary.org
ავტორის ელ-ფოსტის მისამართია: JohnBevere@ymail.com

ეძღვნება

ყველა ძუ ლომ დას,
რომელიც რაღაც მძლავრის, ლამაზისა და
დაუდგრომელის მოძრაობას გრძნობს
შინაგან ადამიანში

შენ განსაცვიფრებელი ხარ!
შენ ამ მომენტისთვის დაიბადე!
ნუ შეგეშინდება საკუთარი ძალის,
კითხვებისა თუ მიგნებების!
გაიღვიძე, აღსდექი და გაბედულებით
გააცნობიერე ყველაფერი,
რისთვისაც შექმნილი ხარ.

შინაარსი

რეცენზიები ძუ ლომის გამოღვიძებაზე.....6

1. გამოაღვიძე ძუ ლომი.....11

2. არნახული ძალა.....27

3. სახიფათო გამოღვიძება.....45

4. შიშისა და სასწაულის ერთობლიობა.....63

5. ძალა მსახურებისთვისაა.....83

6. იგივე მისიით.....95

7. მისალმება და მოვლა.....117

8. ძუ ლომები სტრატეგიულები არიან.....131

9. ლომები სინათლეში ცხოვრობენ და სიბნელეში ნადირობენ.....153

10. ლომთან გასეირნება.....187

11. ჩურჩულიდან ღრიალამდე.....203

რეცენზიები
ძუ ლომის გამოღვიძებაზე

„*ძუ ლომის გამოღვიძება* დაგანახებს საოცარ ძალასა და სილამაზეს, რაც ღმერთმა ყველა ქალს მიანიჭა. იგი შეანჯღრევს შენში არსებულ ძუ ლომის გულს, შთაგაგონებს, რომ ამაღლდე ყოველდღიურ ერთფეროვნებაზე და განახლებული ანთებულობით ემსახურო ღმერთს“

– ჯოის მაიერი, ბესტსელერების ავტორი და
ბიბლიის მასწავლებელი

„ლიზა ბევირი არა მარტო შთაგვაგონებს დაუდგრომელი ჭეშმარიტებებით, არამედ თავად ცხოვრობს ძუ ლომის ცხოვრებით. იგი მიძღვნილი ქრისტიანი, ძლიერი ცოლი, უშიშარი დედა, გაბედული მქადაგებელი და არაორდინალური მწერალია. *ძუ ლომის გამოღვიძება* აღგძრავს შენს ცხოვრებაში ღვთისგან განსაზღვრული ფუნქციის შესასრულებლად დედამიწაზე ღვთის მეფობის დამყარების საქმეში.“

– ჯეიმს და ბეტი რობინსონები, *Life Today* ტელევიზია

„*ძუ ლომის გამოღვიძება*“ სიდიადის თესლებს გააღვივებს, რომლებიც ღმერთმა შენში მოათავსა. ლიზას მგზნებარება სხვების გაძლიერებაში, თქვენი ფასეულობის, მიზნის და იმ საოცარი უნარების აღმოჩენაში დაგეხმარებათ, რომელთა გაზიარება შეგიძლიათ თქვენს გარშემო ქვეყნიერებისთვის.“

– ვიქტორია ოსტინი, თანამწყემსი, ეკლესია
Lakewood, ჰიუსტონი, ტექსასი.

„*ძუ ლომის გამოღვიძებაში*“ ლიზა ბევირი იმ ზეგავლენის შთამბეჭდავ სურათს გვიხატავს, რომელიც სრულად გამოღვიძებულ ქრისტიან ქალს შეიძლება ჰქონდეს მისი გავლენის სფეროებში – პირად ცხოვრებაში, ეკლესიაში, ქვეყნიერებაზე. მისი მკითხველი იგრძნობს შინაგან ბიძგს, რომელიც მათ საკუთარი ცხოვრების საზღვრების გაფართოებასა და ღვთიური მიზნების ჩაჭიდებაში დაეხმარება.“

– სტოვალ ვიმსი, უფროსი მწყემსი, ეკლესია Celebration,
ჯექსონვილი, ფლორიდა

„ლიზა ბევირი უდიდეს მოწოდებას უგზავნის ქალებს მსოფლიოს ყველა კუთხეში, რათა აღდგნენ და შეიმოსონ ღვთისგან ბოძებული ძალით. ცხოვრების რომელ საფეხურზეც არ უნდა იყო, *ძუ ლომის გამოღვიძება* შეგაძლებინებთ იმ ძალის, სიმხნევის და მიმართულების გაცნობიერებას, რომელიც ღმერთმა თქვენს წინ დადო.“

– ედ იანგი, მწყემსი, ეკლესია Fellowship და ავტორი წიგნისა – *„შენ! მოგზაურობა შენი ფასეულობის ცენტრისკენ“.*

„ლიზას წიგნი ღვთივშთაგონებული სიტყვაა ქალებისთვის. დროა მოიშოროთ დეპრესია, ყველაფერი ის, რაც გბორკავთ, მიიღოთ ღვთის მადლი და გააკეთოთ, რასაც ის გეტყვით.“

– შერონ დოგერტი, უფროსი მწყემსი, ცენტრი Victory Christian, ტულსა, ოკლაჰომა

„ლიზა ბევირი, როგორც ქრისტეს საქმის თანამშრომელი, გვახსენებს, რომ ქალური ფორმა განასახიერებს სიყვარულს, იმედს, სიხარულს და სინაზეს ისე, რომ არ უარყოფს მხნეობას, ძალას და გაბედულებას. ეს წიგნი შეგახსენებთ, რომ ღმერთი ჩვენს ოცნებებს ჯერ კიდევ მანამ ხედავს, სანამ ჩვენ თავად ვიოცნებებთ. იგი მოგიწოდებთ, რომ წამოდგეთ თქვენს მოწოდებაში და გაავრცელოთ ქრისტეს სასუფეველი დედამიწაზე.

– ბრაიან და ბობი ჰიუსტონები, უფროსი მწყემსები, Hillsong Church, ავსტრალია

„ძუ ლომის გამოღვიძება“-ში ღვთის გულის ხმა გვესმის ლიზას მეშვეობით, რომელიც ქალებს მოუწოდებს სიმტკიცით და მრისხანე ძალით აღდგომისა და ხელების დაკაპიწებისკენ! შეწყვიტეთ ტრადიციის უსაფრთხოებისა და პასიურობის ზურგს უკან მალვა და ნება მიეცით უფალს, რომ თავის სასუფეველში დაგაყენოთ „ამ ჟამისთვის“ საჭირო პოზიციაზე! არ გვაქვს მეტი ლოდინის უფლება – სასწორზე ბევრი რამ დევს.“

– რონ და ქეით ლუისები, დამფუძნებლები, Teen Mania MInistries

„დედამიწაზე მცხოვრებმა ყველა ქალმა უნდა წაიკითხოს ეს ღვთივშთაგონებული სიტყვა – ქალების გამოღვიძების მოწოდება წამოსადგომად და არსებული მდგომარეობის გამოსაწვევად! ლიზა გვახსენებს, რომ ჩვენ, როგორც ქალები, ყველაზე უკეთ ვიქცევით, როცა განსხვავებებს გვერდზე გადავდებთ და ერთობლივად ვშრომობთ ქვეყნიერების პრობლემების გადასაწყვეტად.“

– ნენსი ალკორნი, დამფუძნებელი და პრეზიდენტი, Mercy Ministries

„შთამბეჭდავი და ფიქრის აღმძვრელი „*ძუ ლომის გამოღვიძება*“ გიწვევს, რომ იყო ის, როგორადაც ღმერთმა შეგქმნა.“

– მარგარეტ ფაინბერგი, ავტორი წიგნებისა „*წმინდა ექო*“ (The Sacred Echo) და „*ღვთაებრივის ძიება*“ (Scouting the Divine).

„ლიზა ბევირის ლოცვა არის ის, რომ რაღაც მძლავრმა, ლამაზმა და დაუდგრომელმა გაიღვიძოს თქვენში ამ წიგნის კითხვისას. *ძუ ლომის გამოღვიძება* მის სათაურს ამართლებს, რადგან ლიზა გახლავთ ადამიანი, რომელიც მსოფლიოს უკეთეს ადგილად აქცევს.

– დინო რიზო, მთავარი მწყემსი, ეკლესია Healing Place

„იმედი ჩნდება იმის დანახვისას, თუ რა შეიძლება მოხდეს, როცა ყოველი ქალი სრულად გამოიღვიძებს მის დროს ისტორიის განმავლობაში. წაიკითხე ეს წიგნი და გააღვიძე შენში ძუ ლომი!“

– შარლოტ გემბილი, დამფუძნებელი და დირექტორი, Cherish Women's Ministries, და უფროსი მწყემსი, Abundant Life Church, გაერთიანებული სამეფო

„*ძუ ლომის გამოღვიძება*“ მხდალებისთვის არ არის. ეს გახლავთ მოწოდება ქალებისთვის, რომ სახელოები აიკაპიწონ, ხელები დაისვარონ და ამ ქვეყნიერების ტკივილში შეაბიჯონ უფლისმიერი განკურნების მოტანით ნაცემი, დამსხვრეული და გულგატეხილი ადამიანებისთვის. თუ დაგღალა იმის ნდომამ,

რაც არ გაქვს და მზად ხარ შენი ცხოვრების დასაბანდებლად იმის გაცემით, რაც გაქვს, მაშინ ეს წიგნი შენთვისაა.“

– მერილინ სკინერი, თანადამფუძნებელი,
Child Care Ministries, ვატოტო

„ლიზას მკაფიო გამოცხადება ძუ ლომზე დროული და მნიშვნელოვანია. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვხედავთ ღვთის გაბედული და მშვენიერი ქალების თაობის წამოდგომას. უფრო მეტიც, ამაყი ძუ ლომის ძლიერება და თავდაჯერებულობა განახლდა სულიწმიდის ძალით და ეკლესიის განმკურნებელი საწმიდარით. ეს გახლავთ არა ძალაუფლებას მოწყურებული ქალი, არამედ მოსიყვარულე, აღმზრდელი ქალი, რომელმაც იცის თავისი ღირსება და შესაბამისადაც მოქმედებს დღეს ამ ქვეყანაზე. იგი არ არის მორცხვი, მობუზული არსება, არამედ ქალი ახალი სიმღერით გულში და ეს სიმღერა ქრისტეში უკიდეგანო თავისუფლებას ეხება. გაბედული მძლეველი წამომდგარი ძუ ლომია. ეს შეუდარებელი ნაშრომი ყველა იმ ქალს ეძღვნება, რომელსაც სურს იყოს პასუხი დღეს დედამიწაზე. იპოვე შენი შინაგანი „ბრდღვინვა“, როცა ლიზა წაგიძღვება იუდას დიდი ლომის – თავდაპირველი ასლანის – იესო ქრისტესკენ.“

– ქრის პრინგლი, უფროსი მსახური, ეკლესია C3

„ლიზა ბევრი *ძუ ლომის გამოღვიძებაში* ჩვენს ყურადღებას აპყრობს ქალის ენერგიულობისა და დამცველობის ბუნებრივ მხარეებს. იგი წარმოაჩენს ქალების ძალას მათი და მათთვის საყვარელი ადამიანების ხვედრისთვის ბრძოლაში. დაე, ლიზამ გასწავლოთ, თუ როგორ უნდა იმოქმედოთ ღვთის მადლში, რომ მისდიოთ იმედგაცრუებისა და დამსხვრეული ოცნებების „ნადავლს“ და შეიმოსოთ ძალით, განავითაროთ სიმხნევე და მოიტანოთ ცვლილებები ქვეყნიერებაზე.“

– ეპისკოპოსი კორტნი მაკბეტი, უფროსი მწყემსი, ეკლესია Calvary Revival, ნორფოლკი, ვირჯინია

1
გამოაღვიძე ძუ ლომი

„ბუნება იმისთვის არის შექმნილი,
რომ სულთან შეთქმულებით
მოახდინოს ჩვენი ემანსიპაცია“.
– რალფ უალდო ემერსონი

1994 წელი იდგა. ის ღამე არაფრით გამოირჩეოდა სხვა ღამეებისგან ჩემი ცხოვრების იმ ეტაპზე. დასაძინებლად იმაზე გვიან დავწექი, ვიდრე ამას სახლის წესრიგში მოყვანის უიმედო მცდელობები მოითხოვდა. იმ დღეებში ღრმა ძილით მეძინა, რადგან ორსული დედა ვიყავი და კიდევ სამი ბიჭი მყავდა. თვალებს დავხუჭავდი თუ არა, მაშინვე ძილს მივეცემოდი და მხოლოდ მაღვიძარა, ბავშვები ან გათენებისას ჩემს ოთახში შემოსული მზის სხივები თუ გამაღვიძებდა. ღამით დავიძინე და გარიჟრაჟზე გამეღვიძა შინაგანად შეძრულს.

განთიადის წინა საათებში მეტისმეტად ცოცხალი და უჩვეულო რამ მესიზმრა. საერთოდ, თუ მას სიზმარს ვუწოდებ, ეს ნიშნავს, რომ იგი ძილში ან მოლანდებასავით ვნახე, მაგრამ ასე არ ყოფილა. სიზმრებს ხშირად ვნახულობ. ეს სრულიად გამორჩეული იყო თავისი სიღრმით. ჩემი სიზმრების სამყაროში აღმოვაჩინე, რომ სრულიად ცხადად ვხედავდი ყველაფერს. თვალწინ გადამეშალა სულ სხვა ადგილი და დრო. ვიგრძენი, რომ დედამიწის ბილიკებზე აღარ დავდიოდი. ზეციურ სამყაროში აღმოვჩნდი, გაბრწყინებულ ადგილას მკვეთრი სიკაშკაშის გარეშე.

ყველაფერი სხივოსანი შუქით იყო განათებული და ჩანდა, თითქოს იგი ყოველი მხრიდან იღვრებოდა. აქ ვერ ნახავდით ბუნდოვანებას ან რაიმე ჩრდილს, მხოლოდ დიდებულ ფერებს. ეს გაჯერებული ცოცხალი ტონები ისეთი მდიდარი ნიუანსები-

სგან შედგებოდა, რომ დედამიწაზე ანალოგი ვერ ვიპოვე მათი დასახელებისთვის. საღებავები რამდენიმე ფენისა და განზომილებისგან იქმნებოდა. რატომღაც ყველაზე უკეთ მეწამული (თუმცა არა ამქვეყნიური) და ცისფერი (ჩვენთვის ნაცნობი ცისფერისგან განსხვავებული) ფერები დავიმახსოვრე. აქ არ იყო საზღვრები, კიდეები ან ზედა ზღვარი. და მაინც, ფერი გარკვეულ ფონს უქმნიდა სცენას, რომლის გამოკვეთაც მას სურდა – ეს გახლდათ კრემისფერი ქვის ბაქანი, რომელზეც ოქროსფერი ძუ ლომი წამოწოლილიყო.

ის კატისებრთა ოჯახის სრულყოფილი წარმომადგენელი გახლდათ – დიდებული, ძლიერი და მდიდრული. იგი არ ინძრეოდა, მაგრამ ეჭვიც არ შემპარვია, რომ ცოცხალი იყო, გაცილებით ცოცხალი, ვიდრე რომელიმე მიწიერი მოძრავი ცხოველი. ლომს თავი მაღლა აეწია, მაგრამ დაძაბული არ ჩანდა. თათები წინ ეწყო. მისი ბეწვი და თვალები ოქროსფერი იყო. უზადო და მოწითალო-ყავისფერი ქურქის ქვეშ სრულყოფილად ჩამოქნილი კუნთების ყოველი ხაზი მკაფიოდ ჩანდა. ეს განსაცვიფრებელი, უძრავი ძუ ლომი უფრო რეალური, ცოცხალი და ძლიერი ჩანდა, ვიდრე დედამიწაზე მოსიარულე ძუ ლომები. არ მასვენებდა აზრი, რომ ზეციურ პირველსახეს ვხედავდი.

უნაკლო შემაღლებული ბაქნის წინა მხარეს ამოტვიფრული იყო სიტყვა და რომაული რიცხვი: რიცხვნი XXIII.

ძუ ლომისგან განსხვავებით ჩემი მოყვანილობა გამჭვირვალე, უმნიშვნელო და გარემოებისთვის შეუფერებელი მეჩვენა. თითქოს სხეულთან კავშირი დავკარგე და იმასაც კი ვერ ვაცნობიერებდი, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ვიცოდი, რომ იქ ყურადღებით უნდა ვყოფილიყავი, მეცქირა, დავკვირვებოდი და ამ ყველაფრის კეთებისას რაღაც ჯერ არგაგონილი მესწავლა. ვიგრძენი დანახული ხატების ფასეულობის აღქმის აუცილებლობა. ძუ ლომთან მარტო ვიყავი, მაგრამ განგაშის ან საფრთხის განცდა არ მქონია. გასაოცარი სასწაულის მოწმე გავხდი და მხოლოდ ყურებისგან გათავისუფლდა ჩემი სული და ნანახს დაუკავშირდა. რამდენადაც შევძელი, ყველაფერი ჩემს ირგვლივ არსებული შევითვისე. მზერა ძუ ლომისკენ გამექცა და თვალებში ჩავხედე. როცა ეს გავაკეთე, გავიგონე ხმა, რომელიც სადღაც ჩემს ზურგს უკან აცხადებდა: *ვაჟის დაბადებასთან ერთად ძუ ლომს გამოაღვიძებ.*

ხილვა დასრულდა ოქროსფერი შუქის ბუნდოვანებაში, დიდებულებასა და სასწაულში. ამის შემდეგ პირველი, რაც გავაცნობიერე, იყო დილა და მეც სრულიად გამოფხიზლებული

გახლდით. ყველანაირი გრძნობა გამახვილებული მქონდა, მაგრამ არა შიშის, არამედ უფრო ელდისგან. რის მოწმე გავხდი ახლახანს? რაც დრო გადიოდა, უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენი დედამიწა დროსთან დაკავშირებული ჩრდილი ანუ ნაწილობრივი გამოცხადებაა ზეციური პირველადი სრულყოფილი საგნებისა.

ალსდექ, როგორც ძუ ლომი

გარიჟრაჟის ნაცრისფერ ბინდ-ბუნდში სრულიად გამოფხიზლებული ვიწექი. გული გამალებით მიცემდა და სხეული მიკანკალებდა. მივხვდი, რომ ღმერთმა ძუ ლომის ხილვა გამომიგზავნა იმის გამოსაცხადებლად, რაც შეიძლება ადვილად დამეკარგა ყოველდღიურ ერთფეროვნებაში. მან სრულად მიიპყრო ჩემი ყურადღება. მთელი არსებით ვუსმენდი. ჩემი ოთახი გაცრეცილი და ცარიელი მეჩვენა იმ ფერების სამყაროსგან განსხვავებით, რომელიც ახლახანს დავტოვე. ამქვეყნიური დილის ხმები დახშული ჩანდა იმქვეყნიური სამყაროს წკრიალა ჟღერადობასთან შედარებით. ვაყოვნებდი, განძრევის მეშინოდა, რომ ხილვის უკანასკნელი ნარჩენი არ გამქრალიყო. თვალები დავხუჭე. დიახ, ყველაფერი იქ იყო – ძუ ლომი, ბაქანი, ამოკვეთილი წარწერა, ფონი და ხმა.

დრო გავიდა. გული დაწყნარდა, სხეული დამშვიდდა და მეც თვალები გავახილე. არ მასვენებდა ბაქანის წინა მხარეს ამოტვიფრული წარწერა. ბიბლიას გადავწვდი ისე, რომ საწოლიდან არც წამოვმდგარვარ. მაინტერესებდა, უშუალო თავსა და მუხლთან რაიმე კავშირი ჰქონდა თუ არა. თუ ასე იყო, რაზე ლაპარაკობდა რიცხვთა 23-ე თავი? გული მომეწურა, როცა მთარგმნელის სათაური შევნიშნე და აღმოვაჩინე, რომ მონაკვეთი ბილყამის წინასწარმეტყველებას ეხებოდა. ვიცოდი, რომ იგი სწორად ლაპარაკობდა, მაგრამ სახელგატეხილი წინასწარმეტყველი გახლდათ. კითხვას შევუდექი. ჩემი ყურადღება არაფერმა მიიპყრო, სანამ მე-19 მუხლს არ მივადექი.

„ღმერთი კაცი როდია, რომ იცრუოს
და არც ადამიანის ძეა, რომ
დანაპირები გადაიფიქროს.
განა უთქვამს და არ გაუკეთებია?
აჰა, კურთხევა მებრძანა, მან აკურთხა
და არ ძალმიძს მისი შებრუნება.

არ შეუმჩნევია უსამართლობა იაკობში
და არ დაუნახავს უმართლობა ისრაელში;
უფალი, მისი ღმერთი, მასთანაა
და სამეფო ყიჟინაა მასში.
ღმერთმა გამოიყვანა ისინი ეგვიპტიდან;
მარტორქის ძლიერება აქვს მას.
რადგან არაა შელოცვა იაკობის წინააღმდეგ
და ჯადოქრობა ისრაელის წინააღმდეგ.
იტყვიან [თავის] დროზე იაკობსა
და ისრაელზე: აი, რას აკეთებს ღმერთი!"
(რიცხვ. 23:19-23)

ეს სიტყვები ბევრ რამეს გვეუბნება ღვთის ერთგულების შესახებ. მისი აღთქმები სარწმუნო და უეჭველია, ხოლო მისი კურთხევები – გარდაუვალი. ღვთის ერთგულების გამო ისრაელის მომავალი დაცული და ჯადოქრობის ან წყევლის ზიანისა და უკუღმართი შედეგებისგან თავისუფალი იყო. ეს ყველაფერი ძალიან დამარწმუნებელი გახლდათ, მაგრამ მომდევნო მუხლი უაღრესად საყურადღებო აღმოჩნდა:

„აჰა, წამოიმართება ხალხი ლომის ბოკვერივით???
და ლომივით აღიმართება;
სანამ ნანადირევს არ შეჭამს
და მოკლულთა სისხლს არ შესვამს, არ დაწვება"
(რიცხვ. 23:24)

თრთოლვით წავიკითხე ფარატინა ფურცელზე დაბეჭდილი დიდებული სიტყვები: *წამოიმართება ლომის ბოკვერივით* და *ლომივით აღიმართება*. თვალწინ წარმომიდგა პირდაპირი სახება: ხვადი და ძუ ლომები ბალახებიდან წამოიმართნენ. დაბლობის სიმშვიდე დაძაბულობამ შეცვალა. ყველა ცოცხალმა არსებამ იგრძნო მათი მდგომარეობის შეცვლა და ყურადღება გააორკეცა. ოქროსფერმა ქმნილებებმა გაიღვიძეს, გაიზმორნენ, ჰაერი შეისუნთქეს, თავიანთი სამფლობელო დაზვერეს და სამოქმედოდ მოემზადნენ. შესაძლოა, ისინი შიმშილმა შეაწუხა. იქნებ ლომები იმან ააღელვა, რომ მტერმა უნებართვოდ გადმოლახა მათი ტერიტორის საზღვრები და დრო იყო, მათი იქ ყოფნა ყველასთვის ეცნობებინათ.

რაკი ერთხელ წამოდგნენ ლომები, დაძაბულობა უკიდურესად მოიმატებდა, სანამ მათი მოძრაობა არ შეწყდებოდა. თუ

ისინი მოუსვენრად იყვნენ, ვერც სხვა ქმნილებებს ეღირსებოდათ სიმშვიდე. ლომები იბრძოლებდნენ ანუ ნადავლს მოინადირებდნენ და შემდეგ დაწყნარდებოდნენ.

ლომების წამოდგომასთან ერთად გულში მათი ძალის ამოქმედება შევიგრძენი. ვინ არ შეძრწუნდება და დატყვევდება თავისი მოსასვენებელი ადგილიდან წამომდგარი ძუ ან ხვადი ლომის შემყურე? ეს ის სასწაულია, რომელსაც უნდა აკვირდებოდე. რას ნიშნავდა ეს ჩემთვის? რა კავშირი შეიძლება მქონოდა ამ ველურ, ოქროსფერ ძალასთან?

წარმოდგენილმა სურათმა ამათრთოლა და თან დამაფრთხო. მომწონდა მზეზე მთვლემარე ძუ ლომების ცქერა, როცა მათი ბოკვერები მახლობლად ერთობოდნენ, მაგრამ ნადირობისა და მკვლელობის იდეამ შემაშინა და ზიზღის გრძნობაც მომგვარა. როცა *National Geographic*-ს ან *Wild Kingdom*-ს ვუყურებდი, თვალს ვარიდებდი ამ უზარმაზარ კატებს, რომლებიც ანტილოპებსა და ზებრებს სანსლავდნენ.

გონებაში ეს აზრები მიტრიალებდა, როცა ჩემი ღამეული ხილვის სიტყვები გამახსენდა: „ვაჟის დაბადებასთან ერთად ძუ ლომს გამოაღვიძებ.“ რას უნდა ნიშნავდეს ეს? ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავდი ძლიერ, უშიშარ ლომებსა და სანოლში მწოლარე გასუქებულ ორსულ ქალს შორის. სასაცილო იყო თავისთვის ძუ ლომი მეწოდებინა. მე ტოფუს (*იაპონური სოიოს ხაჭო*) მოყვარული უკიდურესი ვეგეტარიანელი გახლდით და არა სისხლისმსმელი მხეცი. მაშინებდა ყველაფერი, რაც ჩემი კონტროლის ზონის მიღმა არსებობდა და მაფრთხობდა ადამიანთა უმრავლესობა, რომელთაც შევხვედროდი. აღმოვაჩინე, რომ ძლიერი, მბრძანებლობის მოყვარული ქალები განსაკუთრებით საშიშნი იყვნენ.

ჩემი ორსულობა დროებით სულის მოთქმას ჰგავდა. ვაჟის ჩასახვამდე რამდენიმე თვით ადრე მხურვალე ლოცვებში გვერდზე გადავდე ყოველგვარი წინააღმდეგობა და ღმერთს ვუთხარი: „კარგი, კარგი! მე შენი ვარ. დაე, შენი ნებისამებრ წარიმართოს ჩემი ცხოვრება! ყველაფერს გავაკეთებ, რაც გსურს. იმ ქალებსაც კი დაველაპარაკები, რომლებზეც მიმითითებ.“ იმ დროისთვის წარმოდგენაც კი არ მქონდა, რა იგულსხმებოდა ამაში.

როცა დავორსულდი, ვიფიქრე, რომ ფსონები გადაიდო. წარმოვიდგინე, რომ დავალება და ჩემი დამყოლობა გარკვეული სახის გამოცდა იყო აბრაჰამის მზადყოფნის მსგავსად, რომ თავისი ძე, ისაკი მსხვერპლად შეეწირა. იქნებ ღვთის თვალში რაღაც ქულები დავიწერე მის ნებაზე დათანხმების გამო და

პირობის შესრულება აღარც იყო საჭირო.

ხილვის ნახვამ ისევ დააყენა დღის წესრიგში დაორსულებამდე მიცემული პირობა, მაგრამ რა შუაში იყო ძის დაბადება? სულ ვფიქრობდი, რომ მუცლით გოგონას ვატარებდი. ყველა, ვისთანაც შეხება მქონდა, მეუბნებოდა, რომ გოგო მეყოლებოდა. არავის უხსენებია ბიჭის დაბადების ალბათობა. მხოლოდ მე ვინახავდი გულში სათუთად კიდევ ერთი ბიჭის შობის იმედს.

თავი ურწმუნოებით გადავაქნიე. თუ ეს ყველაფერი მართალია და რაღაც სახის ძუ ლომად უნდა ვიქცე, ვინმე აუცილებლად შეამჩნევდა ჩემში მიმდინარე ცვლილებებს. ხილვა მნიშვნელოვან მეორად დამოწმებას მოითხოვდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ქალაქში ჩემთვის დიდად პატივსაცემი მახარობელი ქალი ჩამოვიდა. აი, ჩემი შანსიც გამოჩნდა! მან სადილად დაგვპატიჟა მე და კიდევ ერთი ორსული მეგობარი. ჩემი მეგობარი გამორჩეული საქმიანი ქალი იყო, რომელმაც საფუძვლიანი მოქცევა განიცადა რწმენაში და მთელი აზიის რეგიონი შეძრა სახარების ქადაგებით. *შესაძლოა, ძუ ლომის ხილვა სწორედ მას შეეხებოდა.* გადავწყვიტე, საუბარში სხვათა შორის შემომეტანა ეს იდეა და მის რეაქციას დავკვირვებოდი.

ჩვენი სადილი ერთ შესანიშნავ, მზიან დღეს შედგა უინთერ პარკში, ფლორიდის შტატში. სამივემ შემოვიარეთ ქალაქის ქუჩები გარკვეული დროის განმავლობაში და როგორც იქნა, ჩემი ორსული სხეული სუფრამდე მივიტანე. ვფიქრობდი, როგორ წამომეწია ძუ ლომის თემა ჩვენს მეგობრულ, საყიდლების საკითხით დატვირთულ საუბარში. მოგვიანებით, ჭამის დროს ამის საშუალება მომეცა.

ჩემმა მეგობარმა თქვა, რომ გოგონას ელოდებოდა და მახარებელმა ქალმა თავისი სიხარული გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ მეც გოგო მეყოლებოდა.

– „თუ ბიჭი იქნა?“ - ვკითხე მე.

იგი განცვიფრდა, რომ თავში ამგვარი აზრი დავუშვი. ბოლოს და ბოლოს, მისი აზრით, სამი ვაჟი მყავდა და ჯონსაც სჭირდებოდა გასანებივრებელი პატარა გოგონა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე ძუ ლომის და ძის დაბადების გამოცხადების ამბავი მომეყოლა.

დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ყველაფერი გასაგებად გადმოვეცი. ფაქტობრივად, ვიცოდი, რომ ეს უაზრობა იყო. მე ხომ თავადაც არ მჯეროდა ამის. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ხილვა რეალური იყო და აფორიაქებულს მიჭირდა ძუ ლომის

სახებასთან ჩემი კავშირის ამოცნობა. ლაპარაკს ვაგრძელებდი და ვცდილობდი ხილვის ყველა დეტალის აღწერას, მაგრამ რა მოლოდინი უნდა მქონოდა, როცა თავად დაბნეული ვიყავი? ეს მათ შეფიქრიანებულ სახეებზეც გამოიხატა. მივხვდი, რომ ჩიხში მოვექეცი და ლაპარაკი უცებ შევწყვიტე.

ხანგრძლივი და მძიმე პაუზის შემდეგ მახარებელმა ქალმა ეჭვიანი მზერით შემომხედა და მკითხა: „ბავშვს რა დროისთვის ელოდები?“

– „ათი ოქტომბრისთვის“ - ვუპასუხე მორიდებით და თან შვებით, რომ რაიმე გონივრულის თქმა შემეძლო.

იგი უკან გადაიხარა, თავი გადააქნია და დარწმუნებით თქვა: „არა, არა, *შეუძლებელია*, რომ იმ დროისთვის ძუ ლომად იქცე.“

მინდოდა მეყვირა, „მეც ასე ვფიქრობ!“, მაგრამ მომერიდა და მხოლოდ თავი დავუქნიე. ერთის მხრივ, გულზე მომეშვა, მეორე მხრივ კი ცოტათი გავლიზიანდი, ნამდვილად დავიბენი და შესაძლოა, ნაწყენიც დავრჩი.

ნეტა რას გულისხმობდა ნათქვამში, რომ იმ დროისთვის ძუ ლომი ვერ ვიქნებოდი? ჯერ მხოლოდ გაზაფხული იდგა და ოქტომბრამდე კარგა ხუთი თვე იქნებოდა! და ბოლოს, რა დრო სჭირდება ძუ ლომად გარდაქმნას? რატომ გავუზიარე მათ ჩემი ხილვა? შემეძლო დამეცადა, სანამ იმას მაინც არ დავადგენდი, რომ მუცლით ვაჟს ვატარებდი.

იგი მიხვდა, რომ დაბნეული ვიყავი და განმიმარტა, „შენში კიდევ ბევრი რამაა, რაზეც ღმერთს საშრომი აქვს ... ოქტომბრისთვის ვერ გათავისუფლდები.“

ახლა კი ყველაფერი გასაგები გახდა. არ მომეწონა ქალის პირდაპირობა, მაგრამ მის შეფასებას დავეთანხმე. საუბარი თანდათანობით დაუბრუნდა თავდაპირველ კალაპოტს მას შემდეგ, რაც პირი მოვკუმე და ფიქრებს გარეთ გამოსვლის საშუალება აღარ მივეცი. მან მხოლოდ ის გაახმოვანა, რაც გარეგნულადაც მეტყობოდა. სავსე ვიყავი სხვადასხვა სახის ეჭვებით და დაუცველობის გრძნობით. ჩემი მეუღლე ჯონიც კი გამუდმებით მიმეორებდა, „ძალიან ძნელია შენი აზრებით ცხოვრება, ლიზა. ბევრ რამეზე დარდობ და შიშობ.“ იგი მართალი იყო. ყველაფერი უფრო და უფრო რთულდებოდა. დავიღალე, აღარ მინდოდა გრძელვადიანი გამოსწორების პროექტად ყოფნა.

არავითარი თავის მართლება

წლების განმავლობაში ვიგონებდი თავის გასამართლებელ

საბუთებს. სიმსივნეს გადავურჩი, დიასახლისი ვიყავი ყოვლად უფუნქციო წარსულით, რომელიც ცდილობდა თავისი სკოლამდელი ასაკის შვილებისთვის გაეძლო. ნუთუ შესაძლებელი იყო, რომ ღმერთს უფრო მეტის ღირსი გავეხადე? ნუთუ ჩემში რაღაც მძლავრი და ცოტა არ იყოს, სასტიკი უნდა გაღვიძებულიყო? ალბათ, გაბედულება წამადგებოდა კიდეც. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდობაში თავგადასავლების მოყვარული ხომ ვიყავი? იყო დრო, როცა ჩემი საოცნებო პროფესიები დაქირავებული მკვლელიდან ასტრონავტობამდე მერყეობდა.

დიახ, მინდოდა აღმედგინა მცირეოდენი ძლიერება, რომელიც ჩემს თავს წავართვი, როცა მწყემსის ცოლისა და სათნო ქრისტიანი ქალის შესაფერისად მოქცევას ვცდილობდი. მზად ვიყავი ცოტა მეტად დაძაბვისა და ძლიერებით და სილამაზით შემოსვისთვის. დავიღალე იმით, რომ ადამიანებს სუსტ და მტირალა არსებად მივაჩნდი. დავიღალე წარსულის ტკივილების ხელახალი განცდით. მზად ვიყავი გამოწვევისთვის. მომწონდა ჩემი ქმრის მგზნებარება და ძალა, მაგრამ დამღალა მის ზურგს უკან მალვამ. ჩემი გონება დავქანცე სხვადასხვა უმნიშვნელო საკითხებზე ფიქრით. დავიღალე თავის მოკატუნებით. შესაძლოა, სწორედ ძუ ლომის ხილვა იყო ის, რაც მჭირდებოდა! მზად ვიყავი საყვარელი და ფრთხილი არსების ნაცვლად ცოტათი მძვინვარე და მიზანდასახული გავმხდარიყავი.

იმ სადილის შემდეგ სახლში წავედი ავტომობილით და საჭეს იმაზე მაგრად ჩავეჭიდე, ვიდრე საჭირო იყო. მინდოდა ძუ ლომის ფლუიდები შემეგრძნო ჩემს შედარებით უსაფრთხო „ჰონდა სივიკში“. გვერდითი მინები ჩავწიე და თან თანამედროვე ქრისტიანული მუსიკის ბოლო ალბომის ხმას სხეულს ვაყოლებდი. კონდიციონერის ნაცვლად ქარი აფრიალებდა ჩემს „ფაფარს“. ახლა ეს ყველაფერი სასაცილო ჩანს (თან თუ გავითვალისწინებთ, რომ ძუ ლომებს ფაფარი არ აქვთ). გვერდით სარკეში კატის თვალების მსგავსი რეიბანებიდან დავინახე ჩემი ხვეული, მელირებული თმები . . . *მოიცათ, ამ კულულებში ველური ძუ ლომის ოქროსფერს ხომ არ ვხედავ?*

მაშ, ოქტომბრისთვის მზად არ იქნებიო? ჰა! მაგასაც ვნახავთ! მე ძუ ლომი ვარ!

ასე იყო თუ ისე, ჩემს მიერ გადადგმული მცდარი ნაბიჯის, მეგობრის უკმეხი შეფასებისა და მთელი რიგი ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენების ერთობლიობით საინტერესო გარდასახვა დაიწყო. ისე მოხდა, თითქოს ადგილი ჰქონდა ხელთათმანის გამოსროლას და დუელში გამოწვევას.

ჩემი ვაჟის, არდენ ქრისტოფერის (მისი სახელი ნიშნავს „მძლავრს, მიზანსწრაფულს, ცხებულს“) დაბადებასთან ერთად შინაგანში რაღაც შეიძრა. კიდევ ერთი ბავშვი დედისთვის უფრო მეტ დატვირთვას ნიშნავდა, მაგრამ მე მიზანდასახულ ასულად ვიქეცი. სხვა დედების მსგავსად, ჩემი ღმერთთან დაკავშირებული „მე“ დაძაბული გახლდათ. ყოველდღიურ ცხოვრებაში მთლიანად ჩავეფალი. იმდენად მშთანთქა გაფართოებადმა და უფრო და უფრო მომთხოვნმა ვალდებულებების სიამ, რომ დამავიწყდა ვინ ვიყავი. საკუთარი თავის რწმენა აღარ მქონდა. ჩემი პატარა სამყარო საკუთარ თავზე კონცენტრირებული, იზოლირებული, შესაბრალისი, ურისკო და უშედეგო იყო. მახსოვდა საკუთარი სახელი, ვისზე ვიყავი გათხოვილი და ვინ იყვნენ ჩემი შვილები, მაგრამ საქმეებმა და მოვალეობებმა დაჩრდილა გრძნობა, რომ ღვთის ასულიც გახლდით.

ღმერთმა თანდათან შთამბერა ძლიერება და სხვა სახელი მიწოდა. ყველა დანარჩენისთვის გარკვეულ სამუშაო ვალდებულებასთან დაკავშირებული სახელი მქონდა. ვიყავი შვილების დედა, ჩემი ქმრის მეუღლე, მწყემსის მეუღლე ეკლესიისთვის, ხოლო უზენაესი ღვთისთვის უბრალოდ ასულს წარმოვადგენდი. როცა ყურადღება გავამახვილე საკუთარ თავზე, როგორც ღვთის კუთვნილებასა და ყველაფერ იმაზე, რასაც ეს მოიცავდა, ჩემი დღეები სიცოცხლემ და ძალამ აავსო და სულში სიმშვიდემ დაისადგურა. ჩემი გული გაიშალა.

არდენის დაბადების შემდეგ დაუცველობის, შიშების, კომფორტის ზონისა და მარცხის ჩრდილიდან გამოვედი და სხვების დახმარებას შევუდექი. არდენის გაზრდაში დავწერე ჩემი პირველი წიგნი, *ჩემს ცხოვრებას აღარ ვაკონტროლებ და ეს მომწონს!* ამ წიგნის წერამ ახალი სამყარო გახსნა ჩემს წინაშე. მოულოდნელად მთელი ერის ქალებისთვის მიმართვა მომიხდა, რომლებიც ნამდვილობისა და სიწრფელის ძიებაში იყვნენ. მათი ტკივილის, შინაგანი სწრაფვისა და ჯანსაღი ქალური ურთიერთობების უცილობელმა საჭიროებამ ბევრი წიგნი დამაწერინა.

დრო გავიდა და მზიანი, ცხელი და ნესტიანი ფლორიდის სახლიდან გადავედით მზიანი, ცივი და მშრალი კოლორადოს სახლში. კოლორადოში გადასვლის შემდეგ მთელი ოჯახი დიდ დროს ერთად ვატარებდით სახლში და მაგიდის გარშემო. ამ მდგომარეობამ მრავალი რამ შეცვალა ჩვენს ცხოვრებაში. მომდევნო ათი წლის განმავლობაში რამდენჯერმე (არც ისე ბევრჯერ, რომ ყურადღებად ღირდეს) მიწოდეს ძუ ლომი.

კმაყოფილი ვიღიმოდი, რომ აღარ ვიყავი დამფრთხალი, მორიდებული, შინაური ფისო. წარმოვიდგინე, რომ ძუ ლომის ამბავი და ჩემი პირადი გარდაქმნა თითქმის დასრულდა, მაგრამ ვცდებოდი.

ეს შენ არ გეხება, ლიზა

2007 წლის შემოდგომაზე ძუ ლომი ისევ მეწვია. ქალთა კონფერენციის ერთ-ერთი მსახური ქალი გახლდით ახალი ზელანდიის გასაოცარ მიწაზე. ამ ღონისძიებაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მასპინძელ ეკლესიას ზედიზედ ორი კონფერენციის ჩატარება დასჭირდა ყველა ქალის მოსათავსებლად.

პირველი კონფერენცია ეკლესიაში ჩატარდა, ხოლო მეორე – ოკლენდის სტადიონზე. დავასრულეთ პირველი და მეორეზე გადავინაცვლეთ სტადიონის ტერიტორიაზე. გამოსვლები დაიწყო. მსახურები უნარიანი, თანაგრძნობით სავსე და ღვთის სიტყვის ერთგული ადამიანები იყვნენ. გაურკვეველი მიზეზის გამო შუადღის შესვენებისას შინაგანი წუხილი ვიგრძენი. მოუმზადებლობა არაფერ შუაში იყო, რადგან შემეძლო გამემეორებინა ის, რაც პირველ კონფერენციაზე ვილაპარაკე. მიუხედავად ამისა, ჩემი გამოსვლის წინ ლოცვის აუცილებლობის აზრი არ მასვენებდა. თითქოს იქ წინააღმდეგობა იყო მოსალოდნელი. ვიცოდი, რომ ეს არც დამსწრეებისგან მოდიოდა, რომლებმაც იქ ყოფნა არჩიეს და არც მქადაგებლების ან მასპინძელი ეკლესიისგან. ყველანი ერთსულოვნად შევიკრიბეთ და მზად ვიყავით თაყვანისცემის, ქადაგების და ქალების გამხნევებისთვის. თუმცა ჰაერში რაღაც ტრიალებდა. შესაძლოა, ღმერთს ჩემი ყურადღების მიპყრობა სურდა. საჭირო იყო განმარტოება და გარკვევა, ამიტომ ჩემი სასტუმროს ნომრისკენ გავემართე, რომელიც ოკლენდის სანაპიროს გადაჰყურებდა.

შეუჩერებლად დავდიოდი ოთახში. ხელები ნავსადგურისკენ გავიშვირე და ლოცვა დავიწყე ღვთიური წინამძღოლობის და შინაგანი წვდომისთვის. თან iPod-ზე სიმღერას ვუსმენდი და მას ვყვებოდი, „შესძახეთ ღმერთს ყიჟინის ხმით“. ჩემი გულის მდგომარეობის წესრიგში მოსაყვანად ღმერთს მადლობა ვუძღვენი სხვადასხვა საქმეებისთვის, რომელთაც ჩემს ცხოვრებაში აკეთებდა. ის-ის იყო დავასრულე ჩემი წიგნის, „*აღზრდის*“ ხელნაწერის საბოლოო რედაქტირება და ღვთისადმი

მადლიერება გამოვხატე, რომ წერისა და რედაქტირების პროცესი დასრულდა. ჩემთვის წიგნის წერა მშობიარობას წააგავს, ამიტომ ლოცვა დაახლოებით ასე ჟღერდა: *მადლობა ღმერთო, რომ წიგნი დასრულდა! აღარ მინდა უახლოეს მომავალში კიდევ რაიმეს დაწერა!*

მოულოდნელად ვიგრძენი, რომ ღმერთი ჩემს გულს დაელაპარაკა. *ვწუხვარ, რომ ასეთი განწყობა გაქვს ... რადგან მჭირდები, რომ ისევ დაწერო.*

რა? ღმერთს ვჭირდები?

იგი განაგრძობდა: *„ახალ მეთოდებს ვუშვებ ზეციდან. ისინი ჩემს სიტყვაში იპოვება. ვერ შეძლებ ყველა მათგანის ფლობას, არამედ მხოლოდ გარკვეული ნაწილისას. უნდა დაწერო და ჩაიწერო, რასაც გეტყვი, რადგან ჩემი ასულების შეკრებისას სრული სურათი შედგება. თუ ამ თავსატეხის შენეულ ნაწილს არ მიიტან, სურათი სრული არ იქნება“.*

მოულოდნელად თვალწინ ისევ ძუ ლომი წარმომიდგა. მის ძლიერებას და ველურ სილამაზეს ვუმზერდი, როცა ხმა გავიგონე: *„მე ვთქვი, რომ ვაჟის დაბადებასთან ერთად* ძუ ლომს *გამოაღვიძებდი. არ მითქვამს, რომ ეს ლომი შენ ხარ“.*

მყისვე დავინახე, რამდენად შეზღუდული, უგუნური და ადამიანური იყო ჩემი წარმოდგენა. ხმა ლაპარაკს აგრძელებდა: *„იესო არის ლომი იუდას ტომიდან და დროა მისმა საპატარძლომ ძუ ლომი გამოაღვიძოს. შეისწავლე ძუ ლომის გ ზები და თვისებები“.*

ამის შემდეგ მოვისმინე პირველი მეთოდის შესახებ:

ძუ ლომები ერთად ნადირობენ.

უკან დავიხიე. ეს სიტყვები ახლოს არის წმ. წერილთან? რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი? ქალები თანდათან ეჩვეოდნენ მოსაზრებას, რომ ქალურობაში ძალა დევს, ხოლო აღზრდის მათეული უნარი დასაფასებელია. ახლა ღმერთი მეუბნება, რომ მათ ძუ ლომები ვუწოდო? როგორ შევუსაბამო ესენი ერთმანეთს?

დავინტერესდი, *ხომ არ სურდა ღმერთს, რომ მის ქალებში რაღაც მძლავრს და ველურს გაეღვიძა?*

აზრად ისევ მომივიდა რიცხვთა წიგნის 23-ე თავი და მასში დავინახე ქრისტიანი ქალების ვალდებულება, რომ წამომართულიყვნენ. მაშინვე და იქვე გადავწყვიტე, გულდასმით შემესწავლა ძუ ლომების ცხოვრება და დამენახა ანალოგიები მათსა და ღვთის ასულებს შორის. ბოლო ორი წელი ძუ ლომების შესახებ კვლევას, დაკვირვებას და წერას მოვანდომე. თავდაპირველად

ქალებსა და ამ ქმნილებებს შორის კავშირის დადგენას ვცდილობდი ლიტერატურულ დონეზე, ღვთისგან მოცემული ხილვის გათვალისწინების გარეშე. დრო გავიდა და მივხვდი, რომ ეს ხილვა მხოლოდ ჩემთვის არ იყო განკუთვნილი. იმიტომ არ მაჩვენეს ძუ ლომი, რომ გამორჩეულად საყვარელ ან განსაკუთრებულ პიროვნებას წარმოვადგენ და არც იმის გამო, რომ წინასწარმეტყველი ვარ. ღმერთმა იცოდა, რომ ერთ დღესაც გავხდებოდი ადამიანი, რომელიც მრავალს მიაწვდენდა ხმას.

დრო გადიოდა და კვლავ ვიმეორებდი ფრაზას „თქვენ გამოაღვიძებთ ძუ ლომს“. უშუალოდ ვხედავდი, რა გავლენას ახდენდა ნათქვამი ქალებზე. ზოგჯერ ისინი წყნარი ტირილით პასუხობდნენ, თითქოს რაღაც წყალივით იღვრებოდა მათი შინაგანიდან. სხვა შემთხვევებში ქალებს სუნთქვა ეკვროდათ, თითქოს გამოცხადება შეისუნთქეს და გააცნობიერეს, რომ კარგია იყო ლამაზი და მძლავრი. დარწმუნებული ვარ, რომ გამოხმაურება ყოველთვის დადებითია, რადგან ღვთის ნებისმიერ ასულში იმალება გარკვეული სახის კრავი და ლომი. მისი გამოღვიძების დრო დადგა.

როცა ძუ ლომზე ვფიქრობ, ბაგეზე ღიმილი მეფინება. მხრებს უკან ვწევ და ვცდილობ წელში გავიმართო. ყველა სხვა ქმნილებაზე მეტად მეამაყება ძუ ლომის მდედრობა. ეჭვგარეშეა მისი ძლიერება. ასევე ვფიქრობ, რომ ხვადი ლომის წარმოდგენაზე ნებისმიერი კაცი ამაყობს თავისი მამაკაცობით. ლომი ჯუნგლების მეფეა და ზედმეტია კითხვის დასმა, თუ ვინ არის დედოფალი.

უყურე ... და ისწავლე

პირველი შემთხვევა როდია, როცა ღმერთი ჩვენი თვალთახედვის განახლებისთვის ქმნილების სისადავეზე მიგვითითებს. იესო შეგვაგონებს, რომ დავაკვირდეთ ყვავილებს და დავრწმუნდეთ ღვთის მზრუნველობაში (იხილეთ მათ. 6:28; ლუკ. 12:27). ანალოგიურად, ზეციური სამყარო აცხადებს ღვთის დიდებას და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მის სიმართლეს (იხილეთ ფსალმ. 19:1; ფსალმ. 50:6).

> „გამოაცხადეს ცათ სიმართლე მისი და ყველა ხალხმა იხილა დიდება მისი“ (ფსალმ. 97:6)

ქმნილების ველური, სასტიკი სილამაზე ის სარკმელია, საიდანაც ჩვენი შემოქმედი ღმერთისთვის თვალის შევლება შეიძლება. ეს სარკმელი უნდა გამოვაღოთ და ღვთის მიერ შექმნილ მოუთვინიერებელ, უსაზღვრო სილამაზეს ჩვენში უფლისადმი მოწიწების გამოღვიძების საშუალება მივცეთ. როცა ქმნილების სასწაულის დასანახად თვალებს ვახელთ, ჩვენში ღვთისადმი სწრაფვა წარმოიშობა. ჩვენი სული ნანახს ეხმაურება. ქმნილება აცხადებს: „აქ უფრო მეტია, ვიდრე შენ ხედავ! უფრო მეტია, ვიდრე გესმის; უფრო მეტია, ვიდრე ადამიანური მოკვდავობა. აქ მარადიული ღმერთია, რომელიც არის მაღალთა შინა.“

იესო, ჩვენი ქრისტე, დედამიწის დაფუძნებამდე მოვიდა როგორც დაკლული კრავი, მაგრამ გამოცხადების წიგნი მას ლომის სახითაც წარმოგვიდგენს:

„მაშინ ერთ-ერთმა უხუცესმა მითხრა: ნუ სტირი; აჰა, იმძლავრა ლომმა, იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა, რომელიც გადაშლის ამ წიგნს და შვიდ ბეჭედს ახსნის მას“ (გამოცხ. 5:5).

ის ორივეა, ჩვენი ლომიც და ჩვენი კრავიც. დავინტერესდი, შეიძლებოდა თუ არა ამ ორი საპირისპირო სახების გაერთიანება? ბიბლიის თარგმანი *Message* ამბობს, რომ იუდას ლომს შეუძლია „ერთი დარტყმით გახსნას შვიდი ბეჭედი“. იოანე, გამოცხადების ავტორი მოთქვამდა, რომ მთელი ზეცის, დედამიწის და ქვესკნელის მიმოხილვის შემდეგაც კი არავინ აღმოჩნდა ბეჭდების ახსნის და მომავლის თანდათან გაცხადების ღირსი. იოანეს ახლოს მყოფმა უხუცესმა ანუგეშა იგი და დაანახა ლომი ჩვენს კრავში. მხოლოდ ის აღმოჩნდა ღირსეული და ბეჭდების ახსნის საქმის წამომწყები.

რაღაცის ახსნა გარკვეული სახის ძალადობრივი ქმედებაა. მაშინვე გამახსენდა ტაძრის შიდა ნაწილების გამყოფი სქელი ფარდა, რომელიც შუაზე გაიხა (იხილეთ მარკ. 15:38). რღვევა უმაღლესი წერტილიდან დაიწყო და ყველაზე დაბალ წერტილში დასრულდა. მომწონს, რომ ჩვენი ღმერთი ნაწილებად ხევს ყველაფერს, რაც მისგან გვაბრკოლებს ან გვყოფს. ღვთიური საიდუმლოებებით სავსე გამოცხადების წიგნში ზეციურ გრაგნილებზე ბეჭდების ახსნის აქტმა დედამიწაზე საგნები მოქმედებაში მოიყვანა.

> „ბუნება იმისთვის არის შექმნილი, რომ სულთან შეთქმულებით მოახდინოს ჩვენი ემანსიპაცია.“
>
> **– რალფ უალდო ემერსონი**

ახლაც კი ვგრძნობ ღვთის უდიდეს სურვილს, რომ საკუთარი თავის ნაწილი გაგვიმხილოს ყოველ ჩვენგანს და გააცხადოს ჩვენში. ასე რომ არ იყოს, რატომ დაწერდა ასეთ შთამბეჭდავ დასასრულს ჩვენი დედამიწისთვის, თუ იგი არ შეიცავს გამოცხადებას თითოეული ჩვენგანისთვის? დარწმუნებული ვარ, რომ ისევ მოწვეული ვართ არა სასოწარკვეთისა და ტირილისთვის, არამედ თვალების აპყრობის, შეხედვისა და ჭეშმარიტად დანახვისთვის.

ჩვენი დედამიწა ახმოვანებს ზეცის გამოცხადებებსა და სიბრძნეს.

რა საოცარია, რომ ზეციერმა მამამ თავის ქმნილებას ჩვენი გულების გახსნის უნარი მისცა. ყოველი მცენარე, ცხოველი და ლანდშაფტი ამბობს, „აღსდექი და იყავი ისეთი, რა ჩანაფიქრითაც შეგქმნეს“. იობის თანახმად, ბუნებას ჩვენი განსწავლის პოტენციალი გააჩნია.

ღმერთი მთელს ქმნილებას სამეცნიერო-კვლევით კაბინეტად აქცევს და ჩიტებსა და მხეცებს იყენებს ჩვენთვის სიბრძნის სასწავლებლად (იობ. 35:11).

ღვთის სიყვარულის სასწაული და ჩვენთვის მისი სიბრძნის განაწილების მასშტაბი აღსაქმელად უსაზღვროა. თუმცა ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. ბოლოს და ბოლოს, იგია შემოქმედი, რომელიც აცხადებს:

> „რადგან ჩემია ტყის ყველა ცხოველი,
> პირუტყვი ათას მთაზე. ჩემთვის
> ცნობილია მთის ყველა ფრინველი
> და მინდვრის ყველა ცხოველი მე
> მეკუთვნის. თუ მომშივდა, შენ არ
> გეტყვი, რადგან ჩემია მსოფლიო და
> სავსება მისი“ (ფსალმ. 50:10-12)

ჩვენ გამოვეყავით დედამიწის ქმნილებებს, თუმცა ღმერთი მათ სახელით იცნობს. ნუთუ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ იგი თავის ქმნილებაზე არ ზრუნავს? მან ის თავისთვის შექმნა. ბუნებას ბევრი რამის თქმა შეუძლია შემოქმედზე, თუ მოსმენის უნარს გამოვიჩენთ. იგავთა წიგნი გვავალებს, „ჭიანჭველას გზებს დააკვირდი, უმაქნისო, და ჭკუა ისწავლე“ (6:6).

დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ჩვენგან ანალოგიური რამის გაკეთებას ითხოვს. მას სურს, რომ დავაკვირდეთ ძუ ლომებს და ვისწავლოთ. იგი მოგვიწოდებს: „*ასულებო, შეხე-*

დეთ ძუ ლომს. კარგად დააკვირდით მას. დაე, ლომმა გააღვიძოს თქვენი მოუთვინიერებელი ბუნება, თქვენი ველური სილამაზე და აულაგმავი სიძლიერე ისე, რომ წამოდგეთ და იყოთ გაბედული ქალები, რისკენაც მოგიწოდეთ“.

როგორ შეუძლია ძუ ლომს ძლიერებისა და სიმხნევის გამოღვიძება ქალებში? როგორ შეუძლიათ ქალებს ძუ ლომივით წამოდგომა? თითოეულ ჩვენგანს თავისებური გამოხმაურება ექნება, მაგრამ ძუ ლომის თვისებებისთვის თვალის შევლება გარკვეულ შინაგან წვდომას მოგვცემს. მომდევნო თავებში განვიხილავთ რამდენიმე მიზეზს, რის გამოც ძუ ლომი წყვეტს აფრიკის მზის ქვეშ წყნარ დასვენებას:

იგი დგება ძალის მოსაკრებად.

იგი დგება სხვების მისალმებისა და მოვლისთვის.

იგი დგება სანადიროდ.

იგი დგება სხვა ძუ ლომებთან ერთად.

იგი დგება ბოკვერის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

იგი დგება მტრებთან დასაპირისპირებლად, რომლებიც ხროვას ემუქრებიან.

იგი დგება თავის მეფესთან ერთად სიარულისთვის.

ძუ ლომში დავინახე სურათი, თუ როგორ შეუძლია უზენაესის ყოველ ასულს მისი ძალის ფლობა, სიმხნევის გამომუშავება და მის ირგვლივ არსებული სამყაროს შეცვლა. იმალება თუ არა შენში ძუ ლომი? ჩემი ლოცვაა, რომ წიგნის კითხვის დასრულებისას ამ კითხვაზე პასუხი გქონდეს და მან შენში გააღვიძოს რაღაც მძლავრი, ლამაზი და ველური.

2
არნახული ძალა

„თუ ოდესმე მოხდება და მსოფლიოს ქალები
სიწმიდით და უბრალოებით შეიკრიბებიან
კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ეს იქნება ძალა,
რომელიც ქვეყნიერებას არასოდეს უნახავს“.
– *მეთიუ არნოლდი,*
XIX საუკუნის ბრიტანელი
პოეტი და ფილოსოფოსი

ეესაძლებელია ჩვენი გამოღვიძება ამ მომენტისთვის? მაქვს პატივი, ვიყო ამ ერთიანი ძალის წინასწარ მაუწყებელი. შორეულ ქვეყნებში, ევროპაში და ჩემს მშობლიურ შეერთებულ შტატებშიც კი ვხედავდი პირველ ნაყოფებს, რომლებიც უცილობლად ამოწმებდნენ მოძრაობის სრულ მზადყოფნას. ამ შეკრებამ გამოიღვიძა როგორც ასულმა და სწრაფად ჩამოყალიბდა ზრდასრულ ქალად. ნუთუ პოეტისა და ფილოსოფოსის სიტყვები ჩვენში რაღაც ღრმად დამალულს და ჯერ გაუაზრებელს ელაპარაკება? დიახ, როცა პირველად წავიკითხე ეს ციტატა, მან დამატყვევა და სუნთქვა შემიკრა.

ვფიქრობ, რომ ჩემი ფიზიკური გამოხმაურება იყო რეაქცია ჩვენში არსებულ გაუცნობიერებელ შესაძლებლობათა უსაზღვროებაზე. წიგნის სახელწოდებიდან უკვე იცით, რომ თქვენში რაღაც ველურის, ბრძნულის და მშვენიერის გამოღვიძებას ვესწრაფი. მოგიწოდებთ, ანონ-დაწონოთ ქალების სასიკეთოდ შეკრების იდეა. თუ საჭიროა, ისევ წაიკითხეთ ციტატა, რადგან მასში ჩადებული იმედი ნამდვილად იმსახურებს ერთ თვალის შევლებაზე მეტს; მისი არსი თქვენი სრული ყურადღების ღირსია.

გაბედეთ და ჰკითხეთ საკუთარ თავს, შეიძლება თუ არა მეთიუ არნოლდის სიტყვები უფრო მეტი იყოს, ვიდრე უბრალო თეორია, პოლიტიკური რიტორიკა ან იმედით სავსე ვარაუდი?

შეიძლება თუ არა მისი მიგნება წინასწარ განსაზღვრულად, ნების დართვად ან თუნდაც წინასწარმეტყველურად ჩაითვალოს? ნუთუ ის მომავალში ხედავდა ჩვენი დროის ასულებს და იმ შორეული პერსპექტივიდან მოგვიწოდებდა ერთად შეკრებისკენ? იცოდა მან, რომ ეს გაერთიანება არ და ვერ მოხერხდებოდა მის ეპოქაში, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ჩვენს დროში მაინც იქნებოდა შესაძლებელი? აცნობიერებდა, თუ რამდენად გაიზრდებოდა ამის საჭიროება დღევანდელობაში? გვიხილა თუ არა მე და შენ ჩვენს აწმყოში?

დარწმუნებული ვარ, რომ ამ კითხვებზე ჭეშმარიტი პასუხები ღრმად არის დამარხული თითოეულ ქალში და გამოიხატება არა სიტყვებით, არამედ მათი გადაწყვეტილებით, თუ როგორ ცხოვრებას აირჩევენ. ჩვენი პოტენციალი, რომ გარკვეული როლი შევასრულოთ ქალთა ამ გამოხმაურებებში იმით, გახდება ცნობილი, თუ რას გავაკეთებთ ჩვენს სივრცესა და დროში. ჩვენი არჩევანი მომავალში გაცხადდება ჩვენი ძეებისა და ასულების აღზრდით ისე, რომ მომავალში მათაც შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება.

„ზრდასრულ ადამიანთა პრობლემები ხვალინდელ დღეს მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იზრდებიან ჩვენი შვილები დღეს“.

– მარგარეტ მიდი

შეძლებს კი თანამედროვე ქალი, რომ ამაღლდეს მთელს მსოფლიოში გავრცელებულ კულტურულ და რელიგიურ სახეებზე, რომლებიც მრავალ კონფლიქტს და შეზღუდვას წარმოშობს და ქალების მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას ქმნის? შეძლებენ ჩვენი მამაცი ოკეანისგაღმელი დები წინსვლას იმის მიუხედავად, რომ მრავალი მხრიდან მათი გამხნევების ნიშანწყალიც არ ჩანს? შევძლებთ დასავლური სამყაროს წარმომადგენლები ფუქსავატური გატაცებებისგან შემობრუნებას და ღირსეულ და კეთილშობილურ მიზნებზე ყურადღების გამახვილებას?

ავუვლით თუ არა გვერდს წინააღმდეგობრივ გამოხმაურებებსა და არგუმენტებს, რომლებიც გვიკიჟინებენ, რომ ჩვენი მონაწილეობა აუცილებელი არ არის და არც ღვთისგან წამოსულია? გავაცნობიერებთ თუ არა ჩვენი დროების დიდმნიშვნელოვნებასა და გადაუდებლობას და ყოველგვარი დოქტრინალური განსხვავებებისა და მოსაზრებების მიუხედავად ჩავდგებით მწკრივში? გაქრება თუ არა ასაკობრივი და-

პირისპირებები, როცა გულებსა და ხელებს დავაკავშირებთ? მივალთ რწმენის ერთობლიობამდე? გამოვლინდება ეს ერთიანი რწმენა ჩვენი მრწამსის სახით?

ეს ერთობა ნაძალადევი იქნება თუ ცოცხალი? შეძლებს ჩვენი გაზიარებული რწმენა საქმეებში გამოვლენას და ჩვენს წარმოჩენას რაღაც ცხადის, უძლეველის, მოუთოკავის და არსებითის სახლმმართველებად?

იქნება ჩვენი ერთიანი წამოწყება ყოველგვარი გაბედული იმედის აშკარა მაჩვენებელი და ჩვენი ჭეშმარიტი რწმენის ცოცხალი მოწმობა? შეძლებს ეს რწმენა ეგოიზმისგან თავისუფლად გავრცელებასა და გაცემას და არა შიგნით ჩაკეტვას და მიღებას? ამისთვის ვლოცულობ, რადგან მხოლოდ ასე გაფართოვდება ჩვენი სამყარო და გაწეული ძალისხმევა სხვებზეც მოახდენს გავლენას.

დიახ, ვხვდები, რომ დასმული კითხვები და ჩემი მასულდგმულებელი იმედი ახლა, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული ჩანს, მაგრამ ამგვარი ხედვის გარეშე ვერაფერს მივაღწევთ. საკმარისი არ გახლავთ მხოლოდ იმის დანახვა, თუ სად ვდგავართ. თუ წინსვლა და გავრცობა გვინდა, წარსულსაც უნდა გადავხედოთ, ირგვლივ მიმოვიხედოთ და წინ გავიხედოთ.

თუ 1800-იან წლებს გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ პერიოდს, როცა ქალებს ძალზე ცოტა ან თითქმის არ ჰქონდათ არჩევანის უფლება. ჩვენს ირგვლივ არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვებით ვაცნობიერებთ ჩვენი არჩევანის მნიშვნელობას. თუ წინ გავიხედავთ, მივხვდებით, რომ ჩვენი სიტყვები და ცხოვრება ისე უნდა ავაგოთ, რომ სამომავლოდ ბრძენი მშენებლები გამოვდგეთ.

დროა, გავაფართოვოთ ჩვენი თვალსაწიერი და ცხოვრების მრავალ სფეროს შევეხოთ. გაჭიმვა შედეგიანი მაშინ არის, როცა კუნთები დაძაბულობასა და დრეკადობას გრძნობენ. გაჭიმვის უნარი წარმოშობს მეტ დრეკადობას და იცავს დაზიანებისგან.

ვიმედოვნებ, გარკვეულ დაძაბულობას შევმატებ თქვენს ცხოვრებას ძუ ლომის წარმოდგენით. მინდა, რომ მან გაზარდოს თქვენში საკუთარი თავის, ქალურობისა და სილამაზის, სიძლიერის, მიზნის, ქორწინების, თქვენეული სამყაროს და ღვთის ხედვა. ნება მიეცით ძუ ლომს, რომ გამოიწვიოს და განავითაროს თქვენი ურთიერთობები მამაკაცებთან, მეგობრებთან და ოჯახთან. ძუ ლომმაც კი იცის, რომ გადახტომამდე კარგად უნდა გაიჭიმოს და გაიშალოს.

ჩვენს წინაშეა გარკვეული დაძაბულობა პირად ცხოვრებასა და მსოფლიოს საჭიროებებს შორის. ეს სფეროები რომ მოვიცვათ, საჭიროა ხედვა, რომელიც ორივე მათგანს შეეხება.

სიმშვიდე ძლიერებაში, მოსვენება ძალაში

სანამ გავაგრძელებდეთ, მინდა განვიხილო საკითხი, რომელიც ხილვის შემდეგ წარმოიშვა. მაინტერესებდა, *რატომ იყო ასე წყნარად ზემოთ ნახსენები ძუ ლომი წმ. წერილიდან, როცა ღვთის ერი ყოვლისმომცველი ძალადობის მსხვერპლი ხდებოდა?* დრო გადიოდა და უფრო მეტად ვუფიქრდებოდი ხილვას და ყველა იმ აზრს, რომელიც გამოცხადებამ ჩემში გააღვიძა (და აღვიძებს). აი, რამდენიმე მოსაზრება, რომელიც შევაგროვე.

ღმერთმა ტყუილად არ მაჩვენა ძუ ლომი და ჩემგან პასუხად უმოქმედობას ან შიშს არ ელოდებოდა. მისმა სახებამ გააშიშვლა ჩემი შეზღუდული, შიშით სავსე მდგომარეობა და დაუპირისპირდა მას. ძუ ლომი იარაღი იყო, რომელმაც თვალები ამიხილა თვალსაწიერის გასაფართოებლად და გაზარდა ჩემი მოძრაობის დიაპაზონი.

მოგზაურობისას რამდენიმე დიდებული ქანდაკება ვნახე. დანიას, რომს, ლონდონსა და პარიზს ისეთი მონუმენტები აქვს, რომლებიც ძლიერების საგმირო საქმეებს ხარკს უხდის და წარსულის გამარჯვებებს და ისტორიული განთავისუფლების მომენტებს ზეიმობს. ხელოვნების ამ ნიმუშებს სურათები გადავუღე. განცვიფრებული ვიყავი, რომ მათი მოხდენილობა და მარადიული სილამაზე კვლავ მეტყველებდა.

და მაინც, ჩემი ხილვის ძუ ლომი არ იყო ქანდაკება – იგი გამოცხადებას წარმოადგენდა.

გამოცხადება გამომჟღავნებისა და გაკვირვების ელემენტებს შეიცავს. ძუ ლომმა ნამდვილად გამაოცა და გააშიშვლა ჩემი არსება, როცა მის წინაშე ორსული და ჩემს საღამურში მოკანკალე ვიდექი. ის არ განძრეულა, მაგრამ მასში ჩემზე მეტად იგრძნობოდა სიცოცხლე. მისი სილამაზისა და ძალის ფონზე გავაცნობიერე, თუ რა დავკარგე. შიშის გამო უარი ვთქვი ძლიერებაზე, სიცოცხლესა და სილამაზეზე. დავკარგე ჩემი ნამდვილი მეს შეგრძნება და მასთან ერთად ბევრი რამ იქიდან, რაც ღმერთს ჩემთვის სურდა და ჯერ კიდევ ვერ გამეაზრებინა.

ღმერთმა გამახსენა, თუ როგორ დაინახეს ისრაელიანებმა თავიანთი თავი კალიებად, ხოლო ქანაანის მკვიდრები – გოლიათებად, თუმცა რიცხვთა წიგნის 23-ე თავიდან ვიცით, რომ ქანაანელებმა ისრაელიანებში ხვადი ლომი და წამომდგარი ძუ ლომი დაინახეს.

პერსპექტივასა და რეალობას შორის განსხვავება მაშინ ჩნდება, როცა ჩვენს ძუ ლომ დას საკუთარ თავს ვადარებთ. შევძლებთ როდისმე მას დავემსგავსოთ? ოდესმე გავხდებით ქალები, რომლებიც მშვიდად არიან ძლიერების გამო და ისვენებენ ძალაუფლებაში? მოხერხებულად ვატარებთ ჩვენს სილამაზეს?

კარგად უნდა გავითავისოთ ძლიერი და თან მოსვენებული ლომის სახება.

როცა დრო მოვიდა, ძუ ლომი წამოდგა. ასევე დადგა დრო, რომ შეიცნოთ საკუთარი თავი. დროა საკუთარი თავი აამოძრაოთ, გამოიწვიოთ, შეაგულიანოთ და გამოაღვიძოთ.
აღმოვაჩინე, რომ *ძლიერებაში სიმშვიდისა და ძალაში მოსვენების* პრინციპი ღვთისმოსავი ქალის მრავლისმთქმელ და მშვენიერ სახეს ახასიათებს. საყვარელო ადამიანებო, ნებას გაძლევთ იყოთ მშვიდი ძლიერებაში და მოსვენებული ძალაუფლებაში.

როგორც წესი, ძლიერებაში სიმშვიდისა და ძალაუფლებაში მოსვენების კავშირი დროთა განმავლობაში მოდის. ისინი ერთმანეთს ეთავსებიან, როცა ვაცნობიერებთ, რომ მათში ძალა დევს. ისევე როგორც სიმართლე არის მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით, არსებობს რეალობა, სადაც ძლიერება სუფევს. მოსვენებას მაშინ ვპოვებთ, როცა მცდელობებს შევწყვეტთ.

> „მონანიებასა და სიმშვიდეში იქნებოდით დახსნილნი, *სიწყნარესა და მყუდროებაში იქნებოდა თქვენი ძალა“* (ეს. 30:15)

აი ის, რასაც ვეძებდით! ვერ წარმომიდგენია გამოხატვის უკეთესი ფორმა. დამშვიდდი, მიენდე ღმერთს და შენი ძალაც მოვა. როცა საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით მოქმედებას შევწყვეტთ, ჩვენი ჭეშმარიტი ძალა გამოვლინდება. ღმერთი ძალას არ გვიჭერს; იგი გვჩუქნის მას.

ჩვენი მეგობარი ძუ ლომებისგან განსხვავებით, მრავალი ქალი მინახავს, რომელსაც საკუთარი ძალა აშინებს. ისინი

უკან იხევენ, როცა მათში აღიძვრება დაუპატიჟებელი იდეები, კითხვები ან მისწრაფებები. ძალის არ უნდა გეშინოდეთ; მას სიხარულით უნდა იღებდეთ. ნუ დაუშვებთ შეცდომას სისუსტის თავმდაბლობად შერაცხვით. ნამდვილი თავმდაბლობა თავდაჭერილი ძლიერება ანუ მართული ძალაა.

მოსეს თავმდაბალი ადამიანი ეწოდა, მაგრამ იგი ძლიერ წინამძღოლს და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. მაინტერესებს, ეს იმიტომ ხომ არ ხდებოდა, რომ მოსე შეხვდა მას, ვინც მხარს უმაგრებდა ყველა მის სიტყვას?

კეთილისა და ბოროტის განცალკევებული შემეცნება საკმარისზე მეტადაა ჩვენს ადამიანურ სიშიშვლეში და ღვთიურ პასუხს ითხოვს. სიკეთის რეალობაში ღვთის გარეშე სიარული გვზღუდავს. ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა იმდენად მრავლისმომცველია, რომ უსაზღვრო პასუხებს საჭიროებს.

მოსეს მსგავსად ჩვენც გვჭირდება ღვთის სიკეთის გამოცხადება შერყეულ დედამიწაზე.

ამრიგად, საყვარელნო, გაქვთ გამბედაობა, რომ ირწმუნოთ ამ მადლის გამოცხადებაში თქვენი მონაწილეობის შესაძლებლობა, სხვებთან ერთად შეიკრიბოთ და გარკვეული სტრატეგია შეიმუშაოთ ღვთის სათნოების ჩვენი მეშვეობით წარმოსაჩენად?

ᲡᲐᲗᲜᲝ ᲓᲐ ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ

განზრახ არ დავიყვანე ეს „კარგი“ „მშვენიერის“ ან თუნდაც „უსაფრთხოს“ დონემდე. ბოლოს და ბოლოს, ეს გახლავთ ძალა. ასევე მსმენია, როგორ უწოდებენ *სათნოებას* ძალას.

> „გამრჯე ქალს ვინ იპოვის? მარგალიტზე ძვირფასია იგი. დანდობილია მასზე მისი ქმრის გული და სიმდიდრე არ მოაკლდება“ (იგავ. 31:10)

მარტოხელა ქალებო, სანამ იფიქრებდეთ, რომ ხსენებული მუხლი თქვენ არ გეხებათ, გაიხსენეთ, რომ იესოა თქვენი ნეფე. აქ საერთოდ არ დგას საკითხი, თუ ვის ეხება მუხლი; ჩვენ ყველა ვმონაწილეობთ ამ საქმეში.

მნიშვნელოვანია ერთი რამ: შეიძლება მოგვენდოს ეს დავალება? შევძლებთ ჩვენს ირგვლივ მყოფთა ცხოვრების გამდიდრებას? შევძლებთ ერთდროულად ვიყოთ უნარიანი და სათნო? თუ ნაწილებად დავიყოფით: ზოგნი უნარიანები იქნებიან,

სხვები – სათნოები? მხოლოდ ერთ-ერთი თვისების გამომ-ჟღავნება საკმარისი არ არის. ჩვენ გვჭირდება სათნო და ამავდროულად უნარიანი ქალების კეთილშობილური შეკრება. რა გვჭირდება უნარიანობისთვის? პასუხი სრულიად მარტივია – ნებისმიერი რამ და ყველაფერი. ჩვენ უნდა ვიყოთ ასულები, რომელთაც ყველაფრის უნარი აქვთ, რაც საჭიროა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრ გასაოცარ ქალს შევხვდი, რომლებიც სხვებს მათი უნარების რეალიზებისკენ მოუწოდებდნენ. საჭიროებების მზარდი გაცნობიერების პირობებში, ქალები თავიანთ საგანმანათლებლო მიმართულებებს და რომელიმე განსაკუთრებული ნიჭის განვითარებას მეტ ყურადღებას აქცევენ, რომ მათი გამოხმაურებაც საჭიროების შესაფერისი იყოს.

ისინი საკმარისად გამჭრიახები არიან, რომ საქმის შინაგანი წვდომის და მნიშვნელობის უპირატესობით დასვან შესაფერისი კითხვები. მათ ისწავლეს აუცილებელი თვისებების განვითარება და შეუძლიათ გაიზარდონ იქამდე, რასაც სინამდვილეში წარმოადგენენ. ეს ქალები არიან ნიჭიერები და უნარიანები, უშიშრები, მაგრამ პატივისმცემელნი, ურთიერთობის შემძლე, მაგრამ თავშეკავებულნი, თანამედროვენი, მაგრამ შორს მჭვრეტნი, თანამგრძნობნი, მაგრამ ენერგიულნი, შინაგანად სუფთები, მაგრამ არა გულუბრყვილონი, ძლიერები და სათნოები, უბრალოები, მაგრამ სტრატეგიულები.

„საკმარისი არ არის გიგანტური პროგრამების ქაღალდზე გამოსახვა. ჩემი იდეები დედამიწას უნდა დავამჩნიო“.

– ემილ პერეირი

თუ ჩვენი გეგმები და პროგრამები არ განვახორციელეთ და ქვეყნიერებაზე ზეგავლენა არ მოვახდინეთ, ისინი ცარიელ თეორიებად დარჩებიან. პროგრამებს გაცოცხლება ესაჭიროება. ისინი მხოლოდ მაშინ იმოქმედებენ, როცა მათ ვათხოვებთ ხმას, ხელებს და ფეხებს.

ჩვენს ქვეყნიერებას მრავალი ძალის ზეგავლენა განუცდია. საუკუნეების მანძილზე დედამიწას ურტყამდნენ ბუნების ძალები: ქარიშხლები, ცუნამები და მუსონები. პლანეტა იხლიჩებოდა და მისი საფუძვლები მიწისძვრებისგან ირყეოდა. არმიები იკრიბებოდნენ როგორც კეთილშობილური, ისე უგუნური მოტივებით და მიზნებით. შეიარაღებული ძალების კოალიციები ერთმანეთს ბრძოლის ველზე ხვდებოდნენ და მათი ნაკვალევი ჩნდებოდა.

და მაინც, რა ძალაა ისეთი, რომელიც დაშინების, მუქარისა და განადგურების ძალით არ ხარობს? ამ ძალის მატარებლებს სტრატეგიული და განსაკუთრებული ფუნქციები ექნებათ – ზოგი ხილული, ზოგი უხილავი, მაგრამ ყველა დასაფასებელი. რა იქნება, თუ ეს ძალა ერთდროულად უანგარო იქნება მოტივებით და უბრალო – მიზნებით? როგორი იქნება იგი გარეგნული გამოხატულებით და ხმით?

ალექსანდრე მაკედონელმა თქვა:

> მე არ მეშინია ლომების არმიის, რომელსაც წინ ცხვარი მიუძღვის; უფრო მეშინია ცხვრების არმიის, რომელსაც ლომი წინამძღოლობს.

რა საოცრად გამოგვსახავს ეს ნათქვამი ჩვენ, რომლებიც ცხვრების არმიას შევადგენთ ლომის წინამძღოლობით. რახან ლომს მივყვებით, არ უნდა ვიომოთ მოკრძალებული ცხვრების მსგავსად. ჩვენ თავმდაბლები ვართ მიყოლაში და ენერგიულები ბრძოლისას. ამრიგად, სათნო და მგზნებარე თანხვედრაში არიან. თუ შევისწავლით ადამიანური ძალების ბუნებრივ მიმართულებას და ისტორიას, გარკვეული ნიმუშის მოწმეები გავხდებით; არის ძალის აღზევება, ძლიერების გახრწნა, ძალაუფლების დაკარგვა და შინაგანი ნგრევა.

რა მოხდება, თუ არსებობს სხვა ნიმუში? იქნებ არის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და გამოუხატავი ძალა?

წიგნს გაცილებით დიდი შრიფტით ვბეჭდავ, ვიდრე მზა სახით იქნება, რადგან ჩემთვის უფრო და უფრო ძნელი ხდება რაიმე პატარის და მოახლოებულის ყურება. განუზომლად გაიზარდა ჩემი ხედვა დიდისა და შორეულის მიმართ.

მოშორებით ვხედავ ორ საწინააღმდეგო სახებას: დიდ გასაჭირს და ძლევამოსილ გამარჯვებას. ახლო თუ შორეულ ქვეყნებში ღრმა და ბნელი დეპრესია ჩანს, მაგრამ დიდებულ აღზევებასაც ვხედავ. დიდია ბოროტებისა და საყოველთაო უსამართლობის გამოვლინება და ამავდროულად, მრავალ ფრონტზე გამარჯვება ღვთის გარდაუვალ ნათელსა და მის მიუდგომელ სამართალთან შეხვედრის შედეგად. ვხედავ უფლის ასულებს, როგორ იზმორებიან ძუ ლომებივით და ნახტომისთვის ემზადებიან. ამ ყველაფერს ჩვენს მომავალში ვხედავ. ეჭვგარეშეა, რომ ჩემი ნათქვამიდან თქვენთვის გასაკვირი არაფერია. თქვენს მსგავსად არც მე ამომიკითხავს ეს ყველაფერი გაზეთებში. ვხედავ იმიტომ, რომ თვალები ღია მაქვს სულიერის ამოსაკითხად.

არა მარტო ვხედავ . . . მესმის კიდეც. გავიგონე ტირილი შორიდან და ტირილი ახლოდან. მომისმენია სიბნელის ბორკილებში დატყვევებულ უიმედო ადამიანების გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ. ყოველი დღე სავსეა შემხუთველი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლით. შევიწროება იმუქრება მათი ხმის დადუმებით და უფრო მეტიც, მათი შვილების ღაღადის ჩახშობით. ამ სასოწარკვეთილი დედების ერთადერთი იმედია, რომ მათ შვილებს უკეთესი ხვედრი ჰქონდეთ. ერთი ახალგაზრდა დედა გვეუედრებოდა, რომ წაგვეყვანა მისი რვა წლის გოგონა, რადგან ბავშვის საწოლის ქვეშ დამალვა უწევდა კლიენტების მომსახურებისას. საბედნიეროდ, Life Outreach-ის, ჯეიმს და ბეტი რობისონების მსახურების წყალობით ეს გოგონა გადარჩა, მაგრამ წამოსვლის შიშით დაძლეული და გულისტკივილით სავსე დედა კვლავ საროსკიპოში დარჩა.

ქარის სიტყვები

ზოგჯერ აღარ შემიძლია ამ ყველაფრის მოსმენა. რატომ? გაცილებით ადვილია არ დაინახო და არ გაიგონო. ეს მართალია, ამიტომ ბევრი ცდილობს ყურადღება არ მიაქციოს ამ შემაწუხებელ ხმებს და სახეებს და ყურები და თვალები სწრაფად გადაიტანოს სხვა საგანზე. სწორედ ამ მიზეზის გამო ტურიზმი ყვავის სქესობრივი ტრეფიკინგის გვერდით. ვაკვირდებოდი, თუ როგორ იღებდნენ უცხოელები ტაილანდში ისეთ სახეს, თითქოს მათ მიერ ნანახი მუდმივი გართობის საკითხია. ერთმა ამერიკელმა ბიზნესმენმა, რომელსაც ამაზე ველაპარაკე, საქმე ისე წარმოაჩინა, თითქოს მისი ავხორცობა ტაილანდის ეკონომიკას აყვავებას უქადდა.

„ვისაც ყურები აქვს, ისმინოს!“ (მათ. 11:15)

ეს დავალება არ დასრულებულა, როცა იესო, ძე კაცისა ამაღლდა და ღვთის ძის შესაფერისი ადგილი დაიჭირა. გამოცხადების წიგნში იგი კიდევ ერთხელ გამოკვეთს იმ ადამიანთა აუცილებელ საჭიროებას, რომლებსაც მოსმენისთვის საკმარისი სიმამაცე აქვთ.

„არის თქვენი ყურები სასმენად? მოისმინეთ. მოუსმინეთ ქარის, უფლის სულის სიტყვებს, რომელიც მისი ეკლესიიდან ქრის“ (გამოცხ. 2:7)

ჩვენ მის კითხვას უნდა ვუპასუხოთ. გვაქვს ყურები სასმენად? უფრო უკეთ რომ ვთქვათ, გვინდა ყურები სასმენად გვქონდეს? საყვარელნო, ჩვენ ყველანი ვიმყოფებით არა მარტო გაგონების, არამედ ჭეშმარიტი მოსმენის პროცესში. რახან მე გავიღვიძე, გიბიძგებთ ამ კითხვის დასმით: „გაიგონეთ ეს ხმა?“

ვშიშობ, მძინარე პატარძალს დავემსგავსეთ, რომელიც თავის ძვირფას საწოლში ბორგავს და ტრიალებს ფუმფულა ბალიშებით გარშემორტყმული და ცდილობს ჩაახშოს ყოველი ბგერა, რომელიც მის მშვიდ ძილს საფრთხეს უქმნის. რაოდენ ხმამაღალი უნდა იყოს ჩვენი დროის განგაში, რომ შევძლოთ წამოდგომა და სრულად გამოფხიზლება?

ჩვენი გატანჯული მსოფლიოს კივილის გარდა კიდევ არსებობს სხვა ხმა, რომელიც მოგვიწოდებს. ეს ხმა წყნარია. მის მოსასმენად ყურების დაძაბვა მოგვიწევს. ეს გახლავთ სულიწმიდის მშვიდი, ხმადაბალი ძახილი, რომელიც მხოლოდ მაშინ გახდება კარგად გასაგონი, როცა ყოველი ჩვენგანი მის გამოხმაურებას მოინდომებს.

მომწონს ტერმინი „ქარის სიტყვები“. ღმერთმა მისი სიტყვები ქარს ანდო. სულიწმიდა ქარს, ჰაერის ნაკადს არის მიმსგავსებული, რომელსაც სიცოცხლისა და ძალის მოჩურჩულე სიტყვები მოაქვს. ქარს ვერ ვხედავთ, მაგრამ მისი მოქმედების შედეგი ცხადად ჩანს. ქარს შეუძლია რაღაც საგნები მოიტანოს თქვენს ცხოვრებაში და შემდეგ ისევ წაიღოს. მის ენერგიას მოძრაობაში მოჰყავს გემები ან უძრავად რიყავს ნაპირზე. ქარის ძალა ზღვებს აბობოქრებს და მთებს ანგრევს. არსებობს შემხვედრი ქარები, რომლებიც წინსვლაში გვაფერხებს და თანამგზავრი ქარები, რომლებიც გვაჩქარებს. ქარი განუწყვეტლივ მოძრაობს ჩვენს სამყაროში და ზოგჯერ სწრაფად დაქრის, სხვა დროს კი – ნელა. ქარს ღვთის ჩურჩული ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს.

ზოგჯერ ჩვენს გარშემო არსებული ხელოვნური ხმები აჩლუნგებს სულიწმიდის *ქარის სიტყვების* გულისყურით მოსმენის უნარს.

მოსმენის კიდევ ერთი დამაბრკოლებელი არსებობს. ეს გახლავთ უკვე გაგონილის მიმართ ფამილარული დამოკიდებულება. როცა რაღაცას დრო და დრო ვისმენთ, შეიძლება გულდასმით აღარ დავუგდოთ ყური ნათქვამს.

თუ ვფიქრობთ, რომ ვიცით, რის თქმას აპირებენ, სხვაგვარად ვისმენთ. რამდენიმე წლის წინ ჩემი თავი ასეთ მდ-

გომარეობაში აღმოვაჩინე წმ. წერილის კითხვისას. ბიბლიის ზოგიერთი თარგმანი ჩემთვის იმდენად ნაცნობი იყო, რომ ვიცოდი რა იქნებოდა მომდევნო მუხლი. ალბათ თქვენც გქონიათ მსგავსი შემთხვევა. ამან გარკვეულწილად დამაკარგვინა ღვთის სიტყვით ბავშვური დაინტერესება. ჩემი აპათიის დასაძლევად *The message* პარაფრაზირებული ბიბლიის გამოკვლევა დავიწყე.

რატომ? მინდოდა სიტყვით აღფრთოვანებული ვყოფილიყავი. ამ მიზეზის გამო ბევრი მონაკვეთი მოვიყვანე *The Message* ბიბლიიდან, რომ შეგძლებოდათ გაოცების უპირატესობის განცდა. მე არ ვაპირებ ბიბლიის ჩანაცვლებას მისი პარაფრაზით. უბრალოდ, მომყავს მართებული თარგმანი და დამატებითი რესურსი. თუმცა თავისუფალი ხართ არჩევანში, რომ იკითხოთ თქვენთვის სასურველი ბიბლია.

ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ თქვენს მსგავსად მეც მინდა გულისყურით მოსმენა. თუ ყური სასმენად გვექნება, აუცილებლად ავაჟღერებთ ჩვენს ხმებს.

> „გახსენი პირი მუნჯისთვის და ყოველი
> წარმავალი შვილის განსაკითხად,
> სამართლიანად გახსენი პირი და განიკითხე
> გლახაკი და გაჭირვებული“ (იგავ. 31:8-9)

ამ მონაკვეთში სოლომონის დედა, ბათშებაყი არიგებს თავის ძეს, რომ მისი სამეფო ხმა შეაწიოს უსამართლობის სიმძიმისგან გატეხილებს. იგი ასევე წარმოადგენს სათნო და გამრჯე ქალის ეპიზოდის შინაარსს (იხილეთ იგავ. 31:10-31). სოლომონის დედის მსგავსად მოვუწოდებთ თუ არა ჩვენი მსოფლიოს მამაკაცებს, რომ ხმა აიმაღლონ მათ დასახმარებლად, ვისაც ლაპარაკი არ შეუძლია? ღმერთმა მეფეებად და მღვდლებად გვაქცია. ამიტომ, სხვები თუ ჩუმად არიან, ჩვენ მაინც უნდა ამოვიღოთ ხმა.

მე როგორც „დიდი“ დედა, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ძეები და ასულები მართლად რაღაც დიდს დაიმკვიდრებენ. თანამედროვე მსოფლიო კვლევები სულ უფრო მეტად მიდიან შეთანხმებამდე, რომ გენდერული თანასწორობა არის ის დაკარგული რგოლი, რომელიც მსოფლიოში გამეფებული სიღარიბის და უფრო მეტიც, ტერორიზმის მოზღვავებას შეაჩერებდა. 2001 წელს მსოფლიო ბანკმა მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარა, *განვითარება გენდერული თანასწორობის მეშვეობით უფლე-*

ბების, რესურსებისა და ხმის გათვალისწინებით, რომელიც ამტკიცებს, რომ გენდერული თანასწორობის წახალისება გადამწყვეტია საყოველთაო სიღარიბის დაძლევაში. „გოგონების განათლებაში ინვესტიცია მაქსიმალური უკუგების მომტანია მსოფლიოს განვითარების საქმეში, – წერს მსოფლიო ბანკის მაშინდელი მთავარი ეკონომისტი, ლოურენს სამერსი, – საკითხი იმაში არ მდგომარეობს, შეძლებენ თუ არა ქვეყნები ამგვარი ინვესტიციის განხორციელებას, არამედ იმაში, რომ ქვეყნებს არ აქვთ გოგონების განათლებისთვის არაფრის გაღების ფუფუნება.“ გაეროს განვითარების პროგრამამ ასევე ჩაატარა კვლევა, რის შემდეგაც დაასკვნა, რომ „ქალთა აღჭურვა ეკონომიკური ნაყოფიერების დონეს ამაღლებს“.

ჩვენს დროში გავრცელებულმა ტერორიზმმა უშიშროების სამსახურის ექსპერტებს საკუთარი გენდერული გამოკვლევის ჩატარებისკენ უბიძგა. აი, რა დასკვნამდე მივიდნენ ისინი:

> მუსულმანი ტერორისტების გამრავლების მიზეზი, მათი მტკიცებით, ნაკლებად არის დაკავშირებული ყურანთან და ძირითადად ბევრი ისლამური ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მნიშვნელოვანი მონაწილეობის ნაკლებობის შედეგია ... გოგონების სათანადო რესურსებით აღჭურვა, ზოგიერთი სამხედრო პირის აზრით, ტერორისტების გავლენის შესუსტებას გამოიწვევს.

ამ მნიშვნელოვან, ღრმა და ვრცელ კვლევებზე დიდი ძალისხმევა და სახსრები დაიხარჯა. ყოველთვის მოწიწებით ვივსები, როცა ჩვენი ადამიანური სიბრძნე უკან, ღვთის ნათქვამისკენ მიგვითითებს. დიდი ხნით ადრე, სანამ მსოფლიოს რაიმე პრობლემა დაუდგებოდა, არსებობდა მსოფლიო პასუხი: ქალი.

> „არაა კარგი კაცის მარტოობა! შევუქმნათ მას შესაფერისი შემწე“ (დაბ. 2:18)

კაცის მარტო ყოფნა არ იყო კარგი. ახლა, როგორც მაშინ, ცხოვრებაში ქალების დამატება გამრავლების ტოლფასია და სიკეთე მოაქვს კაცების, ქალების, ბავშვების და მსოფლიოსთვის, რომელსაც ყველანი ვიზიარებთ. იზოლირებული ცხოვრება იზიდავს იმას, რაც „არაა კარგი“. ადამიანები ერთმანეთთან

ურთიერთობისთვის შეიქმნენ. მიუხედავად ამისა, მხოლოდ მამაკაცების მჭიდრო ურთიერთობები პოტენციური უბედურების მზა რეცეპტია. დაბადების წიგნის სიღრმეებისა და თანამედროვე კვლევების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნები, სადაც მამაკაცებს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ, არაჯანსაღნი არიან მრავალ ასპექტში.

შენ არ შექმნილხარ მონობისთვის; შენ თანამემკვიდრე ხარ. ქალები ღვთის პასუხია. ქალთა ხმის ამაღლება ზრდის ყველა ბავშვის განათლების შესაძლებლობას, ბიძგს აძლევს ეკონომიკას და თვალსაჩინოდ ამცირებს ტერორიზმის საფრთხეს.

მაინც როგორია პასუხი – ქალი?

როცა აღმოვაჩინე და ვიზეიმე, რომ ქალად გავჩნდი, ისიც გავაცნობიერე, რომ ჯერ დაგვიანებული არ იყო. მე ვარ პასუხი როგორც ასული, ცოლი და დედა. თუ მე ვიყავი პასუხი, ლოგიკური იყო მეფიქრა, რომ ჩემს გარშემო მყოფი დებიც ასევე იყვნენ პასუხები. ღვთის თვალში არ წარმოვადგენთ მეორეხარისხოვან მოქალაქეებს. შენ, საყვარელო ადამიანო, გაქვს პოტენციალი, რომ იყო ადამიანური პრობლემებიდან ცოცხალი, მსუნთქავი გამოსავალი.

ვმოგზაურობდი და ამ მარტივ ჭეშმარიტებას ვუცხადებდი ახალგაზრდა თუ ხანდაზმულ ქალებს. ჩემთვის ძნელია მათი რეაქციის გადმოცემა. ქალები არა მარტო ისმენენ ჩემს ნათქვამს ათრთოლებული გულით, არამედ ხმამაღლა იმეორებენ და ამის სჯერათ.

„მე პასუხი ვარ!“

ამ მომენტში არის დაძაბულობა, გამოცხადება. მათი თვალები სხვა გზას ირჩევენ და აშკარად ხედავენ თავიანთ მდედრობით „მეს“ ისე, როგორც ღმერთი ყოველთვის ხედავდა ... მას, ვინც სისრულე მოაქვს.

და მაინც, ეს გაცხადება მხოლოდ დასაწყისია.

ქალები ერთიან ეკონომიკურ ბიძგზე მეტს წარმოადგენენ. გამოსავლის მოტანის ჩვენეულ უნარს ახალი კითხვები მოჰყვება. ვწერთ ახალ უფლებათა კანონპროექტს, რომელშიც ქალები კაცობრიობის მეგობრები არიან. ვიკრიბებით ისეთი მსოფლიოს დასაგეგმად, სადაც ქალები და ბავშვები მიღებულნი არიან და არა ექსპლუატირებულნი.

აი, რა ვიცი ზეციური ასულის შესახებ: იგი საყვარელი, ინტელიგენტური და უნარიანია. მისი ცხოვრება ურთიერთობებით სავსეა, იგი არ არის კარჩაკეტილი; უყვარს ღმერთს და სძულს სატანას; იგი შევიწროებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით როგორც ფარული, ისე ცხადი საშუალებებით.

კითხვა ისევ რჩება: როგორი იქნებოდა იგი საზოგადოებაში, მხარდაჭერილი და სტრატეგიული რომ ყოფილიყო?

ᲒᲐᲐᲚᲕᲘᲫᲔᲗ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲓᲐᲣᲝᲙᲔᲒᲔᲚᲘ

მე, როგორც *Life Outreach*-ის პარტნიორს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდოეთში მოგზაურობის პატივი მერგო. ვიმედოვნებდი მომესმინა საკმარისად დამაჯერებელი ისტორიები, რომლებიც გამოძახილს ჰპოვებდნენ ადამიანთა გულებში. დავინახე სიღარიბის ტანჯვა და სექსუალური მონობის ძალმომრეობა, როცა კამბოჯაში, ტაილანდსა და მუმბაიში ვიყავი. ასევე ვნახე იმედი და განახლების დაპირება, როცა ადამიანები გულუხვობით პასუხობენ და ორგანიზაციები თანამშრომლობას იწყებენ.

ყველგან დგას თანამშრომლობისა და გამოხმაურების გადაუდებელი საჭიროება. უკრაინაში გახლდით და მეგობართან ერთად ვსაუზმობდი, როცა მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. ეს უჩვეულო როდია ლამაზი ქალებით ცნობილი ქვეყნისთვის, მაგრამ ჩემს მიერ ნანახ ქალს მამაკაცი ახლდა თან, რომელიც სამოც წელზე მეტის იქნებოდა. ქალს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და სექსუალური შორტები ეცვა. თვრამეტ წელზე მეტს ვერაფრით მისცემდით. ისინი ჩვენს გვერდით მაგიდას მიუსხდნენ. ვუყურებდი, როგორ ნთქავდა კაცი თავის საჭმელს, ხოლო ქალი შავ ყავას წრუპავდა და გულგრილი მზერით ფანჯარაში იყურებოდა. დახლის უკან მდგარი ახალგაზრდა ჭაბუკები ჩურჩულებდნენ, ხმადაბლა ხითხითებდნენ და ხელს მისკენ იშვერდნენ. დიდი დრო არ გასულა, რაც მათ ქალზე ორჯერ უფროსი მამაკაცი შეუერთდა. ტირილი მომინდა. გოგონა ისეთი მარტოსული და დაკარგული ჩანდა. აშკარა იყო, რომ იგი გახლდათ ძვირადღირებული ქალი გამოძახებით, მაგრამ ჩვენ ვხედავდით ნამდვილ სიყვარულს მოწყურებულ ასულს, რომელიც მოდურ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და ორ გახრწნილ ბიზნესმენს შორის იჯდა, რომლებიც მის სიცოცხლეს ნთქავდნენ.

პირდაპირ მილაპარაკია ზოგიერთ ასეთ დასთან, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლნი იყვნენ. დიახ, ისინი სწორედ ჩვენი დები არიან. მათ თავისი ნებით არ აურჩევიათ მეძავობა; ისინი მსხვერპლები და მამაცი გადარჩენილები არიან.

ინდოეთის ერთ გრძელ, ნესტიან დღეს რამდენიმე სულის შემძვრელი ამბავი მოვისმინე ახალგაზრდა გოგონებისა და

ხანდაზმული ქალების ჯგუფში, რომლებიც *Life Outreach*-მა შეკრიბა ერთ პატარა ბინაში. მათ თავიანთი ისტორიები სხვადასხვაგვარად გვიამბეს – ზოგიერთებმა ცრემლისღვრით, სხვებმა – რაიმე ხილული ემოციის გარეშე.

დარწმუნებული ვარ, აინტერესებდათ, რატომ მინდოდა მათი ამბის მოსმენა. თანაგრძნობას ვუცხადებდი? ვასამართლებდი? საერთოდ, შემეძლო მათი გაგება? მქონდა რაიმე პასუხი?

ერთ-ერთმა გულადმა ქალმა, რომელსაც სამას ვუწოდებ, ის დრო გაიხსენა, პატარა გოგონა რომ იყო და ნეპალის შორეულ სოფელში ცხოვრობდა. გოგონა სავსე იყო ოცნებებით და იმედგაცრუებული საკუთარი დედისგან. ერთხელაც ბიძა შეესწრო მათ კამათს და სამა გვერდზე გაიხმო. მან მუმბაიში წაყვანა შესთავაზა. იქ კაცი რაიმე საშუალებას გამოძებნიდა მისი განათლებისთვის და ოცნებების ასრულების შანსიც მიეცემოდა.

დაპირებაზე უარის თქმა შეუძლებელი ჩანდა.

სამა და ბიძამისი განთიადამდე გამოიპარნენ თავიანთი პატარა სოფლიდან. მათ გრძელი და საშიში გზა განვლეს, რომ ნეპალიდან ინდოეთში გადასულიყვნენ. მუმბაიში ჩამოსვლის შემდეგ ბიძამ იგი მოსასვენებლად დატოვა ღარიბული სასტუმროს ნომერში. სანამ სამას ეძინა, ბიძამ იგი გაყიდა.

გოგონა დაიბნა, როცა უცნობებით გარშემორტყმულმა გაიღვიძა. დადგა დრო, რომ გამოემუშავებინა თანხა, რომელიც ბიძამისს გადაუხადეს.

სამა ადგილობრივ საროსკიპოში წაიყვანეს და ბნელ ოთახში ჩაკეტეს. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მოხდა. იგი მათ ენაზეც კი ვერ ლაპარაკობდა. კარი გაიღო და კლიენტი შემოვიდა, რომელიც მომსახურებას ელოდებოდა. როცა სამამ თავის დაცვა გადაწყვიტა, ოთხმა ქალმა დაიჭირა, სანამ არ გააუპატიურეს.

მაშინ გოგონა ცამეტი წლის იყო.

გავიდა დრო. სამამ ენა ისწავლა და ვალები გადაიხადა. ამ ხნის განმავლობაში იგი მოხერხებულ საქმიან ქალად იქცა. მას არც სხვა პერსპექტივა და არც წასასვლელი არ ჰქონდა. სამა საროსკიპოს სისტემაში გაიზარდა და მისი დიასახლისი გახდა. მან თავადაც დაიწყო ახალგაზრდა გოგონების ყიდვა-გაყიდვა. მისი სიტყვისამებრ დატყვევებულ გოგონებს იჭერდნენ. სამა თავად ადევნებდა თვალს პირველი ძალადობის სცენას და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მათი ცემის ბრძანებასაც გასცემდა.

როცა ამ ქალს შევხვდი, ძნელად თუ დაიჯერებდით, რომ მისი მონაყოლი სიმართლეს შეესაბამებოდა. ის აღარ იყო საროსკიპოს დიასახლისი, არამედ თავშეკავებული შუა ხნის ქალი. ვიღაცამ ღვთის სიყვარულზე უამბო მას და იგი ქრისტიანი გახდა. მას ასევე მიეცა საროსკიპოდან თავის დაღწევის შესაძლებლობა. სამამ თავის თავში ჰპოვა გაბედულება, რომ საროსკიპოებს მოშორებოდა. იგი დაუღალავად შრომობს, რომ იხსნას გოგონები, რომლებსაც ერთ დროს თავად ჩაგრავდა.

საუბრისას დავინტერესდი, როგორ გახდა სამა დიასახლისი. ნუთუ მას დაავიწყდა, როგორია იყო ცამეტი წლის შეშინებული გოგონა? ამის შესახებ ვკითხე.

„სამა, მშვიდად როგორ უყურებდი ახალგაზრდა გოგონების მოტაცებას, გაუპატიურებას და ცემას?“

მან ამოიხვნეშა და თავი აქეთ-იქით გადააქნია.

„იმას ვაკეთებდით, რაც საჭირო იყო ... თავის გადასარჩენად.“

ბევრი მათგანისთვის გადარჩენა ერთადერთია, რაც მათ აქვთ.

უარყოფის მთაზე ავედი. გავიარე ჭუჭყიან ქუჩებზე ორ რიგად ჩამწკრივებული ფარღალალა, დროებითი სახლებით და სულ არ არის გასაკვირი, რომ მათში თავშეფარებულები უიმედობას მოუცვია. გადაცმულმა შევიხედე საროსკიპოებში. დასავლეთში ვნახე დეპრესიულ აპათიაში ჩავარდნილი უმიზნო ქალები. დავაკვირდი ტყუილად გაფლანგულ რესურსებს, რადგან დაგვავიწყდა ვინ ვიყავით. საკუთარი თვალით ვნახე პრობლემები და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მათზე პასუხებს მივიღებ.

აი, გულში ჩამწვდომი დავალება შთამაგონებელი და გამოწვევის მომტანი ამონარიდი წიგნიდან *„ნახევარი ცა“:*

> ისტორიის დინება ქალებს სასაპალნე ცხოველების და სექსუალური სათამაშოების მდგომარეობიდან მოწიფულ ადამიანებად გარდაქმნის. ქალების აღჭურვის ეკონომიკური სარგებელი იმდენად დიდია, რომ ნამდვილად ღირს ქვეყნების სვლა ამ მიმართულებით. ძალიან მალე სექსუალურ მონობას, ოჯახის სირცხვილის მკვლელობით ჩამოწმენდას და მჟავის შესხმას იმდენად წარმოუდგენელ რამედ ჩათვლიან, როგორიცაა ფეხების გადახვევა ჩინეთში. მთავარი ის არის, რა დრო დასჭირდება

> ამ გარდაქმნას და კიდევ რამდენი გოგონა იქნება გატაცებული საროსკიპოებისთვის, სანამ ის დასრულდება. თითოეული ჩვენგანი ამ ისტორიული მოძრაობის ნაწილი იქნება თუ გულგრილი დამკვირვებელი?

ეს კითხვა დგას ახლა ყოველი ჩვენგანის წინაშე.

ახლა ვწერ, რომ თქვენც გახდეთ ამ გამოცხადების შუამავალი. ჩემი გულწრფელი ლოცვაა, რომ ამ სიტყვებმა რაღაც დაუოკებელი გააღვიძოს თქვენში. ვიმედოვნებ, აღსდგებით ძუ ლომის ძალით და მიიტანთ ღვთიურ სასწაულს, სადაც არ უნდა წახვიდეთ. მაშინ კი ყველა ერთად გავხდებით ის ძალა, რომელიც მსოფლიოს ჯერ არ უნახავს. გააგრძელეთ კითხვა, ჩემო ძუ ლომო დებო, და გაიღვიძეთ.

3

სახიფათო გამოღვიძება

„თავაზიანი და კარგად
აღზრდილი ქალები ძნელად
თუ ქმნიან ისტორიას“.
– ლორელ თეტჩერ ულრიხი

ძუ ლომების კვლევისას წავიკითხე წიგნები და სტატიები, ვუყურე DVD ჩანაწერებს, დოკუმენტურ მასალას და YouTube-ის ვიდეორგოლებიც ვნახე, რომ კარგად დავკვირვებოდი მათ სხვადასხვა გარემოში, ეტაპზე და ურთიერთობაში. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკულ საფარიში გახლდით, ჩემი ამერიკული შეხედულება ძუ ლომებზე მეტად შეზღუდული გახლდათ. ახლაც კი არ ვთვლი, რომ ძუ ლომების ექსპერტი ვარ, მაგრამ მოხიბლული დამკვირვებელი ნამდვილად ვარ.

ერთ-ერთი დოკუმენტური ფილმი გადაღებულია ორი ძუ და ერთი ხვადი ლომის დამკვიდრებაზე სამხრეთ აფრიკის ახლად გაკეთებულ ნაკრძალში. ლომი პრაიდის (გუნდის) ბელადი გახლდათ და ორი ძუ ლომის დახმარებით წარმატებით დააფუძნა თავისი სამფლობელო. სამივე ერთად სამხრეთ აფრიკის ნაკრძალის საკმაოდ დიდ ტერიტორიას აკონტროლებდა.

პრაიდის მოძრაობისა და განვითარებისთვის თვალყურის დევნების მიზნით ხვადს სპეციალური საყელური გაუკეთეს. ნაკრძალში ყოფნის ორი წლის თავზე საყელურის მოხსნის დრო დადგა. მათი დაკვირვების აუცილებლობა აღარ არსებობდა. გარდა ამისა, საყელური ხელს უშლიდა ფაფრის ზრდას და საჭირო იყო მისი მოხსნა, რომ ფაფარი რაც შეიძლება მეტად გაზრდილიყო. (ლომები ერთმანეთის ფაფარს ვიზუალური ზომების დასადგენად იყენებენ, რომ განსაზღვრონ, ღირს თუ არა ბრძოლის წამოწყება ტერიტორიაზე ბატონობის მოსაპოვებლად. თუ მოწინააღმდეგის ფაფარი საკმაოდ დიდია ოპონენტისთვის, იგი ვერ შეძლებს მის ყელზე ყბების ჩავლებას და შესაბამისად, აღარ გააგრძელებს დაპირისპირებას).

ლომი, რომელსაც რეინჯერებმა საყელური შეაბეს ორი წლის წინ, აღარ იყო გამოუცდელი, მორჩილი და შეშინებული ლეკვი. იგი გაძლიერდა. ძუ ლომების დახმარებით წარმატებით დაფუძნდა, პრაიდს თავდამსხმელებისგან იცავდა და არაერთხელ დაამტკიცა, რომ გამოწრთობილი დამცველი იყო. ახლა მისი დაჭერა არც ისე ადვილი გახლდათ, რადგან თანდათან შეეჩვია ველურ, უშიშარ და თავისუფალ ცხოვრებას. რეინჯერებს ლომი უნდა დაეძინებინათ საყელურის მოსახსნელად. მათ დაადგინეს მისი ადგილსამყოფელი და უსაფრთხო მანძილიდან დასაძინებელი ისარი სტყორცნეს. პირველმა ისარმა დიდად არ შეაწუხა ლომი. იგი ცოტათი შეკრთა და დიდებული ოქროსფერი მზერა მათკენ მომართა. რეინჯერებმა ისევ გაისროლეს. ლომი წაბარბაცდა და დაეცა. რეინჯერები საქმეს შეუდგნენ: მანქანით მიუახლოვდნენ დაძინებულ წაქცეულ ლომს, ბუჩქები გადაჭრეს და უსწორმასწორო ფერდობზე დაეშვნენ მასიური, ოქროსფერი სხეულისკენ.

რას ფიქრობთ, ვინ გამოჩნდა, როცა რეინჯერები ჯიპიდან უნდა გადმომხტარიყვნენ და საყელური მოეხსნათ? ეს გახლდათ ლომის მთავარი ძუ ლომი – და იგი თანახმა არ იყო. ძუ ლომს გარემოსთან შერწყმის უნარი გააჩნია, ამიტომ რეინჯერებმა ვერ შეამჩნიეს მისი ახლოს ყოფნა, სანამ თავად არ ინება გამოჩენა. ადამიანებმა რომ ვერ შენიშნეს ძუ ლომი, ეს არ ნიშნავს, რომ ძუ ლომმა არაფერი იცოდა მათი იქ ყოფნის შესახებ. როგორც კი მიხვდა, რომ ხვადი ლომი წაიქცა, იგი სამალავიდან გამოვიდა და ხალხს თამამად წარუდგა. წაქცეულ ლომსა და ენერგიულ რეინჯერებს შორის მოქცეული ძუ მუქარით ბრდღვინავდა და იქეთ-აქეთ მიმოდიოდა მისი რჩეულის წინ. თვალებანთებული და ბეწვაჯაგრული მხეცი ყველას ატყობინებდა, რომ უკმაყოფილო იყო.

რეინჯერებს მცირე დრო ჰქონდათ დარჩენილი ლომთან მისასვლელად და საყელურის მოსახსნელად, სანამ ძილის მომგვრელის მოქმედების ვადა გავიდოდა, მაგრამ ძუ ლომი მათ ამის საშუალებას არ აძლევდა. რეინჯერებს ტრანკვილიზატორის კიდევ ერთი დოზა ჰქონდათ დარჩენილი. *ხვადთან მისასვლელად მათ ძუ ლომიც უნდა დაეძინებინათ.* სნაიპერმა თოფი შემართა და გულმოდგინედ დაუმიზნა. როცა ისარი მოხვდა, გაცოფებული ლომი რეინჯერებს მოუბრუნდა, შემდეგ დაეცა და ისარიც ქვეშ მოიყოლა. ჯგუფი ფრთხილად უახლოვდებოდა დაძინებულ ლომს და ჰაერშიც ისევ იგრძნობოდა

დაძაბულობა. ხვადი ძუ ლომის მსგავსად იყო დაუძლურებული, მაგრამ არა უგონოდ და მის მზერას ადამიანთა არცერთი მოძრაობა არ გამოჰპარვია.

ჩურჩულით მოლაპარაკე რეინჯერი ზურგიდან მიუახლოვდა ლომს და ფაფრის ქვეშ მონადირის გალესილი დანით გადაუჭრა საყელური, შემდეგ კი ორი დასაძინებელი ისარი ამოაძრო. შემდეგ რეინჯერებმა წინ წაიწიეს და ძუ ლომს მიაუახლოვდნენ. მათ სწრაფად უნდა ემოქმედათ, სანამ ერთ-ერთი ან ორივე გიგანტური კატა გამოცოცხლდებოდა. ძუ ლომი გვერდზე იწვა და კარგად ჩანდა, როგორ გასქელებოდა კანი მკერდზე. იგი მაკედ იყო. რეინჯერებმა ნაზად და სიფრთხილით ასწიეს ლომის სხეულის უკანა ნაწილი და ისარი სწრაფად ამოაძრეს.

ცხოველმა დაიბრდღვინა და წამოდგომა სცადა, მაგრამ ფეხები ჯერ კიდევ არ ემორჩილებოდა. რეინჯერები სწრაფად მიიწევდნენ მანქანისკენ ისე, რომ ლომებისთვის ზურგი არ შეუქცევიათ. ჯიპის მოტორი ახმაურდა. ყველამ შვებით ამოისუნთქა, როცა ჯგუფი გზას დაადგა. მთხრობელმა აქამდე დაძაბული ხმის ტემბრი მოადუნა და განმარტა, „არაფერია იმაზე საშიში, ვიდრე სრულიად გამოფხიზლებული ლომების გარმოცვაში ყოფნა“.

დაძინებული ქრისტიანები

ჩემი ყურადღება ორი კონცეფციის, „საშიშისა“ და „სრულიად გამოფხიზლებულის“ შეთანხმებამ მიიპყრო. რა მოხდებოდა, ჩვენც ლომებივით საშიში და სრულიად ფხიზელი რომ ვიყოთ? მაშინ და მხოლოდ მაშინ ვიქნებოდით რეალური საფრთხე სიბნელის სამეფოსთვის, რომელსაც ასე ბევრი ადამიანი ჰყავს დატყვევებული.

საყვარელო ადამიანებო, ვლოცულობ, რომ ყოველმა ჩვენგანმა გააცნობიეროს, რაოდენ საშიშნი ვართ მტრისთვის და რომ იგი ყველაფერს აკეთებს ჩვენს შესაკავებლად. მან იცის, რომ არ შეუძლია იმდენად მოახლოება, რომ დაგვიჭიროს და შეგვბორკოს, თუ სრულად გამოფხიზლებული და მოძრავები ვართ. ჩვენს მოსაგერიებლად გვაძინებს, რომ არ ვაკეთოთ ის, რისთვისაც ღმერთმა მოგვიწოდა. ჩემს ხილვაში ნანახი ძუ ლომის მსგავსად უნდა გავიღვიძოთ, წამოვდგეთ, გავიხსენოთ ვინ ვართ და ამ ქვეყნიერებაზე ბოროტს ნათლით შევებრძოლოთ.

ყოველდღიურობით დაძინებულნი

„დარწმუნდით, რომ დროის შეგრძნება არ დაგიკარგავთ, არ თვლემთ ყოველდღიურ საქმეებში ჩაფლულები და დაქანცულები და ღმერთი არ დაგვიწყებიათ. ღამე იწურება, განთიადი ახლოვდება. *წამოდექი და გაიღვიძე იმისთვის, რის გაკეთებაც ღმერთმა დაგავალა!* ღმერთი ბოლო შტრიხებს უკეთებს გადარჩენის საქმეს, რომელიც მაშინ დაიწყო, როცა პირველად ვირწმუნეთ. თავს არ უნდა მივცეთ წუთის დაკარგვის უფლება, არ უნდა გავფლანგოთ მშვენიერი დღის საათები ქარაფშუტობასა და შეწყნარებაში, ძილსა და თავაშვებულობაში, კამათსა და ყველაფრის მოხვეჭაში, რაზეც მზერა შეჩერდება. წამოდექით საწოლიდან და ჩაიცვით! უსაქმოდ ნუ იხეტიალებთ და დროს ნუ დაკარგავთ ბოლო წუთამდე ლოდინით. შეიმოსეთ ქრისტე და იყავით მღვიძარე და მზად მყოფი!“ (რომ. 13:11-14;)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვების შერჩევას ამ გაფრთხილებაში: ნუ გაიჟღინთები და გადაიქანცები შენი ყოველდღიური საქმეებით. ისინი შენს დროს შემოგაძარცვავენ ან დაძინებას გაიძულებენ. ეს ცოცხალი სიტყვები ადგომის, სიფხიზლის და ღვთიური საკეთებლის მიმართ გამოღვიძების უცილობელი დავალებაა. როცა ღია ხარ იმისთვის, რასაც ღმერთი აკეთებს, მაშინ მიხვდები, რა უნდა გააკეთო! ზოზინის დრო დამთავრდა. დროა ადგე და მოემზადო. მაღვიძარამ კარგა ხანია დარეკა!

კარგად გამოფხიზლების აუცილებლობა განსაკუთრებულად გამოკვეთა მეგობართან ამასწინანდელმა სატელეფონო საუბარმა. მან მითხრა, როგორ ისიამოვნეს გამოჩენილ რაბინთან სადილით. მას გული დამძიმებოდა ამერიკელი ებრაელების გასაჭირით. ეს რაბინი მოგზაურობს და ლექციებს ატარებს სინაგოგებსა და კონფერენციებზე, სადაც ებრაელებს ევედრება, რომ ილოცონ ამერიკელი ქრისტიანების წამოდგომისა და იმის გაცნობიერებისთვის, თუ რაოდენ დიდია მათი ზეგავლენა. იგი ღელავს, რადგან ჩვენი ქვეყნის ებრაული დიასპორა მეტისმეტად პატარაა, რომ ქრისტიანთა გვერდზე დგომისა და დაცვის გარეშე შეაჩერონ ანტისემიტური და ანტიქრისტიანული ნაკადები, რომლებიც ყველა ჩვენგანის საწინააღმდეგოდაა.

ბევრი ჩვენგანი სასოწარკვეთილი და მიძინებულია. ჩვენდა სამწუხაროდ, არ ვიცით რეალურად რა ხდება მსოფლიოში. იქნებ ამ მდგომარეობაში იმიტომ ვართ, რომ კარგა ხანია ვისმენთ დამამშვიდებელ, საკუთარი თავის გადარჩენისთვის განკუთვნილ სახარებას, რომელიც ძნელად თუ ვინმეს აღძრავს დასაღუპავად განწირული სულების საშველად? ნუთუ მოძრაობისა და სულიერი ვარჯიშის ნაკლებობამ მიგვაძინა და მოგვადუნა? ნუთუ მკაცრი კანონების ზეწოლამ ან ცოდვისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ ჩვენი მოქმედებები შეანელა და გამოხმაურება შეაყოვნა ან დააჩლუნგა? შესაძლოა ღმერთი გვანჯღრევს, რომ გამოვფხიზლდეთ და დამაფრთხობლად გამოვიღვიძოთ? თუ ასეა, ეს პირველი შემთხვევა არ იქნება.

ისრაელის შვილები საჭიროზე მეტხანს დაეხეტებოდნენ უდაბნოში. ისინი უმიზნოდ დადიოდნენ, როგორც ცხვრების უსაშველოდ დიდი ფარა. ზოგჯერ მათ გზა აებნეოდათ და წუწუნებდნენ; სხვა დროს მორჩილებით მიყვებოდნენ ღრუბელს დღისით და ცეცხლის სვეტის ირგვლივ ბანაკს შლიდნენ ღამღამობით. ზოგჯერ ისინი უსმენდნენ თავიანთ მწყემს მოსეს, სხვა დროს – არა. როცა მათ თავი მოიყარეს მოაბის ველზე დასაბანაკებლად, რომელიც აღთქმულ მიწას ესაზღვრებოდა, მათი ერთობლივი შეკრება შესამჩნევი გახდა. გარშემო მცხოვრებმა ერებმა შეიტყვეს მათი იქ ყოფნის შესახებ. უდაბნოში ხეტიალს შეუჩვეველი ხალხის დროებითი შესვენება მოაბელებს ძლიერი მეომრების თავმოყრად მოეჩვენათ. არცთუ დიდი ხნის წინ ჩაგრულმა მონებმა, ისრაელიანებმა ისევ დაიბრუნეს ღვთის სამეფო ოჯახის სახელი (*ისრაელი* ნიშნავს „ღვთის მთავარს“). ამდენი წლის უდაბნოში ხეტიალის შემდეგ ისინი მზად იყვნენ დასამკვიდრებლად. შესაძლოა, ღვთის შვილებს სწორედ მაშინ გამორჩათ მხედველობიდან ის, რაც სრულიად ცხადი იყო მეფეებისთვის, წინასწარმეტყველ ბილყამისა და ისრაელის ირგვლივ მოსახლე სხვა ერებისთვის. ისინი უკვე აღარ იყვნენ მოხეტიალეები, არამედ ღვთის მიერ არჩეული თაყვანისმცემლები და ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი მეომრები.

სამწუხაროა, რომ ღმერთში მათი ჭეშმარიტი ვინაობის დაუდგენლად და ირგვლივ მყოფი ერების არასწორი შეფასების გამო (ისინი მტრები იყვნენ), ისრაელიანებმა ხედვა და მიზანი დაკარგეს. მათ შემოიძარცვეს ადრინდელი წმინდა თავშეკავება და საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. აღთქმულ ქვეყა-

ნაში შესვლამდე უგუნურებით შეკრეს რამდენიმე არაწმიდა კავშირი. მათი შეცდომა ჩვენი გაფრთხილებაა: საფრთხე დევს გამოღვიძებაში, თუ დაგავიწყდა, ვინ ხარ.

მარტივად რომ ვთქვათ, მათ ორგია გამართეს უდაბნოში. ისრაელიანებმა სქესობრივი კავშირი დაამყარეს მოაბელ ქალებთან, რომლებიც მათ ბანაკში ბილყამ წინასწარმეტყველის რჩევით აღმოჩნდნენ (იხილეთ რიცხვ. 25:1-2; 31:16; გამოცხ. 2:14). ქალებმა ისრაელიანი მამაკაცები მოაბის სქესობრივ/რელიგიურ თაყვანისცემაში მონაწილეობის მისაღებად დაპატიჟეს. შედეგები დამანგრეველი აღმოჩნდა. ღვთის ერს დროებით გზის გამრუდება დასჭირდა. სანამ ყველაფერი დასრულდებოდა, იყო ჭირი, მოშურნე მღვდელი და ძლიერი მტერი – მიდიანი. ღმერთმა მოსეს ისრაელიანების აღრიცხვის მითითება მისცა და ამის შემდეგ ხალხი გადაჯგუფდა.

მიუხედავად ამისა, ისრაელზე მისმა მტერმა ვერ გაიმარჯვა. ისრაელის მორჩილების შემთხვევაში გამარჯვება გარანტირებული იყო, მაგრამ ღვთის მცნებების დარღვევისას, მათზე სასჯელი მოდიოდა. მათ მოინანიეს და ღმერთმა ჭირი მოაშორა, თუმცა ამ ამბავმა ოცდაოთხი ათასი ისრაელიანი შეიწირა.

რა გაკვეთილი შეიძლება მივიღოთ აქედან? თუ მტერი ვერ შეძლებს ჩვენს დაძინებას, გაჩერებას, დამორჩილებას და უმოქმედოდ დატოვებას, მაშინ იგი შეეცდება ჩვენი დასვენების ადგილების გაუწმიდურებას და თაყვანისცემის უღმერთო და გადაგვარებულ ფორმებში ჩართვას. როგორები არიან მიძინებული ქრისტიანები? ისინი ლაპარაკობენ და სწამთ შემდეგი:

- „მსოფლიო უკან მიექანება ... ვიმედოვნებ, მალე იქნება ატაცება, რომ ყველანი გადავრჩეთ“.
- „რატომ არ უნდა ვუყუროთ მე და ჩემმა ქმარმა სასწავლო ვიდეოს, სადაც სხვა დაქორწინებულ წყვილს აქვთ სქესობრივი თანაცხოვრება?“
- „ეს ყველაფერი ისე შემაშფოთებელია. თვალებზე ხელი უნდა ავიფარო (*მთქნარება*) და ახლა, როცა თვალები დახუჭული მაქვს, ვფიქრობ, კიდეც ჩავთვლემ.“
- „ღმერთმა იცის, რომ მე მხოლოდ ადამიანი ვარ და სქესობრივი მოთხოვნილებები მაქვს, რომელსაც ჩემი მეუღლე არ აკმაყოფილებს. ვიცი, რომ ასე არ უნდა მოვიქცე, მაგრამ მე ხომ ნაპატიები ვარ ...“
- „ეს ის პრეზიდენტი არ არის, რომელსაც ხმა მივეცი. მისთვის არ ვლოცულობ.“

- სექსუალური და ადამიანთა ტრეფიკინგი ტრაგედიაა, მაგრამ ეს ოკეანის გაღმელთა პრობლემაა, არა?“
- „რა სამწუხაროა, რომ ჰაიტისა და ჩილეს მიწისძვრებმა ამდენი ადამიანი შეიწირა. განა დიდებული არ არის, რომ პოპულარული ადამიანები თანხებს მოიზიდავენ მათ დასახმარებლად?“

ზოგჯერ მინდა მოთქმით ვიტირო, რადგან ვშიშობ, დაგვავიწყდა ვინ ვართ. ჩვენ თავს არ ვეკუთვნით. ჩვენ ღვთის ვართ. ჩვენ ვართ მისთვის და მისი მიზნებისთვის გამოყოფილი წმიდა ხალხი. ჩვენ არ ვართ მაჩანჩალა, გატანჯული, ობოლი ლტოლვილები, რომლებიც ცოდვას დაუმონებია და აინტერესებთ, ღმერთი არის თუ არა. ჩვენ ვართ ქრისტეს ერთიანი სხეული და როგორც ასეთის, ჩვენი ხვედრია ტრიუმფი, გამარჯვება, ნიშნები და სასწაულები. სამწუხაროა, რომ ზოგიერთმა ჩვენმა დამ ამის შესახებ არაფერი იცის.

პასუხი და არა პრობლემა

მოკლედ უკვე შევეხეთ დინამიკას, რომელზეც 2005 წელს დავწერე ჩემს წიგნში *„იბრძოლე, როგორც ქალმა“* – წანამძღვრით, „ასულებო, თქვენ პასუხი ხართ და არა პრობლემა“. *„ძუ ლომის გამოღვიძების“* დასრულებისას ვფიქრობდი ერთ მნიშვნელოვან და საყურადღებო წიგნზე, *„ნახევარი ცა“*, რომელიც კიდევ ერთ დამოწმებას გვთავაზობს: „ქალები არ წარმოადგენენ პრობლემას, არამედ გამოსავალს.“ ეს წიგნი ცოლ-ქმრის, ნიკოლას დ. კრისტოფისა და შერილ ვუდანის მიერ დაიწერა, რომლებიც პულიტცერის პრიზის მქონე ჟურნალისტები არიან. ისინი წერდნენ მსოფლიოს გამოღვიძების სურვილით, რომ კაცობრიობას დაენახა ქალების აღჭურვის გადაუდებელი საჭიროება, მათთვის თანაბარი ფასეულობის, განათლების და ეკონომიკური შესაძლებლობების მიცემით. მადლიერი ვარ, რომ მათმა ნაშრომმა მსახიობების, აქტივისტებისა და მედიის მსოფლიო საზოგადოება შეანჯღრია.

ეს საკითხი კვლავ წამოვწიე აქ, რადგან არ ველოდი, რომ ეკლესია პირველი არ იქნებოდა სქესობრივი უთანასწორობის დაპირისპირებაში. ჩანს, იონას ვემსგავსებით, მძინარე წინასწარმეტყველს, რომელსაც გემის ტრიუმში ეძინა, სანამ ეკიპაჟი გემის სამართავად ძალას არ იშურებდა საბედისწერო ქარიშხალში. ჩვენ პირველები უნდა ვიყოთ გემბანზე და ღვთიური გამოსავალი ვეძიოთ ცხადი უსამართლობისგან, რომელიც

ჩვენი მსოფლიოს წონასწორობას ემუქრება. იონასგან განსხვავებით, ჩვენ არ ვდგავართ ერთი ქარიშხლის წინაშე, რომელიც ოკეანეში მცურავ ერთადერთ გემს ემუქრება. მთელი მსოფლიო განიცდის გარდაქმნებს, როცა ძლიერი ქარიშხლები თავს ატყდება დედამიწას და ფინანსურად მიწისძვრები ძირს უთხრის მსოფლიო ეკონომიკას. უსამართლობა ჩვენს დედამიწას არყევს და მასზე ბატონობს. განგაშისგან შეძრწუნებული ხალხი ქრისტიანებს უბრუნდება და ეკითხება, „როგორ მოხდა ეს?“ დატყვევებული, გატანჯული და დაბნეული ადამიანები გვეკითხებიან, როგორ შეგვიძლია გვეძინოს, როცა ღმერთს უნდა შევღაღადებდეთ, სანამ ჯერ კიდევ არის დრო. სამწუხაროდ, მეტისმეტად ბევრი მორწმუნე არსებულ მდგომარეობას უფლებას აძლევს, რომ იავნანის სიმღერით მოჰგვაროს ძილქუში ან მოუწოდოს, რომ იკამათონ არასაჭირო და უმნიშვნელო საკითხებზე.

იონას დღეებში ღმერთმა ქარიშხალი გამოგზავნა წინასწარმეტყველის ურჩობისგან გამოსაფხიზლებლად და შესახსენებლად, რომ ნინევიელები მცდარ გზას ადგნენ. ღმერთს არასოდეს მოსურვებია ადამიანების დატოვება დამაზიანებელ გზაზე, თუმცა იონა ზიზღით არიდებდა სახეს უძველეს ქალაქს, რომელსაც განადგურება ემუქრებოდა. ამრიგად, იგი გაიქცა და თავი შეაფარა გემის ტრიუმს. იგი ღვთის მიერ ნაჩვენების საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა და ჩაეძინა. ღმერთმა მძლავრი ქარიშხალი გამოგზავნა, რომელიც იონას გემს გადაბრუნებას უქადდა. რატომ გაიქცა იონა? მას არ უნდოდა იმ ადამიანთა გადარჩენა, რომლებიც უღირსად მიაჩნდა. ყურადღება მიაქციეთ მის საუბარს ღმერთთან, როცა ისიც და ქალაქიც გადარჩნენ.

> „ძლიერ გამწარდა იონა და გაღიზიანდა. შეღაღადა მან უფალს და უთხრა: „გემუდარები უფალო, განა ამას არ ვამბობდი, ჯერ კიდევ ჩემს ქვეყანაში ყოფნისას? ამის გამო წინასწარ გავიქეცი თარშიშს, რადგან ვიცოდი, რომ შემწყნარებელი ღმერთი ხარ შენ და თანამგრძნობი, სულგრძელი და დიდმოწყალე და წუხხარ ბოროტებაზე“ (იონ. 4:1-2)

იონას უნდოდა ღმერთს გაესამართლებინა და დაესაჯა ქალაქი, ხოლო ღმერთს მადლისა და წყალობის გამოღება სურდა. იონა თანახმა იყო ხალხით სავსე ქალაქის მოსპობაზე, მა-

გრამ სიმწრისგან სიკვდილისთვისაც მზად იყო გამხმარი ხის ჩრდილის გამო.

> „მიუგო ღმერთმა იონას: „ნუთუ ასე გაბრაზდი იმ აყიროს გამო?“ და მან უპასუხა: „ძალიან გავბრაზდი და სიკვდილიც კი მომინდა!“
> და უთხრა უფალმა: „შენ აყირო გენანება, რომელზეც არ გიშრომია და რომელიც არ გაგიზრდია, რომელიც ერთ ღამეში გაიზარდა და ერთ ღამესვე დაიღუპა. მე კი არ უნდა მენანებოდეს ნინევე, დიდი ქალაქი, რომელშიც ას ოცი ათასი ადამიანი ცხოვრობს, რომელთაც თავიანთი მარჯვენა ვერ გაურჩევიათ მარცხენისაგან და უამრავი საქონელი?“ (იონ. 4:9-11)

ჰეი! ჩვენც ხომ არ დავკარგეთ ღვთისთვის მნიშვნელოვანის ხედვა? ნუთუ უფრო მეტად საკუთარი კომფორტის და თავშესაფრის მოწყობით ვართ დაკავებული, ვიდრე იმით, რაც ღვთისთვის ფასეულია? უზენაესი აღფრთოვანებული არ არის ნგრევის სურათის ცქერით. იგი ესწრაფვის მათ გადარჩენას, ვინც ცუდ გზას ადგას! მოდით, ზურგს ნუ შევაქცევთ მათ, ვისი გადარჩენაც ღმერთს სურს. ვლოცულობ, რომ ღმერთს თქვენში ძუ ლომის გამოღვიძების ნება მისცეთ და დადგეთ იმ ადამიანების ბოროტისგან დახსნის და არა გასამართლების პოზიციაზე, რომლებიც ძლევისა და განადგურების საფრთხის წინაშე დგანან.

დროა, დაემორჩილოთ ღვთის მოწოდებას. მან მოგვანდო სახარების უწყება დედამიწისთვის. მან მცნებად მოგვცა ერთმანეთის სიყვარული. მან დაგვავალა ქვრივებზე, ობლებზე, უცხოებსა და ღარიბებზე ზრუნვა. იგი ახლაც მოგვიწოდებს ახალგაზრდა თუ ხანდაზმულ ასულებს, რომ ჩვენეული გამოსავალი მოვიტანოთ მსოფლიო პრობლემებისთვის. უფალს სურს, გვერდზე გადავდოთ ჩვენი განსხვავებები და ერთად ვიშრომოთ ღვთის ყანაში.

ზოგიერთი ჩვენგანი ჯერ კიდევ იმაზე მუშაობს, რომ ერთმანეთის მიმართ კეთილები ვიყოთ. სხვები მეტისმეტად დაკავებული არიან დანაკარგებზე მოთქმით. და ძალიან ბევრი იბრძვის სულელური დოქტრინალური საკითხების გამო და ქრისტეს სხეულის სხვა ნაწილების საწინააღმდეგოდ ჩივის. საყვარელნო, არ მინდა, რომ გამოღვიძების მოწოდებას იონას

მსგავსად გემბანიდან გადაგდება ან ისრაელიანთა მსგავსად უდაბნოშო ხეტიალი დასჭირდეს! მოდით, დავინახოთ ბოროტი და მსოფლიოში არსებული პრობლემები; დაე, ამან შეგვანჯღრიოს გამოსაფხიზლებლად. სულში ვხედავ წამომდგარ, აღელვებულ და მათი სამყაროს გადაქმნისთვის მზადმყოფ ადამიანებს.

შენი განსაკუთრებული გამოხატულება

როცა ამ წიგნს ვწერდი, რედაქტორებმა მირჩიეს, მომეყვანა იმ ქალთა ცხოვრების მაგალითები, რომლებმაც სრულად გამოიღვიძეს, რომ დაგენახათ, რის მიღწევა შეუძლია ასეთ ქალს. თუმცა ჩვენ არ გვინდა რაიმე შემოვფარგლოთ მხოლოდ ჩვენს მიერ ნანახით. სრულად გამოფხიზლებული და ბოროტისთვის საშიში ადამიანების ისტორია ჯერ კიდევ იწერება. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნიერებას ჯერ კიდევ არ უხილავს, როგორები არიან ინდივიდუალურად თუ ერთობლივად გამოღვიძებული ქრისტიანი ქალები, სრულად გამოფხიზლებულნი და საშიშნი.

ღმერთმა ორჯერ დამავალა, რომ წამომეწყო *გაღვიძების პროცესი* ქრისტიან ქალებში. წარმოდგენა არ მქონდა, როგორი ვიქნებოდით სრულად გამოღვიძებულები, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რომ საშიში ვიქნებით სიბნელეში და დიდებული – ნათელში. როცა კარგად დავფიქრდი ამ საკითხზე, აღმოვაჩინე, რომ ქრისტიანი ქალის ენერგიული, გარეული ძუ ლომისებრი სახება ჯერ კიდევ მოითხოვდა განსაზღვრებას.

ასევე გავაცნობიერე, რომ ადამიანებს უყვართ, როცა სხვები ეუბნებიან, რა გააკეთონ. თუმცა „როგორ“ და „ნაბიჯ-ნაბიჯ“ ქრისტიანობა ბევრ რამეს გვაკარგვინებს ღვთის საიდუმლოდან. ამრიგად, ეს არ გახლავთ „რა ვაკეთოთ“ მითითებები. მინდა რომ გამოიღვიძოთ, აღდგეთ ძუ ლომად და საკუთრივ თქვენი გამოვლინება იქონიოთ, რასაც არ უნდა ნიშნავდეს იგი. მხოლოდ თქვენ და ღმერთმა უნდა განსაზღვროთ, როგორი იქნება თქვენში სრულად გამოღვიძებული ძუ ლომი.

ამასწინათ ჩემს თანამშრომლებს ვთხოვე სიტყვით ან რაიმე სახით გადმოეცათ მათში გაღვიძებული ანუ წამომდგარი ძუ ლომი. არ გამკვირვებია, როცა მათი პასუხები მოიცავდა ფართო სპექტრს *გრაციოზულობისა* და *სინაზიდან* დაწყებული *ენერგიულითა* და *უშიშარით* დასრულებული. აი, ასეთი განსხვავებული სახის პოტენციალი დევს გამოღვიძების გამოხმაურებაში.

წმ. წერილის კვლევისას აღმოვაჩინე, რომ ღმერთი ხშირად ეუბნება თავის ერს ან წინასწარმეტყველებს, „წადი იქ, გააკეთე ეს, თქვი ეს“ და არ აძლევს რაიმე მითითებას, თუ რა მოხდება ამის შემდგომ. ამის მაგალითია ელისე, რომელმაც ქვრივ ქალს უთხრა: „წადი და მთელი შენი სამეზობლოდან ითხოვე ჭურჭელი; ყველა მეზობლისგან წამოიღე, რაც შეიძლება ბევრი ცარიელი ჭურჭელი ინათხოვრე. მიდი და შეიკეტეთ კარი შენ და შენმა ძეებმა; ჩაასხი ზეთი ყოველ ამ ჭურჭელში და სავსეები განზე გადგი“ (2 მეფ. 4:3-4). ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური ჩანდა. როგორ უნდა გადაეწყვიტა ამას ვალების პრობლემა, როცა მევალე ქალის შვილების დამონებას აპირებდა? როცა ქალმა გააკეთა, რასაც მისგან მოითხოვდნენ, ღვთისკაცს მიუბრუნდა. მან კი უთხრა, „წადი, გაყიდე ზეთი და გადაიხადე შენი ვალი; დანარჩენით კი თავი [ირჩინეთ] შენ და შენმა ძეებმა“ (2 მეფ. 4:7).

საინტერესოა, რამდენ სასწაულებრივ წინასწარხედვას ვკარგავთ, როცა გვინდა ვიცოდეთ მეორე, მესამე და მეოთხე ნაბიჯის შესახებ, როცა ჯერ პირველიც კი არ გადაგვიდგამს. ამრიგად, იფიქრეთ ამ წიგნზე, რომელიც „უნდა წაიკითხოთ, ილოცოთ და ღმერთს ნება მისცეთ აავსოს ყველა ჭურჭელი, რომელიც მის წინაშე დააწყვეთ“. სთხოვეთ ღმერთს, რომ თქვენი გონება აავსოს ძუ ლომის იდეით, როგორი გარეგნობით, ფორმით ან ჭურჭლით სურს გამოიყენოს თქვენი შთაგონებისთვის.

ნუ შეგეშინდებათ ჩვენში ძუ ლომის სახების დანახვის ან იესოს ლომად წარმოდგენისა. ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება იესოს, როგორც მწყემსის და ჩვენი, როგორც მისი ცხვრის სახებას. ჩვენ პირდაპირი მნიშვნელობით ვართ ცხვრები, თუ ღმერთი გვთხოვს, მივყვეთ და ვენდოთ მას? გარდა ამისა, იესო ნეფეა, ხოლო ჩვენ ყველანი ერთად – მისი საპატარძლო. ეს ალეგორიული სურათია. იესო ერთდროულად გახლავთ მწყემსი, მეფე, ღმერთი, კაცი, ნეფე, ძმა, ლომი, კრავი და რასაკვირველია, დასაწყისი და დასასრული. ნუთუ გასაკვირია, რომ მას სურს გააფართოვოს ჩვენი თვალსაწიერი? მინდა, რომ წაკითხულს თქვენეული აღქმით, ძალითა და ზეგავლენით გამოეხმაუროთ.

გაღვიძების მოვალეობა

უნივერსიტეტში სწავლისას ჩვენს საცხოვრებელ კორპუსს

ჰქონდა საძინებელი ტერასა. არ ვიცი რატომ უწოდეს ეს სახელი, რადგან იგი შენობის გარეთ არ იყო და არც გარედან ჰქონდა შემოსასვლელი. ეს იყო გრძელი, ბნელი ოთახი მეორე სართულზე, რომელიც ორსართულიანი საწოლებით იყო სავსე. ზოგიერთი მათგანი კედლის გასწვრივ დაემწკრივებინათ, ხოლო სხვები – ჩაბნელებული ფანჯრის პერპენდიკულარულ რიგში.

ამ ოთახში ბევრნი ვცხოვრობდით, ამიტომ მაღვიძარას გამოყენების უფლება არ გვქონდა. ამის ნაცვლად შემოვიღეთ ჩემთვის ყველაზე ნაკლებად მიმზიდველი რუტინული სამუშაოს მორიგეობით შესრულება: ყველას გაღვიძება. ყოველ საღამოს, დაწოლის წინ დები გაღვიძების გრაფიკზე მათი სახელებით აღნიშნულ ეტიკეტებს იმ დროსთან აკრავდნენ, რომელზე გაღვიძებაც სურდათ. ეს ნიშნავდა, რომ მორიგეს უნდა სცოდნოდა, სად ეძინა თითოეულ დას. მორიგეობის წინა ღამით იგი ცალკე ოთახში იძინებდა, სადაც მაღვიძარის დაყენება ნებადართული ჰქონდა.

როცა ჩემი რიგი დგებოდა, მაღვიძარას გაღვიძების გრაფიკზე აღნიშნულ პირველ დროზე ნახევარი საათით ადრე ვაყენებდი, რომ შხაპის მიღება მომესწრო. დილის საქმიანობის ერთადერთი სარგებელი სწორედ შხაპის მიღება იყო რიგში დგომის გარეშე.

როცა გაღვიძების პროცესი დაიწყო, რამდენიმე წრე გავაკეთე. გოგონებს თხუთმეტი წუთიდან ნახევარი საათის ინტერვალში ვაღვიძებდი მომდევნო 2-3 საათის განმავლობაში. შეუმჩნევლად შევდიოდი და გამოვდიოდი ჩაბნელებულ საძინებელ ოთახში, თან ვცდილობდი მეჭამა და თავადაც მომესწრო მომზადება. დრო და დრო ჩუმად გავსხლტებოდი კარებში, გამოვხურავდი და სიბნელეში ფრთხილად მივიკვლევდი გზას საწოლებს შორის, რომ შემთხვევით რომელიმე მძინარე და არ გამეღვიძებინა. როცა ვიპოვიდი გამოსაფხიზლებელ დას ან დებს, ნაზად, მაგრამ მტკიცედ ვაღვიძებდი მათ.

პასუხისმგებლობის გრძნობა ძალიან მაღალი იყო, რადგან თითოეული მათგანი ჩემზე იყო დამოკიდებული. გაკვეთილებს უნდა დასწრებოდნენ, დავალებები უნდა შეესრულებინათ, მიმოხილვა არ უნდა გაეცდინათ და რასაკვირველია, შეყვარებულებსაც უნდა შეხვედროდნენ.

ერთხელ, ჩემი მორიგეობისას გაღვიძება ჩამივარდა. ძალიან ფრთხილად, ნაზად ვმოქმედებდი და არ მინდოდა შემეჯანჯღარებინა ჩემზე უფროსი და. მან პასუხად რარაც ჩაიბუტბუ-

ტა და ვიფიქრე, რომ უკვე გაღვიძებული იყო, მაგრამ არ ყოფილა. იგი უბრალოდ ძილში ლაპარაკობდა. იმ დღეს, სადილზე წესრიგის დარღვევის აქტი წამიკითხა და გამაგებინა, რა ძვირად დაუჯდა მის გაღვიძებაში გამოჩენილი უშედეგობა. არსებობს შეცდომები, რომელთა ორჯერ გამეორება აღარ გინდა. მაშინვე ვისწავლე, რომ არიან დები, რომლებსაც კარგად შეჯანჯღარება სჭირდებათ, სხვები ნაზ შეხებაზეც რეაგირებენ, ხოლო დანარჩენები ფხიზლობენ და საკმარისია მათი სახელი წარმოთქვა, რომ მაშინვე დგებიან; ზოგიერთი და მადლობას მიხდიდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მეჩხუბებოდნენ და მაგდებდნენ.

ყველაზე მაცდურები ისინი იყვნენ, რომლებიც გაღვიძებული ჩანდნენ და „კარგი, კარგი, გავიღვიძეო“ ამბობდნენ, მაგრამ ჩემი წასვლის შემდეგ ძილს განაგრძობდნენ. მივხვდი, რომ ასეთ მძინარა დებთან მანამ უნდა ვმდგარიყავი, სანამ საწოლიდან არ ადგებოდნენ და ფეხებს იატაკზე არ დადგამდნენ.

კიდევ ერთი დილემა გახლდათ დის შეცდომით გაღვიძება. მიუხედავად იმისა, რომ ვფრთხილობდი და წყნარად ვმოძრაობდი, გამოვედებოდი ხოლმე რომელიმე დას მაღლა ან გვერდით. იგი დგებოდა, მკლავში ხელს ჩამავლებდა და ჩამჩურჩულებდა, „ეი, მე გაღვიძებული ვარ. ჩემი სახელი ამოიღე სიიდან!“

მრცხვენია თქმა, მაგრამ იმ დროს ერთ-ერთი ვიყავი მლანძღველ და ძნელად გასაღვიძებელ დებს შორის. თითქმის ყოველთვის მჭირდებოდა მეორედ გაღვიძება. ამ მოვალეობის შესრულებისას კარგად ვიცოდი წესები. თუ დას ორჯერ გავაღვიძებდი და ის ისევ საწოლში რჩებოდა, ვალდებული არ ვიყავი მესამედ გამეღვიძებინა. ეს პრინციპი უფრო მეტ მნიშვნელობას სძენდა მეორე გაღვიძების ძახილს, რადგან იცოდი, რომ ეს ბოლო იყო. მას შემდეგ, რაც ჩემი დები გაიღვიძებდნენ და ამოძრავდებოდნენ, მათთვის თვალყურის დევნების საჭიროება აღარ არსებობდა. ისინი უკვე ამოძრავებული დები იყვნენ. ამის შემდეგ საკუთარი თავისთვის უნდა მიმეხედა.

ჩვენი გულმოწყალე ღმერთი ქალთა საერთო საცხოვრებლის წესებით არ მოქმედებს. იგი ბედნიერია, რომ უკანასკნელ წუთამდე აგრძელებს ჩვენს გაღვიძებას. თუმცა საკითხის სერიოზულობა არ უნდა გამოგვრჩეს. ვხვდები, რომ ზოგიერთი და ახლაც კი ეხმაურება გამოღვიძების მოწოდებას, რომელიც მათ გარშემო მყოფი მძინარა დების მისამართით გაისმის.

რაღაც ენერგიულის გაღვიძება

სასაცილოა, რომ ჩემი ცხოვრების ამ მონაკვეთშიც კი ვასრულებ გამღვიძებლის მოვალეობას. მხოლოდ ამჯერად უფრო ფხიზლად ვარ. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ისევ დავხეტიალობ ჩაბნელებული ოთახის საწოლებს შორის, სადაც ნაზად ვანჯღრევ, ჯიუტად ვდგავარ და ხანდახან, დიდებულ ჟამს, მხოლოდ დავიჩურჩულებ ჩემი დების სახელებს და ისინი იღვიძებენ და დგებიან.

ვიცი, რომ მარტო მე არ ვასრულებ გაღვიძების დავალებას და ღვთის ყოველი ასული გამოეხმაურება თვლემისგან მისი გამოფხიზლების სხვადასხვა საშუალებებსა და წაბიძგების მეთოდებს. ჩემს შემთხვევაში დავალებული მაქვს ზოგიერთი დაუოკებელი პრინციპისა და მშვენიერი სახეების მოტანა თქვენს წინაშე. ვლოცულობ, რომ ამ უძლეველი დიდებულებისა და ძლიერების გამოცხადებამ თქვენში რაღაც ენერგიულის გაღვიძების ძალა იქონიოს, რომ სრულად გამოფხიზლების შემთხვევაში იცოდეთ, რა გააკეთოთ.

ქვეყნიერებას სჭირდებით, ძვირფასო, ძუ ლომო დებო. არა მარტო უნდა გამოიღვიძოთ, არამედ უნდა გამოავლინოთ კიდეც ღვთისგან მოცემული მძლავრი მხარე. როგორი უნდა იყოს ქრისტიანი ქალის ენერგიულობა და გაბედულება? ნიშნავს თუ არა ეს ყვირილს და ღრიალს, ფხაჭნასა და ტლინკების ცემას? შესაძლოა, ამის დროც დადგეს. თუ ჩემს შვილებს ან შვილიშვილებს თავს დაესხმიან, ჩემი რეაქცია ასეთი და ამაზე უფრო მეტიც იქნება. ღმერთი სწორედ ამ ძუ დათვი-ლომის პასუხს ეხება ოსიას წიგნში და თავისად წარმოაჩენს.

> „ბელებგაქურდული დათვივით დავეცემი მათ, გულის ფიცარს დავუგლეჯ და შევჭამ, როგორც ლომი ჭამს; ველის მხეცები დაგლეჯენ მათ“ (ოს. 13:8)

ერიჰა! ეს მუხლი უცილობლად წარმოაჩენს უშიშრობის მძვინვარე, ძალადობრივ მხარეს, მაგრამ ამ შთამბეჭდავ სიტყვაში უფრო მეტი ჩანს, ვიდრე უბრალოდ დასახიჩრების ძალადობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენერგიულობის ცნებაში იგულისხმება *ინტენსიობა, ძლიერება, დაუდეგარობა, დარწმუნებულობა, მგზნებარება* და *აგრესიულობა*. ვერ წარმომიდგენია სიტყვების ერთობლიობა, რომელიც ამაზე უფრო

ზუსტად აღწერს, რასაც შიგნით განვიცდი. ეჭვგარეშეა, რაღაც დაუდგრომელი იღვიძებს, რომელმაც უფრო მეტი სიცხადე და ძალა მოიტანა, თითქოს ქარიშხალი ძალებს იკრებდეს. ამ ძალამ არ მოიტანა შინაგანი არეულობა. მან მიზანი მოიტანა. ამ უფრო დიდი მიზნით აღმოვაჩინე, რომ გაიზარდა ჩემი მოშურნეობა იმ საკითხებისადმი, რომელზეც ადრე არაფერი ვიცოდი.

გაღვიძების ბევრმა ასეთმა მომენტმა მოუმზადებელს მომისწრო. ერთი მათგანი 2007 წლის ოქტომბრის ბოლოს თუ ნოემბრის დასაწყისში მოვიდა. სააბაზანოში ვიყავი, აბა სხვაგან სად და ჟურნალს ვკითხულობდი. გვერდები გადავფურცლე და პირველად წავიკითხე სექსუალური ტრეფიკინგის საშინელებათა შესახებ ტაილანდში. დავასრულე სტატია და ხელახლა გადავიკითხე ზოგიერთი აბზაცი. თითქმის შეუძლებელი იყო იმის დაჯერება, რომ ჩემს მიერ წაკითხული სიმართლეს შეესაბამებოდა. ნუთუ ადამიანები ასე სასტიკები იყვნენ? ნუთუ შეიძლება მსგავსი რამ ხდებოდეს და მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდე? ტირილი დავიწყე (სააბაზანოში, აბა სხვაგან სად) და შემდეგ ვილოცე, *ღმერთო, თუ არსებობს რაიმე ძალა ან ხმა, რომელიც შეიძლება ამ საკითხის სასიკეთოდ მოგვარებას მოვახმარო, მზად ვარ ამისთვის. მე შენი ასული ვარ.* ამ გამოღვიძებამ ლოცვის თანხლებით, რაღაც შეცვალა ჩემში.

რამდენიმე კვირამ განვლო და Life Outreach-დან დამირეკეს. „ლიზა, გუნდს ვაყალიბებთ ტაილანდში გასაგზავნად, რომ სახსრები მოიზიდონ და გაიგონ, რისი გაკეთება შეიძლება სექსუალური ტრეფიკინგის აღსაკვეთად. შენ ხარ მათ შორის, რომელთა გაგზავნასაც ვფიქრობდით“. სამი თვის შემდეგ ტაილანდში მივემგზავრებოდი, როგორც ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ Life Outreach-ის პირველი ინიციატივის მონაწილე.

რა მოხდებოდა იმ დღეს რომ არ მელოცა? მხოლოდ რომ მეტირა, თავი გადამექნია და გვერდების ფურცვლა გამეგრძელებინა? ადრე, ალბათ, სახის მოვლის უახლეს საშუალებებზე, მოდის მიმართულებების ან გასახდომი დიეტის საიდუმლოს შესახებ სტატიების კითხვას ვარჩევდი. კითხვა რომ გამეგრძელებინა ლოცვის გარეშე, მეტი შანსი იყო, ისე წავსულიყავი დასაძინებლად, რომ ერთხელაც არ ამემაღლებინა ხმა ზეცისკენ. თუ ეს საკითხი ისევ მოხვდებოდა ჩემი ყურადღების არეში, რაღაც ამის მსგავსს ვიტყოდი, „ეჰ, მსმენია ამის შესახებ ... წაიკითხეთ ჟურნალი ... მართლაც ძალიან სამწუხაროა.“

როცა გამოღვიძებული ხარ, არ შეგიძლია არ გამოეხმაურო. გამოღვიძება აღელვებაში არ აგერიოთ. თუ რაიმე გაღელვებთ, შეიძლება თქვენი რეაქცია გამოხატოთ, მაგრამ მას არ აქვს საკმარისი ძალა, რომ შემდგომი ფურცლების დათვალიერება აღარ მოგინდეთ. შეიძლება იყოთ აღელვებული, მაგრამ არა გამოძღვიძებული. თუმცა არც სრულიად გამოღვიძებულად ჩაითვლებით, თუ არ შეგიძლიათ მსოფლიოს პრობლემებზე ფხიზლად რეაგირება და გამოხმაურება. სწორედ ამიტომ, როცა წავიკითხე ორი გოგონას მოტაცებისა და საროსკიპოშო განთავსების ამბავი, ვილოცე და ღმერთს ვუთხარი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი, რასაც ჩემგან მოითხოვდა ამ საშინელების აღსაკვეთად. ჩემმა ლოცვამ გამოკვეთა შესაძლებლობა, როცა იგი გამოჩნდა. სხვა შესაძლებლობებიც იქნებოდა? შესაძლოა, მაგრამ იმ ერთს შეიძლებოდა ამაოდ ჩაევლო.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲘᲮᲡᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲒᲘᲨᲘᲜᲐᲣᲠᲝᲡ

ღმერთმა თავისი უსაზღვროება იმიტომ არ გაგვიცხადა, რომ შეგვზღუდოს. ეს ურთიერთგამომრიცხავი იქნებოდა. მას სურს მისი გული ჩვენში მოათავსოს. ჩემი მეგობარი ქრისტინი ასე ამბობს: „ღმერთმა იმიტომ არ გიხსნა, რომ მოგიშინაუროს!“

ღმერთი არ ეძებს ადამიანებს, რომლებიც ქრისტიანთა მსგავსად იმოქმედებენ. მას სურს, რომ ქრისტიანები ვიყოთ! სიტყვა *ქრისტიანი* ნიშნავს „ცხებულს ანუ ქრისტეს მსგავსს.“ იესო არ ცდილობდა „კარგად მოქცევას“, არამედ „კარგის კეთებას“ და ყველა ჩაგრულის განთავისუფლებას. რის საკეთებლად გვცხო მან?

> „უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“ (ლუკ. 4:18-19)

ღვთის სულმა დააკისრა იესოს ყველა ამ დავალების შესრულება და თუ ჩვენ ამ სულით ვართ შობილნი, იგივე უნდა ვაკეთოთ – მივუტანოთ სახარება გლახაკს, გავათავისუფლოთ

გულშემუსვრილები და ჩაგრულები და გამოვაცხადოთ, „ეს არის ღვთის მოქმედების წელი!“ დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი წელი ღვთის მოქმედების წელია და გველოდება, როდის ავმოძრავდებით მისი გულისთვის.

ამ დავალების შუქზე ვხედავთ, რომ ღმერთს არ სჭირდება მოშინაურებული ასულების ჯგუფი, რომლებიც თავიანთ დღეებს ცხობასა და კარგად მოქცევაში გაატარებენ. ცხობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თუ ეს არის ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ღმერთი არ გამოგვიყენებს.

ვიცი, რომ ეს ციტატა ბევრ თქვენგანს გამოიწვევს. მე ასე დამემართა, როცა პირველად წავიკითხე. ეს არ გახლავთ დაუმორჩილებლობის მოწოდება, არამედ იმის გაცნობიერება, რომ ზოგჯერ ცვლილებები სტატუს ქვოს გამოწვევით იწყება.

„სანიმუშო ქცევის მქონე ქალები იშვიათად ქმნიან ისტორიას.“

– ლორელ თეტჩერ ულრიხი

როზა პარკსი სულაც არ გამოიყურებოდა სანიმუშოდ სამხრეთის კულტურისა და სატრანსპორტო კომპანიის თვალში, როცა უარი თქვა მისი ადგილიდან ამდგარიყო და ავტობუსის ბოლოში „ფერადკანიანთათვის“ განკუთვნილ სკამზე გადაენაცვლა. ერთი ქალის არჩევანმა, რომ თავისი გაეტანა და დასაჯდომი ადგილი არ გამოეცვალა, ჩვენი ერის შეხედულების გარდაქმნა მოიტანა რასობრივ სეგრეგაციასთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, მაშინ იგი არც ფიქრობდა, რომ ისტორიას ქმნიდა. მხოლოდ დროს შეუძლია მოტივებისა და არჩევანის შედეგების ძალის გამოვლენა. შესაძლოა, როზა დაიღალა მუდმივი გარიყვით და მისი ღვთივბოძებული ადამიანური ღირსების შელახვით.

რა ვთქვათ დებორაზე, იაყელზე, თამარზე, ესთერზე, ბათშებაყზე, აბიგაილზე, რახაბსა და მარიამზე? (ეს მხოლოდ ბიბლიური მაგალითებია, რადგან ასეთები ბევრნი არიან).

ნუთუ დებორა კარგად იქცეოდა, როცა თავისი ხალხი გაბატონებული მჩაგვრელის წინააღმდეგ აამხედრა და მამაკაცებთან ერთად ომში ჩაება? იმდროინდელ წინამძღოლებს ეს არ მოეწონებოდათ. არმია აღსდგა, რომ შეწინააღმდეგებოდა მის ამბოხებას, მაგრამ ვერ შეძლეს მისი ძლევა. როცა ღვთისგან რჩეული მამაკაცი წინამძღოლი ბარაკი ყოყმანობდა, დებორამ ღვთის მითითება საუკეთესოდ შეასრულა, როგორც თავად იცოდა.

რას ვიტყვით იაყელზე? განა მან არ გამოიყენა კარვის პალო მტრის მოსაკლავად? შეეძლო თუ არა მისი გადაცემა მთავრებისთვის, სანამ კაცს ეძინა? შესაძლოა, მაგრამ ასე არ მოიქცა. ღმერთს არაფერი ჰქონდა მისი არჩევანის საწინააღმდეგო და სიმღერაც კი დაიწერა მისი სიმამაცის საქებრად.

შემდეგი თამარია. ამ ორჯერ დაქვრივებულმა ქალმა მეძავის ტანსაცმელი გადაიცვა და თავის ქვრივ მამამთილს, მამამთავარ იუდას მიუწვა. მისი საქციელი ელდისმომგვრელია ბევრ ასპექტში. არავითარი მინიშნება არ არსებობს, რომ ასეთი მითითება ღვთისგან მიიღო. მან თავად გადაწყვიტა, რა უნდა გაეკეთებინა. ამ მტკიცე ქალის ძე ქრისტეს გენეალოგიაში მოხვდა, ხოლო თავად იგი მართლად ჩაითვალა.

ესთერი არ დაემორჩილა მეფესთან მხოლოდ დაძახების შემთხვევაში შესვლის ბრძანებას. ურჩობამ ქსერქსეს პირველ ცოლს, ვაშთის დედოფლობა დააკარგვინა. ესთერს ეს კარგად უნდა სცოდნოდა! და მაინც, მისმა არასწორმა საქციელმა მთელი ერი გადაარჩინა.

ბათშებაყი მოღალატე ცოლი და სოლომონ ბრძენის დედა გახლდათ. რახაბი მეძავი იყო, რომელიც თავისი მეფე მოატყუა და მზვერავები დამალა. მან რწმენის ნაბიჯებით არა მარტო თავისი ოჯახი იხსნა იერიხოს განადგურებისგან, არამედ მისი ძე დავითისა და იესოს გენეალოგიაში მოხვდა. აბიგაილმა ჭკუით აჯობა თავის ქმარს. მისმა არჩევანმა გადაარჩინა მთელი მისი სახლეული და დავით მეფის გულიც დაიპყრო.

მარიამს, ერთი შეხედვით, არაკანონიერი ფეხმძიმობა და ღვთის ძის დაბადება ხვდა წილად. რა მოხდებოდა მას რომ ეთქვა, „გაუთხოვარი ქალის დაფეხმძიმება ცუდია საზოგადოების თვალში. არ შეიძლება გათხოვებამდე დავიცადო, რომ სანიმუშო ქცევის გამოვჩნდე?“

მხოლოდ ისტორიამ გაამართლა ამ ქალთა არჩევანი. მათი გულები გაღვიძებული და ამოქმედებული იყო.

როგორ იმოქმედებ, როცა სრულად და დამაფრთხობლად ფხიზელი ხარ? რას დაწერ ისტორიის ფურცლებზე? შეძლებ ძუ ლომის მსგავსად გამოიღვიძო მიძინებული მდგომარეობიდან და აღსდგე შენი ოჯახის, თემის, სამყაროს დასაცავად? ახლა რა ტრიალებს შენს გულში?

4

შიშისა და სასწაულის ერთობლიობა

„საოცრებით ვარ შენივთული;
საკვირველია საქმენი შენნი ...“
ფსალმ. 139:14

ძუ ლომები ძლიერები არიან და ბეწვი უბზინავთ. ისინი მიზანმიმართულად მოძრაობენ. მათ იციან, რომ არსებობა და ახალგაზრდა თაობის გადარჩენა უნარსა და ძალაზეა დამოკიდებული. მათი ტყავი ტალღებივით მოძრაობს სიარულისას. ჩვენგან განსხვავებით, მათ არ აღელვებთ ბეწვი როგორ აქვთ გადაწყობილი, მეტისმეტად გრძელი ან პირიქით, მოკლე კუდი ხომ არ აბიათ, არც იმაზე წუხან, ყველა ერთმანეთს რომ ჰგავს. ისინი მოხერხებულად ზიან თავიანთ ტყავში.

ძუ ლომები საოცარი ქმნილებები არიან.

როცა მათ ველურ ბუნებაში აკვირდები, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ეს მშვენივრად იციან. ჩვენივე საკუთარი თავის ხედვასა და ძუ ლომების მიერ თავიანთი თავის აღქმას შორის დიდ კონტრასტს აღმოვაჩენდით, ადამიანებსა და ლომებს ერთმანეთთან საუბარი რომ შეძლებოდათ.

„ძუ ლომო, შენ განსაცვიფრებელი ხარ.“

ლომი გპასუხობს: „ვიცი. გინდა ნახო, რა შემიძლია?“

აღელვებული მივუგებთ: „დიახ“.

„შეხედე ჩემს თათს“ – გვეუბნება იგი. „დააკვირდი“.

ჩვენ აღფრთოვანებით ვუყურებთ, როგორ უშვებს ძუ ლომი ბრჭყალებს გადმობრუნებული თათიდან.

„ამ ბრჭყალებით შემიძლია ანტილოპა დავცე, რომელიც ჩემს პატარებს გამოკვებავს და ჩემი პრაიდის წევრებს გააძღებს. ყურადღება მიაქციე“. იგი ბრჭყალებს უკან წევს და თათი ისევ ხავერდოვანი ხდება. „ასე-

თი თათით ვეთამაშები პატარებს და ვწვრთნი მათ, რომ ძლიერები იყონ“.

ჩვენს თავს ვუქნევთ და საკუთარ ფრჩხილებს დავაცქერდებით. აგერ ლაქი აგვძრობია.

ძუ ლომი ისევ ლაპარაკობს. „შეხედე ჩემს კბილებს!“

ჩვენ უკან ვიხევთ სხვადასხვაგვარი ფორმის ბასრი კბილების დანახვაზე.

„ამ კბილებით თავს ვიცავ, ვკლავ და ვჭამ, თუმცა იგივე კბილებით ჩემი ლეკვები ერთი ადგილიდან მეორეზე გადამყავს ისე, რომ მათ არავითარ ზიანს არ ვაყენებ.“

ჩვენ თავს ვუქნევთ, რადგან ამ განსხვავებას ყურადღება მივაქციეთ.

შემდეგ ჩვენი ძუ ლომი კმაყოფილებით ამოიოხრებს და აჯამებს თავის სილამაზეს: „საშიში და მშვენიერი შემქმნეს.“

ძნელია, არ დაეთანხმო. იგი საშიშისა და საოცრების ნაზავია. თუმცა, მოიცათ ... თქვენც ასეთი არ ხართ?

> „საოცრებით ვარ შენივთული; საკვირველია საქმენი შენნი“ (ფსალმ. 139:14)

გაბედულად მოგიწოდებთ, რომ ეს ხმამაღლა თქვათ იქედან გამომდინარე, რაც ახლა ძუ ლომზე შეიტყვეთ. გულწრფელად რომ ვთქვათ, საყვარელნო, თქვენ ღვთის საოცარი ქმნილება ხართ თქვენს ირგვლივ მყოფ მამაკაცებთან და ქალებთან ერთად. ძალიან ბევრ ჩვენგანს ავიწყდება, რომ საოცრების დინამიკა არ წყდება, როცა ჩვენს დედის საშოს ვტოვებთ.

ბოლოს როდის ესაუბრეთ ქალს, რომელიც ოდნავ მაინც ლაპარაკობდა ერთ-ერთი ჩვენი ძუ ლომის მსგავსად?

ქალების საუბრიდან რაღაც ამდაგვარის მოსმენას თუ შეძლებთ:

– ლამაზი ხართ.

– გმადლობთ, მაგრამ ჯერ ვერ დავიკელი იმდენი, რამდენიც მოვიმატე ბოლო ბავშვზე მშობიარობის შემდეგ.“

ნებისმიერ ქალს, რომელსაც ბავშვი გაუჩენია (ან უყურებია, როგორ აჩენს ბავშვს სხვა ქალი) შეუძლია გააცნობიეროს, რომ მართლაც საოცრებით ვართ შენივთული. თუმცა როგორღაც დავკარგეთ ამის ხედვა, რასაც ძუ ლომზე ვერ ვიტყვით. მან იცის, რომ მისი სილამაზე მისივე სიძლიერეშია.

იგი დატყვევებულია თავისი სხეულის შესაძლებლობებით და არა გარეგნობით. *მისი მომხიბვლელობის უარყოფა შეუძლებელია, რადგან მისი ძლიერება ეჭვგარეშეა.* მან კარგად იცის, რა შეუძლია მის სხეულს და ზეიმობს მისით გაოცებული. ძუ ლომის ზეიმს დიდება მოაქვს მისი შემოქმედისთვის. იგი ძლიერი და უნარიანია და მისი პრაიდის ახალგაზრდა თაობას ასეთივე შედეგისთვის წვრთნის.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს ძალისა და ფუნქციის სილამაზე. მე არ ვგულისხმობ ფიზიკურად გახდომას, არამედ ფიზიკურ და სულიერ გაცნობიერებას და გამჭრიახობას – მიზანდასახულობას და შესაბამისად, მზადყოფნას ნებისმიერი დავალების შესასრულებლად, რომელსაც კი ღმერთი დაგვავალებს.თუ გვინდა ვიყოთ ნამდვილი ძუ ლომები, ძალაც უნდა გვქონდეს. არც ისე დიდი ხნის წინ აღმოვაჩინე, რომ ხშირად წარმოდგენა არ გვაქვს, რამდენად ძლიერები ვართ სინამდვილეში.

ნაწრთობი სხეულით შეცდომაში შეყვანილი

აი, როგორ დაიწყო ჩემი ერთკვირიანი ცდომილება. გადავიღალე უამრავი შეხვედრით მთელი ავსტრალიის მასშტაბით. ხუთი მსახურება დასრულდა. დადგა კვირა საღამო და დღე თანდათან იწურებოდა. კონფერენციის ხელმძღვანელთა გუნდთან შესახვედრად მომიწვიეს, რომელიც დაუღალავად შრომობდა ღონისძიების სასიკეთოდ წარმართვისთვის. ყველა ჩვენგანი ცოტათი გამოყეყეჩდა და თავბრუსხვევა დაეწყო უძილობის, უხვის საკვებისა და ღვთის სიკეთის ერთობლიობის შედეგად.

ამ მოდუნებულ მდგომარეობაში ერთ-ერთმა ლიდერმა ქალმა თავისი მოსაზრებები და მიგნებები გამიზიარა და ასე მითხრა:

– იცი, აქ ყველანი „მელურსმნეს“ მეძახიან. დღესაც კვირა დილის მსახურებაზე კარგად დაგაკვირდი და აღმოვაჩინე, ვის მაგონებ.

– ვის? - შევეკითხე მე.

მან უყოყმანოდ განმიცხადა:

– ზედგამოჭრილი სარა კონორი ხარ.

ხანგრძლივი პაუზა დასჭირდა ამ აზრის გადახარშვას.

– მოიცა ... ის ხომ ქერა იყო? - დაეჭვებულმა შევეპასუხე.

– კი, კი, მაგრამ საქმე თმაში როდია, - მან თავი გადააქანა და ხელი ჩაიქნია.

– მისი სახის სტრუქტურა, მისი დგომა და მისი ... მისი ... ნაწრთობი სხეული, - იგი მიხსნიდა და თან ჰაერში ხაზავდა სარას ნიკაპის ფორმას და სავარაუდო, შემაძრწუნებელ ფიგურას.

ნუთუ მან „წრთობა“ ახსენა?

აჰა, ეს არ იყო რეალური სამყაროდან, მაგრამ მთელი ჩემი ყურადღება კი მიიპყრო. შედარება მეტისმეტად გაზვიადებული გახლდათ, მაგრამ ახლა მომინდა სარა კონორს ვმგვანებოდი! თავი დავუქნიე. არ მინდოდა გამომრჩენოდა რაიმე იდეა ან სახე, რომელიც ნაწრთობად წარმომაჩენდა. საკმაო ხანი ვიფიქრე ამ საკითხზე და როცა შტატებში დავბრუნდი, გადავწყვიტე კარგად დამეთვალიერებინა ეს ნავარჯიშები ქალი ფილმიდან *ტერმინატორი.*

ერთხელ სახლში დახმარება ვთხოვე ჩემს შვილს, ალეკს, რომელიც მედიის ექსპერტი გახლდათ.

– შეგიძლია მიპოვო თავდაპირველი სარა კონორი? მისი ნახვა მინდა. ხალხი ამბობს, რომ მას ვგავარ, – ვუთხარი მე.

მან ეჭვის თვალით შემომხედა, მაგრამ მოძებნა სარა კონორის პოსტერი, სადაც ქალს უსახელო მაისური ეცვა, მრგვალი მზის სათვალეები ეკეთა და ხელში ავტომატი ეჭირა. დასაეჭვებელი არაფერი იყო. იგი ენერგიული, მტკიცე და მართლაც გამორჩეული გახლდათ. ვერ ვიტყვი, რომ მაშინვე დავინახე მისი დედობრივი მხარე. (ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან აღზრდისა და დედობის საკითხებზე ვქადაგებდი). კარგად რომ დავფიქრდეთ, განა დედობა შედარებითი არ არის თითოეული ქალის ვითარებაში? რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო დედობრივი, რომ იცოდე იარაღის გამოყენება და თუ ამას ცხოვრების მიზანი მოითხოვს, დაიცვა შვილი მკვლელებისგან?

ალეკმა ასევე მიპოვა ვიდეო კლიპების კოლექცია. ვშიშობ, 1980-იანი წლების ამ შთამბეჭდავმა მონტაჟმა მთლად გამომიყვანა წყობიდან. აი, მოტოციკლზე მჯდარი სარა კონორის მოზაიკური სურათი ცალი ხელით რომ ტენის ავტომატს და ფსიქიატრიული საავადმყოფოს პალატაში გადმობრუნებულ ორსართულიან საწოლზე აზიდვებს აკეთებს. ამ დროს მე სარა ვიყავი!

შემეძლო ჩემი დაბნეული მდგომარეობისთვის აქვე მომეღო ბოლო, ჩემი თავისთვის მარტივი შეკითხვა რომ დამესვა:

ლიზა, როდისმე აზიდვები გაგიკეთებია?

არასდროს! ამის ნაცვლად ჩემს წარმოდგენებს სრული გასაქანი მივეცი. ვუყურებდი სარა კონორის აზიდვებს და წარმოვიდგინე, რომ ჩემი მკლავები ისეთივე ძლიერი იყო და სწორი მოტივაციის ქონისას მეც შემეძლო მასავით მეკეთებინა აზიდვები. დარწმუნებული ვიყავი, რომ თითქმის ისეთივე ნავარჯიშევი სხეული მქონდა, როგორიც სარა ჩანდა. საერთოდ არ მიფიქრია იმ ფაქტზე, რომ ფიზიკური მომზადების პიკზეც კი ვაი-ვაგლახით შევძელი აზიდვა ფიზიკურ მომზადებაში გამოსაშვები სასკოლო გამოცდის ჩაბარებისას. (მხოლოდ იმით გავძელი, რომ წარმოვიდგინე, როგორ ფუთფუთებდნენ ნიანგები ჩემს ქვემოთ.)

რატომღაც დამავიწყდა, რომ ორივე მხარი დაშავებული მქონდა, ერთი თხილამურებზე სრიალის დროს, ხოლო მეორე ისეთი უბრალო შემთხვევის გამო, რომ ასახსნელადაც არ ღირს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აზიდვები არასოდეს მიკეთებია! თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. იმ მომენტში თუ სარას შეეძლო ამის გაკეთება, მეც შემეძლო.

არა მარტო მას მინდოდა დავმსგავსებოდი, არამედ მისნაირადაც მემოქმედა. რატომ ვარჯიშობდა პირველი მებრძოლი გმირი ქალი? როცა მისი მოქმედების დრო დადგებოდა, იგი ძლიერი და შვილის გადარჩენისა და დაცვისთვის მზადმყოფი უნდა ყოფილიყო. მაგარია! მიყვარს ქალები, რომლებმაც იციან ძნელბედობის ჟამის გასაძლიერებლად გამოყენება. სარა და მე? რატომაც არა, ჩვენ თითქმის დები ვიყავით.

ამ ილუზიის ტყვეობაში ისეთი რამ გავაკეთე, რაც არასოდეს გამიკეთებია. Gold's Gym კლუბში დავრეკე. მახსოვს, ერთი განთქმული მწვრთნელის შესახებ მითხრეს და მისი სახელი ვიკითხე. ფიტნეს კლუბის მდივანმა შემაერთა. ძლივს შევიკავე აღფრთოვანება, როცა ვიკითხე, ჰქონდა თუ არა რობერტს თავისუფალი დრო იმ დღესვე. წარმოვიდგინე, რომ რამდენიმე კერძო გაკვეთილი – სამი, სულ დიდი, ოთხი – და მე და სარა ტყუპები ვიქნებოდით. დიახ, ტყუპები ... სხვადასხვა თმის ფერით, რადგან მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი ქერა არ გავმხდარიყავი, მაგრამ მქონდა ვარჯიშის სურვილი, რომ ჩვენი დაბურცული, ნავარჯიშები მკლავები სარკის გამოსახულებასავით ერთნაირი ყოფილიყო.

რობერტი შემითანხმდა, რომ რამდენიმე საათში წინასწარი შეფასებისთვის მივიდოდი. სიტყვა *შეფასებას* წესით

უნდა შევეჩერებინე, მაგრამ არა. ყურმილი დავდე, ენერგიით აღვსილმა და ალეკს ვთხოვე რამდენიმე ხარისხიანი და რიტმული სიმღერა ჩაეწერა სავარჯიშოდ. როცა ეს საქმეც გაკეთდა, გამოვაცხადე:

– სავარჯიშოდ მივდივარ. ვის სურს ჩემთან ერთად წამოსვლა?

ორმა გაკვირვებულმა შვილმა თანხმობა განაცხადა და ყველანი ფიტნეს-კლუბისკენ გავემართეთ. მეგონა ახლად ჩატვირთული iPod-ით ხელში ვიხტუნავებდი დარბაზში შესვლისას. შესაძლოა, მეორე დღეს უსახელო მაისურიც ჩამეცვა, რომ მწვრთნელს ადვილად ამოეცნო ჩემში სარა კონორი.

მეტისმეტი მონდომებისგან ცოტათი ადრე მივედი და მომავალ მწვრთნელს შორიდან მოვკარი თვალი. ძალიან ნასიამოვნები უნდა ყოფილიყო ახალ პროტეჟესთან შეხვედრის მოლოდინში. ეჭვგარეშეა, აღფრთოვანებულიც იქნებოდა და შვებამოგვრილიც, რომ მიზანთან ასე ახლოს მყოფი ადამიანი უნდა გაეწვრთნა.

მოკლედ, ყველაფერი ასე წარმოვიდგინე.

რობერტი სხვას ავარჯიშებდა და სარბენ ბილიკზე მიმითითა გასახურებლად. მანქანამ საშუალება მომცა ამაღლებული მხრიდან გადმომეხედა და შევამჩნიე, რომ მწვრთნელი ქალს ავარჯიშებდა, რომელიც დაახლოებით ჩემი ასაკის უნდა ყოფილიყო. ყველაფერი, რადაც თავი წარმომედგინა ... მასში იყო!

ქალი არა მარტო დაკუნთული, არამედ გარუჯულიც გახლდათ. იგი ძალიან წააგავდა სარას მაისურსა და კამუფლაჟიან შარვალში. იმ მომენტში შევიგრძენი ერთ-ერთი იმედგაცრუების ემოციათა სერიიდან. ჩემი მკლავები დარბაზის მკვეთრი განათების ფონზე შევათვალიერე და შევნიშნე, რომ ისინი მოჩვარული და ფერმკრთალი იყო და თან ოდნავ მომწვანო ელფერი დაჰკარვდა.

მოიცათ! არ ვაპირებდი შეშინებას და დანებებას. ჩემი გრაფიკი ცოტათი თავისუფალი რომ ყოფილიყო, მეც მექნებოდა ნამზეური. ამის დასამტკიცებლად სარბენი ბილიკის სიჩქარე რამდენიმე პუნქტით გავზარდე. დაკუნთული „მე“ სადღაც იმალებოდა და უბრალოდ, თავის დროს ელოდა. რამდენიმე გაკვეთილი, დროის დაყოფა მზის ქვეშ და მეც ასეთი ქალი ვიქნებოდი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სარას ჰქონდა ნამზეურის მიღების საშუალება თავისი საავადმყოფოს საკანში?

აქეთ გამოვიხედე, iPod ჩავრთე და გულმოდგინედ შევუდექი სირბილს.

მცირე ხნის შემდეგ ჩემი მწვრთნელი მომიახლოვდა და გამამხნევებლად გამიღიმა.

– გააგრძელე და კიდევ თხუთმეტი წუთი ივარჯიშე, შემდეგ შევხვდებით ჩვენი მიზნების დასადგენად. მე ჯერ კიდევ არ დამისრულებია ვარჯიში კლიენტთან.

თხუთმეტი წუთი? ნუთუ სერიოზულად ამბობდა? მახსოვს, სადღაც წავიკითხე, რომ რვა წუთი სრულიად საკმარისი იყო ნებისმიერი ადამიანისთვის. თუმცა არ მინდოდა იმედი გამეცრუებინა ან შემესწორებინა ჩემი მწვრთნელისთვის შეხვედრის პირველივე დღეს, ამიტომ გავიღიმე და დავემორჩილე.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ბილიკიდან ჩამოვედი და ქალთა გასახდელისკენ გავემართე სასწორზე ასაწონად. დამავიწყდა ამის გაკეთება. ვფიქრობდი, რომ ჩემს მწვრთნელს ეს ინფორმაციაა დასჭირდებოდა. ეს ნიშნავდა, რომ მართლად ნაწრთობი ქალის გვერდით უნდა ჩამევლო. როცა გავიარე, მან დამიძახა.

– ეი, შენც რობერტთან ვარჯიშობ? – სუნთქვაშეკრულმა მკითხა.

თავი დავუქნიე და უდარდელად მოვსვი წყალი ბოთლიდან.

– მომკლა! - ძლივს ამოღერღა ქალმა, რადგან მოძრავსაფეხურებიან ტრენაჟორზე ვარჯიშობდა.

– ვარჯიშს მიჩვეული ვარ, მაგრამ რობერტი სულ სხვა დონეა.

შევჩერდი.

– შენ ხომ ასეთი დაკუნთული ხარ ...

მან მხოლოდ თავი დამიქნია, თითქოს პასუხის გაცემა მის ძალებს აღემატებოდა.

რობერტმა დარბაზის ბოლოდან დამიძახა და ხელი დამიქნია თავისი კაბინიდან. ნაკლები თავდაჯერებულობით მივუახლოვდი, ვიდრე დარბაზში შემოსვლამდე მქონდა.

– აწონას ვაპირებდი, - ჩავიბურტყუნე მე.

მას ჩემი წონა არ აინტერესებდა. რობერტს სურდა გაეგო, რამდენად ძლიერი ვიყავი.

– პირსახოცი მოიტანეთ? - მკითხა მან.

– არა, - ვუპასუხე მე და განვუმარტე, რომ ვარჯიშისას არ ვოფლიანდებოდი. ახლა რომ მახსენდება, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, რომ იშვიათად ვვარჯიშობდი.

გამხდარი მსუქანა

ზუსტად არ მახსოვს, როგორ წარიმართა ეს დამამცირებელი პროცესი, მაგრამ ვეცდები ყველაფერი გავიხსენო. ვიმედოვნებდი, რომ დავალებების შესრულება ცალკე ოთახში მომიწევდა, მაგრამ მწვრთნელი დარბაზის ცენტრისკენ წამიძღვა. როცა იმ ადგილს მივაღწიეთ, სადაც შიშველი იატაკი იყო, რობერტმა დამავალა, გამეკეთებინა ათი აზიდვა.

ვიცოდი, რომ იატაკიდან აზიდვებს გულისხმობდა, თუმცა არ ვიყავი დარწმუნებული, კერძოდ, რა სახის სურდა.

– თქვენ გულისმობთ ქალურ სტილს, მუხლებზე დგომით, არა?

– არა, ჩვეულებრივს, - გულგრილად მიპასუხა მან, პლანშეტის დაფა ასწია და ფანქარი მუქარით შემართა.

იატაკზე დავწექი და ათი საცოდავი, აკანკალებული, ჩამოუყალიბებელი აზიდვა გავაკეთე. რობერტმა ამოსუნთქვის საშუალებაც არ მომცა და „ყოჩაღ, ლიზა“ ან მსგავსი გამხნევების გარეშე მიბრძანა: – ახლა ოცდახუთი ხტომა ტაშით.

პანიკამ მომიცვა. ვიცოდი, რომ ასეთი ხტომები ადვილი იყო, მაგრამ დამავიწყდა, როგორ უნდა გამეკეთებინა.

– მაღლა ხელები ერთმანეთს უნდა შევახო? – ვკითხე მე.

რობერტმა არაფერი მიპასუხა.

გავაკეთე ის, რაც ჩემი აზრით იყო ხტომა ტაშით. როცა მოუქნელად დავხტოდი, შევამჩნიე, რომ სხვა მოვარჯიშეთა ყურადღება მივიქციე. ჩემი ვაჟებიც კი თავს აქნევდნენ და სიცილით კვდებოდნენ, როცა შემომხედავდნენ.

– კიდევ გააკეთე ათი აზიდვა, – მითხრა რობერტმა.

სუნთქვაშეკრულმა დროის გასაყვანად ვიკითხე: – ამჯერად აზიდვებს გულისხმობთ, ხტუნვას თუ სხვა რამეს?

– აზიდვებს, – მიპასუხა მან.

იატაკზე დავწექი, მაგრამ ამ ჯერზე საქმე უფრო ცუდად იყო. მკლავები მიკანკალებდა და საცოდავი სანახავი ვიყავი. მეც შეძლებისდაგვარად ვწევდი მუცელს ზევით-ქვევით.

რობერტმა კომენტარი დაინანა:

– კიდევ ოცდახუთი ხტომა ტაშით.

ამჯერად მინდოდა ყველაფერი სწორად გამეკეთებინა და ისევ ვიკითხე:

– ხელები ერთმანეთს უნდა შეეხოს ზევით აწევისას? – ჩემს ხმაში საოცარი დაძაბულობა იგრძნობოდა.

– ამას მნიშვნელობა არ აქვს ... განაგრძეთ, – მიბრძანა მან.

სამაგიეროდ, ეს ჩემთვის იყო მნიშვნელოვანი! მნიშ-ვნელოვანი იყო ჩემი ბიჭებისთვის, რომლებიც დარცხვენილები და მობუზულები იდგნენ, სანამ მათი დედა მთელი ფიტნეს კლუბის თვალწინ აფლავებდა ხტომას ტაშით.

თურმე ეს ჩემი აგონიის დასაწყისი ყოფილა. მალე სხვა ხალხმრავალ ადგილზე გადამიყვანეს, სადაც სკამზე მჯდარს ფეხები უნდა ამეწია. ამის გაკეთება ვიცოდი.

ჩარჩოს დავეყრდენი და მითითებებს დაველოდე.

– თხუთმეტი აწევა მინდა.

ფეხებს წელამდე ვწევდი და ვფიქრობდი, რომ ჩემი სხე-ულის ფორმები აღტაცების ღირსი იყო.

– არა, ასე არა, – ბრძანა რობერტმა, – მინდა ფეხები გაჭიმოთ ... და აი, ამ სიმაღლეზე ასწიოთ. მან ხელი ჩემი წე-ლის დონეზე მაღლა გააჩერა.

ფეხების ქნევა დავიწყე რაც შეიძლება მაღლა, მაგრამ მის ხელს მაინც ვერ მივწვდი.

– უფრო მაღლა, – გამამხნევა მან.

ნუთუ ეს ხუმრობა იყო? თხუთმეტი? ერთის გაკეთებასაც ვერ ვახერხებდი. მხოლოდ რამდენჯერმე შევეხე მის ხელს ... კარგი, ერთხელაც ვერ მოვახერხე, მაგრამ მგონი ხელს ყოველ ჯერზე მაღლა სწევდა!

მგონი, შემდეგი ვარჯიში ჰანტელების აწევა იყო, მაგრამ აქ უკვე მეხსიერებაში ყველაფერი ამერია.

სკამზე დავჯექი, სანამ რობერტი ჰანტელების წყვილს შეარჩევდა. იგი დაახლოებით კილონახევრიანი ჰანტელებით დაბრუნდა. გავიღიმე. ამჯერად კი გავაკვირვებდი ჩემი ძალით.

– რობერტ, ჩვეულებრივ ექვსკილოიან ჰანტელებს ვწევ, – ავუხსენი მე.

– მოდი, ჯერ ამით დავიწყოთ, – მომიგო მან.

ჩემი ოფლიანი, აკანკალებული ხელებით ჰანტელები ავიღე.

– აი, ასე ასწიეთ.

თავი დავუქნიე. ჰანტელები ადვილად ავიტაცე.

– ასე არა. აი, ასე, – მითხრა მან და ჩემი მკლავი სხვაგვარად დაიჭირა.

– ამ სიმაღლემდე ასწიეთ და დაწიეთ.

რაღაც რიგზე ვერ იყო. ჰანტელების აწევა რამდენიმე სან-ტიმეტრით ძლივს შევძელი! ალბათ, აზიდვების ბრალი იყო, რომ ხელები აღარ მემორჩილებოდა. მკლავები ცოტათი დაბლა დავწიე და ისევ ვცადე, მაგრამ ოთხიოდე სანტიმეტრზე მაღლა აწევა ვერ შევძელი. ელდანაცემმა შევხედე რობერტს, მაგრამ

იგი უკვე შეტრიალდა ნაკლებად მძიმე ჰანტელების ასარჩევად. ეს გახლდათ ყველაზე მსუბუქი ჰანტელები კლუბის აღჭურვილობიდან. ეს როგორ მოხდა?

– გულწრფელად გეუბნებით, რომ ექვსკილოიან ჰანტელებს ვწევ, ზოგჯერ შვიდიანსაც, – ენის ბორძიკით წარმოვთქვი.

– არასწორად სწევთ, – დაასკვნა მან.

როცა აგონიას ბოლო მოეღო, რობერტმა უკან, თავისი კაბინისკენ წამიყვანა. ფილტვები ქშინავდა, ფეხები მიკანკალებდა, ხოლო სარა კონორად წარმოდგენილი ჩემი სახება სრულიად გაქარწყლდა!

ფიზიკური დატვირთვის ვერც ერთი დავალება ვერ შევასრულე.

რობერტმა საზეიმოდ დაიწყო ცხრილის შევსება. მკითხა წონის შესახებ და ციფრები ჩაიწერა. დაინტერესდა, რაიმე ფიზიკური დაზიანება ხომ არ მქონდა და ფურცელზე უსქესო ფიგურასთან აღნიშვნა გააკეთა. ავუხსენი, რომ დაშავებული მქონდა მარცხენა მუხლი და მარჯვენა მხარი. ყველაფერი ჩაინიშნა. შემდეგ ჩემი შეურიგებელი მტერი, ხელის მოწყობილობა გადმომცა, რომელიც *ნინტენდოს* მართვის პულტივით უმანკოდ გამოიყურებოდა.

– ეს თქვენს წინ ორივე ხელით დაიჭირეთ, – მიმითითა რობერტმა. – იგი ელექტროდენს სხეულში გაგზავნის და ზუსტად განსაზღვრავს ცხიმის პროცენტულ მაჩვენებელს.

მან ჩამრთველ ღილაკს ხელი დააჭირა და მცირე პაუზის შემდეგ ეკრანზე ციფრები გამოჩნდა. მე მაინცდამაინც არ გამკვირვებია, მაგრამ რობერტს ელდა ეცა ჩემი საკმაოდ მაღალი ცხიმის შემცველობის დანახვაზე.

– შეიძლება სწორად არ მეჭირა, – გამოვთქვი მოსაზრება.

პროცესი გავიმეორეთ და ცხიმის შემცველობამ როგორღაც ერთი პროცენტით მაღლა აიწია.

– იქნებ გაფუჭდა ან გაუწყლოება დამემართა.

ამ დროს კაბინაში ალეკი შემოვიდა. – შეიძლება ვცადო? – მკითხა მან.

ბუმ! მისი მაჩვენებელი სულ რაღაც 5.2 პროცენტი გახლდათ.

– დედა, შენი რამდენია?

არ ვუპასუხე და ვანიშნე კაბინიდან გასულიყო.

რობერტმა თავი გადააქნია, ქაღალდის ფურცელი გამოაძრო, რომელზეც ორი სურათი იყო. მათზე განივად გადაჭრილი ხორცის ნაჭრები ეხატა. ერთი მჭლე იყო, მეორე – არა. მე ვიყავი „არა“ ფურცელი.

– თქვენ ხართ ის, რასაც მოფერებით „გამხდარ მსუქანას“ ვეძახით, – თქვა მან.

შევშფოთდი და მაშინვე გავაპროტესტე. ვუთხარი, რომ აქტიური და ძალზე დაკავებული პიროვნება გახლდით. არ ვაპირებდი ამ დარბაზის პლასტიკატის სკამზე მშვიდად ვმჯდარიყავი და მომეთმინა, როგორ მომაკრავდნენ უქნარას იარლიყს

რობერტი მცოდნე იერით მიკრავდა თავს.

– აქტიური რომ ხართ და სულ დადიხართ, სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ არ ჭამთ საკმარის პროტეინებს, რათა სხეული მისთვის საჭირო საკვებით უზრუნველყოთ. თქვნი ორგანიზმი ენერგიის მისაღებად კუნთებს წვავს და არა ცხიმს.

ჩემი განცვიფრება რომ შენიშნა, განაგრძო: – ეს მწვადის ჭამას ჰგავს. თქვენ რას აკეთებთ? ცხიმს აცლით და ჭამთ ხორცს. თქვენი სხეულიც ასე იქცევა. იგი ჭამს ხორცს, რომელიც არის თქვენი კუნთი და როცა კუნთს კარგავთ, ძალასაც კარგავთ. კუნთების დასაბრუნებლად ერთადერთი გზა გახლავთ გულმოდგინე ვარჯიში.

მან ჩემს მტკივნეულ ადგილზე კიდევ ერთი დარტყმა მომაყენა, როცა ჩემზე გაცილებით მასიურ ქალებზე მიმითითა და მითხრა, რომ ნებისმიერი ადამიანის აზრით, ამ ქალებს ცხიმის მაღალი პროცენტული შემცველობა ექნებოდათ, მაგრამ ჩემი ცხიმი მათზე გაცილებით მეტი იყო! მან ასევე განმარტა, რომ ჩემი ცხიმის უმეტესობა (აი, აქ კი მართლაც გული ჩამწყდა!) მუცელსა და თეძოებზე არ მოდიოდა, არამედ მკლავებზე!

სამწუხაროა, რომ ადგილი, რომელიც ყველაზე დაკუნთულად მიმაჩნდა, ყველაზე სუსტი წერტილი აღმოჩნდა!

ყოველგვარი სახება სარა კონორსა და ჩვენს ერთობლივ აზიდვებზე უგზო-უკვლოდ გაქრა. ახლა ჩემს წინაშე რეალური არჩევანი იდგა. მინდოდა, კვლავ გამეგრძელებინა ცხიმების წვა და ჩემი პოტენციური ძლიერება თანდათან დამეკნინებინა? კმაყოფილი ვიყავი „გამხდარი მსუქანას“ ან „ყალბი კუნთიანის“ განსაზღვრებებით თუ ნამდვილი ძლიერების მოპოვება მსურდა? ასეთ შეცბუნებულ მდგომარეობაში მყოფმა გადავწყვიტე ძლიერი ვყოფილიყავი! ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, ტანსაცმელში როგორ გამოვიყურებოდი, რადგან გამხდარი მსუქანა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებდა. უფრო სისუსტეების დადგენა და სხეულის მოწყვლადი ადგილების ენერგიისა და ძალის წყაროდ გადაქცევა მინდოდა.

წონის დაკლება არ მჭირდებოდა. მე ძალის მატება მსურდა.

გავაცნობიერე, რომ მარტო წონა ჩემი აგებულების ზუს-

ტი განსაზღვრისთვის არ გამოდგებოდა. რისგან ვიყავი შედგენილი? როცა დაწოლა მოვიდოდა, გამოცდას გავუძლებდი? მოკლე მანძილზე გარბენა შემეძლო, თუ გზა სწორი იყო, მაგრამ მანძილისა და დაბრკოლებების დამატების შემთხვევაში წასული იყო ჩემი საქმე. რატომ? იმიტომ, რომ მეტისმეტად სუსტი ვიყავი დამატებითი დაწოლის ასატანად.

მხოლოდ მცირე წონის საგნების აწევა შემეძლო შეზღუდული პოზიციიდან. სწორედ ამიტომ ვერ ავწიე ჰანტელები, როცა რობერტმა ხელები განსხვავებულ მდგომარეობაში დამაჭერინა. ძალამ მიმტყუნა, როცა მან გამოაცალკევა კუნთების შედარებით სუსტი ჯგუფი, რომელზეც ნაკლები დატვირთვა მოდიოდა.

ჩემი დამოკიდებულება ისე შეიცვალა, რომ ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ, სავარჯიშოდ წასვლის სწრაფვასთან ბრძოლა მიხდება. ფიტნეს კლუბში იმიტომ წავედი, რომ ჩემი წრთობა დაედასტურებინათ და არა იმიტომ, რომ სუსტი ეწოდებინათ. არ მომეწონა მოსმენილი. და მაინც, რა მშვენიერია ჭეშმარიტების ცოდნა და მისთვის საშუალების მიცემა, რომ ჩემს ცხოვრებაში გზა გაიკვლიოს და ჩემი სუსტი ადგილები გაამაგროს! ახლა ჩემს რაღაც ნაწილს სურს ჩემი სისუსტის ამოცნობა, რომ აღმოვაჩინო, როგორ გავხდე ძლიერი.

ჩემით არ შემიძლია ამ სფეროების პოვნა. მწვრთნელი მესაჭიროება, რაც ხარჯებსა და ბევრ ტკივილს ნიშნავს.

ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ

ამ შეხვედრის შემდეგ დავინტერესდი, რამდენი ჩვენგანია გამხდარი მსუქანა – არა ფიზიკურად, არამედ სულიერად. მშვენივრად გამოვიყურებით, მაგრამ თუ ჩვენს ცხოვრებას სიმძიმე დაემატება, ატანა აღარ შეგვიძლია. შედარებით იოლად დავდივართ ბრტყელ ზედაპირზე, რომელიც მოხერხებული სავალია. თუმცა ცხოვრება სარბენი ბილიკი როდია, რომ მისი მართვა შეძლო. ჩვენ ღმერთთან ერთად ვადგავართ გზას და ვგრძნობ უსწორმასწორობისა და სიჩქარის მატებას.

რატომ გიზიარებთ ამ ყველაფერს? იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ქრისტეს სხეულმა სრული სასიკეთო გარდაქმნა და უძლეველი აღმავლობა უნდა განიცადოს. ეს მხოლოდ ჩემი იდეა არ გახლავთ. ღმერთმა თქვა:

> „აღსდექ და გალეწე, სიონის ასულო, რადგან შენს რქებს რკინად გადავაქცევ და შენს ჩლიქებს – სპილენძად“ (მიქ. 4:13)

ღვთის ასულებს დედამიწაზე თან უნდა ახლდეთ ძლიერება. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც უძლეველობა იგრძენი? ალბათ, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, როცა პატარა გოგონა დარბოდი და თამაშობდი. ბნელში არ უნდა იმალებოდე და თავის გადარჩენას არ უნდა ცდილობდე. შენ სინათლისა და იმედის მომტანი უნდა იყო. უძლეველი, დაუმარცხებელი და ურყევი სიონის ასული უნდა იყო. ახლაც კი ჩამესმის, „აღსდექ, ასულო, ფეხზე მყარად დადექი! ღმერთს სურს შენი უძლეველობა.“

ძალზე ხშირად არ ვავითარებთ სულიერ ძალას ლეწვისა და წრთობის ჟამს. მიქას წიგნის მე-4 თავი გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რას ნიშნავს სიმძიმეების აწევით ვარჯიში:

> „ბაბილონამდე მიხვალ და იქ გადარჩები, იქ გიხსნის შენ უფალი მტრების ხელიდან. ახლა კი, შეიკრიბა შენს წინააღმდეგ მრავალი ერი და ამბობენ - ‘დაე წაიბილწოსო იგი და უმზერდნენ თვალნი ჩვენნი სიონს!’ არ იცოდნენ ზრახვანი უფლისა და ვერ მიხვდნენ მის ჩანაფიქრს, რადგან კალოზე ჩაფანტული ხორბალივით შეიკრიბნენ ისინი“ (10-12 მუხლები)

მომწონს ამ მონაკვეთის დაპირება. როცა დაცემული ხარ და მტრები მოსაკლავად გიახლოვდებიან, უფალი მოქმედებს და გაწრთობს როგორც ოქროს. ღმერთი სიძნელეებს კატალიზატორად იყენებს, რომ მისი ხალხი გაწმინდოს, დაამშვენოს და სიცოცხლისუნარიანი გახადოს.

ზოგჯერ, როცა მედია და ცალკეული პიროვნებები ქრისტიანებს აკრიტიკებენ, ჭეშმარიტების მარცვალი არის მათ ნათქვამში. კრიტიკა თავმდაბლობით უნდა მივიღოთ და შევაფასოთ, რომ გავიგოთ, რა არის მასში მართალი. თუ ვინმე ამბობს, რომ უხეშები ვართ, განვიკითხავთ ან სიყვარული გვაკლია, მაშინვე არ უნდა უარვყოთ ეს მოსაზრებები, არამედ საკუთარ თავს ღვთის სიტყვის სინათლეზე შევხედოთ. საკუთარი თავი უნდა შევამოწმოთ და საჭიროების შემთხვევაში, ბოდიშიც უნდა მოვიხადოთ.

გარდა ამისა, არსებობს ჩვენი მტრის, ეშმაკის ცილისწამებები. ზოგჯერ მისი შემოტევები სრული სიცრუეა, როგორც მაგალითად, ჩვენი უფლის გმობა. სხვა შემთხვევაში მისი შეტევები ბოროტებაა. მაგალითად, ღვთის შვილებისადმი უფლის უარყოფის მოთხოვნა სიკვდილის მუქარით (აქ წარმოიდგინეთ ინკვიზიცია). ასეთი თავდასხმები განხილვას არ ექვემდებარება, არამედ ჭეშმარიტების აღიარებით და ღვთის ერთგულებით უნდა იქნას ძლეული. ამის თვალსაჩინო მაგალითს ვხედავთ გამოცხადების წიგნში:

> „გაიმარჯვეს მასზე კრავის სისხლით და მათი მოწმობის სიტყვით და არ შეიყვარეს თავიანთი სულები თვით სიკვდილამდე“ (12:11)

როცა მიქ. 4:13-ს ვკითხულობდი, თითქოს ღვთის ყვირილი ჩამესმა, „საკმარისია! გეგონა, რომ ჩემი ხალხი გაანადგურე, მაგრამ ასე არ არის. პირიქით, შენ მოამზადე ისინი!“ ისრაელი ჩვენთვის ნიმუშია. როცა ისრაელიანები სწორ გზას ცდებოდნენ, მტრები აღდგებოდნენ მათ წინააღმდეგ ძალმომრეობით და ეს სირთულე მათ ცხოვრებას წმენდდა. როცა მტრები წარმოიდგენდნენ, რომ გაიმარჯვეს, ღმერთი წარმოაჩენდა თავის ერს – განახლებულსა და ძლევამოსილს.

საქმიანობით მოტყუებულნი

როგორ უნდა შევუდგეთ ძალის გამომუშავებას? ვიწყებთ ერთობლივი და ინდივიდუალური მდგომარეობის შეფასებით. ტერმინი *„გამხდარი მსუქანა“* მეტისმეტად კეთილად ჟღერს ჩვენი მწვრთნელის, იესოს სიტყვებთან შედარებით. გსმენიათ მისი შეფასების შესახებ გამოცხადების წიგნიდან? შვიდიდან მხოლოდ ორმა ეკლესიამ გაიარა მისი მკაცრი გამოცდა ძლიერებაზე. აქ მოყვანილია იმ ორი ეკლესიის შეფასება, რომლებმაც გამოცდა ვერ გაიარეს:

> *„ვიცი შენი საქმენი, რომ გაქვს სახელი, თითქოს ცოცხალი იყო, შენ კი მკვდარი ხარ. იფხიზლე და განამტკიცე დანარჩენები, სიკვდილთან ახლოს მყოფნი, ვინაიდან ვერ დავინახე, რომ შენი საქმეე-*

ბი სრულყოფილი იყოს ჩემი ღვთის წინაშე. გაიხსენე, როგორ მიიღე და მოისმინე. დაიცავი და მოინანიე“ გამოცხ. 3:1-3;

ისევე როგორც ყველა ჩემმა ფიზიკურმა აქტივობამ კუნთების ძალა შეამცირა გაზრდის ნაცვლად, ასევე მოჩვენებითი სულიერი საქმიანობა სულიერ ძალას არ ზრდის. მას ჩვენი ყურადღება გადააქვს და ღვთის საქმეს გვწყვეტს. იესო ისევ აფასებს ეკლესიის განვითარებას:

„ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ და არც ცხელი. ო, ნეტავ ან ცივი იყო ან ცხელი! მაგრამ რაკი ნელთბილი ხარ შენ, არც ცივი და არც ცხელი, ამოგანთხევ ჩემი პირიდან. ვინაიდან შენ ამბობ: მე მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლიაო. ის კი არ იცი, რომ უბედური ხარ და საცოდავი, ღატაკი, ბრმა და შიშველი“ (გამოცხ. 3:15-17)

ეს რა არის? ღმერთი მკვდარს უწოდებს ცოცხალ ადამიანებს, ხოლო ღატაკს და შიშველს – მდიდრებს? ორივე კატეგორიის ხალხს საკუთარი თავის დანახვა მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეეძლო: თუ იესო თავისი გამოცხადებით გააოგნებდა მათ და ჭეშმარიტ მდგომარეობას დაანახებდა. რატომ არის ჩვენი მწყემსი ღმერთი ასეთი ... უხეში? იგი თავად პასუხობს ამ შეკითხვას:

„ვინც მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი. აბა, ეშურე და მოინანიე“ (გამოცხ. 3:19)

ღმერთი გულწრფელია ჩვენი სულიერი მდგომარეობის თაობაზე, რადგან ვუყვარვართ. იგი გვწვრთნის, რომ მაქსიმალურად მაღალი დონის ცხოვრებით ვიცხოვროთ. ამ გარდაქმნის მისაღწევად იესო გამაოგნებელ სიმართლეს იყენებს, რომ სწორი მოქმედებისთვის აღგვძრას. საჭირო არ არის, რომ მის გაფრთხილებას სირცხვილით, დანაშაულის გრძნობით, მსჯავრდადებით გამოვეხმაუროთ. ამის ნაცვლად, გავაცნობიეროთ სად ვდგავართ, შემოვბრუნდეთ და მტკიცედ მივყვეთ უფალს.

ტვირთის გაწონასწორება

ზემოთ ვახსენე, რომ მარცხენა მხარი და მუხლი მტკიოდა. ჩემი შეფასებისას მივხვდი მიზეზს. სხეულის ეს ნაწილები დატვირთული იყო, რადგან ყოველთვის, როცა ვმგზავრობდი, ჩანთებს სხეულის მარცხენა მხარეს ვატარებდი. დასვენებამ მხარს და მუხლს განკურნების საშუალება მისცა, ხოლო ვარჯიშის წყალობით მარცხენა მხარე გაძლიერდა. ჩანთებისა და კომპიუტერის ორივე მხარეს ტარებით ჩემმა სხეულმა წონასწორობა აღიდგინა. რამდენი ჩვენგანია სულიერად დაზიანებული ტვირთის თრევით ან მისი მხოლოდ ერთ მხარეს ტარებით? ეს არა მარტო მამაკაცებისა და ქალების ანუ ქრისტეში ორივე მხარის საჭიროებას ასახავს ტვირთის სატარებლად, არამედ გვაჩვენებს, თუ როგორ უნდა გავაძლიეროთ მთელი ჩვენი პიროვნება – სული, მშვინვა და სხეული. დროა, შევწყვიტოთ ძველი ტკივილების გამო თავის შებრალება და ქრისტეში სიარული განვაგრძოთ.

144-ე ფსალმუნში ღმერთი მშვენიერ სურათს გვიხატავს, თუ როგორია მისი ძეებისა და ასულების მიერ ტვირთის ტარება და თანაბრად განაწილება სულიერი თვალსაზრისით.

> „ჩვენი ძენი ნერგებივით იზრდებოდნენ მათს სიჭაბუკეში; ჩვენი ასულნი, ვითარცა სასახლის ოსტატურად თლილი სვეტები“ (მუხლი 12)

The New Living Translation ასე ამბობს, „დაე, ჩემი ძეები აყვავდნენ თავიანთ სიჭაბუკეში“. იფიქრეთ ამაზე: ძეების თაობა, რომელიც ყვავის. ეს ნიშნავს ზრდას, წარმატებას და ზოგჯერ ღვთის სიკეთეებით ტრაბახსაც კი, სანამ ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. რამხელა სხვაობაა იმასთან, რის მოლოდინსაც ვართ ჩვეული: მამაკაცები მოზარდობასა და ოციან წლებში თავიანთი ახალგაზრდობის ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას უმოწყალოდ ფლანგავენ.

აქ ასულები სვეტებს არიან შედარებული. მოვიძიე სვეტის მნიშვნელობა ლექსიკონებში და აღმოვაჩინე, რომ მას აქვს ორი ძირითადი გამოყენება: პირველი აღნიშნავს *მხარდაჭერის* სისტემას, როგორიცაა პოსტი, ანძა, საყრდენი, ღერძი. *სვეტის* მეორე ძირითადი მნიშვნელობა გახლავთ „წინამძღოლი“. ამ არსებითი სახელის გასწვრივ ასევე ვიპოვე ყველა ზემოჩამოთვლილი სიტყვა.

დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ამ მონაკვეთში მის სახლის არქიტექტურულ სურათს გვიჩვენებს. ვართ ის ქალები, რომლებსაც დეკორაციაზე მეტი ფუნქცია ენიჭებათ? მზად ვართ ღვთის სახლის სახურავის დასაჭერად?

ეს უკან გვაბრუნებს საჭირო ძალისა და წვრთნის მიღების საჭიროებასთან დასახული მიზნის მისაღწევად.

> *ირბინეთ ისე, რომ გაიმარჯვოთ. ყველა კარგი სპორტსმენი თავდაუზოგავად ვარჯიშობს.* ისინი ამას ოქროს მედლის მოსაპოვებლად აკეთებენ, რომელსაც თანადათან ეკარგება ბრწყინვალება. თქვენ დარბიხართ იმისთვის, რომ მარადისობის ოქრო მოიპოვოთ.
>
> „არ ვიცი თქვენ როგორ იქცევით, მაგრამ მე მთელი მონდომებით გავრბივარ ფინიშის ხაზის გადასაკვეთად. ამისთვის ყველა ღონეს ვხმარობ, რაც გამაჩნია. გულგრილობა და სიზარმაცე საჩემო საქმე არ არის! ვფხიზლობ და ყოველთვის მზად ვარ. არ ვაპირებ მთვლემარე მდგომარეობაში აღმოჩენას, როცა სხვებს ყველაფერს ვეუბნები და ამავდროულად, საკუთარ თავს ვღუპავ“ (1 კორ. 9:24-27; თარგმანი ბიბლიიდან Message).

ადრინდელი შეზღუდვების გვერდზე გადადება

კარგი სპორტსმენი არასოდეს ვყოფილვარ. მოცურავეთა გუნდში იმიტომ ვირიცხებოდი, რომ მიყვარდა წყალი, ლაზანია და ღამეების თევა, თუმცა არასოდეს მიცდია გამარჯვების მოპოვება. მხოლოდ იმიტომ ვცურავდი, რომ ფინიშამდე მიმეღწია. მესამე ან მეოთხე ადგილით ვკმაყოფილდებოდი. უბრალოდ, არ მინდოდა მაჩანჩალა ვყოფილიყავი. ისე მეზიზღებოდა ცურვის შეჯიბრებები, რომ ყოველი ასეთი ღონისძიების წინ ცუდად ვხდებოდი. საჭირო მობილიზებისთვის საკუთარ თავს ვეუბნებოდი, *უბრალოდ, მაგრად გაცურე შეჯიბრებისთვის. როცა ყველაფერი დასრულდება, ისევ მეგობრებთან დაბრუნდები.*

სამწუხაროა, რომ არასოდეს გამიცნობიერებია, როგორ ვჭირდებოდი ჩემს გუნდს. მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი – ჩემს შიშებზე, ენთუზიაზმის ნაკლებობაზე. არ მაღელვებდა

თანაგუნდელები და არც წინსვლა მინდოდა. არასოდეს მქონია გამარჯვების იმედი და არც მომიგია. ჩემს გუნდს არაფერში ვადგებოდი. მე ვიყავი მათ მიერ აღებული ვალდებულება. წარსულს რომ გადავხედავ, ვფიქრობ, მოგების უფრო მეშინოდა, ვიდრე წაგების. თუ უფრო მეტად მოვინდომებდი, ასევე უნდა გამეგრძელებინა, მე კი ამის საფასურის გადახდა არ მინდოდა. ვშიშობდი, რომ ყველაფრის გაღების შემთხვევაშიც თუ ვერ მივაღწევდი მიზანს, ძალიან მტკივნეული იქნებოდა. ამიტომ ჩემი ძალისხმევის 70-80 პროცენტს გავცემდი, მეტს არა. არ ვიცი, რატომ გავაკეთე მაშინ ასეთი არჩევანი, მაგრამ ახლა დანამდვილებით ვიცი, რომ აპათია ჩემთვის მიუღებელია, განსაკუთრებით კი – სულიერი აპათია.

როცა გამოვიღვიძე იმ ფაქტისთვის თვალის გასასწორებლად, რომ ჩემი ცხოვრება მხოლოდ ჩემს ირგვლივ არ ტრიალებს, დავიწყე ადრინდელ შეზღუდვებზე გადაბიჯება და მათი მოშორება.

თუ გინდათ ძუ ლომივით წამოდგომა, თქვენც ასე უნდა მოიქცეთ. შესაძლოა პირველი მცდელობები არცთუ წარმატებული აღმოჩნდეს, მაგრამ ესეც სწავლის პროცესია. არავის ვიცნობ, ვინც პირველივე ჯერზე ყველაფერს სრულყოფილად აკეთებს.

2 პეტრ. 3:1,7 ამბობს (*Message* თარგმანი):

> „თქვენი გონება მოიყვანეთ მზადყოფნაში, ყურადღების გაუფანტავად, ... ღმერთი მზად არის, რომ ისევ ილაპარაკოს მისი სიტყვა, მზად არის სიგნალის მოსაცემად“

ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენ გევალებათ გულისყურის გამოჩენა. ყოველი დღისთვის მოცემული გაქვთ ძალა არჩევანის გასაკეთებლად – იყოთ მობილიზებული და ორიენტირებული ან გონებადაფანტული და მოდუნებული. ახლა უდიდესი სიფხიზლის ჟამია, რადგან ჩვენი უფალი მზად არის. მას სურს სიმართლედ აქციოს ის, რაც არასწორია ამ ქვეყანაზე. იგი შემართულია, საბრძოლო მზადყოფნაშია და გამარჯვებაში დარწმუნებულია. როცა ჩვენი უზენაესი ღმერთი ნიშანს მოგცემს, მზად იქნები, რომ ძუ ლომივით წამოდგე, იყო ძლიერი, მოქნილი და ნახტომისთვის შემართული?

ნება მიეცი სულიწმიდას, რომ შენი ძალა ღვთის სიტყვის ფონზე შეაფასოს. განსაცდელები წვრთნის გაკვეთილებად

აქციე და იცოდე, რომ იქედან უძლეველი წარმოდგები. ნება მიეცი ღვთის სიტყვას და სულიწმიდის გამოჩარხვასა და წვრთნას, რომ შენი ცხოვრების სუსტი ან დაზიანებული ადგილები გააცოცხლოს და განავითაროს. თვალი მოაშორე შენს სხეულს, თუ როგორ გამოიყურები ამა თუ იმ სამოსელში და ყურადღება შენს შინაგან პიროვნებაზე გადაიტანე, თუ რას წარმოადგენ სულიერ სფეროში. გარდა ამისა, ნუ შეგეშინდება საკუთარი ძალის. ძუ ლომის მსგავსად განადიდე ღმერთი ამით. გახსოვდეს, როცა მთელი დედამიწა შიშით იქნება სავსე და მოინდომებს იმის გაგებას, თუ რა ხდება, ცისა და მიწის ღმერთი და ყოველი ქმნილების შემოქმედი მისი შემაძრწუნებელი საოცრების წარმოსაჩენად მოგიწოდებს შენი ცხოვრების მეშვეობით.

გწამს ეს? რა არის შენში რაიმე საკვირველის შთამაგონებელი? შეგიძლია „მოისმინო“ გულისყურით? იცი როგორი სტრატეგია შეიმუშაო? ხარ უნარიანი და კრეატიული? ხარ დედა ან მასწავლებელი? შეგიძლია სემინარის დაგეგმვა ან ოჯახის ნგრევის თავიდან აცილება? შეგიძლია არეულ-დარეული ოთახისგან მშვენიერი რამ გამოიყვანო? თუ ის სუფთა ფურცელი ხარ, რომელიც დასაწერად მზად არის?

ვერც ერთი ჩვენგანი ვერ მიაღწევს სრულყოფას, სანამ არ გავაცნობიერებთ ჩვენს ადგილს, რომ შეგვიძლია მრავალს მივანიჭოთ ძალა. საყვარელო, ძუ ლომო დებო, ჩვენ გვჭირდება თქვენი უშიშარი ძლიერება. ის მართლაც საოცრად მშვენიერია.

5

ძალა მსახურებისთვისაა

„ყოველი ჩვენგანი უნდა
ემსახურებოდეს თავის მოყვასს
სასიკეთო აღშენებისთვის და
საკუთარ თავს ეკითხებოდეს,
„რით შემიძლია დავეხმარო?“
რომ. 15:2

ლომების სამყარო სავსეა ენერგიული სიმშვიდით, რასაც იშვიათად თუ დავინახავთ, სანამ ველურ ბუნებაში არ აღმოვჩნდებით. ეს მაშინ გამახსენდა, როცა დოკუმენტურ ფილმს ვუყურებდი სამხრეთ აფრიკის რეგიონში კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველების შემოყვანასა და გამრავლებაზე. პროგრამის დასაწყისში ავტორმა ზოგადად გადმოსცა ლომების ორი ჯგუფის ამბავი იმ დროისთვის, როცა ისინი ნაკრძალში მოიყვანეს. პირველი ჯგუფი შედგებოდა ორი ახალგაზრდა ძუ და ერთი ხვადი ლომისგან.

სამივე ლომი ცხოვრობდა პატარა, შემოფარგლულ ტერიტორიაზე, რომელიც დროებით უკავშირდებოდა ნაკრძალის ირგვლივ შემოვლებულ ელექტროსადენიან მესერს. ზედამხედველებმა მასზე პატარა ხვრელი გააკეთეს, საიდანაც ლომებს უზარმაზარი, უცნობი და გამოუკვლეველი მიწა თავისკენ იზიდავდა. მოულოდნელი ღიობით გამოჩენით დამფრთხალი ლომების ტრიო გაურკვევლობაში აღმოჩნდა. მათ არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ.

ზედამხედველებმა წინასწარ გათვალეს ეს რეაქცია და სტრატეგია შეიმუშავეს, თუ როგორ წაეხალისებინათ ახალგაზრდა ლომები ახლად აღმოჩენილ ტერიტორიაზე გადასასვლელად. მათ გადაწყვიტეს, არ გამოეკვებათ ისინი შვიდი დღის განმავლობაში. მცველები ვარაუდობდნენ, რომ შიმშილი მათ ტყვეობისგან განთავისუფლებასა და ახალ საბინადრო ტერიტორიაზე ნადავლის საშოვნელად წასვლას აიძულებდა.

ინტერესით ვადევნებდი თვალყურს, თუ როგორ გადმოიღეს მცველებმა მოზრდილი მამალი ანტილოპას სხეული თავიანთი მანქანის საბარგულიდან და პატარა მოღობილის ახლოს, მაგრამ ლომების „ახალი სახლის“ ფარგლებში მოათავსეს. ლომები დაძაბული იყურებოდნენ და თავები მაღლა აწიეს, როცა ცხოველის სუნმა მათი ყნოსვა გააღიზიანა.

ეს ახალგაზრდა ლომები მშივრები იყვნენ, მაგრამ სიფრთხილე არ აკლდათ. ხვადი ლომი აფრიკული ხშირი ბუჩქებით დაფარულ უსაფრთხო არეალს არ სცილდებოდა. ვუყურებდი, როგორ უახლოვდებოდნენ ძუ ლომები ღიობს და თან უნდობლად მიმოდიოდნენ წინ და უკან. თითქოს ისინი საზღვრებს ადგენდნენ იქამდე, სადაც ერთ დროს ელექტრომესერი იდგა. მათ ერთობლივად შეიყნოსეს ჰაერი, დაყნოსეს მიწა და მესრის მონაკვეთიდან უკან დაიხიეს იმისთვის, რომ ისევ დაბრუნებულიყვნენ და ღიობის წინ გაჩერებულიყვნენ. როგორც მივხვდი, ლომები ამოწმებდნენ, რა მოხდებოდა. რატომ გაჩნდა ეს ღიობი ასე მოულოდნელად? აქ რაიმე ხრიკი ხომ არ იმალებოდა?

ბოლოს ერთმა ლომმა მასში გაძვრომა გადაწყვიტა. შიმშილმა ყოყმანს აჯობა. მან თამამად გადალახა საზღვარი და დაკლულ ანტილოპას მიუახლოვდა. ნახევარი გზა რომ გაიარა, თავის დას გამოხედა, თითქოს იწვევდა, რომ მესერის მეორე მხარეს შეერთებოდა. მეორე ძუ ლომი მცირე ხნით ზღურბლთან შეჩერდა და შემდეგ თავის დას დაეწია. ორივე გარს უვლიდა ანტილოპას და ყნოსავდა იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ხვადი ლომი ისევ უკან დარჩა. ვუყურებდი, როგორ გაუბედავად გაუსინჯეს ცხოველს გემო ძუ ლომებმა.

ნანადირევი კარგი იყო, ხორცი – ახალი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ნადიმი გაემართათ, ლომებმა საკვირველი რამ ჩაიდინეს. პირი ჩაავლეს ანტილოპას ყელსა და ფეხში და ორივემ ერთად გადაათრიეს ღიობს იქით, რომ ხვად ლომსაც შეძლებოდა მათთან ერთად ჭამა. ლომების მოქმედებამ დამაფიქრა. მომეწონა, რომ გაუბედავი ლომი უყურადღებოდ არ დატოვეს და არ მოინდომეს მის გარეშე პირის ჩატკბარუნება.

მშვენიერია, როცა ქალებმა იციან, როგორ მოახერხონ ეს.

ᲒᲝᲠᲫᲘᲙᲘᲗ ᲛᲐᲕᲐᲚᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

მივცემთ თუ არა ჩვენი ძუ ლომი დების კეთილშობილურ მაგალითს ჩვენი განსწავლისა და მოქმედებების, ურთიერთო-

ბებისა და გამოხმაურებების შთაგონების ნებას? ვიქნებით იმ კატეგორიის ქალები, რომლებიც დროს და ძალისხმევას არ დაიშურებენ ღვთის მიერ მისი ასულების წინაშე ახლად გახსნილ სივრცეებზე აღმოჩენილი სიკეთის მოსატანად?

დიახ, მესმის, რომ უკან დაბრუნება და სხვების ლოდინი თქვენს წინსვლას აფერხებს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სიკეთის, სიუხვის და სიბრძნის ნებსით განაწილება, საბოლოოდ, წარმატების მომტანია. როცა ღმერთი ახალ სიცოცხლეს თავისუფლებას შთაბერავს თავის ხალხს, ზოგი ამას სიხარულით და მოლოდინით იღებს, სხვები ყოყმანობენ და ელოდებიან, რა მოხდება. არიან მოწინააღმდეგეებიც.

ვიმედოვნებ და ვლოცულობ, რომ ღვთის ყველა ასული აღდგეს და შეაბიჯოს ღვთისგან გამზადებულ თავისუფლებასა და დანიშნულებაში. უფრო ძლიერები, თავისუფლები ან ჭეშმარიტებაში დაფუძნებულები უკან დაბრუნდებიან და გაამხნევებენ ზღურბლთან დაყოვნებულებს.

მომწონს, თუ როგორ არის ეს გამოხატული რომაელთა მიმართ წერილის მე-15 თავში.

> „ყოველმა ჩვენგანმა, ვინც ძლიერი და რწმენით სავსეა, უნდა გადადგას ნაბიჯი და ხელი შეაშველოს დაეჭვებულებს და არ აკეთოს ის, რაც მხოლოდ მისთვის არის სასარგებლო. *ძლიერება მსახურებისთვისაა და არა სტატუსისთვის*“ (*Message*, მუხლები 1-2).

ძლიერებსა და უნარიანებს ევალებათ ნაბიჯის გადადგმა და მათი დახმარება, ვინც ბორძიკობს, ხელის შეშველება მათთვის, ვინც ყოყმანობს, მერყეობს ან სუსტია გადაწყვეტილების მისაღებად. მომწონს ამ პროცესის განვითარებაზე დაკვირვება. რამდენი ახალგაზრდა თუ ხანდაზმული ქალია, რომლებიც გრძნობენ, რომ მათში რაღაც უფრო დიდი დევს. მათ წინსვლა სურთ და იპყრობენ მათ გარშემო არსებულ სივრცეს. ისინი ზღურბლთან დგანან და გაჰყურებენ გამოუკვლეველ სფეროებს, სადაც მათ ღმერთი ეპატიჟება მათი ყოყმანის მიუხედავად.

არცთუ დიდი ხნის წინ შეკრების შემდეგ ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდა გოგონა მომიახლოვდა. ღვთისგან ჩადებული ოცნება იმდენად დიდი იყო მასში, რომ ჩვენმა შემთხვევითმა შეხვედრამ არც დრო და არც საშუალება არ მისცა შინაგანი ჭიდილის გამოსახატავად. ამრიგად, იგი სახლში წავიდა და ინ-

ტერნეტით ეპიკური ნაწარმოების ზომის წერილი გამომიგზავნა, სადაც მისი გრძნობები სრულად გადმოსცა. შემდეგში ამის გამო ძალიან დაირცხვინა, რაც სრულიად ზედმეტი იყო. როცა წერილი წავიკითხე, კარგად მივხვდი, რა აშფოთებდა. გამიკვირდა, თუ როგორ ეხმიანებოდა მისი სიტყვები ჩემს საკუთარ განცდებს, როცა ცვლილებების მსგავს პერიოდს გავდიოდი და ასეც ვუთხარი.

ზოგჯერ საკმარია, ვიცოდეთ, რომ სხვებმა ჩვენამდე გადალახეს ხიდი და მეორე მხარეს უსაფრთხოდ გადავიდნენ. ზოგჯერ წაბორძიკებულებს უკვე მეორე მხარეს მყოფი დის ერთი გამოხედვაც ჰყოფნით. ეს გამოხედვა საკმარისია შემდეგი აზრის მისაწოდებლად, „ეი, დაო! მე უკვე აქ ვარ და ეს არა მარტო ნათელია, არამედ ... ძალიან კარგიცაა!“

ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲖᲘᲓᲕᲐ

სხვა ქალებს ყოყმანი უშლით ხელს. სულ უფრო მეტი ქალი პოულობს ღვთისგან მისთვის გამზადებულ თავისუფლებას, მაგრამ ზოგიერთები ბორძიკით მიდიან რელიგიის მძიმე ტვირთქვეშ. მხოლოდ ბოლო ათწლეულში მიეცათ ქალებს სხვადასხვა სქესის ადამიანებთან ლაპარაკის უფლება. ბევრი ქალი და ეკლესია ჯერ კიდევ ვერ იღებს ამგვარ თავისუფლებას. ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც.

უშიშრად ველაპარაკებოდი ღვთის ასულებს, მაგრამ საკმარისი იყო მსმენელთა ჯგუფს რამდენიმე მამაკაცი შემატებოდა, რომ პირდაპირი მნიშვნელობით, ცივი ოფლი მასხამდა. შეცდომის დაშვების შიშით ანერვიულებული სრულიად ვიბნეოდი, სანამ ერთ დილას მასპინძელმა მწყემსმა და ერთმა ჩემმა უშიშარმა მეგობარმა არ შემაჩერეს:

– რატომ არ იქცევი იგივენაირად მამაკაცების წინაშე ლაპარაკისას, როგორც ქალების წინაშე გამოდიხარ? – გამომიწვიეს მათ.

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი ... – გულწრფელად ვაღიარე.

– კარგი, შეგიძლია რამე იღონო? ეს ყოყმანი როგორმე უნდა მოგაშლევინოთ!

ამ სიტყვებმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. მჯერა, რომ ჯანსაღი ეკლესიის შენარჩუნებისთვის ორივე სქესის ხმა არის საჭირო. ჩემი დაბნეულობა ამ რწმენას ასამარებდა! არ შემეძლო ხმის ამაღლება მთელი ძალით. ფაქტობრივად, კაცების

წინაშე ბოდიშს ვიხდიდი, არა წმ. წერილთან დაკავშირებით, არამედ ჩემი სქესის გამო. როცა ჩემს ნაკლზე მიმითითეს, ამის დაძლევა გადავწყვიტე.

ისევ ვამჯობინებ ქალებთან ლაპარაკს, მაგრამ თუ მამაკაცების წინაშე გამოსვლას მთხოვენ, თავის დაცვას აღარ ვიწყებ. საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ თუკი მამაკაცი ლაპარაკს გთხოვს, მას სურს მთელი არსებით უპასუხო. დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილი მეგობრების გარემოცვაში იმყოფები, როცა გამხნევებენ, გისწორებენ და შემდეგ წაგახალისებენ. სამწუხაროდ, ზოგჯერ სრულიად საპირისპირო არის ჭეშმარიტება.

> „ნაცვლად იმისა, რომ ღვთის რჯული საკვებად და სასმელად მიაწოდონ ადამიანებს, რომ მათ ღვთის ნადიმზე გაიხარონ, ისინი მას წესების გროვაში ფუთავენ და სასაპალნე ცხოველების ტვირთს ადებენ ხალხს. როგორც ჩანს, სიამოვნებას იღებენ იმით, რომ მძიმე ტვირთქვეშ ოხრავთ და არც კი მოიფიქრებენ, რომ თითი მაინც წაგაშველონ“ (*Message* მათ. 23:4).

იესოს დროინდელ წინამძოლებს მოსწონდათ, როცა ხედავდნენ წესებით დამძიმებულ ადამიანებს. როგორ ფიქრობთ, ასე რატომ იქცეოდნენ? ჩემი აზრით, ისინი მაღლდებოდნენ ანუ სხვებზე აღმატებული ჩანდნენ, როცა მათივე შექმნილი წესების ტვირთქვეშ გატანჯულ ადამიანებს ხედავდნენ. ეს მათ თვითკმაყოფილებას და თითქოსდა, ღმერთთან სიახლოვეს ანიჭებდა.

ზემომოყვანილი მონაკვეთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ღვთის რჯული საკვები უნდა იყოს და არა ტვირთი. საკვები ადამიანს ძალას მატებს, ხოლო ჯაფა – აცლის. ჩვენ მოწოდებული ვართ, ვიყოთ ღვთის წარმომადგენლები ყველაფერში, რასაც იგი აკეთებს და რასაც ადამიანებს სთავაზობს როგორც დღესასწაულს, რომელიც ყველამ უნდა დააგემოვნოს. სხვებს ღვთის სიკეთის სიუხვიდან უნდა მოვემსახუროთ. ზოგჯერ ეს რელიგიური ტვირთის მოცილებას მოითხოვს, რომელიც ღვთის ძეებსა და ასულებს დააკისრეს.

შესაძლოა ფიქრობთ, *თქვენ გულისხმობთ, რომ შემიძლია მსახურება თუ მარტოხელა კაცი ან ქალი ვარ?* დიახ! მოისრო-

ლეთ ეს სიმძიმე, რომელიც გეუბნებათ, რომ ქრისტეს სხეულის მსახურებისთვის აუცილებელია დაოჯახებული იყოთ. პავლე არ იყო დაქორწინებული. მოდით ამოვალაგოთ ჩემოდანი, რომელიც გეუბნებათ, რომ ქალებს მხოლოდ ბავშვები უნდა მიანდოთ და არა ზრდასრულები. (განა არ უნდა გვაღელვებდეს, თუ ვინ შრომობს ჩვენს შვილებთან?) არ უნდა გადავაგდოთ ჩანთა, რომელიც ჩვენს სრულყოფას მოითხოვს, სანამ ღვთის აღთქმებზე ლაპარაკის უფლებას მოგვცემდეს? სრულყოფილი არავინაა და ამ პრეტენზიის დაჟინება ჩვენს ირგვლივ სამყაროს კიდევ უფრო საზიზღარს გახდის. არ გვჭირდება გარეგნული ფასადები. მოდით, ყველამ ვაღიაროთ ჩვენი შეცდომები, მათგან ვისწავლოთ და წისნვლა გავაგრძელოთ იესოს განდიდებით.

გვსურს თუ არა ჩვენი თავისუფლების გამოყენება იმ ტვირთის გადასაგდებად, რომელიც რელიგიამ სხვებს დააკისრა? როცა ღმერთი რაიმე სიახლისკენ მოგვიწოდებს, ვთქვათ, ახალი სფეროს ათვისებას ან ახალი ნიადაგის დამუშავებას, მაშინვე ბორძიკსა და ყოყმანს ვიწყებთ. ეკლესიამ საკმაოდ წაიწია წინ ბოლო ათწლეულის განმავლობაში და ეს შესანიშნავია, მაგრამ ყველა ერთნაირი სიჩქარით ვერ მოდის. და მაინც, ღმერთი მოქმედებს და აღებს აქამდე დაკეტილ კარებს, წყურვილს წარმოქმნის ადამიანთა გულებში, რომ მათ შეძლონ სხვადასხვაგვარი შიშების გადალახვა.

ამას წინათ წერილი მივიღე ერთი ქალისგან, რომელმაც ჩემი სწავლება მოისმინა, რომ მიძღვნილ და ცხებულ ქალებს შეუძლიათ და უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება ღვთის სახლში. თავდაპირველად, ამ მოსაზრებამ ქალი დააფრთხო, რადგან გააცამტვერა ყველაფერი, რაც აქამდე იცოდა. იგი ჩემმა ნათქვამმა დააბნია და შეაწუხა. გავიდა დრო. იგი სწავლობდა და ლოცულობდა. ღმერთმა დაუმოწმა ჩემი სწავლების სიმართლე და იგივე კარი გააღო მის წინაშე. ამ დროისთვის მან გააცნობიერა, რომ წინააღმდეგობა, რომელიც ჩემი მოსმენისას წარმოექმნა გულში, ღვთისგან იყო. შინაგანი უხერხულობა ამ საკითხზე მასთან ღვთის საუბრის შედეგი გახლდათ. სიტყვები, რომლებიც წლების წინ წარმოვთქვი, ამ ქალის ცხოვრებაში ჩაითესა და მხოლოდ ახლა გამოიღო ნაყოფი.

ვალდებული ვართ ვილაპარაკოთ ჭეშმარიტება სიყვარულში და ვიცხოვროთ ისე, რომ სხვებსაც მოუნდეთ ჩვენი თანამგზავრობა. სუსტსა და მშიერს არ მივატოვებთ, როცა ფხიზლად ვართ.

ეზეკ. 19:2 ასეთ კითხვას სვამს: „რა იყო დედაშენი? ძუ ლომი ლომებს შორის!“
როცა ეს მუხლი პირველად წავიკითხე, ვიფიქრე, *ნეტავ რას ნიშნავს?* უფრო ღრმად რომ ჩავწვდომოდი, მე-19 თავის კონტექსტს დავაკვირდი. იგი გვიხატავს ძუ ლომის სურათს, რომელიც ორ ბოკვერს ზრდის ძლიერ ლომებად. ვიფიქრე, *კარგი იქნება ვისწავლო, როგორ ვიყო ძუ ლომი ლომებს შორის*! ვის არ უნდა იყოს ქალი, რომლის სიცოცხლეს და არჩევანს აქვს ძლიერი ასულებისა და ძეების გამოზრდის ძალა? მაქვს პატივი, მიღებული ვიყო მრავალი ქალის სამყაროში, მაგრამ მინდა სარგებელი მოვუტანო იმ მამაკაცებსაც, რომელთა შორის ვცხოვრობ. მინდა წამოვწიო შეშინებული, სუსტი ან პრობლემასთან შეჭიდებული. და იცით რა? თქვენც შეგიძლიათ ეს. ღმერთმა თავის ასულებში ჩააქსოვა სხვების წამოწევის სურვილი.

იმედი უიმედოსთვის

ზოგჯერ წაბორძიკებულისთვის ხელის გაწოდება იმედის ჩასახვასავით მარტივია. ამას წინათ *Life Outreach*-თან ერთად კამბოჯაში მოგზაურობისას ქუჩებში დავდიოდი ღამით და ვცდილობდი გამოვლაპარაკებოდი პროსტიტუციაში ჩართულ გოგონებს. როგორც კი მივუახლოვდებოდი ამ ღამით მოხეტიალე ასულებს, მათ ჩემგან იცავდნენ და დამცინავ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ასეთი ზიზღნარევი დამოკიდებულება არაერთხელ განმეორდა, როცა კი რომელიმე მათგანთან ან ჯგუფთან მივიდოდი. ისინი ჩემს კითხვებზე მხოლოდ ერთი სიტყვით მპასუხობდნენ და ერთმანეთში ბრიყვულად იცინოდნენ. დარწმუნებული ვარ, აინტერესებდათ, რა უნდოდა მათგან თეთრკანიან, შუა ხნის ამერიკელ ქალს. შემდეგ, როცა საუბარი დაიწყებოდა, მათ თავიანთი ოცნებების შესახებ ვეკითხებოდი.

– რა გინდა ცხოვრებაში? ვინ გინდა რომ იყო ან რა გინდა, რომ აკეთო?

ასეთ დროს მათი სახეები გარდაიქმნებოდა ოცნებაში მოპატიჟების გამო და იმედი ესახებოდათ, რომ მათი ცხოვრება შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო. ნუთუ კოშმარულ ცხოვრებაში ვიღაც მართლა ეკითხებოდა მათ ოცნებების შესახებ? უცებ მომაყრიდნენ პასუხებს იმდენად სწრაფად, რამდენადაც ჩემს თარჯიმანს შეეძლო თარგმნა.

– მე მინდა ვარცხნილობები ვაკეთო!

– მე საკუთარი რესტორანი მინდა.

– ჩემი ფარდული მინდა მქონდეს ბაზარში, სადაც ლამაზ ნივთებს გავყიდი.

– მე მინდა ნებისმიერი საქმე, სადაც ადამიანები ზევიდან არ გადმომხედავენ.

– მინდა საკმარისი თანხა მქონდეს, რომ ნაწილი ჩემს ოჯახს გავუგზავნო.

გოგონები აღარ ჩერდებოდნენ. ავიწყებოდათ სხეულის მაცდური პოზის მიღება და რამდენიმე წუთით ახალგაზრდა მოზარდ გოგონებს ემსგავსებოდნენ, როგორებიც იყვნენ კიდეც.

ამ გოგონებმა იცოდნენ, რა სურდათ, თუ მათი გალიის კარი გაიღებოდა! როცა შესაძლებელი იყო, დახმარებას ვთავაზობდით ტყვეობიდან თავის დაღწევაში და რამდენიმემ კიდეც მიიღო ჩვენი შეთავაზება. მხოლოდ ისინი შეძლებდნენ წინსვლას, რომლებიც თავიანთ სირცხვილს გადააბიჯებდნენ. ბევრი მათგანი მსჯავრდადების და სირცხვილის გრძნობის ტყვე იყო, ისევე როგორც თავიანთი სუტენიორებისა.

ასეთ სავალალო მდგომარეობაში ყოფნისას ოცნება და იმის ცოდნა, რა გინდა იყო, საკმარისი არ არის. ხშირ შემთხვევაში ასეთ მახეში მომწყვდეულები და დამარცხებულები თავის თავში იკეტებიან, თუნდაც კარი ფართოდ გაიღოს. გარდა დახმარებისა, რომ ამ გოგონებს შეძლებოდათ პროსტიტუციისგან თავის დაღწევა, ჩვენ სიკეთე შეგვქონდა მათ ჩაკეტილ სამყაროში. მათ იესოს წარვუდგენდით. ვუბნებოდით, რომ იესო მათ მხარეს იყო და ერთადერთ ჭეშმარიტ იმედს წარმოადგენდა სასოწარკვეთილი ადამიანებისთვის.

შემოუშვებდნენ თუ არა გულებსა და ცხოვრებაში, მათზე იყო დამოკიდებული. მე და თქვენ შეგვიძლია სხვებთან ერთად ვიაროთ და გავამხნევოთ ისინი წინსვლისთვის, მაგრამ საბოლოო არჩევანი მათ ეკუთვნით.

ძუ ლომის ჭეშმარიტება

მოდით, დავუბრუნდეთ დოკუმენტურ ფილმში ნანახ ძუ ლომებს, რომლებიც თავის დასაწყისში ვახსენე. რატომ მოუტანეს ლომს დაკლული ცხოველი? რა თქმა უნდა, მათ სხვა არჩევანიც ჰქონდათ. მოუხერხებელი იყო დიდი ზომის ანტილოპას გადათრევა უკან ღიობში, რომ ხვად ლომსაც ენადიმა მათთან ერთად. უფრო ხელსაყრელი იქნებოდა თავად შეეჭამათ და ნარჩენები ლომისთვისაც დაეტოვებინათ, როცა

თავშესაფრიდან გამოსვლას ინებებდა. შესაძლებელი იყო ანტილოპას შეჭმა და ლომისთვის მხოლოდ ნარჩენების მოტანა. უფრო ადვილი იქნებოდა მისი ნაწილის გადათრევა, ვიდრე მთლიანი ცხოველისა. მათი ქცევა ჩვენთვის მოულოდნელია ჯუნგლების კანონის გათვალისწინებით. თუ ცხოველთა სამეფო გადარჩენაზეა დაფუძნებული, რატომ გამოიჩინეს ძუ ლომებმა ესოდენი გულუხვობა? გარდა ამისა, საკვების მშიერი ლომისთვის განაწილებით მათ ხომ ნაკლები დარჩებოდათ.

შესაძლოა, ძუ ლომებმა იცოდნენ ისეთი რამ, რაც ჩვენ გადაგვავიწყდა. მართალია, ისინი ახალგაზრდა და უმწიფარი ცხოველები იყვნენ, მაგრამ ინსტინქტურად ხვდებოდნენ, რომ მათი ბოკვერების გადარჩენა, საბოლოოდ, იმას უკავშირდებოდა, რა დამოკიდებულება ექნებოდათ ხვად ლომთან. მათ არჩიეს ისე მოქცევა, რომ ლომს გახსენებოდა მომავალი სიძლიერისას. ისინი პატივს მიაგებდნენ ძლიერ მამრს, როგორიც ის აუცილებლად გახდებოდა ერთ დღეს და ყურადღება არ მიაქციეს მის ახლანდელ მალვას ბუჩქებში. დადგებოდა დღე, როცა იგი ზრდასრულ და უშიშარ ასაკს მიაღწევდა. იგი გაიხსენებდა, როგორ გამოკვებეს ძუ ლომებმა, როცა ნორჩი და მეტისმეტად შეშინებული იყო მისი კუთვნილის ფლობისთვის. მას ეცოდინებოდა, რომ ძუ ლომების ნდობა და მათთან ერთად ცხოვრების შენება შესაძლებელი იყო. ძუ ლომების ინსტინქტი პრაიდს შეინარჩუნებდა და თან ხვადის კეთილგანწყობასაც დაიმსახურებდნენ.

რამდენ ჩვენგანს აქვს იგივე დამოკიდებულება?

უფრო მეტიც, მაქვს მე ასეთივე დამოკიდებულება? ან იქნებ ნაკლებად კეთილშობილური გადარჩენის პოზიცია ავირჩიე? ასე ხომ არ ფიქრობთ: „ეჰ, რა ცუდია მანდ, უკან. აქ მართლაც დიდებული სიტუაციაა. ღმერთი თავის ასულებს დღესასწაულს უმზადებს. თუ ჩვენთან ერთად ყოფნა არ გინდათ და თავშესაფარში გირჩევნიათ, თქვენი ნებაა!“?

ბრძნული იქნება, თუ ერთ ჭეშმარიტებას გავაცნობიერებთ: *აქ ნაკლების მიღება არ ნიშნავს ნაკლების ქონას სამომავლოდ*. პატივის მიგება არცერთ ენაზე არ არის გაუგებარი.

ძალა მსახურებისთვის მოგვეცა და არა საზოგადოებრივი სტატუსისთვის (იხილეთ რომ.15:2). საინტერესოა, რამდენ ტანჯვას აიცილებდა მსოფლიო ერთიანად, ყველას რომ სცოდნოდა და გაეთავისებინა ხსენებული პრინციპი. რა იქნებოდა, გვცოდნოდა, რომ ჩვენი ძალა სუსტის, შეშინებულის ან მორიდებულის მომსახურებაშია? ყველაფერი რიგზე იქნებოდა!

დარწმუნებული ვარ, ყველას გვინდა სიცოცხლის დასასრულს მოვისმინოთ იესოს ნათქვამი: „კარგი, კეთილო და ერთგულო მონა“.

ᲬᲐᲛᲝᲓᲔᲥᲘ ᲐᲚᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სიტყვა *მსახურებას* მრავალმხრივი გამოყენება აქვს. იგი არის როგორც ზმნა, ისე არსებითი სახელი. ზმნა „მსახურება“ ნიშნავს „შეკეთებას, შემოწმებას, მომართვას და გასინჯვას“. იესომ დიდი „მსახურება“ გასწია მსხვერპლშეწირვით და წმიდა ღმერთის წინაშე წარდგომის ღირსი გაგვხადა. იგი დაიმტვრა, რომ ჩვენ შევკეთებულიყავით. *მსახურება* არსებითი სახელის ფორმით ნიშნავს „ცერემონიას, რიტუალს ან მღვდელმსახურების საიდუმლოს“. ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ეკლესიის *მსახურების* მიზანია ღვთის და ერთმანეთის მსახურების სწავლა. მეტისმეტად ბევრი ქრისტიანი იკრიბება მცდარი მოლოდინებით. ისინი მოდიან იმის მოსასმენად, თუ როგორ მოემსახურება მათ ღმერთი. ნაცვლად ამისა, მოდით, შევიკრიბოთ წაბორძიკებულთა დასახმარებლად ჩვენი შენობის შიგნით და საწმიდარის გარეთ.

თავისუფლების, კეთილგანწყობის და ჩვენს წინაშე გადახსნილი ახალი შესაძლებლობების დაპიარებით წინ წავიწიოთ ღვთიურ საქმეში, რომ არც ერთი ჩვენგანი არ დაეცეს უკან. მომწონს ეს დავალება:

> „წინამძღოლებო, ნუ წარმოვიდგენთ თავს იმად, რაც არ ვართ. ჩვენ ქრისტეს მსახურები ვართ და არა ბატონები. ჩვენ დაყენებული ვართ ღვთის უმაღლეს საიდუმლოებებში ხალხის შესაყვანად და არავის დავუდგენივართ ამ საიდუმლოებათა მცველებად. კარგ წინამძღოლს მოეთხოვება სანდოობა და სწორი ცოდნა“ (1 კორ. 4:1-2, თარგმანი *Message*).

ჩვენ წინამძღოლები უნდა ვიყოთ და არა უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები. სხვები უნდა მოვიპატიჟოთ სასუფეველში და არავინ დავტოვოთ ღვთის საიდუმლოს მიღმა. ამასთან გვევალება ვიყოთ სწორი ცოდნის მქონე სანდო წინამძღოლები. მოდით, დავრწმუნდეთ, რომ ღვთის მიერ ჩვენს წინაშე გაღებულ კართან საკმარისად დავყოვნდით საიმისოდ,

რომ უკან დაცემული თანამოძმე წამოუყენებელი არ დაგვრჩენოდა.

თქვენ, როგორც უზენაესი ღვთის ასულს გმართებთ იყოთ მოწყალე და კეთილშობილი ადამიანების მიმართ. ღვთიური სიცოცხლეს თავისუფლება მოაქვს, ხოლო რჯული ამძიმებს. გათავისუფლებული ხართ „თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ“ მიდგომისგან და ქრისტიანობისკენ შემობრუნებული. მიუხედავად ამისა, ქრისტეს სხეულში ბევრია ნაწილობრივ ბრმა და უკბილო.

არ დაგავიწყდეთ, ვინ ხართ – ძლიერი, დიდებული, უშიშარი, ენერგიული, დამცველი, მშვიდი და უშფოთველი. ღმერთმა არაერთხელ შეადარა თავისი სამეფო შვილები ძუ და ხვად ლომებს.

> „ჩაიმუხლა, მიწვა ხვადი ლომივით და ძუ ლომივით, ვინ წამოაგდებს მას?“ (რიცხვნ. 24:9)

თუ დაივიწყებთ თქვენს ენერგიულ და უშიშარ ბუნებას, ყველა, ვინც თქვენი დაცვის და წინამძღოლობის იმედად არის, რისკის ქვეშ აღმოჩნდება. ქრისტეს სხეული კეთილშობილი, ძლიერი მცველებისგან შედგება, რომლებიც გამოფხიზლებული არიან იმის გაცნობიერებით, რომ ღმერთმა დიდი სივრცე გახსნა ჩვენს წინ.

ძვირფასო დებო, ძუ ლომებო და მეგობრებო ...

> „ვერ აღვწერ, როგორ ველოდები თქვენს შესვლას ამ ფართო, ვრცელ სიცოცხლეში. ჩვენ არ გბოჭავთ თქვენ. შებოჭილობა, რომელსაც განიცდით, თქვენი შინაგანიდან მოდის. თქვენი სიცოცხლე პატარა როდია, მაგრამ ისე ცხოვრობთ, თითქოს პატარა იყოს. როგორადაც შემიძლია მარტივად გიხსნიით ამას და თან დიდი სიყვარულით. გახსენით თქვენი ცხოვრება. იცხოვრეთ ღიად და უხვად!“ (2 კორ. 6:11-13 თარგმანი *Message*).

გაიგონეთ? მოწოდებული ვართ ღვთის ველურ, ფართოდ გაღებულ სივრცეებში სანავარდოდ. ეს გახლავთ უხვი ცხოვრების შემოთავაზება აქ და ახლა. საჭირო არ არის ზეცაში მოხვედრა, რომ იხილოთ ზეციური ძალის მოქმედება დედამიწაზე. ღმერთი არაფერში გეღობებათ.

ძუ ლომებმა ვერ გაბედეს თავიანთი საცხოვრებელი არეალის დატოვება, სანამ შიმშილმა არ აჯობა უსაფრთხოების შენარჩუნების სურვილს. ზუსტად ასევე გვზღუდავს და გვაბრკოლებს ხედვის ანუ შიმშილის ნაკლებობა, რომ შევაბიჯოთ ველურ ტერიტორიებზე. გამბედაობას ვიჩენთ ან ტყვეობაში ვრჩებით იქედან გამომდინარე, თუ რა წარმოდგენა გვაქვს საკუთარ თავზე, ჩვენს სამყაროსა და ღმერთზე. ჩვენი შემოფარგლული სამყაროს მიღმა ყველაფერი გვაშინებს, თუ მას ბნელ, საფრთხის მომცველ ადგილად აღვიქვამთ.

გაახილეთ თვალები და გაიხსენეთ, ვინ ხართ – ოქროს სასანთლე, რომელსაც აქვს წყვდიადის გაფანტვის უნარი, სადაც კი წავა. „*თქვენში მყოფი სული გაცილებით ძლიერია ნებისმიერ ქვეყნიურ საგანზე*“ (1 იოან. 4:4). შედარებაც კი არ შეიძლება. თქვენში მყოფი სულიწმიდა *აღემატება* ნებისმიერ წინააღმდეგობას, რომელიც კი შეიძლება დაგიპირისპირდეთ ამ ქვეყნიერებაზე! ეს უზენაესი ღმერთია, ვინც თქვენ მოგიწოდებთ. მან თავისი ძე ჯვარცმისთვის გასწირა, რომ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადაეყვანეთ და ქვეყნიური ვიწრო არსებობიდან სიფართოვეში გეცხოვრათ. სანამ პირველად ამოისუნთქავდით, მან უკვე გაამზადა თქვენი ტყვეობიდან გამოხსნის გზა. უფალმა არჩია შეეზღუდა თავი და ჩვენი პატარა, ჩაკეტილი არსებობა განეცადა, რომ მისი ვრცელი სამეფოს თავისუფლებას ზიარებოდით.

ახლაც კი მოგვიწოდებს თითოეულ ჩვენგანს, „გადმოაბიჯე და შემოდი!“

6
იგივე მისით

„ყოველთვის, როცა ქალს
ვათავისუფლებთ, მამაკაციც
თავისუფლდება“.
– მარგარეტ მიდი

ლომების სამყაროში სქესთა არევა არ ხდება. ლომები არ ცდილობენ ძუ ლომებად გახდომას და ძუ ლომები ხვადობას არ იჩემებენ. არც ერთი სქესის წარმომადგენელს არ სურს ერთმანეთის ფუნქციის გადაღება ან მეორის მოვალეობის შესრულებაში გაჯიბრება. ისინი თავს მოხერხებულად გრძნობენ თავიანთ ტყავში და შესაბამისი სქესის განსაკუთრებული ძალით ზეიმობენ. გარდა რიგითი ხვადი და ძუ ლომებისა, პრაიდში არიან ბელადი ხვადი და ძუ ლომები. ამ სტატუსის უპირატესობის ამოქმედება, როგორც წესი, ჭამისას ხდება.

ლომები კატისებრთა ოჯახის ერთადერთი წარმომადგენლები არიან, რომლებიც შესამჩნევად და ერთი შეხედვით წარმოაჩენენ სქესთა შორის განსხვავებას, რაც ცნობილია სქესობრივი დიმორფიზმის სახელით. მარტივად რომ ვთქვათ, მათ სქესს არაერთი ინდიკატორი განსაზღვრავს.

ხვადებს ყელს უფარავს დიდი ფაფარი და გარს ევლება მათ სახეს. ფაფარი გამოკვეთს წინამძღოლი ლომის გამორჩეულ და განსაკუთრებულ როლს პრაიდში და შიშისმომგვრელ შესახედაობას ანიჭებს აფრიკულ სავანებში. ძუ ლომს ფაფარი არ აქვს. მისი თითქოსდა ერთიანი ტყავი და ერთფეროვანი ბეწვი ნადავლთან უხილავად მიპარვის საშუალებას იძლევა. ფაფრის სიმძიმისგან თავისუფალ ძუს შეუძლია მიყვეს პრაიდს და დიდი მანძილი დაუღალავად დაფაროს.

ჯანსაღმა ხვადმა და ძუ ლომებმა იციან, რომ ერთმანეთი სჭირდებათ. მათ არც კი წარმოუდგენიათ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება. მათ სამყაროში ერთის ძლიერება მეორისაზე ნაკლები როდია. ხვადი ლომი იცავს, ძუ ლომი კი უზრუნველყოფს. ეს მნიშვნელოვანი თანაფარდობა ნიშნავს, რომ ჯანსაღი, ძლიერი ბელადი ლომები არც კი ცდილობენ ძლიერი ძუ ლომების გარეშე ცხოვრებას. ლომების სამყაროში ხვადები იბრძვიან ძუ ლომთა გუნდის მოსაპოვებლად და ამით მათ ჯგუფში შესაღწევად. რისთვის არის საჭირო ეს? ტერიტორიას აკონტროლებენ ნათესავი ძუ ლომები და არა ხვადები. ხვადი ლომების კოალიცია, რომელიც პრაიდს სათავეში უდგას, ყოველ ორ-სამ წელიწადში იცვლება, მაგრამ ძუ ლომები იგივე რჩებიან.

წინამძღოლმა ხვადებმა იციან, რომ აყვავებისთვის (და არა უბრალო არსებობისთვის) ძუ ლომების თვალში მათი ძლიერების აღიარება უნდა მოახერხონ. პრაიდის საცხოვრებელ არეალში შთამომავლობის შესანარჩუნებლად მას ძლიერი და უნარიანი ძუ ლომების დახმარება სჭირდება. იგი გარს არ შემოიკრებს სუსტსა და უმოქმედოებს, რომ მათი დამორჩილება არ გაუჭირდეს. იგი ეძებს ძუ ლომების განსაკუთრებულ, თანამშრომლობის უნარის მქონე გუნდს.

ხვადი მიესალმება ძუ ლომების ძლიერებას და გამიზნულად ირჩევს ისეთებს, რომლებმაც უკვე წარმოაჩინეს თავიანთი თავი, შეუძლიათ ბოკვერებზე ზრუნვა და ტერიტორიის დაცვა-გაფართოება. იგი დაეძებს ძლიერებს და იცის, რომ საბოლოო ჯამში, ასეთი ძუ ლომები უკეთ უზრუნველყოფენ პრაიდს და კარგად გაწვრთნიან ბოკვერებს. (ამის გამო ხვადი ლომები სულაც არ არიან კარგი აღმზრდელები). კიდევ ერთი სარგებელი ის გახლავთ, რომ ჯანმრთელი და ძლიერი ძუ ლომები ადვილად ნაყოფიერდებიან, რაც დაწყვილებისა და ძლიერი შთამომავლობის წარმოქმნის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

ძუ ლომი არ შეწყვილდება თუ შიშობს, რომ ბოკვერებს ვერ უზრუნველყოფს ან სათანადოდ ვერ დაიცავს. სწორედ ამის გამო ძუ ლომი ცდილობს უფრო ახლოს იყოს ძლიერ წინამძღოლ ლომთან ვიდრე სუსტებთან. პრაიდის ბელადმა ლომმა ან ლომებმა (უფრო მეტად ისინი ერთმანეთის მონათესავე ძმები არიან) უნდა დაიმსახურონ უზრუნველყოფით სიამოვნების, ძლიერებისა და ძუ ლომების მიერ მოტანილი ნადავლით კვების უფლება. ამგვარი პრივილეგიის მოპოვება შესაძლებელია ლომების ჯგუფებს შორის ღია დაპირისპირებით ძლიერების გამოსავლენად.

შეჯიბრება სრულდება, როცა სუსტი ლომები გაიქცევიან ძლიერებისგან დამფრთხალნი. ზოგჯერ ალფა (მთავარი) ლომი კლავს თავის მოწინააღმდეგეს. თუ სუსტი ლომი გადარჩება, მას აძევებენ ოჯახიდან და პრაიდის ტერიტორიიდან, რაც ნიშნავს, რომ იგი პირველადი ნადირობის საშუალებას კარგავს. მან სხვა ძუ ლომების პრაიდი უნდა მოძებნოს ან ნარჩენებით დაკმაყოფილდეს.

ძუ ლომები ამ სცენას შორიდან უყურებენ. მათ სურთ, რომ ბოკვერების მამა ყველაზე ძლიერი ლომი გახდეს და პრაიდი შემოტევებისა და ცუდი მოპყრობისგან დაიცვას. ზოგჯერ ისინი ლომებს აქეზებენ კიდევაც ერთმანეთის წინააღმდეგ, რომ უძლიერესი გამოვლინდეს და შემდეგ გამარჯვებულს იღებენ. ტერიტორიის ფლობით ლომი ამტკიცებს, რომ მასში კარგი გენების ერთობლიობაა და სავარაუდოდ, გადაურჩება ველური ბუნების მკაცრ პირობებს.

როცა ბატონობა დადგენილია, ძუ ლომების ერთგულებაც გარანტირებულია. პრაიდში დარჩენილი ხვადები შეიძლება თავიდან მოიშორონ. მთავარი ლომი მათ გარეშეც იოლად გავა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დათმობს თავის გოგოებს – იმის გამო კი არა, რომ ისინი გასამრავლებლად სჭირდება. ძუ ლომები არიან საკვებით მომმარაგებლები და ხვადის საზოგადოება. რაც უფრო ძლიერ და გასაოცარ ძუ ლომების ჯგუფს შემოიკრებს, მით უფრო ძლიერი და დაცულია ხვადი ლომი, მხეცების ეს დიდებული მეფე.

ბატონობის და ჩაგვრის არავითარი საჭიროება არ არსებობს, როცა შენს ირგვლივ მყოფებმა იციან, რომ ყველაფერს გააკეთებ მათ დასაცავად, რაც შენს ძალას არ აღემატება. ლომის ძლიერება ძუ ლომებისა და ბოკვერების დაცულობას ნიშნავს. მხოლოდ ისინი ცდილობენ სხვებზე გაბატონებას, რომლებიც თავიანთ ძალაში დარწმუნებულნი არ არიან.

წინამძღოლად დადგენილი ძლიერი ლომი არ ცდილობს ძუ ლომების შევიწროებას თავისი ძალის წარმოსაჩენად. რა უნდა დაამტკიცოს მან? იგი უკვე გამარჯვებულია. ვინ დადგება მასზე მაღლა? ზუსტად ასევე, ჩვენი მეფე, ჩვენი ლომი იუდას ტომიდან არავისზე ბატონობს, იგი ამაღლებს ადამიანებს.

ერთი და იგივე მისიით

ხვადი ლომი ძუს იწვევს, რომ მოისვენოს მისი დაცვის ქვეშ, ხოლო ძუ ლომი ხვადს მისი სიკეთისა და დანაპირების დღე-

სასწაულზე ეპატიჟება. ხვადი იცავს მის სიცოცხლეს, ძუ კი თავის მხრივ, მას მემკვიდრეობით უზრუნველყოფს.

მცირე ხნით იფიქრეთ სიტყვაზე *მორჩილება*. რა აზრი მოგდით თავში? ალბათ, ეფეს. 5:22, სადაც ლაპარაკია ცოლების მორჩილებაზე ქმრების მიმართ. საოცარია, რომ ბევრმა ქრისტიანმა ეს მუხლი აიღო და მას რადიკალური და შემზღუდველი განსაზღვრება მოუძებნა. დარწმუნებული ვარ, რომ სიტყვა *მორჩილება* დაამახინჯეს და მასში ღვთის ჩანაფიქრისგან განსხვავებული მნიშვნელობა ჩადეს. ბევრი ქრისტიანი ქალი ფიქრობს, რომ მისი უმთავრესი ფასეულობა მამაკაცის მომსახურების უნარში გამოიხატება. ისინი არც კი აცნობიერებენ, რომ ეკლესიაში ლაპარაკი, აზრის პატივისცემით გამოთქმა ან წინამძღოლობის პასუხისმგებლობის აღება *მსახურებას* ნიშნავს.

მოსმენილი მაქვს *მორჩილების* განსაზღვრება, რომელიც ღვთის გეგმას გამოსახავს, მას შეესაბამება და განკუთვნილია ყველა ქრისტიანისთვის და არა მარტო დაოჯახებული წყვილებისთვის. იფიქრეთ ამაზე: ინგლისურად სიტყვა გახლავთ *submission*. *sub* წინსართი ნიშნავს „ქვეშ“, ხოლო *mission* ნიშნავს დავალებას. მათი შეერთებიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სიტყვა ნიშნავს „ერთი და იგივე დავალების ანუ მისიის შესრულებას“. მაგალითად, მე და ჩემი მეუღლე ჯონი ერთ მისიას ვასრულებთ. გადაწყვეტილი გვაქვს, აღვზარდოთ ღვთისმოსავი შვილები და ავაშენოთ ჯანსაღი, ცოცხალი ურთიერთობა ქორწინებაში. რაც შეეხება ეკლესიურ საქმიანობას, ჩვენი მისია მწყემსების მხარდაჭერასა და ცალკეული პიროვნებების განმტკიცებაში მდგომარეობს. მოდით, ვიფიქროთ ამაზე. განა ჩვენ ყველანი შეერიგების მსახურნი და დაღუპული ადამიანებისთვის ღვთის მაცნეები არ ვართ? ქვემომოყვანილი ორი მუხლი კარგად ასახავს ჩვენი, როგორც ღვთის მამაკაცი და ქალი ელჩების მისიას:

> „ღმერთმა ქვეყნიერების შერიგება მოინდომა მესიის მეშვეობით და ადამიანებს ცოდვების მიტევების შეთავაზებით ახალი ცხოვრების დაწყების საშუალება მისცა. ღმერთმა დაგვავალა, ყველას ვუთხრათ, თუ რას აკეთებს იგი. ჩვენ ქრისტეს წარმომადგენლები ვართ. *ღმერთი გვიყენებს მამაკაცებისა და ქალების დასარწმუნებლად, რომ გვერდზე გადადონ ყოველგვარი განსხვავება* და

> *შეუერთდნენ ერთმანეთს შორის ურთიერთობის გამოსწორების ღვთიურ საქმეს“* (2 კორ. 5:19-20, თარგმანი *Message*).

დასკვნა: მათ იციან, რომ ჩვენი იესო რეალურია, როცა ერთმანეთი გვიყვარს და კარგი დამოკიდებულება გვაქვს. ეს უნდა იყოს ყველა კაცისა და ქალის ერთიანი მიზანი, იქნება ეს მარტოხელა თუ დაოჯახებული, წინამძღოლი თუ რიგითი. ცოდვის ძალა განქარდა. ღვთის მიტევება ყველასთვის შესაძლებელია უსასყიდლოდ. არ არსებობს ერთმანეთის დადანაშაულების აუცილებლობა, თუ ღვთის მსხვერპლშეწირვამ უმწიკვლოები გაგვხადა. ღმერთს სურს, რომ ყველა ჩვენგანმა, მამაკაცმა თუ დედაკაცმა, ყველას ვუთხრათ, *რას აკეთებს* ღმერთი! ნაცვლად ამისა, მეტისმეტად ვჩქარობთ იმის თქმას, რისი გაკეთება შეგვიძლია და რისი გაკეთება არ შეგვიძლია.

მას სურს, რომ ერთად ვითანამშრომლოთ როგორც დამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე ადამიანებმა, შევაგონოთ მამაკაცებსა და ქალებს, რომ არ ჰქონდეთ უთანხმოება ერთმანეთში (რა სახისაც არ უნდა იყოს) და შეუერთდნენ ღვთიურ საქმეს. კონფლიქტების გადაჭრა ადამიანური ურთიერთობების ყველა სფეროში უნდა იქნას გამოყენებული. ეს არ გახლავთ გენდერული საკითხი. ეს შეეხება რასობრივ, სოციო-ეკონომიკურ, ოჯახურ, საეკლესიო და საბაზრო დინამიკის სფეროებს. ღმერთს სურს ყველა ჩვენგანის შერიგება!

> „ახლა შინაგან მხარეს გადავხედოთ. ყველა, ვისაც მესიასთან მოზიარეობა აქვს და ახალი ცხოვრებით ცხოვრობს, ახალი ქმნილებაა. ძველი ცხოვრება წავიდა. ახალი ცხოვრება ყვავის! შეხედეთ მას! ეს ყველაფერი ღვთისგან მოდის, რომელმაც მოაგვარა ურთიერთობა ჩვენსა და მას შორის და მოგვიწოდა ერთმანეთს შორის ურთიერთობების მოსაგვარებლად“ (2 კორ. 5:17-18; თარგმანი *Message*).

„ყველა“ ნიშნავს *ყველას.* ნებისმიერი მამაკაცი, ქალი ან ბავშვი, რომელიც ქრისტესთან მოზიარეობაშია, ხელახლა შობილია. ძველი ცხოვრება გადავიდა. მუხლში ნახსენები სიტყვა *აყვავება* ნიშნავს „სოკოსავით სწრაფად გამრავლებას“. სიტყვების საინტერესო შერჩევაა, რადგან სოკოები ცნობილია სწრაფი ზრდით – ისინი მრავლდებიან, იფურჩქნებიან და იზ-

რდებიან ისეთ ადგილებში, სადაც ადრე ყველაფერი ჩამომხმარი იყო. ჩვენი ახალი ცხოვრება ქრისტეში შენაცვლების კონცეფციას აღემატება. ეს არის ცხოვრება, რომელიც შინაგანად მრავლდება და ყველასთვის შესაძლებელია.

ხვად და ძუ ლომებს ერთმანეთთან ურთიერთობა უკვე მოგვარებული აქვთ. ძუ ლომები ხვდებიან, რომ ხვადებთან ერთად ასრულებენ გარკვეულ მისიას. რაში მდგომარეობს იგი? მისიის მიზანია ლომების თაობის დაფუძნება შთამომავლობის წარმოშობით და ძლიერებით. ამის მისაღწევად ისინი კარგად ზრდიან, იცავენ და უზრუნველყოფენ თავიანთ ბოკვერებს. როგორც ხვადი, ისე ძუ ლომები გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ მისიაში და არც ერთი მათგანი არ ცდილობს ერთმანეთის საკეთებლის დაჩემებას.

მინახავს, როგორია ამ საქმეში მოსალოდნელი ბუნებრივი წესრიგის მიყვანა ორ უკიდურესობამდე. სპექტრის ერთ მხარეს ქალები განუზომლად იჩაგრებიან მორჩილების სახელით, მეორე მხარეს კი ზოგიერთ ქალს თავისი ფემინიზმი ღვთიურობის დონემდე აჰყავს. თუმცა ამაზე მოგვიანებით. ახლა კი მინდა გაგიზიაროთ მორჩილების დამახინჯების მაგალითები.

Twitter–ის დამახინჯება

ალბათ, გსმენიათ Twitter-ზე ან მონაწილეობა მიგიღიათ ამ სოციალური ქსელის შემოკლებულ ვერსიაში. იგი გამოსადეგია ცხოვრებისეული საკითხებისა და აზრების მცირე ზომის ინფორმაციის სახით გაცვლა-გამოცვლისთვის.

ერთ დღეს ქსელში განვაცხადე კონცეფცია, რომელიც დეტალურად განვიხილე ჩემს წიგნში *„იბრძოლე როგორც ქალმა“*. ეს გახლდათ ციტირება წინამძღოლობაზე: „მხოლოდ სქესი არ განაპირობებს მამაკაცის წინამძღოლობას, ისევე როგორც სქესი არ ართმევს ქალს ამის უფლებას. წინამძღოლობისთვის როგორც მამაკაცის, ისე ქალის ვარგისიანობას, მათი უნარი განსაზღვრავს.“ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ ეს მოსაზრება არ შემომიფარგლავს მხოლოდ ეკლესიის ხელმძღვანელობით და არც ოჯახური სფეროთი შემიზღუდავს. უბრალოდ, აღვნიშნე, რომ უნარიანობა წინამძღოლის აუცილებელი თვისებაა, კაცი იქნება იგი თუ ქალი.

ეს მოსაზრება Twitter-ზე დავდე, იქიდან კი ავტომატურად მოხვდა ჩემს Facebook-ის გვერდზე. შემდეგ ჩემს ყოველ-

დღიურ საქმეებს შევუდექი. სულაც არ ვფიქრობდი, რომ ჩემი ნათქვამი წინააღმდეგობას გამოიწვევდა. მეგონა, რომ ეს აზრი თავისთავად ცხადი იყო და არც მიფიქრია, რა გამოხმაურება მოჰყვებოდა მას.

როცა ასზე მეტი გამოხმაურება მივიღე, ვიცოდი, რომ მტკივნეულ ადგილს შევეხე. მთელი დღის განმავლობაში დაკავებული ვიყავი. დებატებმა Facebook-ზე გადაინაცვლა. რამდენიმე ქრისტიანი ქალი გაღიზიანდა.

– როგორ ბედავ იმის თქმას, რომ ქალს შეუძლია ქმრის მართვა, თუ იგი უფრო უნარიანია?! - წერდა ერთი ქალბატონი.

კარგი ... ნუთუ ეს ვთქვი?

სხვებმა ბრალი დამდეს წმ. წერილის მონაკვეთის უგულებელყოფაში, რომ მხოლოდ მამაკაცი უნდა იყოს ეკლესიის წინამძღოლი. საერთოდ ვახსენე ეკლესიის ხელმძღვანელობა? შემდეგ წარიმართა დისკუსია ზოგადად წინამძღოლობაზე. ზოგიერთმა ქალმა Facebook-ის აუდიენციას აუხსნა, რომ ქალი არასოდეს არ უნდა იყოს ხელმძღვანელი.

ერთმა გულწრფელმა ახალგაზრდა გოგონამ მეტი სიცხადისთვის კითხვა წამოჭრა: „თქვენ ამბობთ, რომ მთავარი მწყემსის ცოლი წინამძღოლი არ არის?“ საპასუხოდ დიდი აჟიოტაჟი ატყდა: „არა, ის არ არის წინამძღოლი! მას ქმრის მხარდაჭერის პატივი ერგო.“

ახლა კი დავიბენი! შეხედულებათა სიმრავლემ დიალოგი მორჩილებაზე მსჯელობისკენ მიმართა. ზოგი ამტკიცებდა, რომ მე ვიყავი ლიდერი, სხვები ამბობდნენ, რომ არ ვიყავი, რადგან ქალს ამის უფლება არ ჰქონდა. შემდეგ გარკვეულ დათმობაზე წამოვიდნენ და განაცხადეს, რომ ვიყავი წინამძღოლი ქმრის დაქვემდებარებაში, რადგან მას ვემორჩილებოდი.

მოდით, შევჩერდეთ და ერთად ვიმსჯელოთ. რატომ ხდება ასე, რომ სქესის საკითხზე საუბრისას აუცილებლად წამოიჭრება ქალების მამაკაცებისადმი მორჩილების თემა? მე ვარ წინამძღოლი, რადგან ღმერთმა ასეთად შემქმნა. საქმე მარტივადაა, წინამძღოლებს მიმდევრები ჰყავთ. ზოგიერთი ჩვენგანი ასეთია, ამაზე თანხმობას ვაცხადებთ თუ არა. დაე, ღმერთი ყველას დაგვეხმაროს, რომ სანიმუშო წინამძღოლები ვიყოთ. ამ გაურკვევლობაში სიცხადის შესატანად წავიკითხოთ პავლეს მიერ ტიმოთესთვის მიწერილი ვალდებულებანი წინამძღოლთათვის.

„წინამძღოლი უნდა იყოს კარგი სახელის მქონე, ცოლის ერთგული, მშვიდი და თავდაჭერილი, მეგობრული და სტუმართმოყვარე. მან უნდა იცოდეს რაზე ლაპარაკობს, ღვინოს არ უნდა მიეძალოს, არც უტიფარი უნდა იყოს, არამედ სათნო; ადვილად არ უნდა განაწყენდეს და არც ფულს დახარბდეს. მას კარგად უნდა მიჰყავდეს პირადი საქმეები, ყურადღებას აქცევდეს საკუთარ შვილებს და მათგან პატივცემული იყოს. ვინაიდან, თუ ვინმეს საკუთარი საქმეების კარგად წარმართვა არ შეუძლია, ღვთის ეკლესიას როგორ უხელმძღვანელებს? წინამძღოლი არ უნდა იყოს ახალმოქცეული, რომ თავში არ აუვარდეს და ეშმაკმა მახეში არ გააბას. გარეშე ხალხშიც კარგი სახელი უნდა ჰქონდეს, თორემ ეშმაკი მისი მახეში გაბმის გზას იპოვის“.

იგივე მოთხოვნებია წაყენებული ეკლესიის მსახურთა მიმართ: „გონიერი, არა ცრუ, არა ღვინოს მიძალებული, არ ცდილობდეს ყველაფერში სარგებლის მიღებას. ისინი მოკრძალებული უნდა იყვნენ რწმენის საიდუმლოს მიმართ და თავიანთი მდგომარეობა ეკლესიაში საქმეების სამართავად არ გამოიყენონ. დაე, ასეთებმა დაამტკიცონ, რომ ღირსნი არიან. თუ ზემოხსენებულს შეძლებენ, დააყენეთ მსახურებაზე“ (1 ტიმ. 3:2-10 თარგმანი *Message*).

მოყვანილ მუხლებში პავლე ჩამოთვლის მამაკაც წინამძღოლთა მახასიათებლებს. შემდეგ იგი განაგრძობს:

„არც მათი ცოლები წარმოადგენენ გამონაკლისს – იგივე თვისებები: სერიოზული, სანდო, არა ენამწარე, არა ღვინის მოყვარული. ეკლესიის მსახურები ცოლების ერთგულები უნდა იყვნენ, ყურადღებიანნი საკუთარი შვილების მიმართ და გულმოდგინედ მართონ საკუთარი საქმეები. ვინც ასე მოიქცევა, დიდად პატივდებული იესოს რწმენის კარგი მოწმე იქნება“ (1 ტიმ. 3:11-13, თარგმანი *Message*).

რატომ მოიყვანდა პავლე წინამძღოლობისთვის აუცილებელ თვისებებს ქალებისთვის, თუ მათი სქესი თავიდანვე გამორიცხავდა ქალთა მსახურებას? როცა მე და ჯონი ჩვენი მსახურების ოფისისთვის ვინმეს აყვანას ვაპირებთ, მას მახასიათებლების ჩამონათვალს წარვუდგენთ. თუ აპლიკანტის კვალიფიკაცია ჩვენს პირობებს არ აკმაყოფილებს, იგი სამუშაოდ არ აგვყავს. მნიშვნელობა არ აქვს, იგი მამაკაცი იქნება თუ ქალი. პავლეს არ უთქვამს, რომ წინამძღოლობა არ უნდა მიანდოთ პიროვნებას, თუ ის მამაკაცი არ არის. პავლე ამბობს, რომ არ უნდა დააყენონ მსახურად ის, ვისაც ჩამოთვლილი თვისებები არ გააჩნია. პავლე ყურადღებას ამახვილებს თვისებების ჩამონათვალზე. იგი ამბობს, რომ ქალებისთვის გამონაკლისი არ უნდა დაიშვას. ქალებიც იგივე სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდნენ. შეაძლოა იკითხოთ, რას იტყვით ვალდებულებაზე, რომ უხუცესი ერთი ცოლის ქმარი უნდა იყოს? იმ დროს ქალებს არ ჰყავდათ ბევრი ქმარი და ამის გამო ეს მითითება მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი.

1 ტიმ. 3:11-13-ში პავლე ტიმოთეს მითითებებს აძლევს წინამძღოლი ქალების შესახებ და შემდეგ გადადის ქალ მსახურებზე ანუ დიაკვნებზე ეკლესიაში. საიდან ვიცი ეს? წავიკითხოთ 1-2 მუხლები და ვნახოთ, რაზეა ლაპარაკი, სანამ მოცემული იქნებოდა მამაკაცებისთვის განკუთვნილი დეტალური ჩამონათვალი.

> „თუ *ვინმეს* უნდა ეკლესიაში წინამძღოლობა, კარგია! თუმცა გარკვეული პირობები არსებობს“ (1 ტიმ. 3:1-2)

შეამჩნიეთ სიტყვა „ვინმეს“? ზუსტად იგივე სიტყვა გამოიყენება ბიბლიის სხვადასხვა თარგმანში.

რატომ ხდება, რომ ქალებს ყველგან აქვთ წინამძღოლობის უფლება გარდა ეკლესიისა? თუ ღმერთს არავითარი პრობლემა აქ ჰქონდა ქალებისთვის ძალაუფლების მიცემისას წარღვნამდე და წარღვნის შემდეგ, რატომ ვიკავებთ თავს მათთვის წინამძღოლობის უფლების მინიჭებისგან გამოსყიდვის შემდეგ?

Facebook-ზე დებატებისას ქალებს შორის ერთი მამაკაციც გამოჩნდა და იკითხა:

– თქვენ, ქალები, რატომ კამათობთ საკუთარი თავის წინააღმდეგ? ჩვენ თქვენი თანამონაწილეობა გვინდა, თქვენ კი ერთმანეთს აფერხებთ!“ მის ნათქვამში გვარიანი სი-

მართლეა. ქრისტეს გულისთვის ერთმანეთის მხარდაჭერისა და გამხნევების ნაცვლად ვაგრძელებთ ზეწოლას, რაც უნაყოფოს გვხდის, რომ სრულად გამოვავლინოთ თავი როგორც ქალებმა და ქრისტიანებმა.

ამ მოულოდნელმა გენდერულმა შემთხვევამ შემახსენა, რომ ეს საკითხი განსახილველია არა მარტო ოჯახებში, არამედ ეკლესიაშიც. მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, საჭიროებს ღვთის გულისა და მისი თავდაპირველი განზრახვის ნიმუშის ხილვას ღვთის ძეებისა და ასულების ცხოვრებისა და წინამძღოლობის ყველა სფეროში.

გენდერული უთანასწორობის დამოკიდებულება

ვისურვებდი, აღარ ყოფილიყო საჭირო გენდერული უთანასწორობის საკითხის განხილვა ამერიკის ეკლესიებში. დიახ, მე განსაკუთრებით გამოვყოფ ჩემს ერს. მოგზაურობებისა და სხვადასხვა მსოფლმხედველობების გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩვენი ტრადიციული ქალური პასიურობა მსოფლიოს სხვა ნაწილებში არ მოქმედებს. ზოგიერთ ერში ეკლესია საერთოდ არ იქნებოდა ქალების მონაწილეობის გარეშე.

> „ღვთის შექმნილი ყველაფერი *კარგია* და *მადლიერებით* უნდა იქნას *მიღებული*. არაფერია დასაცინი და გადასაგდები. ღვთის სიტყვა და ჩვენი ლოცვები ყველა ქმნილებას წმენდს“ (1 ტიმ. 4:4-5 თარგმანი *Message*).

თუ ყველაფერი, რაც ღმერთმა შექმნა, კარგია და მადლიერებით უნდა მივიღოთ, რამდენად მეტად გვმართებს *ადამიანთა* მიღება? მამაკაცები და ქალები *კარგები* არიან.

თუ რაღაც ღვთისგან არის შექმნილი, ვალდებული ვართ, მასხრად არ ავიგდოთ და იგი გვერდზე არ მოვისროლოთ. მასხრად აგდება ნიშნავს უპატივცემულობას, ცხვირის აწევას მის წინაშე და მის დაცინვას. ყველა ეს მოქმედება ღირსებას აყრის, ფასს უკარგავს ნივთსა თუ ადამიანს ან მის ფუნქციასა და წვლილს.

სიტყვა *გადაგდება* თავად განმარტავს საკუთარ თავს, მაგრამ მაინც გადავხედოთ მის ზუსტ მნიშვნელობას. მოსროლის და უგულებელყოფის გარდა იგი აღნიშნავს არეულობას, საგონებელში ჩაგდებას ან საკითხის გართულებას. აი, მივი-

ღეთ კიდეც *უარყოფის* სრული მნიშვნელობა. ვშიშობ, სწორედ ეს ემართებათ ქალებს ეკლესიაში და თან ძალიან ხშირად. მათ გვერდზე გადასწევენ ყოველგვარი მადლიერების გარეშე ისე, რომ უარყოფილია მათი ხმა, ფასეულობა და წვლილი. და *ორივე* სქესის წარმომადგენლები უშვებენ ამას მორჩილების სახელით.

საბოლოოდ, როგორც კაცები, ისე ქალებიც იტანჯებიან და დიდად ზარალდებიან ფასეულობის დაკარგვით. ცხადია, მამაკაცები უფრო ხშირად იკავებენ წინამძღოლობის მაღალ ადგილებს ეკლესიაში, ვიდრე ქალები, მაგრამ წელში მოხრილი არიან ქალების შინაგანი ალღოს და შორსმჭვრეტელობის გარეშე. ახლა, მადლობელი ვართ კი მამაკაცების გამო? ღვთის თვალებით ვუყურებთ თუ არა მათ, როგორც კარგებს?

ხომ არ დავცინით მათ მოქმედებას? მე არ ვლაპარაკობ ერთობლივ სიცილზე. შეუძლებელია არ გაიცინო ადამიანთა მხიარულებაზე. უბრალოდ, ჩვენი არსებობა მოწმობს, რომ ღმერთს იუმორის გრძნობა აქვს. აქ ვლაპარაკობ საწინააღმდეგო სქესის მასხრად აგდებასა და არდაფასებაზე. სანაძლეოს დავდებ, ეს უფრო ხშირად ხდება, ვიდრე თქვენ ამჩნევთ. ჩვენი გართობის ინდუსტრია რეგულარულად შეურაცხყოფს მამაკაცებს, ხოლო ქალებს სქესობრივი ლტოლვის ობიექტებად წარმოაჩენს.

გენდერულ უთანასწორობას საკუთარი თავის იმ ადგილას დაყენების უფლება მივეცით, სადაც ფასეულობადაკარგული ქალები ბრაზს მამაკაცებზე ანთხევენ. აქედან საით მივემართებით? სამწუხაროდ, ზოგიერთი ქალი ამის საპასუხოდ შემაძრწუნებელ უკიდურესობაში გადაეშვა.

მდედრობითის ღვთაებრიობა

როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, Amazon-ზე შევამჩნიე ორი წიგნი, რომლებიც ჩემი ადრინდელი წიგნების გვერდით იყო განლაგებული. ორივე მათგანი იცავდა „მდედრობითის ღვთაებრიობის“ თეოლოგიას – მდედრობითი სქესის ღვთაებების ან თვითრეალიზებული ქალღმერთების რწმენას. ამ დროს ღვთის ჩურჩული მომესმა:

– *შენი წიგნების მარცხენა და მარჯვენა მხარეს დადებული წიგნები შეიძინე და ნახე, როგორ დავკარგეთ მათი ხმა.*

როცა გვერდები გადავფურცლე და მათში შემოთავაზებულ მოსაზრებებსა და კითხვებს გავეცანი, ტკივილი და გულგა-

ტეხილობა ვიგრძენი. ავტორები იყვნენ ორი ძლიერი და გავლენიანი ქალი, რომლებიც ეკლესიამ საფუძვლიანად დაჭრა და იმედი გაუცრუა. ქვითინი მომინდა მათი ბრწყინვალების დაკარგვის გამო.

რამ გამოიწვია მათში გრძნობა, რომ სხვა არჩევანი არ ჰქონდათ ღვთის სახლის გარეთ ქალღმერთთა თაყვანისცემის წამოწყების გარდა?

ნუთუ მათი კითხვები იმდენად მკვეთრი და მწვავე იყო, რომ არსებულ მდგომარეობასთან გამოწვევაზე წავიდნენ? მათმა ბრწყინვალე გონებამ ხომ არ შეაშინა ეკლესიის წინამძღოლები? იქნებ მათი ხმები ჩაახშეს მორჩილების გაზვიადებული განსაზღვრებით ან გამოსყიდვის დაკნინებული წარმოდგენით?

ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ქალები თავიანთი კითხვებით აშინებდნენ მამაკაცებსა და ქალებს.

შესაძლოა, თქვენ არასდროს განგიცდიათ მათი მსგავსი ძიება და იმედგაცრუება, მაგრამ მე ნამდვილად ვიცი ეს. ვფიქრობ, ამ საქმეში მარტო არ ვარ. ვიღებ წერილებს, მეილებს და კითხვებს, რომლებიც არაერთხელ იმეორებენ თემას – „მითხარით, რატომ მაქვს ფასი როგორც უზენაესის ასულს?!“.

გთავაზობთ ამონარიდს სიუ მონკ კიდის წიგნიდან *დისიდენტი (პიროვნება, რომელიც ეწინააღმდეგება დამყარებულ მოსაზრებებს, პოლიტიკას ან სისტემას. რედ. შენიშვნა) ასულის ცეკვა*. მისი სიტყვები ნათელს ჰფენს ევანგელურ ეკლესიაში გაზრდილი ქალის განცდას.

„ქალი პირველი იყო, ვინც შესცოდა და მეორე იყო, ვინც შეიქმნა“, თქვა მან. შემდეგ ევაზე საუბარი განაგრძო, თუ როგორ შეიქმნა იგი ადამის საკეთილდღეოდ, როგორ გახდა უღირსი ღვთის დაუმორჩილებლობისა და ადამისთვის აკრძალული ხილის შეთავაზებით ...

გული შემიფრთხიალდა. ჩემი გრძნობების სიტყვებად გარდაქმნა რომ შემძლებოდა, ასე ვიტყოდი, „ღმერთო, როგორ შეგეძლო?“[2]

ავტორი განაგრძობს, თუ როგორ უჭირდა ღმერთის მისეული აღქმის შეთანხმება ეკლესიის თვალსაზრისთან. მე ვეთანხმები. ღმერთი არასოდეს გააკეთებდა ასეთ ნაჩქარევ და უიმედო განზოგადებას ნებისმიერი ჩვენგანის – მამაკაცისა თუ ქალის შესახებ.

თუ ვიტყვით, რომ ქალს წინამძღოლობა არ შეუძლია მხოლოდ იმის გამო, რომ ევა და მისი ასულები ადვილად ცდუნდებიან, მაშინ ადამსა და მის ძეებს კარი ცხვირწინ უნდა

მივუხუროთ. ადამმა *გაცნობიერებით* შესცოდა და ღვთის მინდობილს უღალატა.

ადამისა და ევას დანაშაულთა შორის განსხვავება შეიძლება მივამსგავსოთ აფექტის მდგომარეობაში ჩადენილ და წინასწარგანზრახულ მკვლელობებს შორის სხვაობას. ევას მოუმზადებელს წაასწრეს; ადამმა კარგად იცოდა, სასწორზე რა იდო.

> „თუ გაუცნობიერებლად შესცოდავ, ღმერთი ამას ითვალისწინებს, ხოლო თუ კარგად გაქვს გაცნობიერებული, თუ რას აკეთებ, ეს სულ სხვა ამბავია“ (რომ. 2:12, თარგმანი *Message*).

ეს რა რელიგიური სამყარო შევქმენით ჩვენთვის, რომ ჭეშმარიტების მაძიებელ ინტელიგენტ ქალებს არ შეუძლიათ პასუხების პოვნა ჩვენს კარიბჭეებთან? თუ ამ მნიშვნელოვან მომენტში არ ვიმოქმედებთ, რა დაემართებათ ჩვენს ასულებს, რომლებიც ამგვარი კითხვების დასმას ბედავენ?

ღმერთი დაეხმარება მამაკაცებს, თუ ამ მიმართულებით სვლას განვაგრძობთ! კაცები ჯანსაღები და ძლიერები არ გაიზრდებიან ქალების სიჩუმის ხარჯზე. კაცები გაძლიერდებიან ჩვენი ხმების შემომატებით, რადგან ასულთა კითხვებზე პასუხის გაცემის გამოწვევა მათ აამაღლებს და შემდგომში გაათავისუფლებს. ქალთა თვალთახედვა აწონასწორებს და ხვეწს მამაკაცს, ისევე როგორც ისინი ქმნიან ქალთა გაფურჩქნისთვის საჭირო ატმოსფეროს.

როცა მდედრობითობის ღვთიური ფილოსოფიის ავტორთა თხზულებები წავიკითხე, არც ერთი მათი კვლევის შედეგი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ეს გახლდათ ფუჭი პასუხები, რომლებიც დამსხვრეული გულებით მიიღეს.

ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ერთმანეთს ცრემლების ზღვა გვაშორებდა. ისინი სულ სხვა ნაპირზე მდგომნი დავინახე და დავნაღვლიანდი. ეს ქალები თავიანთ თავს დისიდენტებს ანუ განსხვავებული აზრის მატარებლებს და ქალღმერთებს ეძახდნენ, მაგრამ მე მათ მეგობრებს და უზენაესის ასულებს ვუწოდებდი. და მაინც, მათი ბრალდებები ყურში ხმამაღლა ჩამესმოდა, რადგან მათ კითხვებში მეტი ჭეშმარიტება დავინახე, ვიდრე მათ მიერ მიღებულ პასუხებში.

ამ სულისშემძვრელ ფურცლებზე მრავალი სამწუხარო ისტორია ამოვიკითხე. ერთი შთამბეჭდავი ისტორია მეანგინეკოლოგს ეკუთვნოდა, რომელიც არაერთხელ გამხდარა

მოწმე, თუ როგორ უბოდიშებდნენ ქმრებს ამერიკელი ცოლები, რომლებმაც გოგონა შობეს. ჩემთვის, როგორც ოთხი ვაჟის დედისთვის, ეს გახლავთ ყოვლად წარმოუდგენელი აზრი. მე მიხარია, რომ ქალების პატივისმცემელი ქმრის სახით დიდი საგანძური მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოველი ვაჟის დაბადებას ზეიმობდა, გოგონას შეძენას იმედოვნებდა. როცა ამ იდეების შესახებ ვუამბე, კაცს ელდა ეცა. ჩვენს ოჯახში გოგონას რომ შემოედგა ფეხი, მას ძალიან საყვარელ და ნანინანატრ შვილად ჩავთვლიდით!

ხსენებულმა ასულებმა რელიგიის კედლებში ვერ მოიძიეს პასუხები, რაიმე ფასეულობა ან ადგილი თავიანთი წვლილისთვის და საკუთარი თაყვანისცემის სამყარო შექმნეს იმის მიღმა, რაშიც მათ პატრიარქალური ტირანია დაინახეს. ისინი გაემართნენ ტყეებისა და სანაპიროებისკენ, რაც ღვთაებრივი დედოფლის უფრო სათნო და კეთილ სამეფოდ აღიქმებოდა.

მოიცათ! მათ კვალზე მიყოლას სულაც არ მოგიწოდებთ. არც მათი დედოფლის და არც მკაცრი რელიგიის ბრაზიანი მეფის მომხრე ვარ. მე ჩვენი შემოქმედი, უზენაესი ღმერთი ავირჩიე.

ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ

მოისმინეთ მერიენ უილიამსონის, „მდედრობითობის ღვთაებრიობის“ ფილოსოფიის წინამძღოლის სასოწარკვეთილი მოწოდება თავის წიგნში *„ქალის ღირსება“*:

> „როცა ვამბობ, „წადი მარიამთან“, ვგულისხმობ „წადი, მარიამს დაელაპარაკე“ – ე.ი. უნდა წახვიდე ეკლესიაში, აანთო სანთელი, დაჯდე სკამზე და სერიოზულად მიუდგე ამ საკითხს. უთხარი მას, „მარიამ, მინდა ვიცოდე, ვინ ვარ, როგორც ცოლი, მეგობარი, დედა ან ასული. მინდა ვიყო ისეთი ქალი, როგორი უნარიც მაქვს. მინდა მქონდეს შენი სიწმინდე, სიცხადე და გასხივოსნების ხარისხი. დაე, ჩემი ქალობის არსი გახდეს უფრო კაშკაშა, ვიდრე ჩემი გარეგანი „მე“ არის“. [3]

ცუდი არაფერია თხოვნაში, რომ იყო ისეთი ქალი, როგორც შეგიძლია იყო. მთავარია, საით მივმართავთ ჩვენს ლოცვებს. შემდეგ უილიამსონი ლაპარაკობს მათთვის, ვინც თავს არაკომფორტულად გრძნობს კათოლიციზმში:

„თუ მარიამის წინაშე ლოცვა შენთვის მოუხერხებელია, ესეც არაფერია. იპოვე ბერძნული ქალღმერთი ან მდედრობითი სქესის ინდოელი ავატარი, რომელსაც მიმართავ ან ქალური ღვთაების ნებისმიერი სიმბოლო და დაიწყე მასთან ურთიერთობა“.[4]

ურთიერთობა მასთან? ამ რჩევის შემდეგ ავტორი თითქმის მაშინვე გვიზიარებს მისი რისხვის მიზეზს.

„ქვეყნიერებას იმ სახით, როგორითაც არსებობს, არ უნდა შენი ქალურობის გამოყენება. შენ სუსტი სქესის წარმომადგენლად გთვლიან და ისე გექცევიან, როგორც სქესობრივი ლტოლვის ობიექტს. სრულიად გამოუსადეგარი ხარ გარდა შვილების შობისა. შენი ახალგაზრდობა შენივე ღირსების განმსაზღვრელია, ხოლო შენი ხანდაზმულობა უვარგისობის საზომი. ნუ მიმართავ ქვეყნიერებას მხარდასაჭერად ან შენი ქალური ინდივიდუალობის საცნობად, რადგან მათ იქ ვერ იპოვი. მსოფლიოს ეზიზღები. ღმერთი გაღმერთებს“. [5]

ისე მადლიერი ვარ ნათქვამის ამ ჭეშმარიტებით დასრულების გამო, რომ ღმერთი გვაღმერთებს. და მაინც, შეუძლებელია, არ დაინახო მისი ტკივილი. იგი მდედრობითი ღვთიურობის კავშირს ეჭიდება. ამ საქმეში იმდენად შორს მიდის, რომ ბერძნულ ქალღმერთსაც მიმართავს, თითქოს ღვთაებრივი, მარადიული ქალურის სილამაზისა და ძალის მეშვეობით მოიპოვებს მას, რაც უიმედოდ დაკარგულა ჩვენს საკუთარ ურთიერთობებში. ვლოცულობ, რომ იპოვოს ჭეშმარიტება, რომელსაც ასე დაჟინებით ეძებს.

მე, როგორც ყოფილ კათოლიკეს, კარგად მესმის მისი რჩევის არსი. საერთოდ არ ვარ მარიამის თაყვანისცემის მომხრე, მაგრამ პროტესტანტების მიერ მარიამის როგორც ღვთაების (რომელიც არ არის) მოშორებამ ეფექტურად მოაშორა ქალურობის ნიმუში.

მარიამი ღმერთი არ გახლავთ, მაგრამ იგი ღვთიური იყო. იგი არ არის ქანდაკება, რომელსაც შეპირებული სანთლები უნდა დაუნთო, მაგრამ თავისი სამაგალითო ცხოვრებით ანათებს ჩვენს გზას. იგი მომავლის სიმბოლო იყო – ასულების, რომლებიც ღვთის თანამშრომლები იქნებოდნენ და იესოს გააცხადებდნენ.

იესო ვახსენე? საინტერესოა. „*ქალის ღირსების*“ ფურცლები მთლიანად გადავქექე და მარიამის ძის, იესოს ხსენებაც ვერსად ვნახე. როგორ შეიძლება მარიამი ფასეული იყოს იესოს გარეშე? ამრიგად, რაზეა აქ ლაპარაკი რეალურად?

საქმე არ არის არც მარიამში, ათენასა და აფროდიტეში. აქ ერთი უსახელო, ჩვენს მიერ შექმნილი სული მოქმედებს!

ქალური ღვთაებრიობის ავტორები ლაპარაკობენ ღმერთსა და ქალღმერთებზე, რელიგიასა და ადამიანებზე, მაგრამ არაფერს ამბობენ მშვენიერ მხსნელზე, ღვთის ძე იესო ქრისტეზე. ისინი ახსენებენ დედოფლებს, ჯადოქარ ქალებს და დედა კუებს, მაგრამ არა ღვთის ძეს, რომელიც მკვდრეთით აღსდგა. რატომ არ უნდა სურდეთ დედებს გამოცხადება ძეზე? მათი სიტყვები იესოს გარშემო ტრიალებს, მისი სიტყვებიც კი მოჰყავთ, მაგრამ მისი სახელის ხსენებას ერიდებიან.

კვლავ ვიმეორებ, რომ ეს სიახლე არ არის. თუ ჩემი თავი ღვთის დონემდე ავიყვანე, მხსნელი რაღაში მჭირდება?

ქალღმერთის პოზიცია მხოლოდ ძალაუფლების ქონას არ ნიშნავს; იგი თაყვანისცემას მოითხოვს. თუმცა ჩვენ არ უნდა ვცემდეთ თაყვანს ადამიანს, ქალს ან ქმნილებას. მხოლოდ ღმერთს უნდა ვცემდეთ თაყვანს. ქალებისთვის ფასეულობის შესამატებლად ქალი ღვთაების შექმნის საჭიროება არ იქნებოდა, ეკლესიას ჭეშმარიტება და ღვთის თავდაპირველი ჩანაფიქრი რომ ექადაგა.

ცისა და მიწის ღმერთმა, უზენაესმა უფალმა გამოსყიდვის გეგმაში ღიად განაცხადა ქალების ფასეულობაზე. ღმერთმა მისი ძე ქვეყნიერებაზე მამაკაცის თესლის ჩარევის გარეშე მოავლინა. იოსებს დაევალა მარიამისა და მის წიაღში მყოფი წმიდა ჩვილის დაცვა. ღვთის სულმა დაჩრდილა ნორჩი, ცოტათი დამფრთხალი ებრაელი გოგოს ქალწულური საშო. მარიამი წამღერებით არ გალობდა და თავს ქალღმერთს არ ეძახდა. იგი თანახმა იყო და თან ეჭვობდა, შეეძლო თუ არა! დაე, გავიმეოროთ მისი სიტყვები და გავითავისოთ. *მოგვხედე, ზეციერო მამა, შენი აღთქმისამებრ; დარწმუნებული ვართ, რომ დანაპირებს აღასრულებ. წამოაყენე ჩაგრულნი* და *გააცხადე შენი ძე ჩვენი ცხოვრების მეშვეობით.*

ღვთიური მიზნის ჩვენეული ძიება მამაკაცებზე თავის აღმატებით და ჩვენში არსებული ქალღმერთის რეალიზების მცდელობით არ ხერხდება. მამაკაცები ჭეშმარიტ ძლიერებას ან თავისუფლებას ვერ მოიპოვებენ ქალების გაბატონებით. თავის მხრივ, ქალებიც ნაკლებად ნაყოფიერი იქნებიან, როცა

თავიანთ ძალას მოძღვრებათა ბოროტად გამოყენებაში დახარჯავენ. ორივე სქესის წარმომადგენლები მოკავშირეები და მცველები არიან და არა მტრები და ღვთაებები.

ყველა ჩვენგანისთვის გამოცდას წარმოადგენს სურვილი, რომ ვიყოთ თაყვანცემული. ეს სწორედ ის შეცდომაა, რომელიც ლუციფერმა დაუშვა. ძალაუფლების სურვილი სულაც არ გახლავთ არაღვთიური რამ; თითოეული ჩვენგანი (კაცი იქნება თუ ქალი) გარკვეული ზომით რწმენის, ძალაუფლებისა და გავლენის მნეები ვართ.

ადამიანები არასოდეს შექმნილან აბსოლუტური ძალაუფლებისთვის. ეს მეტისმეტად მძიმე ფუნქციაა ანგელოზებისთვისაც კი და იესო, ღვთის ძე, არ ცდილობდა ღვთის თანასწორად ყოფნას. ფილიპელთა მიმართ პავლეს წერილში მითითებულია, რომ არ უნდა მივბაძოთ წარმართებს ძალაუფლებისკენ სწრაფვაში.

> „თქვენს თავზე ისე იფიქრეთ, როგორც ქრისტე იესო ფიქრობდა თავის თავზე. იგი ღვთის თანასწორი იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ცდილობდა ამ სტატუსის თანამდევი უპირატესობებით სარგებლობას. პირიქით, როცა დრო მოვიდა, გვერდზე გადადო ღვთიური პრივილეგიები და მონის მდგომარეობა აირჩია – *ადამიანი* გახდა! ადამიანი გახდა და ადამიანად დარჩა. ეს იყო წარმოუდგენელი თავმდაბლობის პროცესი. მას განსაკუთრებული პრივილეგიები არ მოუთხოვია. ნაცვლად ამისა, იგი ცხოვრობდა უანგარო, მორჩილი ცხოვრებით და შემდეგ ასევე უანგარო და მორჩილი სიკვდილით მოკვდა – ამასთან სიკვდილის უარესი ფორმით, ჯვარცმით.
>
> ასეთი მორჩილების გამო ღმერთმა იგი აღამაღლა ყველაზე და ყველაფერზე ისე, რომ ყველა ქმნილება ზეცაში და დედამიწაზე, მათ შორის დიდი ხნის გარდაცვლილები და დამარხულები დაემხობიან იესო ქრისტეს წინაშე და ხოტბას შეასხამენ მას, როგორც ყველაფრის ბატონს, მამა ღმერთის სადიდებლად“ (ფილ. 2:5-11)

ჩვენს სამყაროს მსახურები სჭირდება. ვერ წარმომიდგენია, რომ ჩემი იესო, რომელმაც თავი დაიმდაბლა ყველას ასამაღ-

ლებლად, ისეთი მომთხოვნი იყოს, როგორც ზოგიერთი ჩვენგანია. სამწუხაროა, რომ ჩვენ სათანადოდ ვერ წარმოვადგენთ ჩვენს მეფეს. სხვაგვარად, რატომ იტყოდნენ მშვიდობისთვის მებრძოლი მსოფლიო ლიდერები ასეთ სიმართლეს, „ეს რომ ქრისტიანთათვის არ იყოს, მეც ქრისტიანი ვიქნებოდი“ ან „მომწონს თქვენი ქრისტე. არ მომწონს ქრისტიანები. ისინი საერთოდ არ გვანან თქვენს ქრისტეს“, როგორც მაჰათმა განდიმ თქვა.[6]

გესმის ძახილი და უდიდესი საჭიროება, რომ წამოდგე, როგორც ჭეშმარიტების უშიშარი მაძიებელი? ჩვენ დავალებული გვაქვს სიყვარული წინასწარ განზრახვით, რომ სტერილური უნაყოფობის საზღვრებს თავი დავაღწიოთ და მივწვდეთ დაღუპულებსა და გულშემუსვრილებს.

თუ ეკლესია ამის საშუალებას არ მოგცემთ, წაიღეთ მისი სიყვარული შარაგზებზე და გზაჯვარედინებზე. ჩვენი კედლების მიღმა უამრავი შემუსვრილი და გულგატეხილი ადამიანია, რომლებიც თქვენს ჩართულობას მიესალმებიან. მისწვდით თქვენს საზოგადოებას, უსახლკაროებს, თქვენი პროფესიის წარმომადგენლებს, თქვენი განათლების სისტემას ... შექმენით ისეთი ვრცელი და ნათელი ცხოვრება, რომელიც დაუძლეველი იქნება.

დროა, გახდეთ ისეთი მნიშვნელობის მქონე, როგორსაც ხალხი მაგალითად მიიღებს.

რას ვაკეთებთ ახლა? ვაგრძელებთ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ღმერთმა უკვე გადაწყვიტა? შეგვიძლია ჩვენი აზროვნების გაწონასწორება ისე, რომ ავერიდოთ მორჩილებისა და ქალური ღვთაებრიობის უკიდურესობებს? შეგვიძლია პატივი მივაგოთ მამაკაცებს? მოდით, მივყვეთ ხვადი და ძუ ლომების მაგალითს და წამოვდგეთ მამაკაცებთან ერთად, არც მონამორჩილი დამხმარის და არც გაბრაზებული ქალღმერთის სახით.

ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

როცა ვწერ წიგნებს, ვაქვეყნებ მოსაზრებებს Twitter-სა და Facebook-ზე ან გამოვდივარ ქალების წინაშე, იქნება ეს შეკრებებზე თუ მედიის საშუალებით, შესაძლებლობას არ ვუშვებ, რომ ქალების ფასეულობაზე არ ვილაპარაკო. წინასწარზრახვით ვახსენებ მათ, რომ არსებობს მათი ხმისა და წვლილის შეტანის აუცილებლობა ეკლესიაში, ეკლესიის გარეთ, როგორც

ადგილობრივი, ისე მსოფლიო მასშტაბით. ჩემი ლოცვაა, რომ მათ არა მარტო ირწმუნონ ეს და იზეიმონ, არამედ იცხოვრონ კიდეც ამით.

გამოსვლის შემდეგ ყოველთვის წამოიჭრება კითხვა: „შეგიძლიათ მამაკაცებს უთხრათ ეს?“ წინადადება ჩურჩულით არის წარმოთქმული, თითქოს არსებობდეს საფრთხე, რომ ვინმე გაიგონებს და აღმოაჩენს, რომ ქალებმა გაბედეს და მთხოვეს ამ საკითხზე მამაკაცებთან ღიად საუბარი.

კარგა ხანს ვფიქრობდი, რომ საკმარისია ამ თემაზე მხოლოდ ქალებთან საუბარი. წარმოუდგენლად ფასეულია მათთან საუბარი ძალზე ახლო, დაცულ ვითარებაში. თუმცა ღვთის ასულების ამოძრავების პროცესში მივხვდი, რომ მხოლოდ ქალების გამხნევება საკმარისი არ არის, ისევე როგორც მონეტის ფასეულობა მისი მხოლოდ ერთი მხარის დაუზიანებლობით არ განისაზღვრება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემი სამყარო გაფართოვდა და ჩემი ხმაც მოწვეული და მისაღები გახდა ეკლესიური სამყაროს საკვირაო მსახურებებზე. ეს კი, რასაკვირველია, მოიცავს მამაკაცებსაც. როცა ხმას ვიმაღლებ ასეთ შერეულ შეკრებებზე, მამაკაცებს ვაგებინებ, რომ ქალები საკვირველნი არიან.

იშვიათად მინახავს, რომ კაცებს ამაზე წინააღმდეგობა გამოეხატოთ. გარდა ამისა, მათ ვახვედრებ, რომ კაცებიც საკვვირველნი არიან! უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში უამრავი ცრემლი მინახავს მამაკაცთა თვალებზე. ვაკვირდებოდი, როგორ იღებდნენ ცოლ-ქმარნი ერთმანეთს და ბოლო ეღებოდა მათ შორის ჭიდილს. მომწონს ის, რაც ხდება, როცა ამდენი ხნის სულელური ძალაუფლების ჭიდილის შემდეგ ერთმანეთს პატიობენ.

ძვირფასო, ძუ ლომო დებო, მამაკაცები არ წარმოადგენენ ჩვენს პრობლემას. ამ საკითხს გაცილებით ღრმა ფესვები აქვს. სატანა არის ჩვენი მტერი და მაცდუნებელი, რომელიც ორივე სქესის წარმომადგენელთა გაძარცვას ცდილობს. რაღაც დინამიური ხდება, როცა მამაკაცები ღირსებისა და ძალის აღდგენის ტვირთს იღებენ ქალების მხარდამხარ.

ზოგჯერ, როცა საკუთარ თავს იმ პოზიციაზე აყენებ, რომ სხვებმა მოგისმინონ, ბრძოლის ნახევარზე მეტია. თქვენს გარშემო მამაკაცებს სჭირდებათ თქვენი მოსაზრების გაგება. მათ სხვების მოსმენაც ესაჭიროებათ, რომლებიც მამაკაცებისა და ქალების ერთობლივ წამოდგომაზე ილაპარაკებენ. ცვლი-

ლებების მოსახდენად, ორივე მხარე ერთიდაიმავეს უნდა ვამბობდეთ. მოდით, გავახმოვანოთ ღვთის პოზიცია.

ამის გაკეთებისას მინდა საფუძვლიანად გადავხედოთ 1 კორინთელთა მე-11 თავს. მინდა იგი ორ სხვადასხვა ნაწილად გავყო და შემდეგ განვიხილო ისინი, როგორც ერთი მთლიანი.

> „მეტისმეტად დიდ განსხვავებას ნუ დაინახავთ აქ მამაკაცებსა და ქალებს შორის“ (მუხლი 10, თარგმანი *Message*).

პავლემ ამ ყველაფრის თქმით გადმოსცა დავალება, რომ მეტისმეტად ბევრი არ ამოეკითხათ ან დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭებინათ სქესთა შორის განსხვავებისთვის. დიახ, არსებობს განსხვავებები, მაგრამ არა დასაყოფად, არამედ გასაერთიანებლად.

> „არც კაცს და არც ქალს არ შეუძლია ერთმანეთის გარეშე ან არ ფლობენ უპირატესობას ერთმანეთზე“ (მუხლი 11 თარგმანი *Message*).

ამ განაცხადით იგი ლაპარაკობს სქესთა ურთიერთდამოკიდებულებაზე. თუ ორმხრივი დამოკიდებულება არსებობს, მაშინ არ შეიძლება ერთ სქესს მიენიჭოს მეორეზე უპირატესობა.

> „მამაკაცი პირველი შეიქმნა, როგორც ღვთის დიდების ბრწყინვალება – ეს მართალია. თუმცა ქალის სხეულის თავი სილამაზით აღემატება მისი „თავის“, ქმრის თავს“ (მუხლი 11 თარგმანი *Message*).

მამაკაცი პირველად შეიქმნა, როგორც ღვთიური ბრწყინვალების ანარეკლი. ეს მართლაც ასეა. შემდეგ მოდის „მაგრამ“. ქალის სილამაზე ქმრისას ჩრდილავს. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს მხოლოდ ცოლ-ქმარს ეხება.

> „მართალია, პირველი ქალი კაცისგან შეიქმნა, მაგრამ მას შემდეგ ყველა მამაკაცი ქალისგან მოდის!“ (მუხლი 12 თარგმანი *Message*).

მართლაც, პირველი ქალი, ევა მამაკაცისგან, ადამისგან შეიქმნა. შემდეგ პავლე იყენებს სიტყვას, „მაგრამ“, რომ დაა-

ბალანსოს სასწორის მეორე მხარე, რომელიც იწყება სიტყვებით „მას შემდეგ“ ყველა მამაკაცი ქალისგან მოდის.

> „არსებითად, ყველაფერი ღვთისგან მოდის, ამიტომ შევწყვიტოთ „ვინ არის პირველი“ საკითხზე ლაპარაკი“ (მუხლი 12, თარგმანი *Message*).

ახლა, როცა სასწორი დაბალანსებულია, პავლე თავს ანებებს სქესთა დაპირისპირების საკითხს და ღვთიურ თვალთახედვას გვიშლის: ყველაფერი ღვთისგან მოდის, ამიტომ შევწყვიტოთ უპირატესობებზე კამათი! ეს ბევრ რამეს აგვარებს. მხოლოდ ღმერთია პირველი. მხოლოდ ის არის წმიდა, სამართლიანი, სიყვარული, ჭეშმარიტება, გზა, სიცოცხლე, დასაწყისი და დასასრული.

არასოდეს წარმოიდგინოთ, რომ ჩვენი მიმდინარეობების კანონმდებლობები ღმერთზე ზეგავლენას მოახდენს. იგი არ გახლავთ ჩვენი წესდებების შთაბეჭდილების ქვეშ მოქცეული, რის უფლებას ვიძლევით და რის უფლებას არ ვიძლევით. ღმერთი მოქმედებს და როცა ის ხედავს, რომ ადამიანები სწორად ურთიერთობენ და მის კონტროლქვეშ არიან, მაშინ ბრძანებს კურთხევას.

> „რა მშვენიერია, რა ლამაზია, როცა
> ძმები და დები ერთად არიან!
> .....
> დიახ, აი აქ ბრძანებს უფალი კურთხევას,
> და მაშინ ბრძანებს საუკუნო სიცოცხლეს“
> (ფსალმ. 133:1,3)

ეკლესიის ისტორიის განმავლობაში იგი ყოველთვის იყოფოდა ამ საკითხის გამო, მაგრამ მე არ მინდა, რომ ეს საკითხი მემკვიდრეობით გადმოგვეცეს. თუმცა, რასაც ვფიქრობ და ვგრძნობ, მცირე რამ არის ღვთის დადგენილებასთან შედარებით, თუ როგორ უნდა იყოს ყველაფერი. მდგომარეობა იცვლება.

> „უკანასკნელ დღეებში“, - ამბობს ღმერთი,
> „მოვაფენ ჩემი სულისგან
> ყოველ ადამიანს:
> თქვენი ძეები იწინასწარმეტყველებენ,
> ასევე თქვენი ასულებიც;

თქვენი ჭაბუკები ხილვებს იხილავენ,
მოხუცები სიზმრებს ნახავენ.
როცა დრო მოვა,
გადმოვღვრი ჩემი სულისგან
მათზე, ვინც მემსახურება, კაცებსა და ქალებზე
და ისინი იწინასწარმეტყველებენ.
მოვახდენ სასწაულებს მაღლა ცაზე
და ნიშნებს დაბლა, დედამიწაზე.
იქმნება სისხლი, ცეცხლი და კვამლი“ (საქმ. 2:17-19)

უკანასკნელ დღეებში ღმერთი თავის ნათქვამს აღასრულებს. სისხლის, ცეცხლისა და კვამლის სახება ისე ჟღერს, თითქოს ძველებრაულ სამსხვერპლოს წინაშე ვიდგეთ.

სწორედ აქ მოჰქონდათ ადამიანებს ის, რაც მისაღები იყო უზენაესისთვის. მათი შესაწირავები წარმოდგენილი და ზეციურ სამყაროში გარდასული იყო ცეცხლის მეშვეობით.

ახალი აღთქმის ამ ხედვაში ნახსენები არ არის ვაცები, დეკეულები და ხარები, რომლებიც სამსხვერპლომ უნდა შთანთქოს. ამის ნაცვლად ვხედავთ უზენაესის ძეებისა და ასულების, ხანდაზმულებისა და ახალგაზრდების, შინაგანი ალღოს მქონე წინასწარმეტყველური მსახურების ამაღლებულ ხმებს. ჩვენი ცეცხლი თაყვანისცემის სამსხვერპლოზე არ იწვის. ჩვენი ცეცხლი შიგნით არსებობს, როცა სულიწმიდის მიერ შთავინთქმებით და ვმოძრაობთ.

გასულ წლებში, ცოტა არ იყოს, მეშინოდა გენდერულ საკითხზე პირდაპირ ლაპარაკი, მაგრამ ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე საჭიროების შემთხვევაში საზღვრების გადალახვას ვცდილობ. ჩემს ქმარს ჩემი ძლიერების არ ეშინია, პირიქით, მიესალმება ამას. არც ჩემი ვაჟები არიან მოხიბლული სუსტი, დაჩაგრული ქალების ხილვით. სწორია თუ არა ასე თანადგომა მქონდეს, როცა სხვებს ამის საშუალება არ აქვთ? ჩვენს სამყაროს სჭირდება ქალები, რომლებიც ხმას აღიმაღლებენ დაჩაგრულებისთვის ყველა ადგილას. ეს ნიშნავს თავისუფლებას ყველა სფეროში, რომლისთვისაც შევიქმენით ერთმანეთის მხარდასაჭერად.

დროა, გვერდზე გადავდოთ ჩვენი გენდერული საკითხები და მოვერიდოთ უკიდურესობებს, რომლებიც არაეფექტურს გვხდის. დროა, გამოვიღვიძოთ და ვიყოთ, ის, რა მიზნითაც ღმერთმა შეგვქმნა – ძლიერები მასში, მამაკაცთა დამხმარეები და გამოსყიდვის ხმა დაკარგულთა და გულგატეხილთათვის მთელს მსოფლიოში.

7
მისალმება და მოვლა

„მიმზიდველი ტუჩებისთვის –
ილაპარაკე კეთილი, საყვარელი
თვალებისთვის – მოიძიე სიკეთე
ადამიანებში, ჩამოსხმული ტანისთვის –
შენი საზრდო მშიერს გაუყავი, ლამაზი
თმისთვის – ბავშვს ნება მიეცი,
დღეში ერთხელ მაინც გაეთამაშოს
მას თითებით, მდგრადობისთვის იარე
მტკიცე გადაწყვეტილებით,
რომ მარტო არასოდეს ივლი“.
– სემ ლევენსონი

როცა ძუ ლომები ერთმანეთს ლოკავენ, ეს მათი მისალმების ნაწილია. საკმარისია ბოკვერი გაჩნდეს და იგი ვერასოდეს გაექცევა ძუ ლომის სავალდებულო მოფერებას. არ არსებობს ბოკვერი, რომელიც არ მოსწონთ. რაღაც ამდაგვარი სცენა წარმომიდგენია: წარმოზრდილი ლომები სანადიროდ მიდიან. ბოკვერი აღფრთოვანებული აკვირდება ამ სურათს და პრაიდის სიახლოვეში ერთვება. მოულოდნელად ბოკვერს ყოყმანი სძლევს და ფიქრობს:

– *ო, არა! აი, მოდის! დეიდაჩემი ისევ აპირებს გამლოკოს და თავისი ნერწყვი შემაწმინდოს სახეზე!* ზუსტად ასე არ ხდება, როცა დისწული ან ძმისწული შემოაბიჯებს სტუმრად მოსული იტალიელი დეიდებით სავსე ოთახში?

მხოლოდ ბოკვერები არ წარმოადგენენ ძალზე ახლობლური, სახეების ერთმანეთზე მიდებით მისალმების ობიექტებს. ძუ ლომები ერთმანეთსაც უალერსებენ თავებით. მისალმების ეს რიტუალი მათ ერთმანეთის ამოცნობის საშუალებას აძლევს. ჩვენთვის ყველა ძუ ლომი ერთმანეთს ჰგავს, ასევეა მათთვისაც. ძუ ლომს ერთადერთი ხერხი აქვს, რომ იცნოს მისი ოჯახის წევრი და რომელიღაც აბეზარში არ აერიოს. ეს გახლავთ დაყნოსვა. ყველამ ვიცით, რომ გარეგნობა მაცდურია,

ხოლო ყნოსვა სინამდვილეს შეესაბამება.

ყველა ძუ ლომს წარბებთან, ზუსტად თვალების ზემოთ აქვს ჯირკვლები, რომლებიც პრაიდის სუნის სეკრეციას ახდენენ. როცა ძუ ლომების გადაჯგუფება ხდება, ისინი ახლო სოციალურ კონტაქტს ამყარებენ ერთმანეთთან კისრების ხახუნით და თავების ნაზი დარტყმით. ეს მისალმება გაცნობაზე მეტია. გაცნობა გახლავთ პირველადი შეხვედრა, რომელიც ამბობს, „აი, ეს ვარ მე. შენ ვინ ხარ?“. ლომების მისალმებას აქვს სიყვარულის საკვრელების გაძლიერების, მოკავშირეობის დამტკიცების და პრაიდში ყალთაბანდების გამოვლენის ძალა.

ძუ ლომები ერთმანეთს ყნოსავენ და ასე ხდება გაცნობა. ადამიანები ჯერ ცნობენ და შემდეგ ყნოსავენ. შესაბამისი შემთხვევა: ამას წინათ ჩემს ქმარს აეროპორტიდან უნდა წამოვეყვანე. მისი მანქანა დავინახე და ხელი დავუქნიე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერი იყო, სანამ არ გადმოვიდა, ერთმანეთს არ გადავეხვიეთ და მისი სუნი არ შევიყნოსე.

– სასიამოვნო სუნის აგდის, – ვუთხარი მე, როდესაც მისი ოდეკოლონის სურნელი ვიგრძენი.

ვერ წარმომიდგენია შებრუნებული პროცესი: ვხედავ, მამაკაცი მანქანიდან გადმოდის და ჩემსკენ მოემართება. მასთან ახლოს მივდივარ, ვყნოსავ, ვრწმუნდები, რომ ნამდვილად ჩემი ქმრის სუნია და მერე ჩემად ვაღიარებ.

ძუ ლომების ყურადღება სუნით ამოცნობისკენ რამდენიმე მიზანს ემსახურება. მისალმება-მოჩეჩვის რიტუალი პრაიდში არასასურველი რაღაცის ან ვიღაცის აღმოჩენის ბუნებრივი გზაა. უფრო მეტიც, როცა ძუ ლომები ერთმანეთს ესალმებიან და ეხახუნებიან, ერთმანეთის მიღებას და კუთვნილებას გამოხატავენ. ჩვენ, როგორც ღვთის ასულებმა იგივე უნდა გავაკეთოთ ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანთა მიმართ.

საკუთარი შვილების მისალმება და მოფერება

როცა ძუ ლომი ბოკვერს ესალმება, ამით ამბობს, „შენ ჩვენიანი ხარ. შეგიძლია თავისუფლად იყო, აღმოაჩინო შენი ძალა და ჩვენს შორის გაიზარდო. აქ, პრაიდში შენ უზრუნველყოფილი და დაცული ხარ.“ იგი მისალმებას იმის შესაფასებლადაც იყენებს, თუ სად იყვნენ მისი ბოკვერები. სახის ახლოს მიტანით იგი აღმოაჩენს, რაში იყო გარეული ბოკვერი. მას უკვე შეუძლია იკითხოს, „რატომ ვგრძნობ აფთრის სუნს?“

როცა ჩემი მოზარდი ბიჭები საღამოობით სახლიდან გა-

დიოდნენ, მათ ვთხოვდი, რომ მოსვლისას ჩემთვის ეკოცნათ „ძილი ნებისას“ სასურვებლად. კოცნა რამდენიმე მიზანს ისახავდა. პირველი, მიყვარს ჩემი ბიჭების კოცნა. მეორე, არ მიწევს ადგომა იმის გასაგებად, სახლში დაბრუნდნენ თუ არა. და მესამე, კოცნით მათი დაყნოსვის საშუალება მეძლევა.

ურთიერთობა ასე წარიმართებოდა. როცა რომელიმე შვილი სახლში მოდიოდა, აღებდა ჩემი საწოლი ოთახის კარს და ამბობდა – „სახლში ვარ! ღამე მშვიდობისა, დედა.“ მან იცოდა, რომ ჩაძინებული ვიყავი და სწრაფად ხურავდა კარს, მაგრამ მე ვეუბნებოდი, „კარგი დრო გაატარე? მოდი, მაკოცე.“ ყოყმანის შემთხვევაში დავეჭვდებოდი. თუ ის ახლოს მოვიდოდა და მენთოლის გაძლიერებულ სურნელს ვიგრძნობდი, ვიცოდი, რომ რაღაც ნაკლებად სასურველი საქმე ქონდა გაკეთებული. ჩემთან ახლოს მოსულ შვილს კიდევ უფრო ახლოს მოვქაჩავდი, რომ აღმომეჩინა მეორადი სურნელი, რომელსაც იგი საგულდაგულოდ მალავდა. ბოლოს და ბოლოს, ყველა დედამ იცის, როგორი სუნი აქვთ მის შვილებს.

ჩემს ბიჭებთან ასე ახლოს მისვლა ღამის შემოწმებისთვის მოუხერხებელი იქნებოდა, სახლში უკვე დადგენილი რომ არ გვქონოდა ერთმანეთის მისალმება-მოხვევის ყოველდღიური ტრადიცია. ჩვენი ოჯახი ერთმანეთს ყოველ დილით ეხვევა. იგივეს ვიმეორებთ დღის განმავლობაში და ძილის წინ ერთმანეთს ვკოცნით. ერთმანეთთან ხშირი ფიზიკური კონტაქტი გვაქვს, იქნება ეს ძმებს შორის ჭიდაობა, წაბიძგება სამზარეულოს დასუფთავებისას ან მოხვევა სახლიდან გასვლისას და მოსვლისას. მისალმების პროცესი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ჩემი ბიჭები პაწაწინები იყვნენ და ეს არასოდეს შეწყვეტილა. დარწმუნებული ვარ, თქვენს სახლშიც იგივე მდგომარეობაა – საღამოს ძილის წინ ერთმანეთს კოცნით, თმებს უჩეჩავთ, ეხუტებით ტახტზე წამომჯდარი ...

წლების შემდეგ, როცა ჩემი უფროსი შვილი ცალკე გადავიდა და დაოჯახდა, ვისმენდი ისეთი ოინების შესახებ, რომელთა მომსწრეც არ ვყოფილვარ. როცა ვეკითხებოდი, „როდის ჩაიდინე ეს? როგორ გამომრჩა?“ იგი გულუბრყვილო სახეს მიიღებდა და მეუბნებოდა: „იმ ღამეს, როცა ქალაქიდან გასული იყავი“ ან „ეს მაშინ მოხდა, როცა ღამით მეგობართან დავრჩი.“

სახლში რომ ვყოფილიყავი, ყნოსვით შევიგრძნობდი, რაში იყო გარეული! მისალმება დედებს ყოველთვის მიახვედრებს, ჰქონდათ თუ არა მათ შვილებს არასასურველი კონტაქტი. ეს გვეხმარება, რომ მათ სიყვარულით, წვრთნითა და ზოგჯერ

დასჯითაც ვუპასუხოთ. თუ ერთმანეთს რეგულარულად არ ესალმებით სახლში, შეგაგონებთ, რომ დროზე შეუდგეთ ამ საქმეს. შესაძლოა, თქვენმა ბავშვებმა თავდაპირველად წინააღმდეგობაც გაგიწიონ, მაგრამ არ შეწყვიტოთ. თბილი მოხვევა არა მარტო მიახვედრებს თქვენს შვილებს, რომ გიყვართ, არამედ იმ სუნსაც შეგაგრძნობინებთ, რომელიც თქვენს სახლს არ ეკუთვნის. დედებო, თუ მოხვევას მიჩვეული შვილი ერთხელაც შეეწინააღმდეგება ამას, გამოარკვიეთ მიზეზი. არ მისცეთ მას უფლება, რომ თავი კარგად იგრძნოს ჩახუტების არიდებით.

როცა შვილები მომწიფდებიან და ზრდასრულ ასაკს მიაღწევენ, განაგრძეთ მათი მოხვევა და გადაკოცნა. სიახლოვის ფიზიკური გამოვლინება ყოველთვის გაახსენებთ მათ, რომ თქვენს ოჯახს ეკუთვნიან. ეს მათ დაცულობის შეგრძნებას მიანიჭებს ზრდასრულობაში გადასვლის პერიოდში, როცა უკვე საკუთარი ოჯახები უნდა აშენონ.

ერთმანეთის მისალმება

როცა ძუ ლომები ერთმანეთს ესალმებიან, ამით ამბობენ, „ჩვენ ერთმანეთთან კავშირში ვართ. შენზე ჩემი დებისთვის დამახასიათებელი სუნია“. სხვებისგან თბილი მიღება მიუთითებს შემდეგზე: „დაჯექი ჩვენთან, გენდობით და სიხარულით გიღებთ.“ ოფიციალური და თავდაჭერილი მიღება შემდეგი აზრის მატარებელია: „შენი სტატუსი ჯერ კიდევ განხილვის საგანია. ნებისმიერი აღიარებისგან თავს შევიკავებთ, სანამ უკეთ არ გაგიცნობთ.“ ასეთი ნიშნების არსებობისას მიმსალმებელიც და სტუმარიც თავს შებოჭილად გრძნობენ. თუ მისალმება საერთოდ არ მოხდა, დაე, სტუმარი ფრთხილად იყოს.

მოუსმინეთ პავლე მოციქულის სიტყვებს კორინთელთა მიმართ, სადაც იგი ერთმანეთის მისალმების მითითებებს იძლევა:

> „ერთმანეთს წმიდა მოხვევით შეხვდით. ყველა ძმა და და მიესალმოს ერთმანეთს. უფალ იესო ქრისტეს საოცარი მადლი, ღვთის უხვი სიყვარული და სულიწმიდის ახლო ურთიერთობა იყოს თქვენთან“ (2 კორ. 13:12-14, თარგმანი *Message*).

როცა დას შეხვდებით, გადაეხვიეთ. როცა წინამძღოლს ხვდებით, მიესალმეთ მას ისე, როგორც მისდამი პატივისცემა მოითხოვს. როცა გულდაჭრილს ხვდებით, გადაეხვიეთ თანაგრძნობით სავსე გულით. ზოგჯერ სიტყვის თქმა საჭირო არც არის. დროთა განმავლობაში ვისწავლე, რომ გადახვევას მეტი განკურნების მოტანა შეუძლია, ვიდრე გამარჯობის თქმას.

პავლე გამუდმებით აქსოვდა მისალმებებს ეკლესიებისადმი ზრუნვით მიწერილ წერილებში. თუ პავლესთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ადამიანთა მოკითხვა ასე ხშირად ჩაერთო თავის ეპისტოლეებში, მით უმეტეს მნიშვნელოვანია ჩვენთვის მისი პრაქტიკაში გამოყენება.

მოდით, გადავხედოთ მის მისალმებას კორინთოს ეკლესიისადმი:

> „ამას არ გწერთ საყვედურისთვის, რომ თავი უვარგისად ჩათვალოთ. *გწერთ როგორც მამა შვილებს. მიყვარხართ და მინდა კარგები გაიზარდოთ და არა განებივრებულები.* ბევრია თქვენს გარშემო, ვისაც ერთი სული აქვს შეცდომებზე მიგითითოთ, მაგრამ არ გყავთ *მამები, რომლებიც დროს და ძალისხმევასარდაიშურებდნენთქვენსაღსაზრდელად*“ (1 კორ. 4:14-15)

პავლე იწყებს კორინთელთათვის იმის განმარტებით, თუ რას წარმოადგენს მისი წერილი და რას არ წარმოადგენს. იგი არ საყვედურობს შესარცხვენად; პავლეს სურს, დაიცვას მათთან ურთიერთობა და ის, თუ რას წარმოადგენენ კორინთელები თავად მისთვის. ის იყო მამა, ხოლო ისინი შვილები. შემდეგ პავლე განმარტავს, რომ მრავალი თვალყურს ადევნებს კორინთოელ მორწმუნეებს, თუ როდის დაეცემიან, მაგრამ მან, როგორც მამამ, ბევრი რამ ჩადო მათ დასახმარებლად, რომ წარმატებისთვის მიეღწიათ. მისმა მისალმებამ გამოკვეთა, თუ რას წარმოადგენდა იგი წერილის ადრესატებისთვის, რას წარმოადგენდნენ ისინი პავლესთვის, რას ამბობდა, რატომ ამბობდა და რატომ უნდა მოესმინათ მისთვის. ეს ყველაფერი მანამ უნდა სცოდნოდათ, სანამ წერილის მთავარ სათქმელზე გადავიდოდა.

ერთმანეთის მოვლა

თუ ძუ ლომების მისალმების რიტუალი სასურველად

წარიმართება, იგი სწრაფად გარდაიქმნება იმპროვიზირებული მოფერების სცენად. ორმხრივი მოფერების ფორმები მტკიცე კავშირს ქმნის ძუ ლომებსა და მოზრდილ ბოკვერებს შორის, რომლებიც ასევე ინარჩუნებენ ჯგუფის სიახლოვესა და ურთიერთშეხებას.

ძუ ლომები უმთავრესად ერთმანეთის თავსა და კისერს ეხებიან. ეს ის ზონებია, რომლებიც თავად მათთვის ძნელი მისაწვდომია. ისინი უხეში ტექსტურის მქონე ენებით წმენდენ ერთმანეთს სისხლისა და ჭუჭყისგან, როცა ამხანაგს ბეწვს ულოკავენ და ამით ტკიპებსა და პარაზიტებს აცლიან. როცა რაიმე სისხლს და საკვებ ნივთიერებებს იწოვს შენი სხეულიდან, ხსენებული ქმნილება ნელ-ნელა, მაგრამ დაბეჯითებით გპარავს სიცოცხლეს. კარგია სხეულიდან სისხლისა და ჭუჭყის მოცლა, მაგრამ მადლობა ვუთხრათ ღმერთს ჩვენი დეიდებისა და დებისთვის, რომლებიც ტკიპებსა და პარაზიტებსაც მოგვაცლიან!

სიტყვა *მოვლა* ინგლისურ ენაზე ასევე ნიშნავს გაწმენდას, ალაგებას, მომზადებას, დავარცხნას, მოწესრიგებას, მორთვას, მითითებების მიცემას, წვრთნას და აღზრდას. ამ განსაზღვრების თანახმად, უნდა ვიზრუნო და მოვუარო ჩემს კბილებს, სამზარეულოს, ასევე მოვამზადო შვილები ალგებრაში.

მოვლის პროცესი ნაწილებად რომ წარმოვიდგინოთ, პირველი იქნება „გასუფთავება“. იესოს ჰქონდა გამასუფთავებელი საუბრები პეტრესთან. იესოს სურდა პეტრეს ფეხების დაბანა, თუმცა მან უარი უთხრა. იესომ მიუგო, რომ ფეხების დაბანის გარეშე წილი არ ექნებოდა იმ საქმეში, რასაც იესო აკეთებდა. პეტრემ მეტისმეტად მოინდომა შეცდომის გამოსწორება და იესოს მეორე უკიდურესობა შესთავაზა – თავიდან ფეხებამდე დაბანა. ჩვენს საოცარ იესოს იგი კვლავ საწყის პუნქტთან მიჰყავს:

> „იესომ თქვა, „თუ დილით დაბანილი ხართ, მხოლოდ ფეხების დაბანა გჭირდებათ ახლა და თავიდან ბოლომდე სუფთა იქნებით ... ამრიგად, ახლა სუფთა ხართ“ (იოან. 13:10, თარგმანი *Message*).

ჩვენ სუფთა ვართ იმის გამო, რომ იესოს ვეკუთვნით. ამის მიუხედავად, დღის განმავლობაში ფეხები გვესვრება და ზოგჯერ, იქედან გამომდინარე, სად ვიყავით ან რას ვაკეთებდით ან რა გვეცვა, ფეხებს საშინელი სუნი ასდით. დღის განმა-

ვლობაში ჭუჭყიან ნაკვეთებს ან ადგილებს ვეხებით ან მათზე დავდივართ, ყოველ შემთხვევაში, მე შემიძლია ამის გაკეთება. დღის ბოლოს გვჭირდება აკრული ჭუჭყის ჩამორეცხვა.

სწორედ ამიტომ განაგრძობს იესო:

> „თუკი მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც უნდა დაბანოთ ერთმანეთს ფეხები. *რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ.* გეუბნებით იმაზე, რაც ცხადზე უცხადესია, მონა არაა თავის ბატონზე დიდი და არც დაქირავებულია თავის დამქირავებელზე დიდი. თუ გაიგეთ, რაც გითხარით, შესაბამისად იმოქმედეთ და იცხოვრეთ ნეტარი ცხოვრებით“ (იოან. 13:14-17 თარგმანი *Message*).

იესომ ფეხები დაბანა მოწაფეებს და ჩვენც იგივეს გაკეთება დაგვავალა. არ მგონია, აქ პირდაპირი მნიშვნელობით იგულისხმებოდეს, რომ ჩემმა ქმარმა მინი პედიკურის პროცედურა ჩამიტაროს ყოველ საღამოს (თუმცა ეს მშვენიერი იქნებოდა, ძვირფასო). ალბათ, ფეხების დაბანა სიმბოლირებს, თუ როგორ შეგვიძლია ერთმანეთის განახლება და აღდგენა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენი სავალი გზები გვაჭუჭყიანებს.

რამდენიმე უხერხული ფეხბანვის პროცესის მონაწილე ვყოფილვარ, განსაკუთრებით იმ დროს, როცა კოლგოტების ჩაცმა, ლამის, მსახურებისთვის სავალდებულო პირობა იყო. თუმცა იესოს დღეებში ფეხბანვა სტუმრის მიღების ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი იყო ისევე, როგორც ახლა არის გადახვევა და კოცნა.

არ ვარ იმის მომხრე, რომ ხელახლა დავნერგოთ ფეხბანვა. ჩვენ დახურული ფეხსაცმელებისა და მოკირწყლული ქუჩების ეპოქაში ვცხოვრობთ, ისინი კი მტვრიან ქუჩებში სანდლებით დააბიჯებდნენ. ვფიქრობ, როცა მეგობრის ან თაყვანისცემის სახლში შევდივართ, დრო უნდა გამოვყოთ დღის მტვრის მოსაცილებლად და ურთიერთობების ასაგებად.

ძუ ლომების მსგავსად, ჩვენც გვჭირდება ერთმანეთი ჩვენი ცხოვრებიდან მოკრული ჭუჭყის, ტკიპებისა და პარაზიტების მოსაცილებლად.

„ნუ იფიქრებ, რომ სუფთა ხარ,
როცა მრავალი კვირაა არ
განბანილხარ საკუთარი სიბინძურისგან.

ნუ იქნები ზვიადი და თვითკმაყოფილი,
თითქოს ყველაზე უკეთესი ხარ.

ნუ იქნები ხარბი,
უმაწყალო და მგელივით სასტიკი,
რათა შეჭამო ქვეყნის თავმდაბალნი და
მათზე იზეიმო,
დაგლიჯო კაცთა შორის უქონელნი
თავიდან მოსაშორებლად.
წურბელას ორი ასული ჰყავს: მომეცი და
მომეცი!“ (იგ. 30:12-15, თარგმანი *Message*).

მომეცი და მომეცი პარაზიტებია, რომლებიც ჩვენს საკვებ ნივთიერებებს ანადგურებენ და სიცოცხლეს გვპარავენ. სიხარბე და თავის შემწყნარებლობა ვამპირებს გვანან. როცა იმ საზოგადოების ნაწილი ვართ, სადაც ერთმანეთს უვლიან, ადამიანებს ვეხმარებით ცხოვრების სუფთად შენახვაში.

არცთუ დიდი ხნის წინ ვცდილობდი გამერკვია, მქონდა თუ არა ერთი ახალგაზრდა მამაკაცის ცხოვრებაზე ლაპარაკის უფლება. იგი იმედისმომცემი წინამძღოლია და დიდ პატივს ვცემ. იმის გამო, რომ გარკვეულწილად მინდოდა დამეცვა ღვთის მოწოდება მის ცხოვრებაში, გადავწყვიტე მისთვის რაღაც შემესწორებინა. სანამ ამას გავაკეთებდი, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, მაძლევდა თუ არა ჩვენი ურთიერთობა ამის საშუალებას, მომისმენდა თუ არა ის. ამრიგად, ვკითხე:

– რად აღმიქვამ ეკლესიაში?

მან უყოყმანოდ მიპასუხა:

– წინამძღოლად მიმაჩნიხარ.

მისმა პასუხმა გამაგებინა, რომ შემეძლო მასთან ლაპარაკი და ისიც სწორად გაიგებდა, რაც უნდა მეთქვა. სხვაგვარად რომ ეპასუხა, რჩევის მიცემისგან თავს შევიკავებდი.

ამგვარი ფეხბანვა ორმხრივად მოქმედებს. არა მარტო სხვის ცხოვრებას უნდა შევეხოთ სასიკეთოდ, არამედ მათაც მივცეთ ჩვენს ცხოვრებაში თავიანთი წვლილის შეტანის საშუალება. ერთი ძალზე ძვირფასი მეგობარი მყავს, რომელიც უფროს დად მიმაჩნია. იგი სხვებისგან გამორჩეული მწყემსი და ღვთის

ასულების გამოცდილი შემკრებია. საკმაო ხანია ვმეგობრობთ და მან კარგად იცის ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ამას წინათ მისი მოპატიჟება განვიზრახე, რომ ჩემს ცხოვრებაში მოვლის პროცესის ნაწილი გამხდარიყო. ფინჯანი ყავის სმისას ვუთხარი:

– ჩემს ცხოვრებაზე მინდა გელაპარაკო. თუ დამინახავ ან გაიგონებ ჩემგან რაიმე სისულელეს ან არასწორს, გთხოვ, მითხრა. არავითარ შემთხვევაში არ ვფიქრობ, რომ სულიერ მწვერვალს მივაღწიე ან შესწორებები აღარ მჭირდება, მაგრამ ვინმე გამოცდილს ვეძებ, ვინც ჩემი ცხოვრებისთვის აუცილებელ მიმართულებასა და სიბრძნეზე მასწავლის.

იგი თავაზიანად დამთანხმდა, რომ მოევლო ჩემი ცხოვრების არცთუ კარგი შესახედავი მხარეებისთვის. სანამ ეს რეალურად მოხდებოდა, მასთან ურთიერთობა უნდა მქონოდა. გადავწყვიტე ამ დასთან კონტაქტი შემენარჩუნებინა და მისი მითითებები მიმეღო. საამისოდ მის წიგნებს ვკითხულობდი და ჩანაწერებს ვუსმენდი (რატომ უნდა გაემეორებინა ჩემთვის ის, რაც უკვე მკაფიოდ ჩამოაყალიბა). მას ჩემი გაკონტროლების არავითარი სურვილი არ ჰქონდა. მხოლოდ უნდა დარწმუნებულიყო, რომ სახეზე რაიმე ჭუჭყი არ მეცხო! როცა სოციალური ურთიერთმოვლის პროცესში ვართ ჩართული, უნდა ვხვდებოდეთ, რომ ჩვენი სიბინძურე სხვა დებზეც აისახება.

თუ ღვთის სახლში შედიხარ და იქ არ გვხვდება მისალმება ან შენთვის აუცილებელი ურთიერთობის დამყარება, მოგიწოდებ, იპოვო სხვა ეკლესია, სადაც ამგვარი ურთიერთობები და კავშირებია. იმ სახის მეგობრობა და ეკლესიები, სადაც კავშირურთიერთობები არ არის, ვერ დაგვარცხნის ღვთის მიზნებისთვის. როცა მოვლა გვესაჭიროება, ეს ცხადი ხდება. ჩემს მეგობარ მწყემსს ზუსტად ამიტომ ვთხოვე ჩემს ცხოვრებაზე დალაპარაკება, რომ მოვლის საჭიროებას ვაცნობიერებდი. თითქოს სხვებისგან იზოლირებული ვიყავი და ვგრძნობდი, ვერავინ მიგებდა. ესენი მიმზიდველი აქსესუარები როდია და მივხვდი, რომ სხვებისგან მჭირდებოდა სულიერი დახმარება დასავარცხნად და ჩემი ცხოვრებიდან მათ მოსაშორებლად.

მოვლის პროცესი შეიძლება იქცეს ჩვენი ურთიერთკავშირის მთავარ პუნქტად. ჩანს, კატისებრთა ოჯახის დიდმა წარმომადგენლებმა ინტუიციურად იციან ის, რის სწავლაც ადამიანებს ძვირად გვიჯდება: საკუთარი თავის მოვლა საფრთხის მომცველია.

ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲐ

ალბათ, გახსოვთ, რომ პეტრე ფეხბანვას შეეწინააღმდეგა, შემდეგ კი მთელი სხეულის დაბანა მოითხოვა, სანამ იესომ არ გააგებინა, რომ საჭირო არ იყო ზედმეტი გულაზიზობა. იესომ უთხრა მას:

> „მინდა გაიგოთ, რომ მთავარი სიწმინდეა და არა ჰიგიენა“ (იოან. 13:10, თარგმანი *Message*).

ჩვენც ის უნდა გვაღელვებდეს, რაც იესოს – სიწმიდე და არა ჰიგიენა. დღის დასასრულს სწორედ ამაზე ვართ პასუხისმგებელი. როცა ყურადღების ცენტრშია ჩვენი მეობა, სიხარბე და თავის შეწყნარება დაუყოვნებლივ იჩენს თავს. ზოგიერთი ქრისტიანი გარეგნული სიწმიდის შენარჩუნებით არის გართული, ხოლო სხვებს უწმიდურობაში ადანაშაულებენ. იესოს სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა ამბობდა:

> „გარედან კი ასუფთავებთ სასმისსა და ჯამს, შიგნით კისავსენი ხართ მტაცებლობით და უსამართლობით“ (მათ. 23:25)

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს აქ ნაჩვენები უფრო დიდი სურათი: სიწმიდე იმდენად ჰიგიენას არ ეხება, რამდენადაც გულის მდგომარეობას. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მიმდინარეობა ხელებსა და ფეხებს გვიჭუჭყიანებს, მაგრამ ვერ გააბინძურებს იმას, რის გაწმენდაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია. უფალი ღმერთი ერთადერთია, ვინც გვწმენდს!

გაუგებრობა მაშინ წარმოიშობა, როცა ჩვენი ყურადღება გადატანილია ცუდის არიდებაზე ნაცვლად იმისა, რომ კარგის კეთებით ვიყოთ დაკავებული. სწორედ ამ დროს ჩვენს ცხოვრებაში არსებული სიცარიელე არასასურველი თავდამსხმელებისა და მტაცებლების მიზნად იქცევა. იესო სიკეთის საკეთებლად მოვიდა და არა ბოროტის ასარიდებლად. ცოდვის საწინააღმდეგოა სათნოება.

ბოროტი სიკეთით დაიძლევა. ბოროტის განდევნა წესებსა და მისგან დამალვას არ შეუძლია. რა თქმა უნდა, საჭიროა საზღვრების დაცვა და სიბრძნის მოხმობა. რა თქმა უნდა, არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ბოროტებაში ან მასთან ერთად არ ვიმოქმედოთ. თუმცა ისმის კითხვა, იმას ხომ არ ვწმენდთ,

რისი მოშორებაც აუცილებელი არ არის? მოდით, ნუ შევეცდებით საკუთარი თავისა და სხვების განბანას არასწორის მოსაშორებლად.

აი, იესოს რჩევა საკუთარი სხეულის სიხარბისა და თავის მართლებისგან გასაწმენდად:

> „გაეცით მოწყალება, რაც შიგნითაა, და აჰა, ყველაფერი სუფთა გექნებათ“ (ლუკ. 11:41)

ღმერთი დაინტერესებულია, რომ შიგნით ყველაფერი სუფთა გვქონდეს. მან მომიწოდა, რომ შევაგონო მისი სხეული, ეკლესია, რომ არაფერია თუ ფრჩხილები და ტანსაცმელი გაგვიჭუჭყიანდება, როცა ჩვენს გაწკრიალებულ შენობებს მივატოვებთ სხვების დასახმარებლად.

ეს იყო გაკვეთილი, რომელიც სიმონ ფარისეველს უნდა ესწავლა.

უმაღლესი განწმედის აქტი

იესო მოიწვიეს სიმონ ფარისევლის სახლში. იქ „სუფთების“ შეკრება იყო, სანამ შენობაში ქალაქის მეძავი არ შემოიჭრა. მას ესმა, რომ იესო იქ იქნებოდა და გამოჩნდა. თითქოს ეს არ კმაროდა, ჭურჭლით ძვირფასი ნელსაცხებელი მოიტანა, იესოს წინაშე დაეცა და თვალცრემლიანმა დაღვარა სურნელება იესოს ფეხებზე! საწყალი სიმონი. მას მხოლოდ ის სურდა, რომ იესო და მისი მეგობრები სადილად მოეწვია და აი, რა მოხდა. როცა სიმონმა ეს იხილა, თავის თავს უთხრა: „ეს რომ წინასწარმეტყველი იყოს, შეიტყობდა ვინ და რანაირი დედაკაცი ეხება მას“ (ლუკ. 7:39).

შემდეგ იესომ სიმონს კითხვა დაუსვა. მას სურდა გაეგო, ვინ იქნებოდა უფრო მადლიერი ვალის პატიების გამო – პიროვნება, რომელსაც მცირე თანხა ემართა თუ ის, ვისაც ბევრი ემართა. სიმონმა სწორად უპასუხა, რომ უფრო მეტად მადლიერი იქნებოდა ბევრი ვალის მქონე.

მოულოდნელად იესო ოთახში მყოფ მეძავს მიუბრუნდა, რომლის დაუნახაობა ყოვლად შეუძლებელი იყო:

> „*მიბრუნდა დედაკაცისაკენ* და *უთხრა სიმონს*: „ხომ ხედავ ამ დედაკაცს? შენს სახლში შემოვედი და წყალიც არ მომეცი ფეხებისათვის, ამან კი ცრემლით დამისველა ფეხები და თავისი თმებით

> შემიხოცა. შენ არ გიკოცნია ჩემთვის, ამას კი, რაც აქ შემოვიდა, არ შეუწყვეტია ჩემი ფეხების კოცნა. შენ ზეთი არ გიცხია ჩემს თავზე, ამან კი ნელსაცხებელი სცხო ჩემს ფეხებს. ამიტომ გეუბნები: მაგას მიეტევა მრავალი თავისი ცოდვა, რადგან ძლიერ შეიყვარა. ხოლო, ვისაც ცოტა მიეტევა, მცირედ უყვარს“ (ლუკ. 7:44-47)

ეს მუხლები ჩანაწერია იმისა, თუ რა თქვა იესომ *ქალის შესახებ* რელიგიური ექსპერტების თანდასწრებით, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იესოს სიტყვები ქალის მიმართ:

> „და უთხრა ქალს: *„მიგეტევა შენი ცოდვანი.“* იწყეს მისმა თანამეინახეებმა თავისთვის ლაპარაკი: „ვინ არის ეს, ცოდვებსაც რომ მიუტევებს?“ მან კი უთხრა დედაკაცს: „შენმა რწმენამ გიხსნა შენ. წადი მშვიდობით“ (ლუკ. 7:48-50)

აღსანიშნავია, რომ იესომ ერთადერთი ადამიანი გაათავისუფლა, რომელიც მიპატიჟებულიც კი არ იყო. რატომ? იმიტომ, რომ სიმონისგან განსხვავებით, იგი მას მიესალმა და ფეხები დაბანა. სიმონმა თავი მეტისმეტად მაღლა დააყენა საიმისოდ, რომ იესოს წინაშე თავი დაემდაბლებინა, მაგრამ არა ამ ქალმა.

შესაძლებელი იყო თუ არა ცოდვების პატიება სიმონისთვის? რასაკვირველია. მიტევება ყველა იქ მყოფისთვის შესაძლებელი გახლდათ. იესომ ასე ბევრი რამ თქვა იგავში, მაგრამ იმ დროს სიმონმა ვერ გააცნობიერა ან ვერ ამოიცნო, რომ მის გულსაც სჭირდებოდა გაწმენდა, რომლის შემძლეც იესო იყო.

როცა წარმოვიდგენთ, რომ ჩვენს გულს მოვლა და გაწმენდა არ სჭირდება, სხვების გასამართლებას ვიწყებთ. განკითხვისას ვუარყოფთ სხვებისთვის იმას, რაც თავად გვჭირდება. სიმონსაც ასე მოუვიდა. მას ჭირდებოდა ფეხების დაბანა, სამშვიდობო მისალმება, ზეთისცხებით განკურნება. თუმცა ფიქრობდა, რომ ამ ყველაფერზე მაღლა იდგა და სწორედ ამიტომ არ შესთავაზა მისალმებისა და განწმენდის რიტუალები მის სტუმრებს.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

როცა ამას ვწერ, არ შემიძლია არ ვთქვა: რა იქნებოდა, იესოს ქალებისთვის რომ შემოეხედა და კითხვა დაესვა თანამე-

დროვე მკაცრი წინამძღოლებისთვის: „თქვენ ფიქრობთ, რომ ქალის ცოდვა მეტისმეტად დიდია იმისთვის, რომ მან აღიარება დაიმსახუროს, ამიტომ უგულებელყოფთ? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ იგი როგორღაც არ შეეფერება სახარების წარდგენის დავალებას. ამიტომ მე ხაზი გავუსვი ამ ქალის მაგალითს და ამით გავათავისუფლე ქალები. თქვენ გგონიათ, რომ ევას ცოდვა ადამისას აღემატება და მის ასულებს ჩემს სუფრასთან არ უშვებთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ვისაც მეტი მიეტევა, მას მეტად უყვარს. ამ ასულებისთვის მოიძებნება საპატიო ადგილი, თუნდაც ეს ჩემი ფეხების დაბანისა და ცხების მეშვეობით მოიპოვონ.“

საყვარელო ძუ ლომებო, დროა ისევ მივცეთ ჩვენს დიდებულ უფალს რაღაც ისეთი, რითაც ჩვენს გამო დაიკვეხნის. ეს რომ მოხდეს, მინდა სხვებს დავბანო ფეხები და მეც დავაბანინო სხვას. მოდით, მოვინდომოთ თითოეულმა და ისეთი რამ მოვიმოქმედოთ ან იქ წავიდეთ, რაც იესოს აღფრთოვანების მიზეზს მისცემს, როცა ჩვენსკენ გამოიხედავს. სიმონი ფიქრობდა, რომ ეს დაღუპული ქალი იესოსთვის ყოველმხრივ მიუღებელი იქნებოდა, მაგრამ იესო მის უხერხულ მცდელობებს სიყვარულით გამოეხმაურა. ნუ დაღონდებით, თუ თქვენი ძალისხმევა ერთობ გაუბედავი იქნება პირველ ჯერზე. უბრალოდ, პირობა დადეთ, რომ დაიწყებთ. მინდა ყველამ მოვახდინოთ იესოზე ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენზე თქვას, „მოხიბლული ვარ მათი მხრიდან გამოხატული სიყვარულით.“

მოდით, რაღაც მართლაც მნიშვნელოვანი გავაკეთოთ ჩვენი უფლისთვის. როცა სხვებისთვის სიკეთეს, მოვლას და მისალმებას გავცემთ, მასზე ვღვრით ჩვენს თაყვანისცემას. მოდით, ვცხოთ ერთმანეთი მისი მოსვლისა და ჩვენი მკვდრეთით აღდგომისთვის. მოდით, ფეხები დავბანოთ ერთმანეთს, თუნდაც ეს ჩვენი ცრემლებით იყოს. დაე, დაუბრკოლებლად იდინოს, სანამ საკმარისი არ დაგროვდება ეკლესიის ფეხებიდან მტვრისა და ჭუჭყის ჩამოსარეცხად. მოდით, ვიტიროთ საკუთარ ცოდვებზე და უსამართლობაზე, რომელიც ჩვენი დებისა და ბავშვების მიმართ ხორციელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თუ თქვენზე გადმოსული წყალობა საკმარისი არ არის, რომ ცრემლი დაღვაროთ, დაე, შეგძრათ დატყვევებული ასულების სავალალო მდგომარეობამ. თქვენი ცრემლები სხვათა ფეხებს ჩამობანს და ჩვენს უფალს განადიდებს.

ძუ ლომთა შეხვედრა და ერთმანეთის მოვლა სიმბოლოა იმისა, თუ როგორ უნდა მივიღოთ და გამოვხატოთ ერთმანეთისადმი კუთვნილება. ჩვენი მისალმება მიანიშნებს, რად

აღვიქვამთ ერთმანეთს (წინამძღოლებად, ტოლ-სწორებად თუ მონაფეებად). სხვების ხედვა შენს შესახებ განსაზღვრავს, თუ როგორ იქნები მოვლილი. ძუ ლომების მაგალითი გვასწავლის, რომ გარკვეულ ფასს ვმატებთ, როცა სხვებს ვუვლით. ამის აღიარებით ვამჟღავნებთ ღირსებას, თავმდაბლობასა და პატივს. ჩვენი შეხვედრა უნდა ამბობდეს, „გიცნობ და გაფასებ. შენს გამო ვარ აქ. ახლა იმ უხეშ ადგილზე არსებულ ტალახს მივხედოთ, ნება მომეცი, დაგეხმარო მის ჩამორეცხვაში."

ახლახანს დავბრუნდი ძუ ლომების რეგულარული შეკრებიდან, რომელიც ამჯერად ორ დღეს გაგრძელდა. შეხვედრისას ერთმანეთს გადავეხვიეთ. თავს მოხერხებულად ვგრძნობთ და ერთმანეთის ყოფნა გვანუგეშებს. ექვსმა ჩვენგანმა სასტუმროს ორი ოთახი დავიკავეთ. დასაძინებლად დავწექით და ერთად გავიღვიძეთ. დღის განმავლობაში ვსვამდით ლატეს და ვიზიარებდით საკვებს. გვიან საღამოს პიჟამოებში ჩაცმულები ვიკრიბებოდით, ერთმანეთს ვესალმებოდით და ვწმენდდით. ვისწავლეთ, როგორ ვიყოთ გახსნილები და ერთმანეთს თავისუფლად გავუზიაროთ, რას წარმოვადგენთ ერთმანეთისთვის. მეგობართა ამ საყვარელ გუნდში არიან გულგატეხილი დედები, ჯერ დაუმკვიდრებელი მგზავრები, დაქანცული მეომრები და აღფრთოვანებული მეოცნებეები.

პირველი საღამო ერთმანეთის მისალმებაში გავატარეთ (მიყვარხარ, მომენატრე). მეორე დღეს გავიღვიძეთ მოვლის პროცესის წამოსაწყებად (როგორ ხარ?). ვიცით ერთმანეთის ძლიერი და სუსტი მხარეები. ვხვდებით, რომ ზოგჯერ ეს ერთიდაიგივეა. ერთმანეთს რთულ კითხვებს ვუსვამთ. ერთად ვიცინით, ვტირით და შიშებს, ცოდვებსა და სისუსტეებს ვაღიარებთ. ამ ყველაფერს ვასრულებთ ერთმანეთის, შვილებისა და მომავლისთვის ლოცვით. იქედან წამოვედი დაღლილი, მაგრამ ტკიპებგაცლილი, მტვერჩამობერტყილი და ფეხდაბანილი.

ვისწავლე, როგორ მიხაროდეს მოვლის პროცესი, რადგან ვიცი, რომ ძუ ლომ დებს ვუყვარვარ და იქ ჩემს გამო არიან. ვიცი, რას წარმოადგენენი ისინი ჩემს ცხოვრებაში. მათაც იციან, ვინ ვარ მათთვის. ზოგჯერ ერთმანეთს არ ვეთანხმებით, მაგრამ ეს ვერ გაგვთიშავს.

ვინ არიან ქალები თქვენს ცხოვრებაში, რომელთაც უნდა მიესალმოთ? ვინ არის შენს ირგვლივ, ვისთვისაც სასარგებლო იქნება თანაგრძნობით სავსე მოვლა? არის ვინმე, ვისაც მოიწვევდი მოვლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად?

8

ლომები სტრატეგიულები არიან

„სამართლის სული - სამსჯავროში
მსხდომთათვის და ძალა -
კარიბჭიდან თავდამსხმელთა
მომგერიებელთათვის“
ეს. 28:6

ძუ ლომები არ არიან სავანის უძლიერესი მკვიდრები, მაგრამ ძალის ნაკლებობას სტრატეგიითა და გულითადობით ავსებენ. ჩვენი ძუ ლომი დები ერთმანეთთან დაკავშირებული ნათესავების სტრატეგიულ გუნდად მოქმედებენ. იქ არიან პრაიდის დები, დეიდები, ასულები და დეიდაშვილები. ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და ამიტომ კარგად იცნობენ ერთმანეთის ძლიერ და სუსტ მხარეებს. როცა საქმე მიდგება საკვებისთვის ნადირობაზე, დაკარგული ბოკვერის მოძებნასა თუ ახალგაზრდა თაობის წვრთნასა და დაცვაზე, პრაიდის ყველა ძუ ლომს თავისი ფუნქცია და საკეთებელი აქვს. მოდით, დავიწყოთ ნადირობის პროცესით. ძუ ლომების ნადირობისას წინა პლანზე გამოდის სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი: დრო, შენიღბვა და ახლო მანძილი. ძუ ლომისთვის სწორად შერჩეული დრო არა მარტო გადამწყვეტია, ფაქტობრივად, ის ყველაფერია. მან შეისწავლა უნარი, რომლის გათავისება არც ჩვენთვის იქნებოდა ურიგო: დროს შენს სასარგებლოდ მუშაობის საშუალება უნდა მისცე. ძუ ლომი შრომობს დროის ნაწილებსა და განათებაზე, რომ ნადირობის დასაწყისი არ გამოეპაროს. იგი ნადირობს ყველაზე შესაფერის მონაკვეთში – შებინდებისას და განთიადამდე. არავის შეუძლია მზის ჩასვლის დაჩქარება ან მზის ამოსვლის დაყოვნება. ამრიგად, ძუ ლომები მოთმინებით და მიზანსწრაფულობით აღიჭურვებიან. განათების შემცირებისას იგი ეფექტურად ინიღბება, რაც მას მიახლოების საშუალებას აძლევს. აფრიკის

დაბლობის მკვიდრი ცხოველების უმრავლესობის მხედველობა დაღამებისას უარესდება, ხოლო ძუ ლომებისა იგივე რჩება (ამაზე მოგვიანებით).

როცა სწორი განათება შერჩეულია, იგი თავდასხმის დროსა და ადგილმდებარეობაზე მუშაობას იწყებს. უმეტეს შემთხვევაში ძუ ლომები ღიად იმალებიან. ისინი დღის სინათლეზე არხეინები ჩანან, როცა სავარაუდო ნადავლის მიმართ ისე განთავსდებიან, რომ ქარი ძუ ლომების მხარეს უბერავდეს. როდესაც ლომი პოზიციას ირჩევს, მიწაზე წვება.

ძუ ლომების გამოჩენა ფარისთვის სულერთი არ არის. მისი იქ ყოფნა მთელს დაბლობს აშფოთებს. ყველაზე ახლოს აღმოჩენილები პანიკაში ვარდებიან და იფანტებიან. დამფრთხალი ცხოველები უკან იყურებიან იმის დასანახად, ხომ არ მოსდევთ ლომი, მაგრამ იგი ადგილიდან არ იძვრის. ჯერ დრო არ დამდგარა. იგი გარინდული, თითქმის უჩინარია ოქროსფერ ბალახში. მას წათვლემაც შეუძლია, მაგრამ ძილი ღრმა არ არის. იგი ძალებს იკრებს და შესაფერის დროს ელოდება სამოქმედოდ.

ლაღი ფარა მშვიდდება და ძუ ლომი ყველას ავიწყდება. ცხოველები თავჩაქინდრული ბალახობენ. მოთმინებაში გაწაფული ლომი ლანდშაფტს შეერწყა. მისი ნადავლი მოდუნდა და ავისმომასწავებელი უშფოთველობით ეგუება მის იქ ყოფნას. ძუ ლომმა მიაღწია სასურველი უდარდელობის ატმოსფეროს შექმნას. ახლა იგი მეტისმეტად მიზანსწრაფული ხდება.

ბინდდება, ძუ ლომი ახლოს მიხოხავს. მისი მოძრაობა ნელია. მიწას ეკვრის. მისი უზარმაზარი თათები საოცრად უხმაუროდ მოქმედებენ. თავდახრილი ძუ ლომი დაგეგმილ შესვენებას აკეთებს, რომ ნადავლამდე მანძილი შეაფასოს. მოულოდნელობა და ახლო მანძილი გადამწყვეტია, რომ მისი ნახტომი წარმატებული გამოდგეს. იგი ანტილოპა იმპალას სისწრაფეში ვერ აჯობებს.

მოულოდნელად ბუჩქებიდან ლომი ხტება. შეშინებული იმპალა გარბის. მისი გავა ძლივს გადაურჩა ძუ ლომის ბასრ ბრჭყალებს. რბოლა გრძელდება. თავზარდაცემული ანტილოპა ვერც კი ხვდება, რომ პირდაპირ საფარისკენ მიექანება. მეორე ძუ ლომი გზას უღობავს. იმპალა უხვევს მისგან თავის მოსარიდებლად და პირდაპირ სხვა ძუ ლომის გზაზე დგება. სიკვდილი სწრაფი და თითქმის ჰუმანურია.

ნუთუ პირველი ლომი წარუმატებელი გამოდგა? შესაძლოა კი ან არა, თუმცა ერთი რამ ცხადია – იგი სიფრთხილით დაგეგმილი სტრატეგიული გეგმის ნაწილი იყო. ძუ ლომები

დიდი კატების ერთადერთი წარმომადგენლები არიან, რომლებიც შეთანხმებულად ნადირობენ. ვეფხვები, ლეოპარდები, პანტერები და ჩიტები მარტო ნადირობენ, ხოლო ძუ ლომები – ერთად. ისინი მეტად დახელოვნებული მონადირეები არიან. თითოეული ლომი თავის ადგილს იკავებს და ნადირობისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს პრაიდის დების საზოგადოებაში სრულყოფს. ხვადი ლომები ცნობილი არიან ფარაში შევარდნით, რომ დასცენ, რომელი ცხოველიც მოხვდებათ. ბოლოს და ბოლოს, ხვადი ლომი ხომ საზარელი მკვლელია. ძუ ლომები კი არ ჩქარობენ ... ისინი ცეკვავენ. მათი შეთანხმებული ნადირობა სუნთქვისშემკვრელია. სწორედ ამ მიზეზის გამო ძუ ლომი მიჩნეულია *ნადირობის გმირობის უმაღლეს მწვერვალად.*

გმირობა

მიყვარს სიტყვა *გმირობა*. მომწონს ის გრძნობა, რომელსაც მისი წარმოთქმა აღძრავს. მიდით, სცადეთ .... გმიიირრრროოობბაა.

ამ ბოლო დროს, საუბარში გამიზნულად ვიყენებ სიტყვას *გმირობა-ს.* მისი წარმოთქმა ყოველთვის იწვევს წარბების აზიდვას. *გმირობა* არ გახლავთ გაცვეთილი სიტყვა, რომელმაც სხვა სიტყვებივით დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა. ძუ ლომის მსგავსად *გმირობაც* მოიცავს სასწაულს რაღაც ზომით და მის ასოებში იდუმალების ატმოსფერო იგრძნობა.

ახალგაზრდა ქალები, რომლებიც ჩემთან ერთად მოგზაურობენ, ცნობილი არიან ამ სიტყვის დაწყვილებით სხვადასხვა სიტყვებთან, რომ მოძებნონ საუკეთესო თანწყობა. ისინი ახსენებენ მოგზაურობისთვის საჭირო *გმირობას*, ტვირთის ჩაბარების *გმირობას*, ჩალაგებისთვის აუცილებელ *გმირობას* და ბოლოს, ლოცვისა და ქადაგების *გმირობას*. ჩვენ გვინდა, რომ *გმირობა* გახდეს ახალი მოდური სიტყვა.

უფრო სერიოზულ ჭრილში, *გმირობას* ის მნიშვნელობები გააჩნია, რის აღმოჩენაც და შემდეგ გამოხატვა მსურს ქალებისგან. გარდა ამისა, *ნადირობას* ვუკავშირებთ რა *გმირობას* (როგორც ზემოსხენებული ფრაზის შემთხვევაში იყო: ძუ ლომი მიჩნეულია ნადირობის გმირობის უმაღლეს მწვერვალად), მინდა იგი ასევე შეესაბამებოდეს სიტყვებს – *ენერგიული, სტრატეგიული, ახლებური, აღზრდა, სტილი* და *კომუნიკაცია.*

ვარიანტები უსაზღვროა. მაგრამ ძუ ლომი არ *ლაპარაკობს* გმირობაზე – იგი თავად *არის* გმირობა.

თუ გმირობას ფორმა აქვს, აუცილებლად კატისებრი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე ძაღლებს ვამჯობინებ, ვერაფრით ვუსადაგებ სიტყვა გმირობას ჩემს იორკშირულ ტერიერს. თუ გმირობას ფერი აქვს, იგი ოქროსფერად წარმომიდგენია. ტექსტურა? – ტალღოვანი ბეწვი. გმირობა მიზანმიმართულად დადის და საჭიროების შემთხვევაში, ფრთხილად და უხმაუროდ მოქმედებს. გმირობას ძალით ვერ ჩაიდენ და ვერც გააყალბებ, მაგრამ მისი განვითარება შეიძლება და აუცილებელიცაა. თუ ის გაქვს, მისი მფლობელი ხარ. სწორედ გმირობა ხდის ძუ ლომს ასე ძლიერს. მას არ ეშინია საკუთარი ძალის. პირიქით, თავს მოხერხებულად გრძნობს.

ჩემს ლეპტოპში ჩაწერილი მაქვს Encarta სინონიმთა ლექსიკონი, საიდანაც ვიგებ, რომ *გმირობა* (ინგ. *prowess*) მოიცავს ტერმინებს: *უნარი, შესაძლებლობა, მაღალ დონეზე შეფასება, კომპეტენცია, სიმარჯვე, ნიჭიერება, გამოცდილება.* გარდა ამისა, მომწონს ეს ორმაგი მნიშვნელობები: „1. გამორჩეული უნარი, ნიჭი და ძალა; 2. გამორჩეული სიმამაცე, გმირობა.“[1]

ძუ ლომების მსგავსად, თქვენც გაქვთ სიმამაცე. ეს გამორჩეული უნარი, ძალა ან გმირობაა, რომელიც თქვენს ცხოვრებაში რეალიზებას ელოდება. იგი, შესაძლოა, მიმალულია და განვითარებისკენ წახალისება სჭირდება, მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ის იქვეა. ღმერთი ნიჭსა და უნარს შინაგან ადამიანში ღრმად დებს. ჩვენ უნდა მოვიძიოთ, ზედაპირზე ამოვიტანოთ და გავლესოთ. გმირობა ასე ამბობს, *ყველაფერი არ ვიცი და ყველაფერს ვერ ვაკეთებ, მაგრამ რაც ვიცი, ვცდილობ საუკეთესოდ ვაკეთო.* გმირობის სფეროები ხშირად იღვიძებს ჩვეულებრივი თუ წარმოსახვითი თამაშების და სპორტის მეშვეობით. არის რაღაც თქვენში, რომელიც გარეთ გამოსვლასა და თამაშს ლამობს? გმირობის თქვენი სფერო შეიძლება იყოს ის, რაც აღგაფრთოვანებთ უშიშარი და მოქმედი ლომების ცქერისას. შესაძლოა, ნადირობის, დაცვის ან აღზრდის დროს ისინი იმას აკეთებენ, რაც თქვენ კარგად იცით.

რატომ ითვლებიან ძუ ლომები ნადირობის გმირობის მწვერვალებად? ისინი *ერთად* ნადირობენ ყოველგვარი შეჯიბრისა და რანგებად დაყოფის გარეშე. არც ერთი ქალის ხვედრი ან წვლილი არ არის მეორისაზე მნიშვნელოვანი. საჭიროა თქვენ თქვენ იყოთ! სხვისი ნიჭის მიბაძვა კარგს არაფერს მოიტანს, პირველ რიგში, თქვენთვის. ინდივიდუალობა ერთმანეთის შედარებით, გადაღებით ან გაჯიბრებით არ მიიღწევა. თითოეული ძუ ლომი საკუთარი უნარების ნაკრებს ივითარებს. კარგი იქნება, თუ მათ მივბაძავთ.

> „ასევე, ყველა ჩვენგანი საოცრად ჩამოვყალიბდით და საკვირველად ვმოქმედებთ, როგორც ქრისტეს სხეულის ასოები. ამიტომ, ვიაროთ წინ და ვიყოთ ის, რაც უნდა ვიყოთ. ნუ შევედარებით ერთმანეთს შურით ან სიამაყით და ნუ ვეცდებით გავხდეთ ის, რაც სინამდვილეში არ ვართ“ (რომ. 12:5-6 თარგმანი, *Message*).

ხშირად ვმონაწილეობ კონფერენციებში, სადაც უკიდურესად ნიჭიერი მქადაგებლები გვხვდებიან. მათ შემდეგ გამოსვლა, ცოტა არ იყოს, დამაფრთხობელია. ბევრი განსაცდელისა და შეცდომის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ამ მხრივ საუკეთესო მიმართულება ჩემი თავის საუკეთოდ წარმოჩენაა. გახსოვდეთ, არავინ მიგიწვევთ თავის სამყაროში, რომ თავი სხვა პიროვნებად წარმოადგინოთ. მათ თქვენ უნდიხართ.

როცა წავიკითხე ზემოხსენებული ნაწყვეტი წმ. წერილიდან, „საოცრად ჩამოვყალიბდით და საკვირველად ვმოქმედებთ“, ჩვენი ნაცნობი ტერმინი *გმირობა* და ის ფაქტი გამახსენდა, რომ თქვენი არსება შიშსა და საოცრებას გამოხატავს. ღმერთმა შიშის სული როდი ჩაგბერათ, არამედ სიყვარულის, ძალისა და საღი აზრის (იხილეთ 2 ტიმ. 1:7). თქვენ საოცრებით შეიქმენით, მაგრამ არც საშიშები ხართ და არც უნდა გეშინოდეთ. საყვარელნო, დედამიწაზე საყოველთაო ტერორის ეპოქაში აღმოჩნდით, რომ ჩვენი ღმერთის საოცრება გამოხატოთ. თქვენ მოწოდებული ხართ, რომ იყოთ საკვირველად ფუნქციონირებადი ნაწილი, რაც ჩემი აზრით, გმირობის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

ღმერთი ყველას მოუწოდებს თავისი პოზიციის დასაკავებლად ძუ ლომების მსგავსად. ყველა თავის ადგილას უნდა იდგეს, თავისი ძალის შესაბამისად.

ძუ ლომების ნადირობის აღმატებულებას მრავალ აფრიკულ ქვეყანაში ზეიმობენ. გამორჩეული მეომრები ან მონადირეები „ძუ ლომის ძედ“ იწოდებიან. იცით, სწორედ ძუ ლომი წვრთნის ბოკვერებს ნადირობისთვის, როგორც ხვადებს, ისე ძუებს. წმ. წერილი ამ პროცესსაც გამოკვეთს:

> „რა იყო დედაშენი?
> ძუ ლომი ლომებს შორის.
> ლომის ბოკვერებთან იწვა იგი,
> ზრდიდა თავის ლეკვებს.

> გაზარდა ერთი ლეკვთაგანი,
> ლომის ბოკვერად იქცა და
> ისწავლა ნადავლის გლეჯა“ (ეზეკ. 19:2-3)

ძუ ლომის მზრუნველობა ბოკვერების მოვლით არ შემოიფარგლება. ასე ბევრი ცხოველი იქცევა. ძუ ლომები ასევე ცნობილი არიან პრაიდის ბებერი ან დაზიანებული ძუ ლომების მოვლით. ისინი წარმოადგენენ წებოს, რომელიც ხელს უწყობს პრაიდის ჯანმრთელ ერთეულად ფუნქციონირებას.

ხვადი ლომი გამორჩეული ფიგურაა, რომელსაც გამოჩენის არ ეშინია. ამის საპირისპიროდ, ძუ ლომის ძლიერება თითქმის უჩინრად მოქმედების უნარშია. მის მიზანს არ ემსახურება ნადირობისას მისი ყოფნის გამოცხადება და როცა საქმე ბოკვერების უზრუნველყოფას ეხება, კამუფლაჟი წინასწარ განზრახული უპირატესობაა. თუმცა, ყველაფერი იცვლება, როცა ბოკვერებს საფრთხე ემუქრებათ.

> „ძუ ლომს შენ ასწავლი მსხვერპლის მონადირებას, შენ მოუკლავ შიმშილს ლომის ბოკვერებს, ბუნაგში რომ მოკალათებულან?“ (იობ. 38:39, თარგმანი *Message*).

ეს მონაკვეთი ღვთისა და იობის საუბრის ჩანაწერია. ეს ურთიერთგაცვლა მოწმობს, რომ ღმერთი ასწავლის ძუ ლომს ნადირობას, მიპარვას, საკვების მომლოდინე ბოკვერების უზრუნველყოფას. ათავსებს თუ არა დიდებული ღმერთი რაიმე მინიშნებებსა და სიგნალებს ძუ ლომის საცხოვრებელ გარემოში, რომ განუწყვეტლივ განავითაროს მისი უნარები? ქმნილების ღვთივსულიერი ელემენტები ხომ არ ასწავლის ძუ ლომს ნადირობასა და ზრუნვას, ისევე როგორც ჩვენში აღძრავს ღვთის ძიებისა და ერთმანეთის სიყვარულის სურვილს ქმნილების საოცრება?

ველური რბოლა

მინდა განვავრცო ნადირობის კონცეფცია. ნადირობა *მოკვლით* და *შემდეგ ჭამით* არ შემოიფარგლება. *ნადირობა* ასევე აღწერს რბოლას, ძიებას და თავის გადარჩენასაც კი. სიტყვა ზმნის ფორმით გულისხმობს დევნას, მიპარვას, მიგნებას, მიყოლას და მოლოდინით წოლას. საინტერესო მეჩვენა, რომ ეს ზმნები ღვთის ჩვენეულ ძიებასაც მიესადაგება.

> „ღმერთო, უფალო ჩემო! მთელი ძალით მოვრბივარ შენსკენ, რადგან ეს სამკვდრო-სასიცოცხლო, ველური რბოლაა“ (ფსალმ. 7:2, თარგმანი *Message*).

ეს ნადირობა გიტაცებს. მომწონს კონცეფცია, „ველური რბოლა ღვთისკენ“. ფრაზის აღწერა საოცრად განსხვავდება ჩვენი ნახევრად მძინარე დილის ლოცვებისგან. ეს სიტყვები აუცილებლობას, სისწრაფეს და მიზანსწრაფულ დევნას გულისხმობს. წმ. წერილის ამ მონაკვეთის დანახვა სხვა მხრიდანაც შეიძლება. იგი შეიძლება იყოს რაღაც ველურისა და საშიშისგან თავის დაღწევა ანუ ველურისგან ღვთისკენ გაქცევის რბოლა. ორივე შეესაბამება. ორივე აღმაფრთოვანებს, მაგრამ მე მაინც ღვთისკენ ველურ და საშიშ რბოლას ვამჯობინებ. ასევე მომწონს იდეა, რომ მას შეუძლია ველური რბოლით მდიოს. ზოგჯერ, როცა წინა ფანჯრიდან ვხედავ გადაჭიმულ მთაგრეხილს, ვჩურჩულებ: „ღმერთო, ვინ ხარ? მინდა შევიცნო ჩემი თავი შენი უზარმაზარი ძალის ფონზე!“

რასაკვირველია, ვერავინ წარმოიდგენს, რომ ვინმეს ღმერთზე ნადირობა შეუძლია. სასაცილო იქნებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ მის ადგილიდან დაძვრას შევძლებდით. მხოლოდ რაღაც გამონათების დაჭერა შეგვიძლია. მხოლოდ მასში დაფარულის ძებნას თუ შევძლებთ. დადგა ღვთის ველური ჟინით ძიების დრო.

ისევე როგორც ძუ ლომი იცდის მოთმინებით, წინასწარ გააზრებული მოთმინებაც ჩვენი ძიების ნაწილია. მეფსალმუნე წერდა:

> „უფალო! დილდილობით მოისმინე ჩემი ხმა, დილაადრიან შევემზადები შენთვის და [დაგიწყებ] ძებნას“ (ფსალმ. 5:3)

ნადირობა ასევე ნიშნავს „ყურებას, კვლევას და მოძიებას“. ეს ეხმიანება ყოველივეს, რაც აქამდე გადმოვეცით. და ბოლოს, *ნადირობა* აღნიშნავს სწრაფვას, მიზანმიმართულ მოგზაურობას.

ჩვენ, როგორც უზენაესის ასულები, პასუხებისთვის, სიბრძნისა და ძალისთვის ვნადირობთ. მივდევთ ღმერთს, რომ დაგვიჭიროს და როცა დატყვევებული ვიქნებით, მის სინათლესა და სიცოცხლეს ავირეკლავთ სხვებისთვის.

„უსათუოდ სიკეთე და წყალობა დამედევნება კვალდაკვალ, ყოველ დღეს ჩემი სიცოცხლისა; და დავმკვიდრდები უფლის სახლში მთელი ცხოვრება“ (ფსალმ. 23:6)

სიბრძნე და რჩევა იმ ქალთა ჯგუფში იპოვება, რომლებიც არა მარტო მისდევდნენ ღმერთს, არამედ თავად ღმერთიც მოსდევდათ. თითოეულ ასეთ სრულიად გამოღვიძებულ ქალს ღვთიური სიყვარულისა და თანაგრძნობის ნაწილი აქვს სხვების მიმართ. დედამიწა ელოდება, თუ რა მოხდება, როცა ღვთის მშვენიერება და სიყვარული არა მხოლოდ დაატყვევებს, არამედ აამოძრავებს კიდეც ქალთა ჯგუფებს. საყვარელნო, თქვენ ხართ იმ ლაშქრობის ნაწილი, რომელიც ჭეშმარიტების მოძიებასა და ქვეყნიერების პრობლემებიდან გამოსავლის გამოცხადებას ემსახურება. ღვთისგან მოსული კავშირების ძიება, საბოლოოდ, ჩვენი ლომის, იესოს გამოცხადებამდე მიგვიყვანს. არსებობს კითხვები, რომელთა სწორად დასმა მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. არსებობს პასუხები, რომლებიც ღმერთმა მოგვანდო გასაცხადებლად. ამის მოსახდენად ყველანი ვირაზმებით.

ძუ ლომი დები ნადირობის დაწყებამდე იკრიბებიან. ისინი ერთად ისვენებენ, ერთად შიმშილობენ, იზმორებიან და დგებიან. ისინი ერთად იკავებენ ნადირობისთვის საჭირო პოზიციას და დასასრულს, ერთად ნადიმობენ. შემდეგ ციკლი ხელახლა მეორდება. მდგომარეობები იცვლება, მაგრამ ძუ ლომები ერთად რჩებიან!

მარგარეტ მიდი ბრწყინვალე კულტუროლოგ-ანთროპოლოგი გახლდათ, რომელმაც ეს დაკვირვება სხვადასხვა კულტურათა მრავალწლოვანი დაკვირვების შედეგად მიიღო: „დები, ალბათ, ყველაზე მეტად დაპირისპირებულ ურთიერთობას ქმნიან ოჯახში, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიზრდებიან, მათი კავშირი ყველაზე მტკიცე ხდება.“[2]

როცა ეს სიტყვები წავიკითხე, ვიფიქრე, *აი, თურმე რა ხდება! ჩვენ ვიზრდებით!*

ჩემი წიგნის, *Nurture,* წერის და მასალების კვლევისას, შევნიშნე, რომ დების ერთობლივი სტრატეგიული ცხოვრების ბიბლიური ნიმუშები ნაკლებად მხვდებოდა. ფაქტობრივად, იმედგაცრუებული დავრჩი, რადგან მინდოდა იმ ქალთა ცხოვრების მაგალითების პოვნა, რომლებიც მეგობრები და მესაიდუმლეები იყვნენ. ძალიან მინდოდა რაღაცით მეხელმძ-

ღვანელა. იცით, ძუ ლომებად ვერ წამოდგებით, სანამ ღვთის სული არ წაგიძღვებათ ამ პროცესში.

როცა წმ. წერილს ვიკვლევდი მაგალითების მოსაძიებლად, თითქოს ღვთის წმიდა სულის ჩურჩული გავიგე: *ასულების შესახებ თავი ახლა იწერება. უთხარი ჩემს ასულებს, კარგად დაწერონ თავიანთი ცხოვრება!*[3]

არ მინდა რისკი გავწიო და გაუთვითცნობიერებელი დაგტოვოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი წვლილი. ხვდებით, რას ნიშნავს ეს? ჩვენ ინდივიდუალურად და ერთობლივად ვწერთ ღვთის ასულების, ერთმანეთთან დაკავშირებული დების გუნდის ისტორიას, რომლებიც იმიტომ შეიკრიბნენ, რომ თავიანთი ცხოვრებით წერონ და გათვალონ ყოველი სიტყვა, მოქმედება და არჩევანი. ამ შეკრებაში ვხედავ მძლავრი ძალით, მადლით და უნარით წამომდგარ ღვთის ძუ ლომებს.

სიმართლის მიდევნება

ჩვენ არა მარტო ერთად წამოვდგებით ღვთისა და მისი პასუხების ძიებაში, არამედ დროა სამართლის ძიებასაც შევუდგეთ. სამართალი ოფიციალურ განათლებას არ მოითხოვს. იგი ცხოვრების წესი უნდა იყოს. ჩვენი ერი უსამართლობის დამანგრეველი მოქმედებისგან თავისუფალ ნავსაყუდელად ჩამოყალიბდა. ჩვენმა საკანონმდებლო სისტემამ სასამართლოები ჭეშმარიტების საწმიდარებად დააფუძნა. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ბადებს კითხვას, ხომ არ იქცნენ ისინი გაქნილი ადვოკატების სათამაშო არენად.

> „სამართლის ენერგია და შინაგანი წვდომა მათ, ვინც წინამძოლობს და გადაწყვეტილებებს იღებს, ძალა და სიმამაცე მათ, ვინც დარაჯობს და იცავს“ (ეს. 28:6, თარგმანი *Message*).

ეს მონაკვეთი საოცარ სიბრძნეს იძლევა. სამართალი წესების ჩამონათვალის აღსრულებაზე მეტია. იგი ფიქრსა და ენერგიას მოითხოვს. მას შინაგანი სიბრძნე სჭირდება, რომ მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს გამოჰქონდეთ ისეთი განაჩენები, რომლებიც საბოლოო ჯამში, ერსა და მისი მოქალაქეების მოქმედებას უსამართლობიდან სამართლისკენ წარმართავს. ჭეშმარიტი სამართლის შენარჩუნება ძლიერ და გამორჩეულ დამცველებს მოითხოვს.

იყო დრო, როცა *სამართალი* ჩვენი ერის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა. ჩემს ბავშვობაში ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი ასე ჟღერდა: „ჭეშმარიტება, სამართალი და ამერიკული გზა“.

> „სიმართლე კვლავ სამართალზე დაფუძნდება და მასგაჰყვებიან გულით წრფელნი“ (ფსალმ. 94:15 თარგმანი NLT)

ჩვენ სამართლის გამოღვიძება გვჭირდება. ვშიშობ, ჩვენმა სასამართლო სისტემამ მართალი სამართლის შეგრძნება დაკარგა. გულით წრფელნი მიჰყვებიან სამართალს. როცა გული სწორ მდგომარეობაშია, უსამართლობა ზიზღს იწვევს. ეს მხოლოდ სასამართლო სისტემით როდი შემოიფარგლება. მან ცხოვრების ყველა სფერო უნდა მოიცვას. სანამ ხელისუფლებას, ეკლესიას ან კიდევ სხვას ველოდებით, რომ ქვეყნიერებაზე არსებული არასწორი სწორად გარდაქმნან, ქალები და ბავშვები იხოცებიან. სულ მცირე, იმაზე მაინც უნდა შევთანხმდეთ, რომ სამართალი ბავშვების ზიანისგან დაცვას უნდა მოიცავდეს.

თავიანთი სიმამაციდან გამომდინარე, ძუ ლომები ერთობლივად მოქმედებენ ბოკვერების დასაცავად. თუ მათ საფრთხე ემუქრებათ, ძუ ლომები სტრატეგიულ მეომრებად გარდაიქმნებიან. დოკუმენტური ფილმი ვნახე, სადაც აღწერილი იყო, როგორ მოახერხა კობრამ ლომების პრაიდში შეღწევა. ძუ ლომები სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ მიუხედავად იმისა, რომ საშიში კობრა მათ შორის იყო. ლომებმა აუღელვებლად, წესრიგიანად და მყისიერად გადაიყვანეს ბოკვერები უსაფრთხო ადგილას. თითოეულმა ძუ ლომმა კისერში პირი ჩაავლო უახლოეს ბოკვერს და საკმაო მანძილი შექმნა პატარებსა და მომაკვდინებელ გველს შორის. ერთი ძუ ლომი ბოკვერებთან რჩებოდა, სანამ სხვა დები შეუერთდებოდნენ უკან დარჩენილებს, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ გველის მოძრაობას.

ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა ძუ ლომების სიბრძნემ, რომ არ ჩაბმულიყვნენ კობრასთან შეტაკებაში, სანამ ბოკვერები ახლომახლო იმყოფებოდნენ. პატარები არა მარტო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ, არამედ ხელსაც შეუშლიდნენ მათ. ბოკვერების უსაფრთხო ევაკუაციის შემდეგ კობრასთან გამკლავების დროც დადგა. ძუ ლომების ინსტინქტი უმაღლეს ტაქტიკურობასა და სტრატეგიულობას გამოხატავდა.

ძუ ლომები თავგანწირვით იცავენ პრაიდის ყველა პატარას. ისინი საფრთხეში არ ჩააგდებენ სხვის ბოკვერს და ისევე დაიცავენ, როგორც საკუთარს. ძუ ლომები მარტო ერთად კი არ ნადირობენ, პატარებსაც ერთად ზრდიან. ანალოგიურად, ჩვენც თავი უნდა მივუძღვნათ დედამიწის ბავშვების ცხოვრებიდან ნებისმიერი საფრთხისა და მუქარის არიდებას. საკმარისი არ არის მხოლოდ საკუთარზე ზრუნვა. ეს ნიშნავს, რომ უნდა ვიბრძოლოთ სახლში და გარეთ. მოდით, წამოვდგეთ ჩვენი მოყვასისთვის, როგორც ახლობელის, ისე შორეულისთვის.

ძუ ლომებში პატარების დაცვის ძალა იმდენად ძლიერია, რომ ბოკვერების უსაფრთხოება ჩასახვამდეა განპირობებული. ბუნების ღვთივსულიერი წინასწარჭვრეტიდან გამომდინარე, ძუ ლომებს აქვთ მათი ესტროლური და რეპროდუქციული ციკლის ერთმანეთთან სინქრონიზების უნარი. ეს მათ ერთდროულად ჩასახვისა და შობის საშუალებას აძლევს.

არსებითად, მთელი პრაიდი ერთად მაკდება. ძუ ლომები აცნობიერებენ, რომ ერთი ასაკის ბოკვერებს გადარჩენის მეტი შანსი აქვთ საკვებისა და წვრთნის თანაბრად განაწილების პირობებში. ოქროსფერი პატარების ტრიალსა და თამაშს რომ უყურებთ, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ იქ მეძუძური დედების ნაკლებობას ვერ ნახავთ. პრაიდი მონათესავე მდედრებისგან შედგება, ამიტომ ძუ ლომები სხვათა ბოკვერებსაც აწოვებენ და წვრთნიან. პრაიდში ერთნაირი გამოცდილებისა და ზომის ძმებთან და დებთან ერთად ზრდას დიდი სარგებლობა მოაქვს. ეს ნიშნავს, რომ მათ საწვრთნელი შეჭიდების, კვების, დასვენებისა და თამაშის ერთნაირი რიტმი აქვთ, რაც საბოლოოდ მსგავსი უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს. ეს გადაარჩენს არა მარტო ბოკვერებს, არამედ მათი პრაიდის მომავალსაც.

ძუ ლომები წვრთნიან თავიანთ პატარებს იმით, რომ მიანიშნებენ რა არის სწორი. ველურ ბუნებაში შეცდომების დაშვების საშუალება არ არის. თუ დიდები თავიანთ უნარებს მომავალ თაობას არ გადასცემენ, ბოკვერების გადარჩენის საკითხს საფრთხე დაემუქრება და პრაიდის მემკვიდრეობაც სათუო გახდება.

ძუ ლომებმა იციან როგორ ინადირონ თამაშით. ისინი ჯერ კიდევ ბოკვერობისას სწავლობენ სხვადასხვა ელემენტებს. დედა ლომი იქვე წევს, სადაც პატარები დახტიან და თამაშობენ. დედებიც გაერთიანებულნი არიან. ძუ ლომები არა მარტო ჭიდაობენ ბოკვერებთან ერთად, არამედ ერთმანეთ-

საც ეთამაშებიან. ისინი ბოკვერებს საშუალებას აძლევენ, რომ ძლიერება იგრძნონ კოტრიალის, ფეხის გამოდების და აქეთი-იქით ხტუნვისას. თუ ისინი მეტისმეტს მოინდომებენ, დედა ლომი იქვეა, რომ დაუბრდღვინოს ან თათი წამოარტყას რომელიმე წრეს გადასულ ნაშიერს.

ამგვარი მხიარული თამაშები გარკვეულ მიზანს ემსახურება, რადგან ამ დროს უცილობლად იკვეთება პრაიდის თითოეული წევრის ძლიერება. ღმერთს მოსწონს, როცა ვიცინით და რეკრეაციის (ხელახლა შექმნის) პროცესში ვართ ჩართული. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელახლა შექმნის პროცესში ვართ, როცა ვთამაშობთ.

> „შემწე იყავ ჩემი, შენი ფრთების
> ჩრდილქვეშ ვიყიჟინებ“ (ფსალმ. 63:7)

როცა პირველად გავიგე, რომ ძუ ლომებს ერთდროულად ჩაესახებათ ნაყოფი და ერთად შობენ, რათა გაიზიარონ ბოკვერების კვებისა და აღზრდის ვალდებულება, სულიწმიდის ჩურჩული გავიგე: *ლიზა, ყველა ბავშვი გადარჩენის თანაბარ შანსს იმსახურებს. ყველა ბავშვს სჭირდება დაცვა, აღზრდა, წვრთნა და უზრუნველყოფა.* ქვეყნიერების ბავშვების კარგად ყოფნა ჩვენი მოვალეობაა. მათთვის სამართლის მოძიებაში სტრატეგიული მიდგომა გვმართებს.

ენერგიული გამოხმაურება

რამდენად უნდა ცდილობდეს ადამიანთა რასის წარმომადგენელი დედა იმ ბავშვების გადარჩენას, რომლებიც მისები არ არიან?

> „განა დაივიწყებს ქალი თავის შვილს; განა არ შეიბრალებს ძეს თავისი მუცლისას? იმათ რომც დაივიწყონ, მე არ დაგივიწყებ!“ (ეს. 49:15)

წარმოუდგენელია, რომ დედამ საკუთარი შვილი დაივიწყოს, ამიტომ ცოცხალი ღმერთი ამბობს, „რომც დაივიწყოს“. მუხლი ხაზს უსვამს, რამდენად უჩვეულოა ბავშვის მოვლაზე უარის თქმა ან ნებსით მისთვის რაიმეს დაშავება. სამწუხაროა, რომ დღეს ასეთი წარმოუდგენელი რამ რეალობად იქცა. მზარდი სიხშირით ვრცელდება ინფორმაციები დედებზე, რომლებმაც

არად ჩააგდეს თავიანთი შვილების უსაფრთხოება და კეთილ-დღეობა ნარკოტიკების, ალკოჰოლისა თუ ფულის სანაცვლოდ.

ამას წინათ, მედიის საშუალებით გაშუქდა ორი ახალგაზრდა გოგონას გაჭირვებული მდგომარეობა, რომლებიც სხვადასხვა დაქორწინებულმა წყვილმა გაიტაცა. ერთი მამაცი გოგონა თვრამეტი წელი იყო ტყვეობაში და ამ საშინელი პერიოდის განმავლობაში ორი გოგონა გააჩინა და გაზარდა. მეორე გოგონა საკუთარი სახლიდან გაიტაცეს და ცხრა თვე მალავდნენ. ორივე მათგანი გააუპატიურეს და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლად აქციეს სასტიკმა მხეცებმა. ორივე შემთხვევაში უშვილო ცოლები იყვნენ ბრალდებულნი ქმრის დანაშაულებრივი ქმედების ხელშეწყობაში.

როცა ჩემმა შვილმა ალეკმა გაიგო, რომ საქმეში ქალები მონაწილეობდნენ, ელდა ეცა. „ცოლებმა რატომ არ უშველეს გოგონებს?“ – იკითხა მან, რადგან მისთვის წარმოუდგენელია ისეთი სამყაროს არსებობა, სადაც ქალები ბავშვებს არ შველიდნენ.

რის თქმაც შემეძლო, ის იყო, რომ ეს ქალები საღ გონებაზე არ იყვნენ. მათ ჰქონდათ არჩევანი და ჩუმად ყოფნა ამჯობინეს. რაღაც მიზეზის გამო, დედის გულმა არც ერთ მათგანში არ გაიღვიძა.

ჩვენ გვაქვს მიდრეკილება ვიფიქროთ, რომ ქალებს კაცები ავიწროებენ, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. ამ ქალებმა იცოდნენ, რა ხდებოდა და არაფერი მოიმოქმედეს. ფაქტობრივად, მათ ხელი შეუწყვეს გოგონებზე ძალადობას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორივე მოძალადე მამაკაცმა წმ. წერილი დაამახინჯა და მორჩილებაზე არაჯანსაღი თვალსაზრისი გამოიყენა ცოლებისა და გოგონების მანიპულაციისთვის. ქმრების სიამოვნების გამო ცოლების თანამონაწილეობაზე თანხმობამ ერი შეძრა.

ამის საპირისპიროდ, ძუ ლომი თავად ჩადგება ბოკვერებსა და მათ დამაზიანებელ ფაქტორს შორის. წამიკითხავს ჩანაწერები, სადაც ნათქვამია, რომ ძუ ლომები ერთობლივად გამოვიდნენ თავიანთი პრაიდის ხვადი ლომების წინააღმდეგ, როცა ამ უკანასკნელთა მოქმედება საფრთხეს უქადდა პრაიდის ბოკვერებს.

არასოდეს ყოფილა ამაზე მნიშვნელოვანი დრო ჩვენთვის, რომ ვყოფილიყავით ჯანსაღი ქალები, რომლებიც სწორად გადასცემდნენ ღვთის სიტყვას და მის შესაბამისად იცხოვრებდნენ. ჩვენ გონივრული და კარგად აწონილ-დაწო-

ნილი შეხედულება უნდა შევიმუშაოთ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სქესი, დაქვემდებარება და უპირობო ცოლ-ქმრული მორჩილება. ღმერთმა იმისთვის კი არ გადმოგვცა ეს პრინციპები, რომ მათი გამოყენებით სხვები საფრთხის ქვეშ დაგვეყენებინა. ისინი ჯანმრთელობის და სიკეთის სამსახურში უნდა იყოს.

ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ პატარა და მოწყვლადი. მომწონს ძუ ლომები, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ ბოკვერების მოშორებას შესაძლო ზიანის ადგილიდან. ძუ ლომები ღვთისგან მოცემული ინსტინქტით ხვდებიან, რაც ზოგიერთ ქალს დაავიწყდა: დედები შველიან ბავშვებს, თუნდაც სხვისები იყვნენ.

ბავშვის დაბადება ავტომატურად არ გაქცევს დედად. რამდენიმე თვის წინ მთელი ამერიკელი ერი შეაძრწუნა ლამაზი, მომღიმარი 5 წლის გოგონას ამბავმა, რომელიც დედამ სექსუალური მონობისთვის გაყიდა. გოგონას სხეული ჩრდ. კაროლინას სოფლის გზიდან მოშორებით, ტყიან ტერიტორიაზე იპოვეს. შიშით მაკანკალებს იმის გაფიქრებაზე, კიდევ რა ახალ ამბავს მოგვაწვდიან, სანამ ეს წიგნი დაიბეჭდება.

ვმადლობ ღმერთს, რომ უმეტესი ჩვენგანისთვის ამგვარი დედობრივი კავშირის წყვეტა ისევ წარმოუდგენელია. წმ. წერილი გვაფრთხილებს, რომ იქნება საშინელი დროება, როცა გზააბნეული ადამიანები დაივიწყებენ, რა არის ადამიანობა (იხილეთ რომ. 1:26). ადამიანად ყოფნა ღვთის მსგავსებას, შინაგანი სინდისისა და გარკვეული საზომით ღვთიური გულის ქონას ნიშნავს. ღმერთი შეურაცხყოფილია მის ხატად შექმნილი ბავშვების სიცოცხლის გაუფასურებით და სექსუალურ სათამაშოდ გადაქცევით. ვიცით რა მისი რეაქცია, ანალოგიურად უნდა ვუპასუხოთ მგზნებარე და მოსიყვარულე დამოკიდებულებით. ზოგიერთმა ჩვენგანმა სახლის კარები უნდა გახსნას შვილად აყვანისთვის და რისკის ქვეშ მყოფი ან არასასურველი ბავშვები მიიღოს. ჩვენ თავად უნდა გამოვიჩინოთ მოწყალება და არ ვიყოთ მთავრობაზე დამოკიდებული, როდის გამოასწორებს იმას, რაც არასწორად მიგვაჩნია. მოდით, მართლა შევიყვაროთ ჩვენი მოყვასი.

თუ გავჩუმდებით ჩაგვრისა და უსამართლობის წინაშე, დავდგებით რისკის ქვეშ, რომ ერთ დღეს ეს ყველაფერი აქეთ მოგვიბრუნდება. გულით ვესწრაფი, რომ ვიხილო ადამიანთა ტრეფიკინგისა და სექსუალური მონობის უსამართლობის გამოსასწორებლად წამომდგარი ეკლესია. ეს საკითხები ყოვ-

ელთვის თავში მიტრიალებს და ხშირად ვლაპარაკობ მათზე. ამას წინათ თვითმფრინავში ჩემს გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალს გავუზიარე ჩემი მგზნებარე სურვილი, რომ მთელი მსოფლიოს ქალები ამოძრავდნენ რაიმე სახის მოქმედებით, რომელიც ხსენებულ საკითხებს შეეწინააღმდეგება. იგი მომიბრუნდა და მომთხოვნი ტონით მითხრა:

– რა უფლებით ლაპარაკობთ ამ საკითხზე?

მისი კითხვის ინტენსიურობამ სრულიად მოუმზადებელს მომისწრო. გაოცებული დავრჩი, მაგრამ მცირე პაუზის შემდეგ შევეპასუხე:

– რა უფლებით ვბედავ, რომ ამ საკითხზე ხმა არ ამოვიღო?

ქალმა ხმას დაუწია და სცადა აეხსნა, რომ აინტერესებდა, ჩემი განათლება ან პროფესია მაძლევდა თუ არა ამ საკითხის წამოჭრის უფლებას. მის გამჭოლ მზერას არ შევუშინდი და განვუმარტე, რომ ამ ბოლო ხანს არაფერი გამიგია კანონის მიღებაზე, რომელიც უსამართლობის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ამიკრძალავდა. უფრო მეტიც, ჯერ არ მინახია ვისიმე „პროფესიონალური“ მიდგომა ამ თემაზე. მსგავსი დანაშაულის არნახული რაოდენობა მრავალის გამოხმაურებას მოითხოვს.

უდიდესი უსამართლობაა, ბავშვებს შემოაძარცვო მათი უმანკოება და ზრდასრულების გულისთქმასა და გარყვნილებას დაუმონო. როგორ შეიძლება გაჩუმდეს რომელიმე ჩვენგანი, როცა ამდენი ბავშვი ხმაჩაწყვეტილია?

როგორ შეგვიძლია, არ ვიტიროთ ამ საკითხებზე? რამდენჯერ უნდა მოვისმინოთ ნათქვამი, „ბოროტის ტრიუმფისთვის მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კარგმა ადამიანებმა არაფერი გააკეთონ“? საკმარისი არ არის, დარწმუნებული ვიყოთ ამ აზრის მართებულობაში. მოქმედებაა აუცილებელი. როცა ოკეანის გაღმა მივემგზავრები და უკიდურესი სიღარიბით გამორჩეულ ადგილებში დავდივარ, დედებს თვალებში ვუყურებ და მაინტერესებს, რას უნდა ფიქრობდნენ ისინი. ხომ არ გვეკითხებიან, *ნუთუ ჩემი შვილი შენსაზე ნაკლებ ფასეულია?*

ღმეთმა აგვიკრძალა, რომ მათ ეს ვაფიქრებინოთ. როცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვიყავი, ორჯერ შემომთავაზეს დედებმა თავიანთი შვილები. ერთ-ერთი იმდენად შორს წავიდა, რომ მკლავებშიც კი ჩამიწვინა ბავშვი. როცა ბიჭუნა ხელში მეჭირა, ქალი მიყურებდა და ჟესტებით მანიშნებდა, რადგან მისი სიტყვები არ მესმოდა. მას შემდეგ, რაც სხვა დედის ბავშვის სილამაზე შევაქე, მან თარჯიმნის საშუალებით მკითხა, მისი გოგონა ხომ არ მინდოდა. ხედავთ მათ სასოწარკვეთილებას?

ისინი ცდილობენ ბავშვი მომცენ მე, სრულიად უცხო ადამიანს, რომელიც მათ ენაზე არცკი ლაპარაკობს. შესაძლოა, მათ ფულიც სურდათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამაზე მეტად თავიანთი შვილებისთვის იმედის მოპოვება უნდოდათ. ბავშვის გაყიდვა წარმოუდგენელია ჩვენი კულტურისთვის, მაგრამ რას იზამთ, როცა არაფერი გაქვთ ბავშვისთვის მისაცემი?

ვზრდით ჩვენს შვილებს იმ ცნობიერებით, რომ ისინი დედამიწასა და მის რესურსებს იმ ქალების შვილებთან ერთად იზიარებენ? დაწმუნებული ვარ, რომ ღმერთს ჩემგან და თქვენგან სწორედ ამ აზრის სახლში შემოტანა სურს.

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ

დიახ, უზარმაზარი გულისტკივილია ქვეყნებში, სადაც სიღარიბე ადამიანის სულს ძარცვავს, მაგრამ ადგილობრივი ბრძოლებიც მიმდინარეობს, რომლებიც ასევე ითხოვს ჩვენს ყურადღებას. ამ წიგნის წერისას საინტერესო შემთხვევა მოხდა. მცირე ხნით თვალი შევავლე, რაში მდგომარეობს სტრატეგიული გმირობა, როცა მას ადგილობრივი განათლების სისტემის მიმართ გამოიყენებ. მადლობას ვუხდი ღმერთს მასწავლებლებისა და განათლების სისტემის ადმინისტრატორებისთვის, რომლებიც მუხლჩაუხრელად შრომობენ იმისთვის, რომ მწირი ბიუჯეტით ხარისხიანი განათლება უზრუნველყონ. სწორედ ამიტომ, დრო და დრო მათ ჩვენი დახმარება სჭირდებათ.

ერთ საღამოს, ჩემს უმცროს ვაჟს, არდენს, საშინაო დავალებად საკითხავი ჰქონდა. ბიჭი გადაღლილი იყო კალათბურთში ვარჯიშის შემდეგ და მთხოვა, წიგნი მისთვის მე წამეკითხა. არდენი შიშობდა, კითხვისას არ ჩასძინებოდა. დანარჩენი ოჯახის წევრები დიდ ოთახში იყვნენ შეკრებილნი და ხმაურიანად უყურებდნენ ფეხბურთის მატჩს, ამიტომ ჩემი საწოლი ოთახისკენ გავემართეთ.

კითხვისას თანდათან შემიპყრო შეშფოთებამ წიგნის შინაარსის გამო. აქ იყო სხვადასხვა სახის აზრები ბავშვების თვითმკვლელობაზე, ვანდალიზმზე, მეუღლისა და შვილის მიმართ ძალადობაზე, მცირეწლოვანთა ლოთობაზე, ალკოჰოლიზმზე, ბავშვების მიტოვებასა და მაღაზიიდან ნივთების მოპარვაზე. როცა გავიფიქრე, რომ ამაზე უარესი აღარაფერი შემხვდებოდა, სრულიად უხერხულ სქესობრივი ხასიათის ეპიზოდს მივადექით.

ჩემი ვაჟი მომიბრუნდა და მითხრა:

– დედა, ამ წიგნის წაკითხვა აღარ მინდა.

არდენმა ისიც თქვა, რომ ამ წიგნში სხვა მსგავსი შეურაცხმყოფელი ადგილებიც იყო. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ეს წიგნი სკოლის ამ ეტაპის პირველწლიანთა სავალდებულო საკითხავი გახლდათ ლიტერატურაში. გადავწყვიტე, დილითვე დამერეკა სკოლაში და მომეთხოვა, რომ არდენისთვის სხვა წიგნი შეერჩიათ. დილით მასწავლებელს ველაპარაკე და იგი დამთანხმდა ალტერნატიული წიგნის მოცემაზე ლიტერატურის დავალებისთვის. ყურმილი დავკიდე და ვფიქრობდი, რომ ყველაფერი კარგად იყო, თუმცა იმავე დღეს, მოგვიანებით, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა, რამაც უფრო ქმედითი ღონისძიებების მიღების აუცილებლობაში დამარწმუნა. სასკოლო განაწესის მიხედვით ეს წიგნი კითხვისთვის მშობლის თანხმობას ითვალისწინებდა მისი არასასიამოვნო შინაარსის გამო. თუმცა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მის შინაარს გავეცანი, ჩემი შვილის თხოვნა აღმოჩნდა წიგნის წაკითხვის შესახებ. არდენი დაღლილი რომ არ ყოფილიყო, ამაზე ვერაფერს შევიტყობდი.

იყო თუ არა სწორი მიდგომა, რომ მხოლოდ ჩემი შვილი დამეცვა წიგნის წაკითხვისგან? რა შეხედულებას ჩამოუყალიბებდა იგი კლასის დანარჩენ მოსწავლეებს პორნოგრაფიაზე, სქესობრივ ურთიერთობაზე, მშობლებზე, ალკოჰოლზე, ქურდობაზე, ძალადობასა და თვითმკვლელობაზე? შემეძლო გაჩუმება ასეთ შემთხვევაში? განა ჩემი მოვალეობა არ იყო სხვა ბავშვებისა და მშობლების დაცვა?

ბლოგში წამოვჭერი საკითხი წიგნის შინაარსის შესახებ, რომ მხარდამჭერები მომეგროვებინა სკოლის გამოსაფხიზლებლად. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ მხოლოდ მე არ ვიყავი შეშფოთებული. ოცდაოთხ საათზე ნაკლებ დროში ხუთას ადამიანზე მეტი (უმრავლესობა განათლების სისტემიდან) გამომეხმაურა. მათი აზრით, წიგნი მიუღებელი იყო. ზოგიერთები დედები გახლდნენ, რომლებიც ბავშვებს სახლში ასწავლიდნენ. მათ განაცხადეს, რომ საჯარო სკოლებიდან ბავშვების გამოყვანის და სახლში სწავლების ერთადერთი მიზეზი სწორედ ამგვარი საკითხები იყო.

ეჭვქვეშ არ დამიყენებია ავტორის უფლება, შეეძლო თუ არა მსგავსი წიგნის დაწერა. უფრო ის მაღელვებდა, რომ ეს წიგნი სავალდებულო საკითხავად დაუდგინეს თოთხმეტი წლის მოსწავლეებს. იგი პორნოგრაფიის წახალისებას ეწეოდა. სექსუა-

ლური ტრეფიკინგის პირველი ეტაპი სწორედ პორნოგრაფია გახლავთ. არაჯანსაღმა სახებებმა შეიძლება წარმოუდგენელ დონემდე დაამახინჯოს ახალგაზრდა ჭაბუკის მიერ ქალების აღქმა. ხსენებული წიგნი ცხადად წარმოაჩენდა, რომ მასტურბაციასთან შერწყმული პორნოგრაფია ნორმალური ქცევა ყოფილა თოთხმეტი წლის ბიჭებისთვის. პორნოგრაფიას აქვს ისეთი აზროვნების წარმოქმნის უნარი, რომელიც იმონებს და მახეში აბამს მის მსხვერპლებს (მამაკაცებსა და ქალებს). ამგვარი ძალადობა ზემოქმედებს მომავალ სქესობრივ ცხოვრებაზე, რომელსაც თან ახლავს ქალთმოძულეობა, ემოციური და სქესობრივი გაუცხოება და სქესობრივი დამოკიდებულება – ეს ყველაფერი სქესობრივი ტრეფიკინგის გზას ფიანდაზად ეგება.

ვიცოდი, რომ ჩვენს ადგილობრივ განათლების სისტემას მაღალზნეობრივი ცხოვრების წესის შთაგონება სურდა ახალგაზრდა ჭაბუკებისა და ქალიშვილებისთვის. მათ ეფექტური სასწავლო კურსი შეიმუშავეს ამ მიზნის განსახორციელებლად, თუმცა ხსენებული წიგნი როგორღაც გაიპარა. სკოლის დირექტორს შეხვედრაზე შევუთანხმდი. მინდოდა გამეფრთხილებინა, რომ გარკვეული წესები ირღვეოდა. გავუზიარე ჩემი შეშფოთება ქალების სქესობრივი ლტოლვის ობიექტებად წარმოჩენის გამო, რადგან საკუთარი თვალით მქონდა ნანახი სექსუალური ტრეფიკინგის სავალალო შედეგები.

ერთი კვირის განმავლობაში წიგნი პროგრამიდან ამოიღეს. გაუხარდათ, რომ მასალის შერჩევის პროცესში დაშვებული შეცდომა აღმოჩენილ იქნა და გარკვეული ცვლილებებიც განხორციელდა სამომავლოდ მსგავსი პრობლემის თავიდან ასაცილებლად.

საჯარო სკოლები სავსეა ადამიანებით, რომლებმაც თავი მიუძღვნეს ბავშვების განათლებას. ჩვენს მსგავსად მათაც შეიძლება დაუშვან შეცდომები და არასწორად განსაჯონ. მათზე შეტევის განხორციელების ნაცვლად უმჯობესი არ იქნება მხარი დავუჭიროთ განათლების პროცესის წარმართვაში და გავამხნევოთ ყველა ბავშვის და არა მარტო ჩვენი შვილებისთვის საუკეთესოს მიწოდებაში?

ჩემი შეშფოთების გამოხატვის შემდეგ სკოლამ აღმოაჩინა, რომ ზემოხსენებული წიგნი შეტანილი იყო ყველა პირველკურსელის საკითხავ პროგრამაში და ჩემი შვილის კლასი, შემთხვევით, პირველი იყო, ვისაც მისი წაკითხვა დაავალეს. იმის გამო, რომ განგაში ატყდა და სკოლამაც მხარდაჭერის სურვილი გამოხატა, უამრავი ბავშვი გადაურჩა შეურაცხმყოფელი და საეჭვო შინაარსის მასალის ნაძალადევად კითხვას.

მთელს ამ პროცესში ჩემი ქრისტიანობა არ მიხსენებია. მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციისთვის ყვირილი და ჩხუბი არ დამიწყია. მათი ყურადღება მივმართე სკოლის მიერ დადგენილი წესებისკენ. გარდა ამისა, პრობლემის გამოსაკვეთად გონივრული გამოსავალი შევთავაზე. გავაგებინე, რომ მზად ვიყავი ბოლომდე მიმეყვანა დაწყებული პროცესი. ნებისმიერ თქვენგანს შეეძლო ამის გაკეთება.

ნადირობის დროს

ღმერთი მე და თქვენ გვიწვევს, რომ ნადირობაში მონაწილეობა მივიღოთ. როცა მას ვეძებთ და მივყვებით, ვპოულობთ საჭირო სიბრძნესა და პასუხებს. განქორწინებებით და ემოციური გაუცხოებით გახლეჩილ ქვეყნიერებაზე ზეცისგან შთაბერილი მეგობრული კავშირები და სტრატეგიული ურთიერთობები გვჭირდება, რომ ერთმანეთის შვილები გამოვწვრთნათ და დავიცვათ. დაღუპული და რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების გადასარჩენად ზეციდან მოსული სტრატეგიებისა და პასუხების გამოყენება დაგვჭირდება. არავის შეუძლია იზოლირებულად დარჩენა. ამ საქმეში ერთად ვართ. სწორედ ამ პრინციპის გამო თქვენს მიერ ნამოქმედარის ძალა ჩემზეც ახდენს ზეგავლენას, ხოლო ჩემი გაკეთებული – თქვენზე. ერთობლივი ძალისხმევით შანსი გვეძლევა, რომ სასიკეთო გარდატეხა შევიტანოთ ჩვენს სახლებში, ეკლესიებსა და საზოგადოებაში. ჩვენს დროში დიდი შესაძლებლობა გვაქვს სოციალური ქსელების სახით. ჩვენზეა დამოკიდებული, სასიკეთოდ გამოვიყენებთ თუ არა ამ კავშირებს.

როცა ძუ ლომების ცხოვრების კვლევა დავიწყე, არ ვიცოდი, რომ ლომები კატისებრთა ოჯახის ერთადერთი წარმომადგენლები არიან, რომლებიც საზოგადოებად ცხოვრობენ. თუ ერთი ლომი მოისუსტებს, მეორე ძლიერია. სადაც ერთი მარცხდება, მეორე წარმატებას აღწევს და მთელი ეს ძლიერება თავმოყრილია ძლიერი ლომის თავშესაფარქვეშ.

ასე არ ხდება მარტოხელა დიდი კატების შემთხვევაში. ძლიერ პანტერებს, ლეოპარდებსა და ჩიტებს არ აქვთ ასეთი მხარდაჭერის სისტემა. ყოველთვის, როცა ეს დედები პატარებს სანადიროდ და საკვების მოსაპოვებლად ტოვებენ, რისკზე მიდიან. დაბრუნებულებს შეიძლება ბუნაგი გაძარცვული დახვდეთ. ერთ დოკუმენტურ ფილმში დედა ჩიტას საწყალობელი ტირილი მოვისმინე, რომელიც ბუნაგში დაბრუნდა და იქ

ლეკვები აღარ დახვდა. იგი შესაბრალისი ხმით ეძახდა მათ მთელი ღამის განმავლობაში იმ იმედით, რომ ერთი რომელიმე გადაურჩებოდა სისხლიან ხოცვას.

მე და თქვენ ცალკე ცხოვრებისთვის არ შევქმნილვართ. ვერც კი გამოვხატავ, რა საოცარი ნუგეშის წყაროა ისეთი ხალხის ყოლა ჩემი ოჯახის გარეთ, რომლებიც ჩემს შვილებს საკუთარივით უვლიან. კურთხეული ვართ ადამიანებით, რომლებსაც ჩვენი ოჯახის საჭიროება ღვთის ტახტთან მიაქვთ და ლოცვების მეშვეობით გვიცავენ. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არ მინახავს, როგორ ლოცულობდნენ ჩვენი გულისთვის, მაგრამ მოგვიანებით შევიტყვეთ ამის შესახებ. ბევრმა ადამიანმა გულუხვობა გამოიჩინა, რომ ეხილათ სახარების გავრცელება და იმ ტყვეების გათავისუფლება, რომლებიც არასოდეს თვალით არ უნახავთ. დაე, ზეცამ უხვად დააჯილდოვოს ნებისმიერი თქვენგანი, ვინც ყურადღებას აქცევთ სხვათა ოჯახებს.

ᲒᲐᲓᲐᲣᲙᲔᲢᲔᲗ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

როცა ძუ ლომი მსხვერპლს კლავს, ხშირ შემთხვევაში კი ეს ასე ხდება, ნაწილებად არ გლეჯს ნადავლს, არამედ გუდავს მას სასუნთქი გზების გადაკეტვით. ვფიქრობ, ანალოგიურად, ჩვენც უნდა გადავუკეტოთ მტერს ჰაერის მიწოდება. ამის მოხერხების ერთ-ერთი გზა გახლავთ ჩვენი სუნთქვის დაკავება მისთვის. მეტისმეტად ხშირად და ბევრს ვაძლევთ მას. მტრის ძალას დავასუსტებთ, თუ ერთმანეთზე არ ვილაპარაკებთ. ნაცვლად ამისა, სჯობს, უნარიანად გამოვიყენოთ ჩვენი სიტყვები ასაშენებლად, შესაგონებლად, შესასწორებლად, გასამხნევებლად.

ამ ნადირობაში სხვა ქალები *მჭირდება*, რომლებსაც ჩემი ძლიერი მხარეები ეცოდინებათ და სისუსტეებში მხარს დამიჭერენ – ასევე თქვენც. ამის მისაღწევად ვარჩიე ისეთი ხალხი შემომეკრიბა გარშემო, რომლებიც ძლიერები არიან იქ, სადაც მე სუსტი ვარ. ჩემი გულწრფელი ლოცვაა, რომ შევძლო ჩემი ძლიერების გამოყენება მეგობრების სასიკეთოდ მათ სუსტ მხარეებში. ჯანსაღი, დაბალანსებული ურთიერთობები იქ ვითარდება, სადაც ყოველი წევრი თავის საქმეს აკეთებს.

დაე, არც ერთი ჩვენგანი არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ ჩვენი შვილების უსაფრთხოებით და გაიზარდოს შემეცნებამდე, რომ დედამიწაზე მცხოვრები ყველა ბავშვის კეთილდღეობა ჩვენი

მოვალეობაა. გულმოდგინედ ვიმოქმედოთ, რომ ყველა ბავშვი მოვაშოროთ მავნებელ გზას. ნუ ვიფიქრებთ, რომ ადგილობრივ გავლენას არ აქვს შორს მიმავალი შედეგების მოტანის უნარი. ნუ დავიჯერებთ, რომ ჩვენი როლი ნაყოფის მომტანი არ იქნება. ნურც იმას წარმოვიდგენთ, რომ ქვეყნიერების დამარცხებას სხვების დახმარების გარეშე შევძლებთ.

> „იდექით ერთი სულით, გაერთიანებული ერთი ხედვით, რომ ხალხი მიენდოს ღვთის სიტყვას – სახარებას. მცირედითაც ნუ დაიხევთ მოწინააღმდეგის წინაშე; თქვენი სიმხნევე და ერთიანობა აჩვენებს მათ, რის წინააღმდეგ გამოდიან: ეს მათთვის დაღუპვის ნიშანია, თქვენთვის კი ხსნისა. ეს ღვთისაგან არის“ (ფილ. 1:27-28, თარგმანი *Message*).

ერთობლივად შეგვიძლია მიზანმიმართული ვიყოთ.

9

ლომები სინათლეში ცხოვრობენ და სიბნელეში ნადირობენ

„მართალი ბოკვერივით მშვიდია“
იგავ. 28:1

ძუ ლომებმა შინაგანად იციან, რის შემძლე არიან და როგორ გააკეთონ ის, რაც კარგად იციან (გმირობა!). უფრო მეტიც, მათი ცხოვრება სირთულეების გარეშე მიმდინარეობს. ისინი ისვენებენ, როცა დაიღლებიან და ნადირობენ და ჭამენ, როცა მოშივდებათ. გარდა ამისა, ისინი ძირითადად თამაშობენ.

შეგიძლიათ ნახოთ წამოწოლილი ძუ ლომები, რომლებიც თითქოსდა თვლემენ. ზოგჯერ ზურგზე გადაბრუნებულები ოქროსფერ მზეს ეფიცხებიან მზის ელემენტების მსგავსად, რომლებიც ენერგიით იმუხტებიან. იქვე მოხტუნავე ბოკვერებიც კი ვერ იპყრობენ მოსვენებული ძუ ლომების ყურადღებას. ზოგჯერ რომელიმე ზღვარსგადასული პატარა უახლოესი დედიკოსგან თათის შემოკვრას იღებს ნახევარი ძალით. აღელვებული და დაძაბული არავინ ჩანს, რადგან დღეში საშუალოდ თორმეტი საათი თვლემენ.

დასვენების დროის შემდეგ ძუ ლომები იზმორებიან და დიდ ჯგუფად ერთიანდებიან. უკვე მეორე მდგომარეობაში გადასვლის – სიფხიზლის დრო დგება. ისინი სრული სიფხიზლის პირობებშიც კი არ არიან დაძაბულნი, თუმცა ყურადღება გამახვილებული აქვთ.

ეს ფხიზელი, მაგრამ მშვიდი მდგომარეობა ძუ ლომების გმირობის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც ასულებმა უნდა შევითვისოთ. ქვემომოყვანილი მუხლები მეტად გაგვარკვევს ამ საკითხში:

„ბოროტები გაღიზიანებული არიან დანაშაულის გამო,გარბიან მაშინაც კი, როცა არავინ მოსდევთ; გულწრფელი ხალხი კი მოსვენებული და თავდაჯერებულია, გაბედული, როგორც ლომი“ (იგავ. 28:1, თარგმანი *Message*).

აი, ეს არის მნიშვნელოვანი – მოსვენებული, თავდაჯერებული და გაბედული. ადამიანებში მიუღებელია სიმშვიდისა და თავდაჯერებულობის შერწყმა გაბედულებასთან, მაგრამ ღვთისთვის ეს სრულიად ნორმალურია. ამას ძუ ლომში ვხედავ. მისი პოზა გამუდმებით გეუბნება, „მე ვარ, რაც ვარ. ძლიერი ვარ მეტად უნარიანი, მხიარული და საშინელი, მოსვენებული, ფხიზელი და მზრუნველი.“

ნებისმიერი ქალის მსგავსად, ძუ ლომი წინააღმდეგობების ერთობლიობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი ხვად ლომებს ეხება, იგი ორივე სქესს მოიცავს. ყველა ლომს – ხვადსა თუ ძუს – იგივე დამოკიდებულება აქვს. სწორედ ამიტომ ეს ჩვენც გვეხება.

როცა ჩვენი ძუ ლომი არ ნადირობს, ჩრდილში ყოფნის არავითარი მიზეზი არ აქვს. იგი სინათლეზე ცხოვრობს. იგი თავის დებთან ერთად არის და აფრიკის ველების სინათლით სავსე სივრცეებზე ატარებს ცხოვრებას. აქ, ამ სამყაროში, სადაც ჩრდილიც არ არის, ლომები ისვენებენ, თამაშობენ, ერთმანეთს უვლიან, კვებავენ, პატარებს წვრთნიან და ასე ღიად წყვილდებიან კიდეც. აბა, რატომ უნდა გრძნობდეს ძუ ლომი სირცხვილს ან რაში სჭირდება დამალვა?

მათ სამყაროში არ არსებობს იმდენად გაბედული ან ძლიერი მტერი, რომელიც ღიად გამოიწვევდა მათ ბრძოლაში. ისინი არავის წინაშე არ იდრეკენ ქედს (თუ არ ჩავთვლით სპილოებისთვის გზის დათმობას, როცა ისინი ერთად მოაწყდებიან). როცა ძუ ლომი არ ნადირობს, მას არაფერში სჭირდება შენიღბვა. ლომები უცილობელი მეფეები და დედოფლები არიან თავიანთ სამფლობელოში და მათი საზოგადოების კვების ჯაჭვის სათავეში დგანან.

თუ დღე განსაკუთრებით ცხელია, ძუ ლომმა შეიძლება არჩიოს ჩრდილში დასვენება, მაგრამ დასამალ თავშესაფარს არ მოძებნის. ლეოპარდი და ჩიტა განსხვავებულად იქცევიან, რომლებიც მარტო ცხოვრობენ და ნადირობენ. ძუ ლომს არ სჭირდება ხეებზე ძრომა ან ბუჩქებიდან მოპარვა, თუმცა ერთიც შეუძლია და მეორეც. არა, ჩვენი ძუ ლომი უშიშრად

ისვენებს მზის გულზე დებით, დეიდებით, დედებით და დეიდაშვილებით გარშემორტყმული. მასთან ერთად არიან მისი ბოკვერები და ხვადი ლომი.

ახლაც, წერისას, ძალიან მინდა ასე იყოს. მინდა, უშფოთველად ვისვენებდე მზეზე დებთან, ასულებთან, დეიდაშვილებთან და დედებთან ერთად და ყველანი ვუღიმოდეთ პატარებს, იმის სრული გაცნობიერებით კმაყოფილნი, რომ ჩვენს გარშემო არავის შეუძლია ჩვენი ძლევა.

ასეთი დინამიური თამაში ვიხილე, როცა მე და ჯონი აფრიკულ საფარიში კვალდაკვალ მივყვებოდით დედა ლომს ხვად ბოკვერსა და ორ ძუ დასთან ერთად. ჩანდა, რომ ეს ჯგუფი უმიზნოდ ხეტიალობდა შემოდგომის მაღალ ბალახებში. მუცლები სავსე ჰქონდათ და შეუძლებელი იყო არ დამენახა სისხლი მათ დრუნჩებზე. მათ ახლახანს მოულხინეს ნანადირევით და ცოტათი თვლემამორეული დადიოდნენ. შორს ხეების ჯგუფი დავინახე და ვიფიქრე, რომ ლომები იქეთკენ გაემართებოდნენ, მაგრამ არა! უცბად ყველანი ძირს დავარდნენ გზის განაპირას, ჩვენი მანქანიდან სულ რაღაც სამ მეტრში, ცოტათი თავი გაისუფთავეს, ოქროსფერი თვალები დახუჭეს კაშკაშა მზეზე და ხუთ წუთზე ნაკლებ დროში დაიძინეს.

აქ ვიყავით შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი (კარგი, იარაღი მხოლოდ რეინჯერებს ჰქონდათ) მასიური მანქანით და ლომებს ბეწვიც არ შერხევიათ ჩვენს დანახვაზე და არც აღელვებულან. მათი დილის ძილის დრო იყო და სხვას არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა.

სინათლეში ცხოვრება

უცებ მოზღვავდა უამრავი იდეა და სახება, როგორი უნდა იყოს ჩვენთვის სინათლეში ცხოვრება. თავდაპირველად, ეს მოიცავს ღიად ცხოვრების კონცეფციას. თქვენი კარ-ფანჯრები გაღებულია სინათლის, ოჯახისა და მეგობრების მისაღებად. ჩვენი სახლის სამზარეულოს კარი ყოველთვის ღიაა, რადგან მამაკაცებით სავსე სახლში რომელიმეს პირი აუცილებლად იქნება დაღებული. თუმცა ჩვენი ჯანმრთელობისა და გადარჩენისთვის არაფერია ღია, სინათლით სავსე გულზე უფრო მნიშვნელოვანი.

„გახსენით თქვენი ცხოვრება. იცხოვრეთ ღიად და გაშლილად!“ (2 კორ. 6:13, თარგმანი *Message*).

ეს დავალება ძალზე უბრალო და გამათავისუფლებელია, მაგრამ ამავდროულად, საშიშიც. მხოლოდ ჩვენ გვაქვს საკუთარი ცხოვრების გახსნის ძალაუფლება. თავდაპირველად, ვაღებთ, შემდეგ ღიად ვცხოვრობთ, ხოლო ამის შემდეგ სიცოცხლე ვრცელდება. ცხოვრების გაღება და ღიად ცხოვრება ორმაგი პროცესია. შესაძლებელია *ცხოვრება გააღო* და *ღიად არ იცხოვრო*. ვიცი ადამიანები, რომლებიც ბევრ რამეს ამხელენ თავიანთი ცხოვრების და ურთიერთობების სხვადასხვა სფეროებზე, მაგრამ ღიად რომ ეცხოვრათ, იმასაც გამოამჟღავნებდნენ, რაც ადრე დამალეს. ზოგიერთ ადამიანს ცხოვრების ერთი სფერო გამოაქვს სააშკარაოზე, რომ მეორე შენიღბოს.

და მაინც, ჩემი აზრები პავლეს სიტყვებს უტრიალებს. მისი დავალება თითქმის გადაულახავი მეჩვენება. იგი აღმძრავს ფიქრისკენ, რომ ჩვენი ცხოვრება შეფუთული საჩუქარია ღვთისთვის. პავლეს სიტყვები ისეთ ცხოვრებას გვიხატავს, რომელიც ღიაა ყოველივე გაცხადებულის და მაღლიდან გამოთავისუფლებულის მისაღებად. ეს არის გაშლილი და მუდმივად გაფართოებადი ცხოვრება.

მინდა, წარმოიდგინოთ თქვენი ცხოვრება მოძრაობაში – მზარდი, უფრო მეტად გაძლიერებული და გავრცობილი ირგვლივ არსებული სამყაროს ყოველი მხარის შეხებისას.

„ახლა გარეთ ხართ გამოსული. ქრისტეს კაშკაშა ნათელმა თქვენი გზა მოასწორა. ამიტომ ნუღარ წაიბორძიკებთ. წინ იარეთ! კეთილი, მართალი და ჭეშმარიტი – დღის საათების შესაბამისი მოქმედებებია. იფიქრეთ, რით აამებთ ქრისტეს და ისე მოიქეცით“ (ეფეს. 5:8-10, თარგმანი *Message*).

გესმის? ძუ ლომის მსგავსად თქვენც გარეთ ხართ. აქ არ არის არავითარი ჩრდილი შიშისა. აქ არ არის სამარცხვინო, დაფარული ადგილი, რომელიც სიცოცხლის გზიდან გადაგახვევინებს. მომწონს ეს მოწოდება მოქმედებისკენ. გზა მოსწორებულია – იარეთ მასზე!

რამდენ ადამიანს სურს იცოდეს, რისთვის არის მოწოდე-

ბული. მოდით, ნუ გავართულებთ იმას, რაც ღმერთმა მარტივი სახით მოგვცა. მან მოგვიწოდა კეთილის, მართალისა და ჭეშმარიტის საკეთებლად. ეს ის ჩამონათვალია, რომლის კეთება არ შეგვარცხვენს, თუ დღის სინათლეზე გამოვა. ჩვენ ვართ სინათლის შვილები, რომლებიც მოწოდებული არიან დღის სინათლის შესატყვისი მოქმედებებისთვის. მოსარიდებელია ბევრი რამ, რაც ჩრდილის სამყაროში წარმოიშვა. ვაცნობიერებთ რა არის ღვთისთვის სათნო და შემდეგ უბრალოდ ვაკეთებთ ამას.

ჩვენი ცხოვრება ქრისტეში სხივებს წააგავს, რომლებიც განუწყვეტლივ იზრდება და ვრცელდება იმ საოცარი მომენტიდან მოყოლებული, როცა მისმა დიდებულმა ნათელმა ჩვენს ცხოვრებაში არსებული სიბნელე დაიპყრო. ყოველი ისარი შეიძლება მივამსგავსოთ მწველი სინათლის სხივს და მის სითბოს, რომელიც კონკრეტული ათვლის წერტილიდან მოდის.

მომწონს, როცა ამინდი საკმარისად მაცოცხლებელი და თბილია ფანჯრების გასაღებად და ჰაერის გასანიავებლად. არის რაღაც საოცარი ნიავის შემობერვაში, რომელიც დაგუბებულ ჰაერს წმენდს და ჩემს საშინაო სამყაროში ტრიალით შემოაქვს მაცოცხლებელი სიახლე. მშვენიერი ველური ბუნების ნაწილი სახლში ხვდება, ხოლო ჩვენი სახლის ჰაერი ფართოვდება და იჭერს გარე ბუნების სურნელებით შეზავებულ სიცოხლესა და მოძრაობას. ახალმოთიბული ბალახის, აყვავებული იასამნის, ფიჭვის ფისისა და წვიმით გასუფთავებული სამყაროს საოცარი სურნელი ადამიანის სამკვიდრებლის კედლებში ერთმანეთს ერწყმის.

ენერგიის გარედან შიგნით შემოტანის პროცესი გახლავთ მიზეზი, რატომაც ვამახვილებთ ამდენ ყურადღებას ძუ ლომებზე. იგი მოხდენილად განახორციელებს სიმშვიდისა და ძლიერების, მოსვენებისა და სიმამაცის, ველურისა და უსაფრთხოს მნიშვნელოვან წონასწორობას, როგორც წმ. ნერილის ამ მონაკვეთშია მოცემული.

> „დაიღალეთ? დაუძლურდით? გადაიწვით უშინაარსო რელიგიისგან? მოდით ჩემთან. *გამოიქეცით ჩემსკენ და სიცოცხლეს განიახლებთ. გაჩვენებთ, როგორ უნდა ნამდვილი დასვენება. იარეთ ჩემთან ერთად და იშრომეთ ჩემთან ერთად – უყურეთ, როგორ ვაკეთებ მე. შეისწავლეთ მადლის ძალდაუტანებელი რიტმები.* მძიმეს და შეუფერებ-

> ელს არ დაგაკისრებთ. ჩემთან დარჩით და ისწავ-
> ლით თავისუფლად და მსუბუქად ცხოვრებას„
> (მათ. 11:28-30, თარგმანი *Message*).

ფორმალური რელიგიის წიაღში აღზრდილ ასულებს კიდევ ერთხელ გვჭირდება ღმერთთან ცეკვის სწავლა. ჩვენს შვილებს აქვთ ის ბუნებრივი მოძრაობები, რაც მე და ჯონმა დავკარგეთ. მუსიკისადმი მათი გამოხმაურება უფრო თავისუფალია, ვიდრე ჩვენი, რადგან გვასწავლეს ეკლესიის გარეთ შობილი მუსიკის მიმართ ყოველგვარი გამოძახილის ჩახშობა. ამან უფრო უდრეკი გაგვხადა, ვიდრე გულისხმიერი. მადლის ძალდაუტანებელი რიტმები ჩვენს სულებში ღვთის ზებუნებრივი შრომის ბუნებრივი მომდინარეობა და პასუხია.

საყვარელნო, იბრძვით და იქანცებით უფლისთვის შრომაში? დაკარგეთ შეგრძნება, თუ რას ნიშნავს მასთან ერთად ცხოვრება? ზოგჯერ ყველას გვჭირდება ამის შეხსენება. მე ნამდვილად მჭირდება. ერთი წელი არც გასულა, რაც დაღლილობის ზღვარზე ვიყავი. გამოგიცდიათ საშიშ ადგილზე დგომა, როცა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გადაყირავებულიყავით და ნერვული სტრესი დაგმართნოდათ? კარგი, შეიძლება თქვენ არა, მაგრამ მე კი ვიყავი ამ საფრთხის ქვეშ. ძალიან ვღელავდი ერთი შეკრების გამო, რომელიც სამი თვის შემდეგ უნდა გამართულიყო.

ჩემი შეშფოთება მეგობარს გავუზიარე, რომელმაც ჩემი აღელვება გონივრული რჩევით ჩააცხრო. მან შემაგონა, რომ ერთადერთი რამ იყო საჭირო – ჩემი წილის მოტანა, ხოლო ჩვენი დიდებული სამკლის უფალი გატეხდა მას და გაამრავლებდა. შვებით ამოვისუნთქე და გამახსენდა, რომ იგი ცნობილია იმის მრავლისთვის განაწილებით, რაც სხვებს ძალიან მცირედ მიაჩნიათ.

მოდით, ერთხელ კიდევ ვისწავლოთ, რას ნიშნავს თავისუფლად და სინათლეში ცხოვრება. შრომა და დაძაბულობა ჩვენი მდგომარეობაა დაცემის შემდეგ, მაგრამ მოსვენება იქნება მდგომარეობა გამოსყიდვის შემდეგ.

> „ეს ყველაფერი არ არის: ჩვენს კარებს ვაღებთ
> ღმერთისთვის და აღმოვაჩენთ, რომ მას უკვე
> გაუღია მისი კარი ჩვენთვის. ვდგავართ იქ, სადაც
> ყოველთვის გვინდოდა ვმდგარიყავით – ღვთის
> მადლისა და დიდების ფართოდ გაშლილ სივრცეე-

> ბზე; ვმაღლდებით და სიხარულის ყიჟინით ვაქებთ მას“ (რომ. 5:2, თარგმანი *Message*).

მომწონს მისი ღია მოპატიჟება. საკმაოდ დიდი ხანია, რაც ბევრი კარი და ფანჯარა იკეტებოდა ჩვენთვის და ჩვენს მიერ. ჩემო საყვარელო დებო, თქვენ და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ საკუთარი ცხოვრების შესასვლელებისა და ფანჯრების გაღება თუ დაკეტვა. თქვენ ხართ დარაჯი, რომელსაც მისთვის სასურველი კარის გაღების ან დაკეტვის უფლება აქვს. საზღვრების დაცვა მნიშვნელოვანია, მაგრამ ღვთის მოპატიჟება სრულიად უსაფრთხოა. როცა ცხოვრების კარს უღებ მას, აღმოაჩენ, რომ იმედის ადგილზე მოხვდი ... თავისუფალი და გახსნილი ღვთის მადლისა და დიდებისთვის. მომდევნო მუხლები ამაზე ნათლად მეტყველებს.

> „ჩვენ არ გვაქვს საიდუმლოებები, ყველაფერი გაცხადებულია; ჩვენ არაფერს ვმალავთ, არამედ შიგნიდან გარეთ გამოგვაქვს“ (მარკ. 4:22, თარგმანი *Message*).

თქვენც ამის მონაწილე ხართ. ღვთის სიკეთის საიდუმლოება თქვენგან დაფარული არ არის. მან საუკუნო სიყვარულით შეგიყვარათ და თანაგრძნობით მოგიწვიათ. ისევე როგორც ღმერთი გიმხელთ საიდუმლოებებს, ასევე უსაფრთხოა თქვენი საიდუმლოებების მისთვის გამხელა. არის რაღაც განმათავისუფლებელი იმის ცოდნაში, რომ არ არსებობს ფარული ცოდვა, სირცხვილი ან მითითება, რომელიც გზიდან გადაგაცდენდათ. გაძლიერებს იმის გაცნობიერება, რომ ღმერთმა იცის თქვენი ბნელი საიდუმლოებები და დარღვეული წესები, მაგრამ მაინც ღიად აცხადებს მის სიყვარულს თქვენდამი.

სამაგიეროდ, იგი ჩვენგანაც იგივეს ითხოვს. ღვთისგან მონდობილი სიტყვა – მამა ღმერთი სიყვარულია და მისი მხოლოდშობილი ძე, იესო მოკვდა, რომ მასთან შეერიგებინეთ – მეტისმეტად დიდი და წყალობით უხვია, რომ მისი ჩუმად შენახვა შევძლოთ. სახარება საიდუმლო არ გახლავთ. ერთადერთი საიდუმლო, რომელიც გვაკვირვებს, არის მისი სიყვარულის სიტყვის უკან მდგარი „რატომ“.

ვინ ვართ ჩვენ, რომ ზეციერი მამა ასე ზრუნავს ჩვენზე და ამ დიდებულ ნიჭს გვაძლევს? მან გაგვიმხილა სიყვარულის გეგმა და მისი ისევე უსასყიდლოდ გაზიარება გვთხოვა,

როგორადაც მიგვიღო. ყველა იმსახურებს ღვთის სიყვარულის შესახებ მოსმენას.

როცა კითხულობთ ღვთის მოპატიჟებაზე გაშლილად ცხოვრების შესახებ, ალბათ აცნობიერებთ, რომ თქვენს ცხოვრებაში არსებობს დაფარული სფერო. ის შეიძლება იყოს შიშის ან ბნელი სირცხვილის საკუჭნაო. შეიძლება კარი ან ფანჯარა გაქვთ დაკეტილი და გაღების გეშინიათ. ჩემთვის ეს გასაგებია.

როცა ჩვენი ოჯახი მოგზაურობს, ერთმანეთთან დაკავშირებულ ოთახებს ვითხოვთ. ეს ოთახები ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარეობს, მაგრამ მათ შორის ორი კარია. შესვლა შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კარები ორივე ოთახის მხრიდან გაიღება. მე და ჯონი ჩვენი ოთახის კარებს შესვლისთანავე ვაღებთ. ცოტა ხნის შემდეგ ბიჭები თავიანთ კარებს აღებენ ტანსაცმლის ამოლაგებისა და გამოცვლის შემდეგ. როცა კარები ორივე მხრიდან გაიღება, ჩვენ მათთან შესვლა შეგვიძლია და მათ – ჩვენთან შემოსვლა. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია შევიდეს ორ ოთახში და გამოვიდეს.

საყვარელნო, გახსენით კარები. ერთ მხარეს სინათლით სავსე ოჯახის ოთახია. ნუ გეშინიათ. ღმერთს თავის მხრიდან კარი არ დაუკეტავს. არც ადრე გაღებულ კარს მოგიხურავენ ცხვირწინ – მისი კარი ყოველთვის ღიაა. უბრალოდ, გააღეთ თქვენი მხრიდან.

გირჩევთ, გახსნათ მის წინაშე ყველა მტკივნეული სფერო. მის სიცოცხლესა და სინათლეს ჩრდილის პატარა ნაფლეთის აღმოფხვრის საშუალება მიეცით.

თქვენი სულის მტერს სურს ჩრდილში დაგტოვოთ. სიბნელე ართულებს და ურევს იმას, რაც მარტივი და სრულიად აშკარაა სინათლეზე. ჩვენს ღმერთს არა მარტო ის სურს, რომ სინათლეში ვიცხოვროთ, არამედ სინათლით ვიცხოვროთ. შეგიძლიათ ყოველგვარი ტვირთის გარეშე იაროთ და ეს ახლავე მოხდეს. ამას ლოცვის სილამაზე და ძალა გააკეთებს.

რამდენიმე წინადადება დავწერე თქვენს დასახმარებლად, რომ გახსნათ თქვენი კარი, მაგრამ თავისუფლად იგრძენით თავი თქვენი გულის კარნახით ლოცვისთვისაც.

ძვირფასო, ზეციერო მამა,
შენთან მოვდივარ იესო ქრისტეს სახელით. მაპატიე, რომ ვიმალებოდი. მინდა სინათლეზე გამოვიდე. ვაღებ

ყველა დაკეტილ კარს და შემოვდივარ შენი სიყვარულისა და სიკეთის სინათლეში. ვიღებ შენს მიერ ბოძებულ უფლებას, რომ ვიყო მიტევებული და ვარჩევ ჭეშმარიტებაში სიარულს, რადგან მხოლოდ ეს დამაფუძნებს თავისუფლებაში. მე შენი ვარ. ვემორჩილები შენს სიყვარულს და შენს გზებს მოვყვები. გამინათე სავალი გზა, ამინ.

ღამის ხედვა

ახლა, სინათლის დაო, ვერ ვითმენ, ისე მინდა გაგიზიარო კიდევ ერთი თვისების შესახებ, რომელიც ძუ ლომებს ახასიათებთ. როგორც იცი, ძუ ლომები სინათლეში ცხოვრობენ და სიბნელეში ნადირობენ. როგორ ახერხებენ ისინი ბნელში ნადირობას? განსაკუთრებული ყნოსვის შეგრძნების ან მახვილი სმენის უნარის გამო? არა!

ჩვენს ძუ ლომ დებს *სიბნელეში ხედვა* შეუძლიათ. როგორ?

ჩანს, ძუ ლომებს და კატისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლებს სინათლის აღქმის, გარდატეხისა და არეკვლის განსაკუთრებული უნარი აქვთ. ისინი მათ გარემოში არსებულ ნებისმიერ სინათლეს მხედველობად გარდაქმნიან. სრულ სიბნელეში ძუ ლომიც ისეთივე უმწეო იქნება, როგორიც მე და თქვენ ვართ. იმ შემთხვევაში კი, როცა სიბნელეს წერტილისოდენა შუქი მაინც გაკვეთს, მის მიერ დაჭერილი და მხედველობად გარდაქმნილია. მთვარის ნათებას და ვარსკვლავების შორეულ ციმციმსაც შეუძლია ძუ ლომს ღამის ხედვა მიანიჭოს.

მათი თვალის გუგა უზრუნველყოფს სინათლის თვალში შეღწევას და ჩვენი გუგისგან განსხვავდება. ეს მათ ხედვის ფოკუსირების საშუალებას აძლევს მაშინ, როცა სხვები ვერაფერს ხედავენ. გარკვეული აზრით, სინათლე, რომელსაც ისინი ხედავენ, უფრო მათივე თვალებიდან მომდინარეობს, ვიდრე გარემოდან. სწორედ ამ მიზეზის გამო, კატის თვალები ხშირად სიბნელეშიც ანათებს. ისინი აგროვებენ და ირეკლავენ ნებისმიერ შესაძლებელ ნათებას.

როგორ შეგვიძლია ძუ ლომზე ნაკლები ვაკეთოთ? როცა ჩვენი მსოფლიოს სიბნელე იზრდება, გარედან მხოლოდ მინიმალური სინათლის მიღებაა შესაძლებელი. დროა განვავითაროთ ჩვენში არსებული ნათლის წყაროზე ყურადღების გამახვილების უნარი.

„შემეძლო მეთხოვა სიბნელისთვის, რომ დავემალე
და სინათლე ჩემს გარშემო ღამედ გადაქცეულიყო,

> მაგრამ ღამეც კი ვერ დამფარავს შენგან. შენთვის ღამე დღის ნათელივით ანათებს. სიბნელე და სინათლე შენთვის ერთიდაიგივეა“ (ფსალმ. 139:11-12, თარგმანი *NLT*).

თუკი ოდესმე ყოფილა ძუ ლომის ღამეული ხედვის უნარის ათვისების დრო, ეს აწმყოა. უმრავლესი ჩვენთაგან დღისით ხედავს, მაგრამ გთავაზობთ სიბნელეში ხედვის უნარის განვითარებას. ძუ ლომები ღამით იმ სინათლეს ხედავენ, რომელიც მათ თვალებშია. თუ შიგნიდან გავანათებთ, ჩვენს გარშემო არსებულ სიბნელეს აღარ დავექვემდებარებით. ეს საშუალებას მოგვცემდა, ფართო სპექტრით და ღვთიური პოზიციის შესაბამისად გაგვეუმჯობესებინა მხედველობა.

ღმერთი სინათლეა. მასში არ არის სიბნელე. მაინტერესებს, გვაქვს თუ არა საკმარისი ადგილი ჩვენს გონებაში ამ განაცხადის დასატევად. საცა სინათლეა, იქ არის ხედვა. სადაც არის ხედვა, იქ არის იმედი და მხედველობის აღდგენა. სადაც მხედველობაა, იქ არის გამოცხადება.

მახსოვს, ჩემთვის ნაჩუქარი ყველაზე პირველი მუხლი წერილიდან. იგი ეფესელთა მიმართ ეპისტოლეს 1-ლი თავიდანაა:

> „...რათა მოგცეთ თქვენ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად. და *გაანათლოს თქვენი გონების თვალები*, რათა იცოდეთ, რა არის მისი მოწოდების იმედი“ (ეფეს. 1:17,18)

ეს მუხლი ყოველდღიურ ლოცვად გადაიქცა. ყოველ საღამოს თვალებს ვხუჭავდი და ჩურჩულით წარმოვთქვამდი მას. ღმერთს ჩემს სიზმრებში ვიწვევდი. დღის სინათლეზე მის აღთქმას შევისუნთქავდი წმ. წერილის კითხვის წინ. აღმოვაჩინე, რომ ძალიან გამიტაცა განათებული თვალების საოცრებამ და დაპირებამ, რომელსაც ზეცის ჩემს დედამიწამდე ჩამოტანის უნარი ჰქონდა.

„ღმერთი არ გახლავთ ლოგიკური ვარაუდებიდან მომდინარე ჰიპოთეზა, არამედ სინათლედ გაცხადებული მეყსეული წვდომა. მას არ უნდა ვეძებდეთ სიბნელეში გონების სინათლით. იგი თავად არის სინათლე.“

– აბრაჰამ ჯოშუა ჰეშელი

რასაც უყურებ, ის ხდები. რასაც ხედავ, იმას გამოხატავ. ვშიშობ, დავკარგეთ ხედვა, თუ რა დიდია საოცრება, რომელიც ღმერთს ჩვენთვის აქვს. *ღმერთმა თვალები მოგვცა დასანახად.*

ეს თხოვნა აჩვენებს, როგორი უნდა იყოს წინასწარმეტყველის წმიდა, ბავშვური უბრალოებით გაჟღენთილი დამოკიდებულება. მისი ხმიანობა სამუელისადმი ყელის მითითებაში იგრძნობა:

> „წადი, დაწექი. თუ დაგიძახეს, უთხარი: ბრძანე უფალო, გისმენს შენი მორჩილი“ (1 მეფ. 3:9)

ღვთის ხმა უხმობს ყრმა სამუელს, როცა იგი საწოლშია და აღვიძებს მას. ჩვენი პასუხი მისას უნდა ირეკლავდეს: „ბრძანე, რადგან გისმენს შენი მორჩილი“.

სანამ სამუელი უპასუხებდა და ღმერთს სალაპარაკოდ მოიწვევდა, მან ის-ის იყო განიცადა ღმერთი, რომელიც მას სახელით უხმობდა, მაგრამ ღვთის სახელით ლაპარაკი ჯერ კიდევ წინ იყო.

რამდენ თქვენგანს გამოუცდია მარტო ის, თუ როგორ გეძახდათ ღმერთი სახელით? დამერწმუნეთ, ამ განცდის დაკნინება სულაც არ მინდა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მოდით, გადავიდეთ *უფრო მეტზე*, რასაც თითოეული ჩვენგანი დიდი ხანია ნატრობს. ვესწრაფვით მის რჩევას და მასთან ერთად შრომას, რაც ნიშნავს მისთვის საშუალების მიცემას, რომ ჩვენი მეშვეობით ილაპარაკოს.

> „უთხრა უფალმა სამუელს: ისეთ რასმე მოვახდენ ისრაელში, რომ ყოველ მის მსმენელს ორთავე ყური გაუყრუვდება“ (1 მეფ. 3:11)

ეჭვი არ მეპარება, რომ ახლაც გვეუბნება ღმერთი: „ასულებო, ყურადღებით მოისმინეთ. ისეთი რამის გაკეთებას ვაპირებ დედამიწაზე, რომ ყველაფერს შევაზანზარებ და მსოფლიოს ყურადღებას მივიზიდავ“. ღმერთს სურს ჰყავდეს ხალხი, რომლებიც მსოფლიოს ყურადღებას მას მიაპყრობს.

სამუელის დღეებში უფლის სიტყვა იშვიათი გახლდათ და ღვთის ერის შესაწირავები და უფლისთვის პატივის მიგება თაყვანისცემით მისთვის საძაგლობა იყო. მრუშობა ბობოქრობდა ... ტაძარში! წინამძღოლს არ შეეძლო ან არ სურდა

მისი ძეების მოთოკვა, რადგან უეჭველად სარგებელს იღებდა მათი ძალადობიდან.

ამის პასუხად, ღმერთმა ზურგი აქცია ყელის სახლს და მიძღვნილი ყრმა გააღვიძა, რომელსაც ენდობოდა. ჩვენი დროის შეცოდებები არაფრით განსხვავდება და ღმერთსაც ჰყავს შვილები, რომლებიც გამოღვიძებული და ცოცხლები არიან.

> „ყრმა სამუელი კი იზრდებოდა და მშვენდებოდა უფლისა და ხალხის თვალში“ (1 სამ. 2:26)

მინახავს ასეთი ახალგაზრდები – *ძალიან ცოცხლები*, ღვთისგან კურთხეულები და ხალხისთვის მოსაწონი. ზეცის შეხება იგრძნობა მათ ცხოვრებაში და ღმერთს სურს მათი დაყენება ჩვენს გვერდით, რომ ეს ყველაფერი ერთად გავაკეთოთ.

ეს რომ მოხდეს, თვალებმა წინასწარმეტყველურად უნდა გაიღვიძონ იმის დასანახად, რას აკეთებს ღმერთი, ყურებმა უნდა გაიგონონ, რას ამბობს იგი და არსებობდეს უნარი ღვთის სიტყვის გამოსაცხადებლად ისეთი მეტყველი და ცოცხალი გზით, რომ ადამიანის გულებიდან ყოველგვარი დაბრკოლება მოაშოროს.

ამის ფონზე მინდა წინამდებარე ფურცლებს წინასწარმეტყველური პერსპექტივით შეხედოთ. მინდა, რომ ღვთისგან შთაბერილი სასწაულის მოლოდინი გქონდეთ გულის სიღრმეში და ამ სიტყვებს შინაგან ადამიანთან ლაპარაკის უფლება მისცეთ. იცოდეთ, რომ გარკვეული ადგილები წმ. წერილიდან, სახეები და მონაკვეთები მოიტანს თქვენში ღვთიური ნიჭის გაღვიძებას.

ეს სულიწმიდა აფართოებს თქვენი ცხოვრების საშოს და ზრდის მოსმენის, დანახვისა და გაგების უნარს.

ერთხელ, როცა ლაპარაკი დავასრულე, ლამაზი ახალგაზრდა ქალი მომიახლოვდა, რომელიც ღმერთმა უხვად სცხო, რომ მოსულიყო და გაეზიარებინა – „ყოველთვის, როცა თქვენ გისმენთ, ჩემში ბავშვი ამოძრავდება.“

ის ორსულად არ იყო, რამდენადაც ვიცოდით. იგი საუბრობდა რაღაც ღვთიურის აღძვრაზე მის შინაგანში და არ იცოდა, სხვაგვარად როგორ აღეწერა ეს გრძნობა.

შესაძლოა, თქვენც იგრძენით იგივე მოძრაობა შიგნით. ამის საპირისპიროდ, ახლაც ამტკიცებთ: *არ ვარ წინასწარმეტყველთაგანი*! დიასახლისი ვარ, მოზარდი გოგონა, საქმიანი

ქალი ან ბებია. იქნებ სიტყვა *წინასწარმეტყველი* რომ გესმის, თვალწინ დატუსაღებული იერემია წარმოგიდგება, რომელსაც ცეცხლი უნთია შიგნით ან იონა თევზის მუცელში.

რა თქმა უნდა, გეთანხმები, რომ თქვენი ცხოვრება შეიძლება მათგან განსხვავებული იყოს. და ალბათ, არც ხართ წინასწარმეტყველი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს არ ნიშნავს, რომ თქვენში წინასწარმეტყველური არაფერია.

წინასწარმეტყველურობა ნიშნავს ხედვისა და შორსმჭვრეტელობის ქონას, რომელიც წინასწარ დანახვის სტრატეგიულ უნარს გაძლევს. ჩვენი ლოცვებიც კი წინასწარმეტყველურ ფორმას იღებს. ვიცით, რომ იგი ისმენს, ამიტომ ვიცით, რომ გვპასუხობს და გვაჩვენებს დიდ და მიუწვდომელს, რაც აქამდე არ ვიცოდით. ვლოცულობთ და მოლოდინით ვუყურებთ მომავალს.

იმ დროისთვის, როცა იესო დედამიწაზე იყო, ფარისევლებმა დაკარგეს სულიერი ხედვის უნარი. იესოს ცხოვრება და სიტყვები მუდამ ეწინააღმდეგებოდა მათ სიბრმავეს, რაც მათ ძალიან აბრაზებდა. იოანეს სახარების მე-5 თავში იესომ კვლავ გააღიზიანა ისინი იმით, რომ შაბათს ადამიანი განკურნა. ამან მათი შაბათის კანონი დაარღვია. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იესო ღვთის მცნების თანახმად მოქმედებდა, რომელიც ღვთის ერს შაბათი დღის პატივის მიგების, დახსომების და წმიდად შენახვისკენ მოუწოდებდა.

რა უნდა ყოფილიყო იმაზე მეტად წმიდა, ვიდრე დავრდომილის განკურნება? მათ თვალში უფრო წმიდა იყო არაფრის კეთება და თუ განკურნება მაინც მოხდებოდა, კვირის რომელიმე სხვა დღე უნდა შერჩეულიყო. წესებითა და დადგენილებებით დაბრმავებული ფარისევლები ძალიან ცდებოდნენ.

> „იესომ კი თავი დაიცვა: „მამაჩემი აქამდე ასე აკეთებს, შაბათ დღესაც კი და მეც ვაკეთებ“.
>
> ამან ისინი მართლა გააღიზიანა. ამიტომ იუდეველებმა მით უფრო დაუწყეს ძებნა მოსაკლავად, რადგან არა მარტო შაბათი გატეხა, არამედ ღმერთს საკუთარ მამად იხსენებდა და თავს ღმერთს უტოლებდა.
>
> ამის პასუხად, მიუგო მათ იესომ: „პირდაპირ გეუბნებით თქვენ, ძეს დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება არ შეუძლია, *თუ არ იხილავს, რასაც მამა აკეთებს. რასაც მამა აკეთებს, ძეც იმასვე აკეთებს.*

რადგან მამას უყვარს ძე და, რასაც აკეთებს, ყველაფერში რთავს მას“ (იოან. 5:17-20, თარგმანი *Message*).

შაბათი მუშაობას არ ეხება. ეს ნიშნავს ღმერთში მოსვენებას. იესოს პირდაპირი ლაპარაკი რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემისკენ მოგვიწოდებს.

პირველ რიგში, ღმერთის ასული ხართ?

გინახავთ, რას აკეთებს მამა ღმერთი?

გინდათ ამაში ჩართული იყოთ?

ბედნიერი ხართ, რომ ქრისტიანულ ცხოვრებას დამოუკიდებლად ეწევით?

გინდათ მოუტანოთ მისი პასუხები გატანჯულ, იმედგაცრუებულ, მომაკვდავ და დაჭრილ ქვეყნიერებას?

იესო სულაც არ ჰგავდა იმქვეყნიურს, მაგრამ სადაც მიდიოდა, ღვთიური სასწაული მიჰქონდა. თუ იესოს, ღვთის ძეს, თავად არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მით უმეტეს ჩვენ ვერ შევძლებთ რაიმეს კეთებას სულიწმიდის განმანათლებელი შინაგანი წვდომის გარეშე. როგორც ის მოქმედებდა, ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთ. გვაქვს მისი დახმარების დაპირება. ამის ხაზგასასმელად გადავხედოთ საქმ. 2 თავს.

„იქნება უკანასკნელ დღეებში,
ჩემი სულისაგან მოვაფენ ყველა ხორციელზე,
ვინც მე მემსახურება, მამაკაცი თუ დედაკაცი
და იწინასწარმეტყველებენ.
ვაჩვენებ სასწაულებს მაღლა ცაში
და ნიშნებს დაბლა მიწაზე
სისხლსა და ცეცხლს და კვამლის ბოლქვებს,
მზე წყვდიადად იქცევა და მთვარე სისხლად,
ვიდრე დადგებოდეს უფლის დღე, დიადი და
გაცხადებული;და ვინც მომიხმობს მე, ღმერთს,
შემწეობისთვის, გადარჩება“ (საქმ. 2:17-21, თარგმანი *Message*).

ამ ბოლო დღეებში კვლავ ძალაშია ქარის მოტანილი სიტყვებით დაპირება. დამიჯერეთ, ერთი შეხედვით, გაკვირვებული ვარ, რატომ აგვირჩია ღმერთმა ჩვენ. როცა მსოფლიოში ვმოგზაურობ და ირგვლივ ვიყურები, ვფიქრობ, რომ ეს ის ხალხი არ არის და არც დროა შესაფერისი, რომ არჩეული ვიყო

ჩემი სულიწმიდის გადმოსაღვრელად. მე უფრო მშვიდ, სუფთა, დაცულ დროს შევარჩევდი, როცა ყველაფერი ასე გაბინძურებული და გაუწმიდურებული არ იქნებოდა.

ოპტიმალური არჩევნის სახით ვფიქრობ ა.წ. 50 წელზე, ზუსტად იმის წინა პერიოდზე, სანამ ქრისტიანების ხოცვას შეუდგებოდნენ. მაგრამ ჩვენ სადღა ვიქნებოდით მაშინ? შესაძლოა, გგონია, რომ არ გინდა ან არ გჭირდება სულიწმიდის გადმოღვრა. შესაძლოა, თქვენს ეკლესიას საერთოდ არ სწამს ეს. თუმცა დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რას ვამბობ მე ან რა გინდათ თქვენ. „უკანასკნელ დღეებში“, ამბობს ღმერთი, „გადმოვღვრი ჩემს სულს ყოველ ხორციელზე“.

ასე მგონია, რომ საბოლოოდ მას ეყოლება ხალხიც და მისი ნათქვამიც აღსრულდება. ასე კი ითქვა, მაგრამ სინამდვილეში რას ნიშნავს ეს? როგორი იქნება სულიწმიდის გადმოღვრა? მოდით, აღმოვაჩინოთ და უფრო მეტი გავიგოთ სულიწმიდის გადმოღვრის პროცესზე.

დაახლოებით ორი საუკუნის წინ სულიწმიდა დედამიწაზე გამოიგზავნა, რომ იესო გაეცხადებინა და ახლო თუ შორეული ქვეყნების მორწმუნეებში ახალი გულები შეექმნა. ამრიგად, სულიწმიდა მოქმედებს მის სხეულში, ეკლესიაში და მისი მეშვეობით. თუმცა რაც ახლა გვაქვს, ძნელად თუ დავარქმევდი გადმოღვრას.

მაინც როგორია სულის გადმოღვრა?

ამის აღმოსაჩენად უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს სიტყვა *სული*. მას ოთხი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. პირველი გახლავთ „ძალა“. ეს განსაზღვრება ასევე მოიაზრებს სიტყვებს *მხნეობა, ხასიათი, ნება, ძლიერება, მდგრადობა, ზნეობრივი სიმტკიცე, სიბრძნე, მიზანსწრაფულობა, უშიშარობა, გული* და *გამბედაობა*. მომდევნო მონაკვეთი წმ. წერილიდან გახლავთ სულიწმიდის როგორც სიმხნევისა და ფიზიკური ძალის გადმოღვრის ნიმუში.

> „მოიცვა იგი უფლის სულმა და თიკანივით შუაზე გახლიჩა ლომი, ისე რომ ხელში არაფერი სჭერია“ (მსაჯ. 14:6)

ეს საკმაოდ ძლიერი მაგალითია და საერთო არაფერი აქვს მტრედის სახით გადმომავალი სულიწმიდის სახესთან.

სულის, როგორც სიბრძნისა და ზნეობრივი სიმტკიცის მაგალითი ასეთი იქნება:

„და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და უფლის მოშიშებისა“ (ეს. 11:2)

და:

„სუფთა გული შეჰქმენი ჩემში, ღმერთო; განმიმტკიცე და განმიახლე სული ჩემს შინაგანში“ (ფს. 51:10)

ასევე გვაქვს სულის გადმოღვრის ნიმუშები უნარისა და ნიჭის სახით:

„ავავსე იგი ღვთის სულით, სიბრძნით, გონიერებით, ცოდნითა და ყოველგვარი ხელოვნებით“ (გამ. 31:3)

და ბოლოს, აქ მოცემულია სულიწმიდა გულის სახით:

„მივცემ მათ ერთ გულს და ახალ სულს ჩავდებ მათში; ამოვიღებ მათი სხეულიდან ქვის გულს და ხორცის გულს ჩავუდგამ“ (ეზეკ. 11:19)

ასევე გვაქვს *სულის* მეორე განსაზღვრება და მას სიტყვა სულის ან სამშვინველის ფორმით ვპოულობთ. მასში ასევე მოიაზრება სიტყვები *შინაგანი კაცი, მაცოცხლებელი ძალა* და *არსი.*

„კაცის სული უძლებს უძლურებას, მაგრამ ვინ აიტანს შემუსვრილ სულს?“ (იგავ. 18:14)

„მხიარული გული სახესაც ამხიარულებს, ნაღვლიანი გული კი შინაგანს მუსრავს“ (იგავ. 15:13)

სულის მომდევნო განსაზღვრება გახლავთ „სული, აჩრდილი, მოჩვენება“ (სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ საჭირო არ არის ამ სიტყვების შემდგომი კვლევა).

და ბოლოს, სული განისაზღვრება როგორც „ზოგადი განწყობა, დამოკიდებულება, ხასიათი, მიდრეკილება, სულისკვეთება, ატმოსფერო“. ალბათ, გსმენიათ ადამიანთა ნათქვამი, რომ

რომელიღაც კონკრეტულ ადგილას კარგი განწყობა ან სული იგრძნობა. ისინი არ გულისხმობენ მოჩვენებას ან მტრედს. ისინი მიანიშნებენ ატმოსფეროზე ან მოლოდინის განწყობაზე. სწორედ ასე უნდა ყოფილიყო ზემო თვალში სულიწმიდის პირველი გადმოღვრის დროს, როცა ადამიანები ერთ სულში, ერთ ადგილას იყვნენ შეკრებილნი და ისეთი ატმოსფერო, განწყობა სუფევდა, რომ ადამიანებს ყველაფერ იმის მოლოდინი და მოკრძალება ჰქონდათ, რის გაკეთებასაც ღმერთი აპირებდა.

> „ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“ (2 კორ. 3:17)

აქ ვხედავთ, როგორ აღძრა სულიწმიდამ თავისუფლებისა და ღვთისგან მიღების ატმოსფერო.

ალბათ შენიშნეთ, რომ *სულის* განსაზღვრებაში არ შემიტანია ენებზე ლაპარაკის ნიჭი. ენები სულიწმიდის თანაყოფნის ერთ-ერთი გამოვლინებაა, მაგრამ სრულად არ გამოხატავს სულიწმიდას.

ბიბლიაში ვხედავთ, რომ სულიწმიდა სხვადასხვა სახით გვევლინება, რომლებზეც ახლახანს ვისაუბრეთ. სულიწმიდამ აღძრა სამსონი და ზებუნებრივი ძალა მიანიჭა ფილისტიმელთა ტაძრის დასანგრევად. ელიამ მეფის ეტლს გადაუსწრო. ღვთიური მხნეობა მოვიდა გედეონზე და იგი არმიას უიარაღოდ გაუძღვა მჩაგვრელთა გასანადგურებლად. სულიწმიდის ძალის მეშვეობით მარტოხელა ქალმა, დებორამ უდაბნოში წამოაყენა არმია ისრაელის მტერთან ანგარიშის გასასწორებლად. სულიწმიდის ძალით იესო წარმოაჩენდა ღვთიურ ბუნებას ყველგან, სადაც მიდიოდა და ყველასთან, ვისაც ხვდებოდა.

შემდეგ ჩვენ მოვდივართ. ბიბლია ამბობს, რომ ჩვენს დღეებში გულები შეუწუხდებათ და შიშით შეძრწუნდებიან. როგორ შეიძლება ამ დამთრგუნველი შიშის ძლევა? შესაძლოა პასუხი ღვთიური სიმხნევის გადმოღვრაში იყოს.

იმის გამო, რომ წინასწარმეტყველური განახლების დრო დადგა, ზოგჯერ ადამიანები ხედავენ, რა ხდება ჰორიზონტზე, მაგრამ ამის გამეორება ანუ თქმა არაბუნებრივი ან ნაძალადევი ჩანს. შესაძლოა ზოგიერთი თქვენგანი იცნობს წარსულის წინასწარმეტყველურ მოძრაობებს, რომლებიც ცოტა უცნაური ანუ სულაც მცდარი ყოფილა.

მოდით, სიცხადე შემოვიტანოთ. ღმერთს რაღაც უფრო მეტის მიღება სურს, ვიდრე ადგილი სხეულში ან ადამიანთა ჯგუფი სხვადასხვა წოდებებით. იგი ეძებს მისი გულის სანდომ ადამიანებს. ჩვენ წინასწარმეტყველურები ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ დროს დავიბადეთ. იმის გამო არ ხდება ასე, რომ სემინარებს ვესწრებოდით, არა მედ სამუელის მსგავსად ღმერთთან ვიყავით. სემინარებში ცუდი არაფერია, მაგრამ რაზეც მე ვლაპარაკობ, ამაზე დიდია.

ღმერთს არასოდეს მოუნდომებია, რომ ეს გამორჩეული, მხოლოდ ელიტისთვის მისაწვდომი ან გარკვეული ჯგუფისთვის შეზღუდული ყოფილიყო. მას სურს, რომ ქმნილებამ და წინასწარმეტყველურმა ხედვამ და ხმებმა ჩვენს თვალებს დაანახოს, ჩვენს ყურებს გააგონოს, ჩვენი ბაგეები აალაპარაკოს და ჩვენს გულებს გააგებინოს.

წინასწარმეტყველურის მეტისმეტად გაუბრალოება რომ არ გამოგვივიდეს, რამდენიმე სახელმძღვანელო მიმართულება მინდა მოგცეთ, რაც ჩემის საყვარელი წინასწარმეტყველის, ესაიას შესწავლისას დავინახე. აი, რას ვსწავლობთ ამ შთაგონებული და წინასწარმეტყველური წიგნის დასაწყისიდანვე:

> „იგი გვასწავლის თავის გზებს, რომ ჩვენც ასე ვიცხოვროთ, რის გამოც ვართ შექმნილნი“ (ეს. 2:3 თარგმანი *Message*).

ძალიან მომწონს ეს: მისი მოქმედების გზა ცნობილია, ამიტომ შეგვიძლია ვიცხოვროთ იმ გზით, რისთვისაც შექმნილი ვართ. ჩვენ შექმნილი ვართ ჩვენს ღმერთთან თანხმობაში ცხოვრებისთვის. მას სურს გაგვიცხადოს მისი გზები და საქმეები. ამის ფონზე ესაიას 49-ე თავში აღმოვაჩინე რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელიც ესაიას წიგნიდან პავლეს ციტირებას ეხმიანება რომაელთა წერილის მე-9 თავში.

- აიხედე მაღლა
- მიმოიხედე გარშემო
- დაათვალიერე კარგად
- გაიხედე წინ
- თქვი სიმართლე

პირველ რიგში, *აიხედე მაღლა*. თუ გაინტერესებს, როგორ უნდა აღაპყრო თვალები ზეცისკენ, გამოცხადების წიგნის გადახედვა სრულიად საკმარისი იქნებოდა ზეციური თვალთახედვის დასანახად. გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ იგი დამა-

ფრთხობელი, ბოლო დროის წინასწარმეტყველების სახელმძღვანელოა. იგი გახლავთ გამოცხადება იმაზე, რაც იყო, არის და იქნება. ღმერთი დროისგან დამოუკიდებელია. იგი მარადიულია და ხშირად სწორედ ამ პოზიციიდან გველაპარაკება. კოლეჯში მთელი სემესტრის განმავლობაში ვსწავლობდით გამოცხადების წიგნს და დღემდე ვერ ამიტანია ადამიანთა ნაუცბათევი მცდელობები, რომ იგი დღევანდელობის გადმოსახედიდან განმარტონ. ვეჭვობ, რომ იოანეს თავად ჰქონოდა გაცხადებული ყველაფერი, რასაც აღწერდა. ზოგჯერ საკმარისია იმასთან შეგუება, რომ ყველაფერი არ იცი და უბრალო რწმენით უნდა მიიღო სცენის მიღმა განვითარებული გაცილებით დიდი და შთამბეჭდავი მოვლენები, ვიდრე ამის აღქმა შეგვიძლია.

ზეცისკენ ახედვის უკიდურესი საჭიროება არსებობს. ჩვენ კვლავ ვქადაგებთ იესოს, რომელიც გალილეის სანაპიროებზე დადის, ადამიანებს ხვდება, ღვთიურობაზე უარი თქვა და ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეზე გადაადგილდება, როგორც ძე კაცისა. რას იტყვით იესოზე, რომელიც იოანეს გამოეცხადა? წარმოიდგინეთ, თუ შეგიძლიათ:

> „ვიხილე მსგავსი ძისა კაცისა,
> რომელსაც ემოსა მოსასხამი
> და გულმკერდზე ოქროს სარტყელი ერტყა.
> თვალები მისი, როგორც ცეცხლის ალი,
> მისი ფეხები, როგორც მოელვარე სპილენძი,
> მისი ხმა, როგორც ბევრი წყლის ხმაური,
> მისი პირიდან გამოდიოდა ორლესული მახვილი,
> მისი სახე იყო როგორც მზე, თავის სრულ ძალაში
> რომ ანათებს.

როცა ვიხილე იგი, მკვდარივით დავეცი მის ფერხთით. მან თავისი მარჯვენა დამადო და მითხრა:

> „ნუ გეშინია, მე ვარ პირველი და უკანასკნელი, და ცოცხალი, მკვდარი ვიყავი, და აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე. მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის კლიტენი. ამიტომ დაწერე, რაც იხილე, რაც არის და რაც იქნება ამის შემდეგ“ (გამოცხ. 1:13-19)

მოდით, გავაცნობიეროთ, სინამდვილეში რა ხდებოდა. იოანე თორმეტთაგან ყველაზე მტკიცე იყო. ჩანდა, რომ იგი იესოს რჩეულთა რიგებში შედიოდა. ბოლოს და ბოლოს, სწორედ მას გაენდო იესო საიდუმლო სერობაზე. იოანემ იხილა იესო ზეცაში, როგორც ძე ღვთისა და მის ფეხებთან მკვდარივით დაეცა! ეს გაცილებით მეტია, ვიდრე იესო, რომელსაც კრავი მიჰყავს მხრებით ან თევზს ამზადებს. ეს იყო უზენაესი ღვთის ძე ხელში ვარსკვლავით, შეიარაღებული და დიდებული მეომარი მეფე. რა იქნება, რომ დავიწყოთ ქადაგება იესოს ამ კაშკაშა გამოცხადებაზე? სრულიად სერიოზულად, გადავხედოთ გამოცხადების წიგნის დასაწყისს:

იესო მესიის გამოცხადება. ღმერთმა გადაწყვიტა ეჩვენებინა მის მსახურთათვის, რა მოხდება შემდეგ. მან აუწყა და ანგელოზის ხელით გაუგზავნა იგი თავის მსახურს, იოანეს. და იოანემ ყველას უამბო, რაც იხილა: ღვთის სიტყვა – იესო ქრისტეს მოწმობა!

> „კურთხეულია ამის წამკითხველი! კურთხეულნი არიან ამ წინასწარმეტყველური სიტყვის მომსმენნი და დამცველნი, ყველა სიტყვისა, რომელიც ამ წიგნშია ჩაწერილი! დრო იწურება“ (გამოცხ. 1:1-3)

ეს წიგნი გახლავთ იესო ქრისტეს პირველი და უმნიშვნელოვანესი გამოჩენა. კურთხევა მოდის მის წამკითხველზე, მსმენელსა და დამცველზე, ამიტომ ვფიქრობ, რომ ნამდვილად იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ეს გაცხადება? ხომ გვაქვს ჩანაწერი, როგორ ცხოვრობდა და დადიოდა დედამიწაზე?

დარწმუნებული ვარ, ეს გახლავთ ერთი თვალის შევლება, თუ ვინ არის რეალურად გამარჯვებული იესო, ჩვენი მესია. მან წარმოიცარიელა თავი და გახდა ჩვენი მსგავსი, რომ ჩვენც შემოგვეძარცვა საკუთარი თავი და მას დავმსგავსებოდით. იგი ძლიერია, იგი წმიდაა, იგი დიდებულია ... ამიტომ, *აღაპყარით თვალი ზეცისკენ.*

შემდეგი გახლავთ *ირგვლივ მიმოხედვა*. მას შემდეგ, რაც ზეციურს თვალს შევავლებთ, ვიწყებთ საკუთარი თავის, გარშემო სამყაროს და დედამიწის მკვიდრების დანახვას განსხვავებული ანუ უფრო მეტად განათლებული მზერით. ესაიამაც გამოსცადა ეს, როცა მისი არასრულყოფილება გააცნობიერა

ღვთიური გამოცხადების მეშვეობით ესაიას მე-6 თავში. მან ჯერ სიტყვების უწმიდურება დაინახა, შემდეგ კი – მის გარშემო მცხოვრები ხალხის. ნაკვერჩხალი იქნა გამოყენებული მისი დანაშაულისა და ცოდვის განსაწმენდად. ამის შემდეგ ესაიამ თქვა: „გამაგზავნე“. იგი გაიწმიდა, გაფართოვდა და გამზადდა იმ ხალხთან წარსაგზავნად, რომელთა შესახებაც ღმერთმა წინასწარ აუწყა, რომ არ გაუგონებდნენ.

გული უნდა შეგვიწუხდეს, როცა ვხედავთ წმიდა, მართალი ღმერთის სახებასა და ჩვენს ან ჩვენს გარშემო მსოფლიოს გულისცემას შორის დაპირისპირებასა და კონფლიქტს. ირგვლივ მიმოიხედეთ. მოუსმინეთ ახალ ამბებს ან სიტუაციურ კომედიურ სერიალებს. რას ხედავთ? მე ვხედავ ცოდვასა და უმართლობას, მაგრამ ასევე ვხედავ სამალავიდან გამოსულ სინათლის შვილებს, რომ დაუპირისპირდნენ მზარდ სიბნელეს, რომელიც მაშინ დაგროვდა, როცა ისინი სინათლეში იმალებოდნენ.

შემდეგ, ჩვენ კარგად უნდა *მიმოვიხედოთ გარშემო*. დარწმუნებული ვარ, ეს ნიშნავს ისეთი საშუალებების მოძიებას, რომ სიკეთე და გაჯანსაღება მოვუტანოთ ჩვენი მსოფლიოს უკეთურებას და სნეულებას. ეს ნიშნავს სინათლის გაბრწყინებას ბნელი ადგილების გამოსამჟღავნებლად, სასოწარკვეთილისთვის იმედის მისაცემად, არასწორისგან შემობრუნებას და სწორის კეთებას. აღადგინეთ დასნეულებულისა და დარღვეულის ჯანმრთელობა და ძლიერება. ეს შეიძლება ეხებოდეს ფართო სპექტრის საკითხებს ეკონომიკიდან განათლების სფერომდე.

ჩვენს ირგვლივ ყველგანაა ქორწინებები და ოჯახები, რომლებიც ჯანმრთელობის აღდგენას საჭიროებენ. არიან ადამიანები, რომელთაც აუცილებლად სჭირდებათ მედიკამენტები, სუფთა წყალი და საკვები. მარტოსულებს ოჯახები სჭირდებათ, ობლებს – შვილად აყვანა, ტყვეებს – შველა. არიან დაჩაგრული და საზოგადოებისგან გარიყული მამაკაცები და ქალები, რომელთაც წამოწევა სჭირდებათ. *კარგად დააკვირდით*.

ახლა *წინ გახედვისთვის* გვჭირდება გაცნობიერება, რომ აწმყოში გაკეთებული არჩევანის შედეგები გრძელვადიანია და ამიტომ მოითხოვს კარგად მიმოხედვის სიბრძნესა და წინ გახედვის შორსმჭვრეტელობას. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ მტკიცე გაზრახვით, რომ დაწყებული ბოლომდე მივიყვანოთ ცხოვრების გზაჯვარედინებზე მიახლოებისას.

ნინძა მოტოციკლი მყავს. ყველაზე მაგარი და სწრაფი ნამდვილად არ არის. ჩემს მეუღლეს თავი მშვიდად რომ ეგრძ-

ნო ჩემს მიერ ამ საშუალების ტარებისას, მოტოციკლის უსაფრთხოდ მართვის კურსებზე ჩავეწერე (მე იქ ერთადერთი ქალი ვიყავი). გაკვეთილებზე ვისწავლეთ, რომ საგზაო შემთხვევათა უმეტესობა გზაჯვარედინებზე ხდება, იმიტომ კი არა, რომ მოტოციკლისტები ცუდად დადიან, არამედ იმიტომ, რომ ავტომობილის მძღოლები მათ ვერ ხედავენ. შეჯახების თავიდან ასაცილებლად შევისწავლეთ ტერმინი SEE, რაც ნიშნავს გამოიკვლიე, შეაფასე და იმოქმედე.

როცა ნინძაზე მჯდომი გზაჯვარედინს ვუახლოვდები, უფრო მეტად მაღელვებს მანქანების არსებობა, ვიდრე მათ მძღოლებს ჩემი არსებობა. ამ გამძაფრებული გაცნობიერებისა და მათი შედარებითი უცოდინარობის თანხვედრის გამო ძიების რეჟიმში ვერთვები. ვათვალიერებ ჩემს ირგვლივ არსებულ მანქანებს და ვაკვირდები, ვინ საუბრობს მობილურ ტელეფონზე, ვინ არის მიბრუნებული, ვინ შემამჩნია და ვინ ვერ შემამჩნია, რა მდგომარეობაა გზაზე. ქვიშასა და სილას ვერ ვემეგობრები. ყოველ გზაჯვარედინს ვიკვლევ პოტენციური პრობლემის აღმოსაჩენად და ვეძებ თავიდან არიდების გზებს.

კვლევის დასრულების შემდეგ, ვაფასებ პირობებს საუკეთესო მიდგომის შემუშავებისთვის. ზოგჯერ, როცა მე და ჯონი გზაზე ერთად მივქრივართ, იგი წინ მიდის, რადგან მისი მოტოციკლი უფრო ხმაურიანია და მის მოახლოებას ყველა ხვდება. თუ ტრასა თავისუფალია, იგი წინ მიშვებს და ზურგიდან უზრუნველყოფს ჩემს უსაფრთხოებას.

მას შემდეგ, რაც გეგმა დასახულია, მოქმედებას ვიწყებთ. ავტომობილებს არეულ სიგნალებს არ ვაწვდით. არ ვანიშნებ, რომ მარცხნივ მინდა მოხვევა და მერე მარჯვნივ არ მივდივარ. ვრწმუნდებით, რომ ჩვენი განზრახვა მკაფიოა და შემდეგ სხვებსაც გადავცემთ.

ნინძას ტარებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი ვისწავლე: თუ დაბლა დაიხედები, დაცემის რისკის ქვეშ ხარ. მოტოციკლზე, როგორც ცხოვრებაში, ზემოთ და ირგვლივ უნდა იყურებოდე. სწორად მოხვევას მაშინ შეძლებ, როცა მზერა პირდაპირ გაქვს მიმართული (იყურე წინ) და არ ფიქრობ იმაზე, სად იყავი ან სად ხარ. იყურე წინ, მიზნისკენ.

სადაც ახლა ვართ, დანიშნულების წერტილამდე მისვლას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. წინ ბევრი რამ გველის – მეტი სიხარული, მეტი საფრთხე, მეტი ღმერთი, მეტი ბოროტი, მეტი სამართალი, მეტი თავისუფლება, მეტი ძალა, მეტი სინათლე, მეტი იმედი.

ჩვენ მართლაც გზაგასაყარზე ვართ ახლანდელ და სამომავლო მოვლენებს შორის, როგორც ისინი განვითარდება ან უნდა განვითარებულიყო. ეს ნიშნავს, რომ ბევრი გაუფრთხილებელი მძღოლი წარმართავს თავის ცხოვრებას ჩვენს ირგვლივ. მათი საქმე არ არის ჩვენთვის თვალყურის დევნება საფრთხის ასაცილებლად. მოდით, თავად მივადევნოთ თვალი მათ.

და ბოლოს, *თქვი ჭეშმარიტება*. პავლე ამბობს, რომ ესაია წინ იხედებოდა და ჭეშმარიტებას ამბობდა. ესაიას ცხოვრებაში ყველა მის სიტყვას როდი მიიჩნევდნენ ჭეშმარიტებად. ზოგიერთი ისტორიკოსის მოწმობით, იგი შუაზე გახერხეს ჭეშმარიტების ლაპარაკისთვის. ეს საქმე არ იყო პოპულარული, კარგად მიღებული და კომფორტული, მაგრამ იგი არა მარტო ლაპარაკობდა, არამედ ჭეშმარიტებით ცხოვრობდა კიდეც, რომელიც სამომავლოდ გამოგზავნა.

> „ღვთის წინაშე ჩაგეთვლება, ვინ ხარ და როგორ ცხოვრობ. შენი თაყვანისცემა სულიდან უნდა მომდინარეობდეს ჭეშმარიტების მიყოლით. ასეთ ადამიანებს ეძებს მამა ღმერთი: მათ, ვინც უბრალო და გულწრფელია მის წინაშე თაყვანისცემისას“ (იოან. 4:23, თარგმანი *Message*).

ქვემოთ მოყვანილია იესოს ლოცვა ჩვენთვის.

> „გაწმინდე ისინი ჭეშმარიტებით;
> შენი სიტყვა გამწმენდი ჭეშმარიტებაა.
> როგორც შენ მომეცი დავალება ქვეყნიერებისთვის,
> ისე ვაძლევ მათ დავალებას.
> მე განვიწმიდე თავი მათი გულისთვის,
> რომ ისინიც ყოფილიყვნენ ჭეშმარიტებით
> განწმედილნი
> მათი დავალების შესასრულებლად“
> (იოან 17:17-19, თარგმანი *Message*)

თუ არ ვიცით რა არის ჭეშმარიტება, გვაქვს ღვთის სიტყვა ჩვენი გზების გასანათებლად, რომ შევიცნოთ იესო, რომელიც არის ჭეშმარიტება.

არიან ისეთები, რომლებიც ზემოთ იყურებოდნენ, მაგრამ არა ირგვლივ და დაიმალნენ. არიან ისეთებიც, რომლებიც გარშემო იყურებიან, მაგრამ დაითრგუნენ, რადგან ზემოთ

არასოდეს აუხედავთ და ახლა არაფერს აკეთებენ. არიან ისეთები, რომლებიც წინ იყურებოდნენ, მაგრამ ჭეშმარიტებაზე არ ლაპარაკობდნენ, ამიტომ სიცრუეში ცხოვრობდნენ. არიან ისეთებიც, რომლებიც ჭეშმარიტებას ლაპარაკობდნენ, მაგრამ გარშემო არ იყურებოდნენ და ასეთ ჭეშმარიტებას სხვებისთვის განკურნება არ მოუტანია.

ამრიგად, მომდევნო თავში გადასალახი თამასის აწევის იმედით, მიზნად ვისახავ რამდენიმე ველური და თან საოცარი რამის გამოკვეთას, რომ დაკარგული ძალის ასპექტები დავიბრუნოთ. არა გადმოღვრის, არამედ ხილვის საშუალებით.

გთხოვთ, ერთი წამითაც არ იფიქროთ, რომ ამ ფურცლებზე გადმოცემული ოდესმე ზებუნებრივად იყო შერაცხული. ასე არ გახლდათ. ეს მომეცა, როგორც გამოცხადება საოცარზე. ეს არის ძალზე ადამიანური მცდელობა, რომ გაგიზიაროთ იმაზე დიდი გამოცხადება, რის გადმოცემაც ჩემს შეზღუდულ სიტყვებს შეუძლია.

ბნელი უგუნურების სამყაროში მნიშვნელოვანია ნათელი გაგება. ეს ჭეშმარიტებაა – რასაც უყურებ, ის ხდები. შინაგან ხედვასა და სინათლის სახებას გარემოებებზე ამაღლების საშუალება უნდა მივცეთ. დროა, ცხადისა და თვალშისაცემის მიღმა გავიხედოთ და დავინახოთ, რას გააკეთებს ღმერთი სრული უიმედობის ვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სიბნელეს ვუყურებთ, სინათლეზე უნდა განვაცხადოთ.

გაგების თვალებით აღვადგენთ საოცრებას, თუ რა უსაზღვროა ჩვენი ღმერთი. ღმერთო, მოგვეცი თვალები დასანახად!

როცა ღვთიური სინათლე იმატებს, დარწმუნებული ვარ, რომ წინასწარმეტყველური გამოღვიძებაც მოვა. ღმერთი მოგვცემს თვალებს იმის დასანახად, რას აკეთებს თავად, ყურებს – მისი ნათქვამის მოსასმენად, გაბედულებას – მისი სიტყვის ძალაუფლებით წარმოსათქმელად. როცა ეს გამოღვიძება მოხდება, ადამიანის გულის დაბრკოლებები ჩამოიშლება.

ელოდე და ნება მიეცი ღმერთს, რომ მისი საოცრების აღქმა ღრმად ჩაგიდოს გულში. ღვთიური მხედველობის ანუ ხედვის წინასწარმეტყველური უნარი მისი საოცრების ყურებასა და შინაგანი წვდომის მიღებას ნიშნავს. ასეთი ხედვის გარეშე სიცოცხლე, საუკეთესო შემთხვევაში, სიბნელეში სიარულს ჰგავს.

„თუ ხალხი ვერ ხედავს, რას აკეთებს ღმერთი, წაიბორძიკებს ყოველ ნაბიჯზე; როცა ისინი ყურ-

> ადღებით აკვირდებიან, რას უცხადებს მათ, დიდად კურთხეულნი იქნებიან“ (იგავ. 28:18; თარგმანი *Message*).

იესო არასოდეს გამოიყურებოდა ზებუნებრივად და უცნაურად, მაგრამ სადაც მიდიოდა, ღვთიური სასწაული მიჰქონდა. რატომ? მხოლოდ მან ნახა, რას აკეთებდა მამა ღმერთი. ამავდროულად დაინახა ტანჯული კაცობრიობა და წმიდა მამა ღმერთის პასუხი ამაზე. მან ილაპარაკა სინათლე და ჭეშმარიტება, რომ განედევნა სიბნელე და უშინაარსო რელიგიის ტყუილები, რომელთაც ღვთის შვილებს თვალები აუბეს და ცოცხალ ღმერთს ჩამოაშორეს.

წინასწარმეტყველის აღმნიშვნელი კიდევ ერთი სიტყვა გახლავთ *მხილველი*. იესომ დაინახა, რა აკლდა სხვებს. მან შენიშნა ტანჯული, გარიყული და შეეხო უწმიდურს. იგი ბრბოს არ ხედავდა, როცა ხალხს უყურებდა. მან უფრო მეტი დაინახა, ვიდრე მამაკაცები და დედაკაცები – მან დაინახა ცალკეული პიროვნებები და მათი გულები. იესომ სინათლე იხილა წყვდიადში და ამხილა სიბნელე, რომელსაც თავი სინათლედ მოჰქონდა. იგი იყო წუთისოფლის ნათელი და ახლა თქვენ უნდა იყოთ სინათლის მატარებელი.

> „იყავით შეუბილწავი, მაცოცხლებელი ჰაერის სუნთქვა ამ დაბინძურებულ და გახრწნილ საზოგადოებაში. ხალხს თვალი შეავლებინეთ კეთილ ცხოვრებასა და ცოცხალ ღმერთზე. ატარეთ სინათლის გამომცემი სიტყვა ღამეში“ (ფილ. 2:15, თარგმანი *Message*).

საყვარელნო, აქ მოცემულია ბნელში ჩვენი ნადირობის აღწერა. მისი სინათლე სიბნელეში მოგვაქვს. დაღუპულ და ტანჯულ ქვეყნიერებას ჩვენი გარდაქმნილი ცხოვრების დანახვის საშუალებას ვაძლევთ. არ ვიმალებით სიბნელეში, არამედ ვამხელთ მას. სიბნელე გარბის ჩვენი თანდასწრებისას. როცა სინათლე ჩრდილის სამყაროს უახლოვდება, აღმოვაჩენთ, რა დატოვა სიბნელემ უკან დახევისას. ბევრია დამალული ბნელ ადგილებში და ელის, როდის გაათავისუფლებს სინათლე.

ნადირობისა და მათი გადარჩენის დროა, რომლებიც ჯერ კიდევ დატყვევებული არიან და იმედის სიტყვას სასოწარკვეთილნი ელიან.

ბნელში ნადირობა

ამას წინათ სიბნელეში ნადირობის შესაძლებლობა მომეცა, როცა ინდოეთის ბნელ ჯუნგლებში დავდიოდი.

სიბნელეში ნანახმა გამაკვირვა. მუმბაიში გახლდით როგორც Life Outreach-ის სტუმარი. მათ შეთანხმება დადეს რამდენიმე ადგილობრივ ორგანიზაციასთან, რომლებიც ღარიბთა უბნების ჭუჭყიან და გახრწნილ საროსკიპოებში გამომწყვდეული ქალებისა და ბავშვების გამოხსნით იყვნენ დაკავებულნი.

ინდოელები მშვენიერი ხალხია და ისინი შეიძლება იყვნენ სულგრძელები და კეთილგანწყობილები, მაგრამ ღარიბთა უბნები სავალალო სანახავია. იმასთან შედარებით, რაც მე ვნახე, კინოფილმში „მილიონერი ჯუნგლებიდან“ აღწერილი მდგომარეობა არაფერი იყო. კატისხელა ვირთხები დარბოდნენ ადამიანთა და ცხოველთა ექსკრემენტებით მოფენილ ვიწრო ჩიხებსა და ქუჩებში.

როცა კონდიცირებული მანქანიდან გადმოვედი, რომელმაც მუმბაის გიჟურ მოძრაობაში უსაფრთხოდ მომიყვანა ნავიგაციის სისტემის წყალობით, სრულიად უცხო სამყაროში აღმოვჩნდი. იგი მთლად უცხოც არ იყო, რადგან ეგზოტიკური მდებარეობა ჰქონდა, მაგრამ იზოლირებული სამყარო, არაადამიანურობის მიკროკულტურა კი აღმოჩნდა.

მუსონების სეზონი გახლდათ და ნესტისა და სიცხის ერთობლიობამ დამყაყებული ჰაერით სუნთქვა აუტანელი გახადა. მაშინვე მეცა ჯუნგლების სუნი. განავლისა და შარდის მძაფრი სუნი დამპალი საკვების, საშინელი საცხოვრებელი პირობებისა და ჭუჭყიანი ხალხის სუნს ერეოდა. გარდა ამისა, ჰაერი თავისთავად იყო დამძიმებული რომელიღაც ბნელი სულის მიერ.

მყისვე ამოვიცანი ორი ელემენტის მოქმედება – მშვენიერი ინდოელი ხალხი და სასტიკი სული, რომელიც მას ტყვეობაში ამყოფებდა. შეუძლებელი იყო მისი ზეგავლენის თუ თვისებების მიჩქმალვა. კაცები და ქალები ტორტმანებდნენ სიღატაკის, კორუფციის და გახრწნილების მძიმე ტვირთქვეშ.

ნაკლებად თვალშისაცემი რომ ვყოფილიყავით, ინდური ეროვნული სამოსი ჩავიცვით, მაგრამ ამის ილუზია მალევე გაგვიქრა, როცა არც ერთ შემხვედრს არ გამოეპარა ჩვენი იქ ყოფნა.

ჩვენი მწყემსი და მისიონერი გიდები გვაჩქარებდნენ, რომ მალე მივსულიყავით სამედიცინო კლინიკამდე. კლინიკას კარ-

გი სახელი ჰქონდა და ადგილობრივთა ნდობას იმსახურებდა ადამიანების სიყვარულით მომსახურების გამო. უბრალო მოსაცდელ ოთახში შევაბიჯე, სადაც პაციენტები მდუმარედ ელოდებოდნენ თავიანთ რიგს ექიმის კაბინეტში შესასვლელად. მსახურების გუნდი საროსკიპოთა ყოფილი დიასახლისებისგან შედგებოდა, რომლებიც ჩვენს ჩამოსვლას ელოდნენ. გვერდითა ოთახში გავძვერით, სადაც მითითება მომცეს, რომ ჩემი მონაწილეობა საროსკიპოს ქალების უბრალო „კურთხევით“ შემოიფარგლებოდა.

უცბათ მივხვდი, რომ ზურგჩანთაში ჩადებული ქადაგება სრულიად გამოუსადეგარი იქნებოდა. ვითარება ჩემთვის სრულიად უცხო იყო და გავაცნობიერე, რომ ავტორი და მქადაგებელი ლიზა აქ უძლური გახლდათ. იმის გამო, რომ ფარულად ვმოქმედებდით, ბიბლიას ვერ გამოვიყენებდი. ჩემი თარჯიმნის ინგლისური შეზღუდული იყო და არც ჰინდის ენას ვფლობდი. ამ ხალხთან დაკავშირება მხოლოდ ღვთის სულით იყო შესაძლებელი.

ამ ადამიანთა ნაამბობის როგორღაც აღსაქმელად, ჩემი სამოსელის შიგნით მიკროფონი იყო მიმაგრებული. მისი კაბელი წელზე მქონდა შემოხვეული, ხოლო ჩამწერი – შარვალზე მიმაგრებული. მეორე ქალის ყელზე შემოხვეული შავი შარფის ნაკეცები ფარულ ვიდეოკამერას მალავდა. ერთმანეთს ხელები ჩავჭიდეთ, ვილოცეთ და აყროლებულ ქუჩაში გამოვედით.

მაშინვე ვიგრძენი, რომ მაკვირდებოდნენ. ეს მზერა უფრო გამჭოლი იყო, ვიდრე მტრული. ქუჩის გასწვრივ მდებარე სახლის მეორე სართულის ფანჯრიდან აზიელი გოგონას ლამაზი სახე ჩანდა. მივხვდი, რომ იგი თხუთმეტ წელზე მეტის არ იქნებოდა. მისი ნორჩი სახის გამომეტყველება ტკივილისა და უიმედობის ნაზავს გამოხატავდა. მხოლოდ მაშინ გავიაზრე, რომ იგი გისოსებს მიღმა იყო გამოკეტილი საროსკიპოში.

როგორ უნდა უპასუხო ასეთ მზერას?

ღიმილი უადგილო გახლდათ. თავის დაქნევა არ შემეძლო, რადგან ჩემი რეაქცია მის მიმართ შეიძლებოდა განსჯად ან ათვალწუნებად აღქმულიყო. მანამ ვუყურებდი, სანამ თავად არ გაიხედა გვერდზე. როცა დაბლა ჩამოვიხედე, სარდაფში ჩამავალი კიბეები შევნიშნე, რომლის საწყის ბაქანზე ბრაზიანი კაცების ჯგუფი იჯდა. ჩემს მზერას აშკარა ზიზღით უპასუხეს, თითქოს მეუბნებოდნენ, „რა გგონია თავი? მოშორდი. შენ აქაურობას არ ეკუთვნი!“

ეჭვგარეშეა, ასეც იყო. არც ერთი ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი არ იმსახურებდა ამისთანა საშინელ ადგილზე ცხოვრებას. ეს არ იყო ადგილი, რომელსაც ეკუთვნოდი. ეს იყო ადგილი, საიდანაც უნდა გაქცეულიყავი.

ერთმა ქალმა იგრძნო ჩემი მოუსვენრობა, ხელი წელზე შემომხვია და მითხრა: „წამოდი! დაგეხმარები ქუჩის გადაკვეთაში!“ მან ხალხის, ველოსიპედების და ავტომობილების ნაკადში გამიყვანა, რომლებიც ყოველგვარი წესის გარეშე მოძრაობდნენ ტალახიან ქუჩებში.

ჯურღმულებში გატარებული დღის შემდეგ ქვეითად მოსიარულის ერთი წესი ავითვისე – არ შეჩერდე, თუკი ქუჩის გადაკვეთას შეუდექი. უშიშრად უნდა გევლო იმის მიუხედავად, რამდენი ველოსიპედი, მოტოციკლი ან ავტომობილი მოდიოდა შენსკენ. ერთხელ შუა ქუჩაში წავფორხილდი. ორი ყოფილი დიასახლისი გვერდიდან ამომიდგა და თავის ქნევით გადამიყვანეს ქუჩაზე: „არ შეჩერდე! ჩვენ გიცავთ!“ და მართლაც მიცავდნენ.

პირველ საროსკიპოში, სადაც მივედით, იყო შემოსასვლელი ფართობით მეტრნახევარი ორმეტრნახევარზე. აქ კლიენტები გოგონებს ელოდებოდნენ, რომ მომსახურება მიეღოთ. იქვე იკრიბებოდნენ ქალები საჭმლის მოსამზადებლად, ერთმანეთთან სასაუბროდ და ბავშვების მოსავლელად. ჩაბნელებული ოთახიდან შეეძლოთ დაკვირვებოდნენ მათი კარების მიღმა ქუჩის საცოდაობას. ამ ადგილზე საკმაო რაოდენობის გულგატეხილი ქალი შეიკრიბა ღვთის სიტყვის მოსასმენად.

შესვლისას შეუძლებელი იყო არ შემემჩნია კიდევ ერთი კარი. მას ნაკეცებიანი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული და ვიწრო დერეფანში გადიოდა, რომლის გასწვრივ სააბაზანოს მსგავსი კაბინები იყო ჩამწკრივებული. მოგვიანებით გავიგე, რომ იქ ეძინათ გოგონებს და იქ ემსახურებოდნენ კლიენტებს. დერეფანს თვალი გავადევნე და შევნიშნე, რომ რამდენიმე კარი მიხურული იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ გოგონები ისვენებდნენ ან საქმით იყვნენ დაკავებული.

ამის შემდეგ ყურადღება მივაპყარი ჩემს წინ მყოფ ქალებს. მათ დაფარეს მთელი იატაკი და რაღაც გრძელი სკამების მსგავსი ადგილები, რომელთა კიდეები ოთახის ორ მოპირდაპირე კედელს სწვდებოდა. მათ თავსაფარი მოიბურეს და ეჭვიანი მზერით გვაკვირდებოდნენ, როგორ შემოვდიოდით ოთახში.

თარჯიმანმა მისალმება წარმოთქვა ჰინდის ენაზე. ისინი ყურადღებით ისმენდნენ და პატივისცემის ნიშნად თავს აქნევდნენ იქით-აქით ინდური მანერით.

დიდი ხანი არ გასულა, რაც ინდურ სიტყვებთან შერეული ჩემი სახელი გავიგონე. თავები ჩემსკენ მოტრიალდნენ. მწყემსს სასოწარკვეთილი მზერით შევხედე. მან ხელების აპყრობით მიპასუხა და ადრინდელი დარიგება გამიმეორა: „აკურთხეთ ისინი ... თქვენ გელოდებოდნენ ... აგერ უკვე ორი საათია!“

თავი წარვადგინე და ვუამბე მათ, საიდან ვიყავი. გავუზიარე, რომ ოთხი ვაჟი მყავს და შვილიშვილიც მალე მეყოლებოდა. ჩემი სიტყვები უშინაარსო და არაფრისმთქმელი ჩანდა საკუთარი ყურებისთვისაც კი. რას უნდა ნიშნავდეს ჩემი თვალთახედვა ამ ქალებისთვის? ყველაფერი, რაც მათ იცოდნენ, საერთოდ სცდებოდა ჩემი ამერიკული „ნორმალური“ ცხოვრების აღქმას. თუმცა ქალები თავაზიანობას იჩენდნენ და თავს მიქნევდნენ.

ვუყვებოდი, რამხელა გზა გამოვიარეთ მათთვის სათქმელად, რომ მარტონი არ არიან. მსოფლიოს ქალებს გული შესტკივათ მათთვის და გლოვობენ მათი გაჭირვების გამო.

ეს რა იყო? ისინი მარტონი არ იყვნენ? მათი სასოწარკვეთის ამბავი ჯურღმულების ფარგლებს გასცდა? სხვებიც ტიროდნენ მათი დანაკარგის გამო? გავუზიარე მათ, რამდენ ქალს მიაქვს ინდოეთის ამ ასულთა სავედრებელი ღვთის ტახტის წინაშე ლოცვებით. მათი სახეები თანდათანობით გაბრწყინდა უხმო ტირილისგან.

ზოგჯერ მაინტერესებს, მართლა ვაცნობიერებთ თუ არა კავშირურთიერთობის ძალას. მარტონი არ ვართ ტანჯვებში. მარტონი არ ვართ იმედებში. იესო შეგვპირდა, რომ ყოველთვის ერთად ვიქნებით.

შემდეგ ჩემი პირადი წუხილი ვაღიარე. როგორ გავფლანგე ახალგაზრდობაში სქესობრივი სიწმინდე და ღირსება, რაც მათ ძალდატანებით წაართვეს. როგორ ვარჩიე თავაშვებულობა, მაგრამ მოგვიანებით კარი გავუღე ღმერთს და მისმა სიყვარულმა ჩემი ცხოვრება აავსო და განადგურებისგან მიხსნა. ისინი წინ გადმოიხარნენ ყურადღებით.

შევიგრძენი სულიწმიდის თანაყოფნა, როცა მან გაანათა თითოეული და ყველა იქ მყოფი ქალი. ისინი აღარ იყვნენ ქალთა მასა; ისინი უკვე ცალკეული პიროვნებები, ასულები იყვნენ. ყოველი მათგანის სახეს შევეხე და მივენდე ღმერთს, რომ ისიც გაიწვდიდა ხელს მათკენ და ჩემს ადამიანურ სიტყვებს მისი სულით აავსებდა. მათთან შეხებისას რბილად წარმოვთქვამდი: „ღმერთს გეგმა აქვს შენი ცხოვრებისთვის“.

ქალებს ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდათ ღმერთის ხსენებისას, რომელმაც ისინი მოძებნა და სიბნელის ტყვეობაში მოინახულა. მათ მთელი სიგრძე-სიგანით იცოდნენ, რას ნიშნავს ჩაგვრისა და სხვათა მაქინაციების მსხვერპლად ყოფნა. ყოველ გოგონას კოშმარული ცხოვრება ჰქონდა იმის გამო, რომ სხვამ დაგეგმა მისი ცხოვრება. ყოველი მათგანი, ვისაც ამის შესახებ ვკითხე, მოტაცებით ან მოტყუებით დაუქვემდებარეს სექსუალურ მონობას. ისინი ტყვეობაში აღმოჩნდნენ ერთი დაპირების გამო, რომელსაც ახლა ვთავაზობდი – ეს იყო იმედი.

თითოეული რაღაც მეტის მიღებას იმედოვნებდა – უკეთეს სამუშაოს, განათლებას ან სიყვარულს. ზოგიერთი ცდილობდა საკუთარი სოფლის უკიდურეს სიღატაკეს გაქცეოდა. ეს ქალები მოატყუეს კაცებმა და ქალებმა, რომელთაც ერთ დროს ენდობოდნენ. აქ შეხვდებოდით ბიძების, ქმრების, ძმების, ბიძაშვილების, დეიდების და მეგობრების ისტორიებს, რომლებმაც ისინი გაყიდეს. უკეთესი ცხოვრების ოცნება ღალატმა დაამსხვრია. მათ ვთხოვე, ისევ ჰქონოდათ იმედი, მინდობოდნენ იესოს, ღვთის ძეს, რომელიც მათ არასოდეს მოატყუებდა.

მათ სხვა რამეებიც ვუთხარი. კერძოდ რა, უკვე აღარ მახსოვს. ის ფრაზები და სიტყვები ამ ფურცლებზე რომ გადმომეტანა, დასავლურ საზოგადოებას ინფანტილური ან გამოსასწორებელი მოეჩვენებოდა. თუმცა იმ დროს სწორედ რომ ღვთიური შთაგონებით წარმოითქვა.

შეკრება ოფიციალური ცერემონიების გარეშე გაიჟღინთა ზეციური ატმოსფეროთი. ისინი ცოცხალ ღმერთს გამოეხმაურნენ, რომელმაც იმედი შესთავაზა და კავშირებიც აღდგა.

ეს ცვლილება ვიგრძენი. უკვე აღარ შემეძლო მათთან შესაფერისი კომუნიკაცია და მწყემსს მივუბრუნდი. მან ილოცა ქალებთან ერთად და მათთვის. როცა მან ზეცას მოუხმო, ჩვენი ჯგუფის ქალები გაემართნენ თითოეული ამ საუცხოო ასულისკენ, მოეხვივნენ მათ და ლოცვით დაფარეს. იმ მომენტში მომეჩვენა, რომ კედლებმა უკან დაიწიეს.

ერთი ოთახიდან გამოსული კლიენტი შევნიშნე, რომელიც გზადაგზა შარვალს იკრავდა. მან მხარსუკან ზიზღით სავსე მზერით გადმოგვხედა. ჩვენ უჩვეულო სტუმრები ვიყავით.

გულისყურით და მგზნებარეებით

იფიქრეთ მომდევნო მონაკვეთზე წმ. წერილიდან:

„ვბედავ ვირწმუნო, რომ უიღბლონი ერთ
დღეს შენში ჰპოვებენ გამართლებას,
შენ არ უმტყუნებ მათ: ობლები მეტად
აღარ იწოდებიან ობლებად.
უკეთურს მარჯვენა შეუმუსრე,
დაამსხვრიე ბოროტების მარცხენა.

მოძებნე და გაანადგურე დანაშაულის
ყოველი ნიშანი; ღვთის მადლი და
წესრიგი იმარჯვებს, ურჯულოება მარცხდება.
მსხვერპლის სუსტი გულისცემა ჩქარდება;
სასოწარკვეთილთა გული წითელი სისხლით ივსება,
როცა ყურს მიაპყრობ მათ ბაგეებს.
ობლები მშობლებს ჰპოვებენ,
უსახლკაროები კერას გაიჩენენ.
შეძრწუნების მეფობა აღიკვეთა,ბანდების მეთაურთა
მმართველობა დასრულდა“
(ფსალმ. 9:14-18, თარგმანი *Message*).

გესმით, რა ხდება? ეს მოიცავს ყველა ელემენტს, რაც კი სიბნელეში ნადირობისთვის გვჭირდება: რწმენა, სამართალი, ზეიმი, განკურნება, იმედი, შვილობა, აღდგენა, სიმართლე, დასასრული და ახალი საწყისი! ახლა ამ სიტყვებით ლოცვის დროა და თუ ჩვენ ღვთის სიტყვას გავავრცელებთ, იგი იზრუნებს მის შესრულებაზე.

ეს გახლავთ უკიდურესი, მაფიის სტილის ლოცვა. პირადად მე დამღალა უსაფრთხო, საყვარელმა ლოცვებმა. „გადაუმტვრიე მკლავები და გაანადგურე ისინი, უფალო“ არის საშიში ლოცვა. ეს არის გაძლიერებული ვედრება. ვერ წარმომიდგენია ასეთი ლოცვის წყნარად და პასიურად წარმოთქმა. რეალურად, მე-9 ფსალმუნი ღვთის აღთქმაა, რომელიც ხმალივით წავიღე ჩემი ამასწინანდელი მოგზაურობისას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ყოველთვის, როცა უსამართლობას ვხედავდი, მახვილივით ვიშიშვლებდი ხოლმე.

იყავი გულისყურით სავსე და მგზნებარე ლოცვაში. თვალები დაუხუჭე ცხადს და ადვილად დასანახს და შეხედე აღდგენისა და სამართლის ხედვას. ღმერთს სწორედ ამის მოტანა სურს დედამიწაზე. არიან ადამიანები, რომელთაც სჭირდებათ, რომ თვალები დახუჭოთ და ისინი დაინახოთ ლოცვისას. მე ვგულისხმობ ნამდვილ, შემტევ ლოცვებს, რომლებიც ზეცამდე

აღწევენ და ცოტა არ იყოს, გაფრთხობენ კიდეც, როცა თქვენს ბაგეებს გამოსცდებიან.

პასიური ეკლესია ვერ გაძლებს. ეკლესიის საუკუთესო იმედია სიბნელეში ნადირობა, სანამ მშვიდობის მთავარი არ მოვა და საშინელების ბატონობას ბოლოს არ მოუღებს. ეს რომ მოხდეს, ინდივიდუალურად და ერთობლივად უნდა ვეძებოთ, გამოვიკვლიოთ და აღვადგინოთ, რაც ახლა დაფარულია.

დამერწმუნეთ, ინდოეთში წასვლა არ დაგჭირდებათ სიბნელეში გამომწყვდეული სასოწარკვეთილი ხალხის სანახავად. ყველგან არიან დატყვევებული კაცები, ქალები და ბავშვები. ისინი გველოდებიან, როდის გადავდგამთ ნაბიჯს და გადაჭრით ვიმოქმედებთ. გავაღებთ თავისუფლების კარებს და ზურგს შევაქცევთ პირადი სიბნელის სფეროებს, რომ იმ ადამიანებს სინათლე მოვუტანოთ.

როცა ღვთის სინათლით ვართ სავსე, მართლაც შეგვიძლია დაღუპულთა გამოყვანა სიბნელიდან. აღარ არის რომელიმე დოქტრინაზე დავის, მეგამსახურების მოსაზრებით ერთმანეთთან გაჯიბრების ან ეკლესიის სტატუსზე ფიქრის დრო. ჩვენ უნდა ვემსახუროთ და არ უნდა დავკავდეთ ძალაუფლების პოზიციების დაპყრობით ან საკუთარი თავის სხვასთან შედარებით.

გამოიღვიძეთ! ობლები შვილებას და ზრუნვას მოელიან ყველა დონეზე. ათასობით მარტოხელა, იზოლირებული პიროვნება ლოცულობს და იმედოვნებს, რომ საწინააღმდეგო გარემოებების მიუხედავად ისინი მარტო არ არიან.

„სიბნელეში ნადირობის“ კონცეფცია ფართო, საერთაშორისო მასშტაბის სურათით გამოვხატე, როცა ამ ფურცლებზე ინდოეთის ტკივილისა და ტრეფიკინგის ამბავი გაგიზიარეთ, მაგრამ ეს მხოლოდ წარმოდგენის შესაქმნელად იყო საჭირო. ამის მიუხედავად ნუ იფიქრებთ, რომ თქვენი ან თქვენთან ახლოს მყოფების ტკივილი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ღმერთი ახლოა ყველა ტანჯულთან. ტყვეობის, იზოლაციის, ღალატის, ძალადობის, აბუჩად აგდების და უიმედობის აგონია ყველა ერის წარმომადგენლებს სტუმრობს. ადამიანებს ყველგან ერთნაირი საჭიროებები აქვთ, მაგრამ ყველას როდი აქვს ერთნაირი რესურსი.

მოდით, ვიყოთ ერთგული სახლმართველები და ჩვენი წარმატება გავამრავლოთ. კურთხეული ხართ სხვების კურთხევით, ურიცხვი ადგილი არსებობს, სადაც კურთხევა შეგიძლიათ მიიტანოთ. გასაცემად შორს წასვლა არ დაგჭირდებათ. უი-

მედობა შეიძლება თქვენს სამსახურში ან მახლობელ მაღაზიაში ნახოთ, სადაც საყიდლებზე დადიხართ. შესაძლოა ძალადობას ადგილი ჰქონდეს მეგობრის ოჯახში. იზოლაცია იზრდება იმ ადამიანებს შორის, ვისთან ერთადაც თაყვანს სცემთ. თქვენი შვილები ღალატის მსხვერპლნი ხდებიან სკოლაში.

ხშირად სხვების დასახმარებლად ნუგეშისა და იმედის სიტყვის მიწოდებას ჩვენთვისვე მოაქვს განკურნება. მთელი მსოფლიოს ერებს სჭირდებათ სიყვარული და ღირსების გრძნობა, რომელიც იესო ქრისტეს მოაქვს ადამიანთა სულებისთვის. სადაც არ უნდა იმალებოდნენ ისინი – უკიდურეს სილატაკეში, სპილოს ძვლის სასახლეებსა თუ კარტის სახლში, ზღვარი გავლებულია, მიჯნა დადგენილია. არსებობს სიცოცხლე და არსებობს სიკვდილი და განადგურება. არსებობს იმედი და არსებობს სასონარკვეთა. არის სინათლე და იქვეა სიბნელეც. სამყაროები ასე ნათლად არასოდეს გამოკვეთილა და ფსონიც ასე მაღალი არასოდეს ყოფილა.

ძუ ლომები სინათლეში ცხოვრობენ და სიბნელეში ნადირობენ. ამრიგად, მამაცებო, ვერ წარმომიდგენია ამაზე კარგი მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. დარწმუნებული ვარ, იმიტომ გიჭირავს ეს წიგნი ხელში, რომ აღთქმის ასული ხარ. კარი ფართოდ გაქვს გაღებული. ახლა ისწავლე დიდებულ სინათლეში ცხოვრება და მოსვენება. ასევე მსუბუქად ვიცხოვროთ ერთმანეთთან. ნუ მისცემ უფლებას ზრუნვასა და წუხილს, რომ იზოლაციაში მოგაქციოს ან ჩაგყლაპოს.

ფართოდ გავაღოთ თვალები და ვისწავლოთ სიბნელეში ხედვა – გაიხედეთ მიღმა და დაინახეთ დამალული გულები და საგნები. ერთად ვინადიროთ სიბნელეში და სხვებიც გამოვიყვანოთ ღვთიურ ნათელში. ძუ ლომების მსგავსად დავამყაროთ წონასწორობა მოსვენებასა და გაშლილობას და შემტევობასა და ენერგიულობას შორის. მოისვენეთ უფალში, მოეშვით ერთმანეთთან და იყავით უმოწყალო სიბნელესთან.

10
ლომთან გასეირნება

„ნუ ტირი! აი, გაიმარჯვა ლომმა
იუდას ტომიდან, დავითის
ტახტის მემკვიდრემ“
გამოცხ. 5:5 (NLT)

რთულ სიტუაციებში უცხო არ არის შეგრძნება, რომ მარტო ხარ. სინამდვილეში, რაღაც დაფარული, მაგრამ ძალმოსილი შენს წინ მიდის და გზაზე მიგიძღვის. კითხვის გაგრძელებისას შესაძლოა მიხვდე, რომ ჩვენს ლომთან, იესო ქრისტესთან ერთად მიაბიჯებდი გაუცნობიერებლად.

ზოგჯერ უკან მიყოლა საშიშიც არის. სირთულე იმის გაგებაში არ მდგომარეობს, რის გაკეთება სურს ღმერთს ჩვენგან, არამედ როგორ ვაკეთოთ ეს. ბევრ ადამიანს სურს ღმერთთან ერთად სიარული, მაგრამ არ იცის, როგორ მოახერხოს ეს.

იესომ მოგვცა ერთი შეხედვით უბრალო მითითება. დააკვირდით მათ. 16:24-ის ორ განსხვავებულ ვერსიას:

> „ვისაც უნდა, რომ მომყვეს, უარყოს თავისი თავი,
> აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს მე“

და კიდევ უფრო მეტი სიცხადისთვის:

„ვისაც უნდა ჩემთან ერთად სიარული, გაძღოლის უფლება უნდა მომცეს. მძღოლის ადგილი შენთვის არ არის. ეს ადგილი ჩემია. ნუ გაიქცევი განსაცდელისგან; მიიღე იგი. მომყევი მე და გაჩვენებ როგორ იარო“ (*Message*).

მითითება ნათელია – უარყავი თავი, აიღე ჯვარი და მიჰყევი. თუმცა როგორ უნდა მოახერხო ეს?
როგორ უარყოფ თავს?
როგორ გაჰყვები მას, ვისაც ვერ ხედავ?
პასუხი მარტივია: იესო მიდის ... ჩვენ მივყვებით.

რწმენით სიარული

ხშირად მიხდება გოგონების შეკრებაზე ლაპარაკი კითხვა-პასუხის რეჟიმში. გაკვირვებული ვარ, რამდენჯერ ვპასუხობ კითხვას: „კი მაგრამ, როგორ?“

როგორ ხვდებით, როდის ლაპარაკობს ღმერთი? როგორ ვაპატიო მამაჩემს?
როგორ გათავისუფლდით კვებითი ქცევის დარღვევისგან?
როგორ უნდა მიხვდე, რომ ბიჭი სწორედ ისაა?
როგორ უნდა დასძლიო შიში, სირცხვილი და დანაშაულის გრძნობა?

როცა თავად მქონდა ჭიდილი ისეთ საკითხებთან, რომლებზეც გოგონები მეკითხებოდნენ, მარტივად მწამდა, რომ ღვთის სიტყვა ჭეშმარიტება იყო და მას მივყვებოდი. იესო გახდა განსხეულებული სიტყვა. როცა ღვთის სიტყვას ვკითხულობთ, ვხედავთ, როგორ ცხოვრობდა იგი და საით მივყავართ. ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც ძალზე რთულ გარემოებებში გადიოდნენ, თავდაპირველად არც კი ეგონათ, თუ შეძლებდნენ. მიუხედავად ამისა, მათ გამბედაობა მოიკრიბეს და იესოს გაყვნენ.

„რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, იქმოდნენ სიმართლეს, აღწევდნენ აღთქმებს“ (ებრ. 11:33)

ხალხი რწმენით მოქმედებდა და ამის გამო ინგრეოდნენ კორუმპირებული სამეფოები. ბოროტებას სამართალი უპირისპირდებოდა და ღვთის აღთქმებიც სრულდებოდა. ჩვენ ღვთის გეგმასა და აღთქმაში შევედით ჩვენი ცხოვრებისთვის რწმენის მეშვეობით. რწმენა აუცილებელია იქეთ წასასვლელად, საითკენაც ჩვენი ლომი მიდის.

„რწმენა ეჭვს ძლევს. ღმერთს ვეკითხებით, „აქ ხარ? ვერ ვგრძნობ ამას“. რწმენით გვესმის ლო-

> მის პასუხი: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ“ (ებრ. 13:5)

რწმენა მოთმინებას გვაძლევს ლოცვისას. რწმენით აღვლენილი ლოცვა ავადმყოფებს კურნავს და უფალი თქვენც აღგადგენთ. თუ რაიმე ცოდვა ჩაგიდენიათ, უფალი მოგიტევებთ (იხილეთ იაკ. 5:14).

რაში მდგომარეობს რწმენის აქტი?

აბრაჰამისთვის, რომელიც ჩვენი რწმენის მამაა, ღვთის მიყოლა ნიშნავდა უდაბნოს გადალახვას იმის მიუხედავად, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, სად დაასრულებდა მოგზაურობას. როცა აბრაჰამისა და სარას ამბავი წავიკითხე, შევნიშნე, რომ ღმერთმა მათ არა მარტო ის მიწა მისცა, რომელზეც გაიარეს, არამედ ისიც, სანამდეც თვალი მიუწვდებოდათ.

> „რწმენით დაემორჩილა აბრაჰამი მოწოდებას, წასულიყო ქვეყანაში, რომელიც სამემკვიდრეოდ უნდა მიეღო, და ისე წავიდა, რომ არ იცოდა, სად მიდიოდა“ (ებრ. 11:8)

სარა და აბრაჰამი ურში რომ დარჩენილიყვნენ, სადაც ყველაფერი კომფორტული და ნაცნობი იყო, ღვთის აღთქმას ვერ დაიმკვიდრებდნენ.

რაოდენ ძნელია ჩვენთვის რწმენით სიარული. ჩვენ რუკა გვჭირდება, მაგრამ ამის ნაცვლად ღმერთს იდუმალებით მივყავართ.

რწმენის მოგზაურობა ჩვენში სიმხნევეს წარმოშობს. წინ გვიდევს დაბრკოლებებით სავსე გზა დიდი თავგადასავლით და დარწმუნებით, რომ ჩვენი ლომი ისეთი ბილიკებით არ გაგვატარებს, რომლებზეც თავად არასოდეს გაუვლია. როცა ღმერთი აქამდე განუცდელის და გაუკეთებლისთვის მოგვიწოდებს, შიში გვიპყრობს. ზოგჯერ იგი მიგვიძღვის მიმართულებით, რომელიც თავში აზრად არავის მოსვლია და არ გაუვლია. ყველაფერი, რაც ხელთ გვაქვს, ეს არის გამოწვევა და მისი მოპატიჟება: „ასულო, გამომყვები ... მიუხედავად იმისა, რომ გეშინია?“

არცთუ დიდი ხნის წინ მეგობარმა დამირეკა და მიამბო, რის საკეთებლად მოიწვიეს. ეს საქმე ერთი შეხედვით საშიშიც ჩანდა და თან სტრატეგიული პერსპექტივის მქონეც. მას სთხოვეს მონაწილეობის მიღება მქადაგებელ მამაკაცთა ჯგუფის შეკრე-

ბაზე, რომლებიც მეტად გავლენიანი წინამძღოლი მამაკაცების წინაშე უნდა გამოსულიყვნენ. მისი საკუთარი ქმარიც კი დაეჭვდა ქალის მონაწილეობის აუცილებლობაში და თან უკვირდა, რატომ მიიწვიეს მისი ცოლი.

მან იმიტომ დამირეკა, რომ კონფერენციის ბროშურა მცირე ხნის წინ მოუტანეს და როცა იქ მისი, როგორც ერთადერთი ქალი მქადაგებლის სურათი იხილა, შიშმა შეიპყრო. ეს მის ძალებს აღემატებოდა.

სანამ გავაცნობიერებდი, რა უნდა მეთქვა, წამოვაყრანტალე: „მთელი ცხოვრება ამ მომენტისთვის ემზადებოდი. ეს შეგიძლია და კარგად უნდა გააკეთო. შენ ამას საოცარი, ღვთისნიერი, წარმოუდგენლად ბრძნული გზით მოიმოქმედებ.“

ყურმილში მისი ღრმა ამოსუნთქვის ხმა გავიგე და ვიგრძენი, რომ თავი დამიქნია. ვიცოდი, რომ ამ სირთულეში მარტო არ იქნებოდა. ლომი მის უკან იდგებოდა. ქალი მას უნდა გაჰყოლოდა და მიმართულება შეენარჩუნებინა, შესაძლოა ბორძიკით, მაგრამ იმის ცოდნით, რომ მარტო არ იყო.

ვინც იესოს მიჰყვება, ლომის მეგზურობა გარანტირებული აქვს. იესო ჩვენთვის დაკლული კრავია, რომელიც იუდას ლომად აღსდგა.

> „გაიმარჯვა ლომმა იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა“ (გამოცხ. 5:5)

ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲮᲔᲓᲝ

ცოტაოდენი შიშისა და კანკალის დასაბრუნებლად თქვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში, მინდა წარმოიდგინოთ ლომი თქვენს თანამგზავრად. ვინ იცის? იქნებ ღმერთმა რაღაც დამაფრთხობლის გაკეთება მოგთხოვოთ.

იცით, იესოს წარმოდგენა ისეთად, როგორიც ის იყო გალილეის ზღვის ნაპირებთან სიარულისას ან მთაზე სწავლებისას, საკმარისი არ არის სრული სურათის შესაქმნელად, თუ ვინ არის იგი ახლა. ღვთის ძე ქვეყნიერებას ადამიანის სახით ესტუმრა ღვთიური პრივილეგიების გარეშე. იგი ახლა აღარ დააბიჯებს მიწაზე ადამიანის სხეულში, თუ არ ჩავთვლით მის ძეებსა და ასულებში დამკვიდრებას. იგი მაღლათა შინა ზის მგზნებარე, ექსტრავაგანტური, ზეციური დიდებულების ნაწილად, ძლიერებისა და ბრწყინვალების უშუალო სახებად.

აღაპყარი თვალები და იხილე იგი, როგორც იუდას ლომი, თვალისმომჭრელ დიდებულებასა და ძლიერებაში. მას სურს,

რომ იცხოვროთ გასაოცარ და სასწაულებრივ ადგილას და არა წესებისა და მოვალეობების სამეფოში. მიეცით მის ხმას თქვენში რაღაც მოუთვინიერებლისა და ველურის საფუძვლიანად აღძვრის საშუალება! ღვთის აღთქმები ახალგაზრდა იერემიასადმი თქვენც გეკუთვნით, მის უშიშარ, წინასწარმეტყველურ ასულებს:

> „სანამ მუცელში გამოგსახავდი, მანამდე გიცნობდი, სანამ საშოდან გამოხვიდოდი გამოგარჩიე და წინასწარმეტყველად დაგადგინე ერებში“. მივუგე: „ვაი, უფალო ღმერთო, აჰა, ლაპარაკი არ ვიცი, რადგან ყმაწვილი ვარ“. მომიგო უფალმა: „ნუ იტყვი, ყმაწვილი ვარო, ვინაიდან ყველგან, სადაც გაგგზავნი, წახვალ და ყველაფერს იტყვი, რასაც გიბრძანებ. ნუ შეუშინდები მათ სახეებს, რადგან შენთან ვარ და დაგიფარავ!“ (იერ. 1:5-9)

იერემიას მსგავსად ნაყოფიერი რომ იყოთ, რეალურად უნდა გააცნობიეროთ, რომ ღმერთი თქვენს გვერდითაა. ეს შიშისგან გაგათავისუფლებთ და მნიშვნელობა არ ექნება, სხვები რას იტყვიან ან გააკეთებენ.

ცხოვრების მოგზაურობას მრავალი ხმა და ზეგავლენა ახლავს. ზოგიერთი აძლიერებს და განამტკიცებს თქვენს მიმართულებას; სხვები ხელს გიშლიან და სწორი ბილიკიდან გადაგახვევინებენ. ზოგიერთი ხმა დაგაჩქარებს, რომ ჯერ უცნობი ადგილისკენ წახვიდე, ხოლო სხვები უკან დაგახევინებენ. ასევე არსებობს წარსულის ხმები – ოჯახის, იმედგაცრუების, შიშის, რომლებიც პერიოდულად ყვირის და ჩურჩულებს, „გადაუხვიე! შემობრუნდი! შეიძლება დაეცე! შეიძლება გეტკინოს!“. ეს ხმები საკუთარი თავის დაცვისკენ მოგიწოდებს.

ამ უარყოფით, სიცოცხლის გამომწოვ ხმებს შორის არის ძალმოსილი, სიცოცხლის მომცემი ხმები. ისინი ყოველთვის ახლოს არიან, მაგრამ თუ მათ მოსმენას არ მოისურვებთ, შესაძლოა, აცდეთ კიდეც. ზეციური მხედრობის ხმები, რომლებიც შენამდე მოღწევას ცდილობენ წმიდა წერილის მეშვეობით, გამხნევებენ წინსვლისა და გზის გაგრძელებისთვის, „ნუ მოუსმენ შიშებსა და ტერორს შენს გარშემო. ნუ მოუსმენ მტრის ტყუილებს, რომელიც გასამართლებული და ტანჯულია. ნუ გაგეფანტება ყურადღება. ჩვენ გვჭირდები! დარჩი შენს სავალზე და გაიარე შენი სარბენი!“.

გახსოვდეს, ლომის გამოჩენისას ყველა მასზე პატარა მხეცი კანკალებს. სატანაზე ითქვა, რომ ლომივით დადის და ჩასაყლაპ ადამიანებს ეძებს (იხილეთ 1 პეტრ. 5:8), მაგრამ ის ლომი არ არის; იგი ვერც შეედრება ჩვენს ნამდვილ ლომს. შავი ბატონი და მისი კოჰორტა ინიღბებიან, თითქოს ღვთაებრივი ღრიალი შეუძლიათ, მაგრამ ჩრდილები არიან, რომლებმაც ღვთისგან უნდა ისესხონ სინათლე და შემოქმედებითი გენია.

ᲛᲘᲔᲜᲓᲔ ᲚᲝᲛᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ

როცა პატარა გოგო ვიყავი, საშობაოდ *„ნარნიის ქრონიკების“* მთლიანი ნაკრები მაჩუქეს. ყოველი წიგნის სათაური თითქოს ჩამარხული განძი იყო. როცა სერიის კითხვას მოვრჩი, ტირილი დავიწყე. მარტო იმიტომ კი არა, რომ მოთხრობები დასრულდა, არამედ იმიტომაც, რომ საოცარ და იმქვეყნიურ სამყაროსთან ჩემი კავშირი გაწყდა. ვხვდებოდი, რომ ასლანი იესოს წარმოადგენდა, მაგრამ აქამდე ჩემთვის დანახებულ იესოს ვერ ვუთავსებდი ველურ, მოუთვინიერებელ და მაინც ხელშესახებ ლომს, რომლის მიმართ ჩემი სიყვარული თანდათან იზრდებოდა წიგნის კითხვისას.

იგი მის შვილებთან ერთად დადიოდა. არ მინდოდა დავბრუნებოდი ჩუმ, შარავანდედდადგმულ გამოსახულებებს და ცივ *ნაკურთხ* წყალს. მე მინდოდა ცოცხალი, მსუნთქავი ლომი. ღმერთთან საფუძვლიან, თბილ და ცოცხალ შეხვედრას ვესწრაფოდი, რომ მისი ხელშესახები არსებობის უარყოფა შეუძლებელი ყოფილიყო. ისეთი ძლიერი სიყვარული მინდოდა, რომ მეშინოდა კიდეც. იმდენად შეურყვნელი სამართალი მწყუროდა, რომ სუნთქვა მეკვროდა.

მინდოდა ვყოფილიყავი ლუსი სამყაროში, სადაც ცხოველები და ხეები ლაპარაკობდნენ, სადაც სათნოება და ჭეშმარიტება ჯილდოს იმსახურებდა, სადაც შეცდომების პატიება სასჯელის გარეშე შეიძლებოდა.

ღმერთი გვეპატიჟება, რომ მის წინაშე ბავშვურად, უმანკოებით და მისი სიყვარულის საოცრებისა და გამოსყიდვის მიღებით მივიდეთ. თუმცა რელიგიის დადგენილებებმა და დროს მდინარებამ ბევრ ჩვენგანს გადაახვევინა გზიდან. და დავკარგეთ ჩვენი სიყრმის ლომის ხედვა.

ამ კონცეფციის ფონზე, კვლავ ვესტუმროთ ლუსის, *„ნარნიის ქრონიკები“-ს* მეოთხე წიგნის, *„პრინცი კასპიანი“-ს* ფურცლებზე. მათ იმ მონაკვეთში შევუერთდებით, როცა გადაღ-

ლილები, დაკარგულები და არასწორი გზის პირას მდგომნი იქნებიან. ამ დროს ლუსი ლომ ასლანს დაინახავს.

> „შეხედეთ! შეხედეთ! შეხედეთ! – ყვიროდა ლუსი.
> – სად? რას? – კითხულობდა ყველა.
> – ლომი, – თქვა ლუსიმ, – თავად ასლანია.
> ვერ ხედავთ?
> მისი სახე სრულიად შეიცვალა და თვალები გაუბრწყინდა.
> – ნამდვილად ...? – დაიწყო პიტერმა.
> – როგორ გგონია, მაინც სად დაინახე? – ჰკითხა სიუზენმა.
> – ზრდასრულივით ნუ ლაპარაკობ, – უპასუხა ლუსიმ და ფეხი დააბაკუნა. – კი არ მგონია რომ დავინახე, ნამდვილად დავინახე.
> – სად, ლუ? – იკითხა პიტერმა.
> – აი, იქ, მაღლა მთაზე, ... შორის. არა, ვიწროების ამ მხარეს. და მაღლა, დაბლა კი არა. ზუსტად იმის საწინააღმდეგო მხარეს, საითაც წასვლა გინდოდათ. მას სურს, წავიდეთ იქეთ, სადაც თვითონ არის – ზემოთ.
> – საიდან იცი, რომ მას სწორედ ეს უნდა? – იკითხა ედმუნდმა.
> – იგი ...მე...მე... უბრალოდ ვიცი, – მიუგო ლუსიმ, – მისი სახის გამომეტყველებით.
> დანარჩენებმა ერთმანეთს გადახედეს საგონებელში ჩავარდნილებმა.“[1]

როცა ლომი გამოჩნდება, შენი სახე მას ირეკლავს. ხედვასთან ერთად ცოდნაც მოდის.

მახსოვს, როგორ ვიხილე ეს ცოდნა ედისონის სახეზე, როცა მითხრა თავისი დარწმუნების შესახებ, რომ ჯულიანა მისი ცოლი გახდებოდა. ის-ის იყო დავბრუნდი კიევში გამართული ქალთა კონფერენციიდან და ჩემი არყოფნის სულ რაღაც ექვს დღეში, ჩემი შვილი ცხოვრების სიყვარულს შეხვდა. ედისონს უნდოდა იმ დღესვე ერთად გვესადილა. ვერანდაზე ვიჯექით და ვუსმენდი, როგორ მიყვებოდა, რომ იცოდა, გოგონა „ის ერთადერთი“ რომ იყო.

როცა ვკითხე, საიდან მიხვდა ამას, თვალი თვალში გამიყარა და ამიხსნა, „უბრალოდ, ვიცოდი“. იმ მომენტში მეც მივხვდი. გავაცნობიერე, რომ ჩემმა შვილმა რაღაც უფრო მეტი

დაინახა ამ ახალგაზრდა ქალში, რამაც აიძულა, მიყოლოდა მისთვის აუხსნელ გზას. მე, როგორც დედას, მისთვის მხარი უნდა დამეჭირა ამ მოგზაურობაში. სანამ ჯულიანას შევხვდებოდი, უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი შვილისთვის ერთადერთი იყო, თუმცა ჩემთვის ყველაფერი გასაგები არ გახლდათ.

როცა ლომთან შეხვედრა შედგება, ამ დროს მიღებულ ცოდნას უნდა ვენდოთ, თუნდაც სხვები ვერ ხედავდნენ იმას, რაც ჩვენთვის სრულიად აშკარაა. სხვა ბავშვების სკეპტიციზმის მიუხედავად, ლუსი მიენდო ნანახს, რის სიმართლეშიც დარწმუნებული იყო.

როცა ლუსი დანარჩენებს ასლანის ნაჩვენები მიმართულებით წასვლას ურჩევს, ბავშვები კითხვებით ავსებენ. მათ არა მარტო ეჭვი შეაქვთ ლუსის ნათქვამში, რომ მან ასლანი ნახა, არამედ უკვირთ, რატომ ეჩვენა მას. მათ გადაწყვიტეს, კენჭი ჰყარონ, ლუსის და მისი ლომის მითითებული გზით წავიდნენ თუ შედარებით პირდაპირი გზა აირჩიონ. ლუსი დამარცხდა და ბავშვებიც შებრუნდნენ და სხვა ბილიკს დაადგნენ. იგი ჯგუფს მიყვება, მაგრამ ტირის, რომ სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიან.

ვფიქრობ, ყველამ კარგად ვიცით, რას გრძნობდა გოგონა.

როცა ხედავ ლომს ანუ ღვთის ნიშანს, რომელსაც სხვები ვერ ხედავენ, აუცილებლად იქნება კითხვები. ყველა მოინდომებს გაიგოს, რატომ გეჩვენა ის, რაც მათ გამოეპარათ. ვისწავლე, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ღმერთს შეუძლია. იგი ისე იქცევა, როგორც სურს. ღმერთი სხვადასხვაგვარად ეჩვენება სხვადასხვა ადამიანებს. ამ პროცესმა ურთიერთდამოკიდებულების სული უნდა წარმოქმნას ქრისტეს სხეულში და არა კითხვები. თუ ყველას ექნება რაღაც ნაწილი, წინამძღოლებს შეეძლებათ ერთმანეთის გაძლიერება და გამოწვევა. საშინელებაა, როცა ადამიანები ვერ გიგებენ და არასწორი მიმართულებით მიყავხარ. საზიზღარ გრძნობას იწვევს, როცა გარშემო მყოფები არ აფასებენ ღვთისგან მოცემულ გაცხადებას. გახსოვდეთ, რომ ამის მიუხედავად, ღმერთი უფრო დიდ მიზანზე მუშაობს. ნუ მისცემთ უფლებას უარყოფას ან არასწორად გაგებას, რომ თქვენს გულში გასამართლება ან სიმწარე წარმოშვას. სძლიე ამას.

დავუბრუნდეთ *პრინც კასპიანს* – დღის განმავლობაში ბევრი არასწორი მოსახვევისა და თითქმის საბედისწერო შეხვედრის შემდეგ ბავშვები ისევ იქ დაბრუნდნენ, საიდანაც დაი-

წყეს. გატანჯულებსა და გადაღლილებს ჩაეძინათ. ასლანმა იცოდა, რომ ლუსი ღელავდა და მეტი ზიანის თავიდან ასაცილებლად ხელახლა ეწვია მას.

ასლანი ბანაკის ირგვლივ ჩამოწოლილი სიბნელიდან ეძახის ლუსის, რომელსაც საოცარია და ღვიძავს ასეთი დაძაბული დღის შემდეგ. მისი ხმის გაგონებით აღტაცებული და სიხარულით აღვსილი გოგონა მასთან გამოდის. ლუსი ყვება დღის განმავლობაში მათ თავს გადამხდარ ამბებს და ძმებსა და დას აკრიტიკებს მისი რჩევის მიუღებლობისთვის. ლომის გულის სიღრმიდან „ბრდღვინვის მაგვარი რამ“ ისმის. გაკვირვებული ლუსი ასლანს ეკითხება, რაიმე ხომ არ დააშავა.

> – ეს ხომ ჩემი ბრალი არ იყო, არა?
>
> ლომმა პირდაპირ თვალებში ჩახედა.
>
> – ოჰ, ასლან, – თქვა ლუსიმ, – მე არ შემეძლო სხვების მიტოვება და შენთან მარტო მოსვლა, როგორ შევძლებდი ...?
>
> ასლანმა არაფერი თქვა.“[2]

ლომმა პირდაპირ თვალებში ჩახედა. რა არის ისეთი ღვთის თანაყოფნაში, რასაც ასეთი სიცხადე შემოაქვს ადამიანის დამახინჯებულ ხედვაში. ხშირად შევსულვარ მის თანდასწრებაში იმის ფიქრით, რომ გაუგებრობის და მავნებლობის მსხვერპლი გავხდი და გამიცნობიერებია, რომ ზოგიერთი არჩევანი მხოლოდ ჩემი გასაკეთებელი იყო. და მაინც, ჩვენი ლომის თანდასწრებაში თავს შერცხვენილად არ ვგრძნობ. პირიქით, მავსებს ძალა, ვდგები სწორ მდგომარეობაში და წინსვლისთვის მზად ვარ.

დრო და დრო ყველანი აღმოვჩნდებით ასეთ რთულ ვითარებაში. შინაგანად ღვთის მიმართულებას ხედავ, მაგრამ მეგობრების ან ოჯახის მხრიდან ხორციელდება ზეწოლა, რომ სხვა მხრივ წახვიდე. შესაძლოა, ეს არის ცდუნება, რომ უღალატო რწმენას ან ზნეობას, სამაგიეროდ იქ იყო, სადაც სხვები არიან და გაჩუმდე. ზეწოლის მიუხედავად შენიშნავდი, რომ ჩვენს ლომთან პირისპირ წარდგომისას თავის მართლება არ მოქმედებს. მასზე მხოლოდ დუმილს მიიღებ პასუხად. ხშირად გამიგია, რომ ღვთის სიჩუმისას უნდა გადახედო, ბოლოს რის გაკეთება მიგითითა. მიიღე ის, თქვი ან გაეცი? თუ არა, იგი კვლავ ელოდება თქვენს გამოხმაურებას.

„ᲨᲔᲜ ᲮᲐᲠ ᲫᲣ ᲚᲝᲛᲘ ...“

ღმერთი არ ცვლის მითითებებს მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანები არჩევანს აკეთებენ ან მას არ ეთანხმებიან. იგი არც სხვებზე ბრალდებებს უგდებს ყურს, არამედ წყნარად ელოდება და ისმენს, სანამ ბრალდებიდან გულწრფელობაზე არ გადახვალთ. თავმდაბლობის პოზიცია ძალას გვმატებს, რომ წამოვიწიოთ და კვლავ გავაგრძელოთ მასთან ერთად ველურ ტერიტორიებზე სიარული.

კ.ს. ლუისმა შთამბეჭდავად გადმოსცა ეს მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება ლუსისა და ასლანს შორის ქვემომოყვანილ საუბარში. ლუსიმ გააცნობიერა, რომ ასლანს უნდა წაყოლოდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვები მას არ შეუერთდებოდნენ. ამ გამოცხადებასთან ერთად ახალი პასუხისმგებლობა მოდის. ასლანი მას კიდევ ერთ შანსს აძლევს და სთხოვს, გააღვიძოს ძმები და და, უთხრას მათ, რომ ისევ ნახა და დროა ლომს გაყვნენ.

> „– ისინი არ დამიჯერებენ! – წამოიძახა ლუსიმ.
> – ამას მნიშვნელობა არ აქვს, – უპასუხა ასლანმა.
> – ვაიმე, – თქვა ლუსიმ, – ისე გამიხარდა შენი ნახვა ... მეგონა დაიღრიალებდი
> და მტრებს დააფრთხობდი, როგორც ამას წინათ გააკეთე. ახლა კი ყველაფერი
> საშინლად მიდის.
> – ვიცი, ძნელია შენთვის, პატარავ, – თქვა ასლანმა, – მაგრამ მოვლენები ორჯერ ერთნაირად არ მიმდინარეობს.“

მოდით, მცირე ხნით შევჩერდეთ. მომწონს ადამიანის რეაქცია ღვთის მითითებაზე. იგი ახალი თავგადასავლისკენ გვიბიძგებს, ჩვენ კი ამას „საშინელ“ მარცხად აღვიქვამთ. იმედებით სავსე ლუსის ახლა დამალვა სურს.

ახლა გავაგრძელოთ:

> „ლუსიმ თავი ასლანის ფაფარში ჩარგო, რომ ლომის მზერას დამალვოდა, მაგრამ ეტყობა, მის ფაფარში რაღაც ჯადოსნური იყო. მან იგრძნო, როგორ გადადიოდა მასში ლომის ძალა. მოულოდნელად იგი გაიმართა.

– მაპატიე, ასლან, – თქვა გოგონამ, – ახლა მზად ვარ.

– ახლა შენ ძუ ლომი ხარ, – უთხრა ასლანმა, – ახლა მთელი ნარნია განახლდება.“[3]

როცა ეს განაცხადი წავიკითხე, ელდა მეცა. „ახლა შენ ძუ ლომი ხარ ...“ დარწმუნებული ვარ, ღმერთს იგივეს თქმა სურს ყველა მისი ასულისთვის, როცა წამოვდგებით, მოთქმას შევწყვეტთ და მოვემზადებით. ამის შემდეგ ღმერთს შეუძლია გამოაცხადოს, „ახლა მხნე ხარ. ახლა გაქვს ჩემი ხედვა. შენ აცნობიერებ ჩემს ძალას. ბრძოლისთვის მზად ხარ.“ გახსოვდეს, არმიის ნაწილი ხარ, რომელიც გადამწყვეტ ბრძოლაშია ჩაბმული.

მნიშვნელოვანი გარდაქმნისთვის საჭირო გამგედაობა

რას წარმოადგენს ეს ბრძოლა? ჩანს, სიბნელე იზრდება, ხოლო ჩვენი სინათლე ბჟუტავს.

დროა გამოვაცხადოთ, რომ ლომი ჩვენს შორისაა. შესაძლოა, დავკარგეთ თვალთახედვიდან, როცა უმნიშვნელოზე ვდაობდით. ჩვენი რიგები დაიყო და ყურადღება გაგვეფანტა, მტრის ძალებმა კი განადგურება მოიტანეს დედამიწაზე, რომელიც უნდა დაგვეცვა. ბრძოლის ველი გვიახლოვდება, ჩვენ კი მეტისმეტად დაკავებული ვართ საკუთარ ბანაკში ომით.

> „საუკუნეთა მეფეს, უხრწნელს, უხილავს, ერთადერთ ღმერთს – მას დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე. ამინ. ამ მცნებას შენ განდობ, შვილო ტიმოთე, შენზე მოვლენილი უწინდელი წინასწარმეტყველების თანახმად, რათა იომო, როგორც კეთილმა მეომარმა, გქონდეს რწმენა და კეთილი სინდისი, რომელიც უარყვეს ზოგიერთებმა და დაიმსხვრა მათი რწმენის ხომალდი“ (1 ტიმ. 1:17-19)

აღთქმები ჩვენი მომავლისთვის უზრუნველყოფილია. ომს სინათლისა და იმედის იარაღით ვაწარმოებთ. უფალს ხელმეორედ აღარ სჭირდება სიკვდილის დამარცხება. მან ერთხელ გაიმარჯვა. დროა ვიაროთ ამ გამარჯვებით და სხვებიც წავახალისოთ, რომ გამოგვყვნენ.

ამ ეტაპზეც კი ჩვენი ერი ზნეობრივი, ეკონომიკური და სულიერი ნგრევის ზღვარზეა. გარშემორტყმული ვართ მტრებით და ტერორისტებით როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საკუთარ საზღვრებში. შიშმა და ღალატმა უთანხმოება დათესა ყველა მიმართულებით და ჩვენს შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც ჰგონიათ, რომ საკუთარ თავზე ზრუნვა არ შეგვიძლია.

ვფიქრობ, ჩვენში გამეფებული ატმოსფერო ძალიან ჰგავს რამდენიმე საუკუნის წინანდელი ინგლისის მდგომარეობას. გახლეჩილი და გაწამებული მიწა ხელახლა იშვა იმპერიად და დიდი ბრიტანეთი, როგორც ერი განახლდა, როცა ერთმა ახალგაზრდა ქალმა თავისში ძუ ლომი გააღვიძა.

დედოფალი ელისაბედ I ოცდახუთი წლის ასაკში ავიდა ტახტზე და ფინანსურად და მორალურად გაღატაკებული ქვეყანა ჩაიბარა. ინგლისს ყველა მხრიდან ემუქრებოდნენ კათოლიციზმის ქვეშ გაერთიანებული ძლიერი ერები. ამის საპირისპიროდ, ქვეყანა დანაწევრებული იყო რელიგიური ომებისგან, რომლებიც მის საზღვრებს შიგნით ბობოქრობდნენ. დიდი ბრიტანეთი ირყეოდა მეფე ჰენრი VIII-სა და დედოფალ მარიამის მშფოთვარე მმართველობის წლებში.

და მაინც, მოუსმინეთ დედოფალ ელისაბედის სიტყვას, რომელიც კორონაციისას წარმოთქვა: „ჩემს მხრებზე დადებული ტვირთი მაოცებს.“[4] საუკუნეების შემდეგ მისი სიტყვები მეტად დროული და ბიძგის მომცემი მეჩვენა. როგორი უნდა ყოფილიყო ქალი, რომელსაც აკვირვებდა უზომო ტვირთი?

მიხარია, რომ ამ დედოფალმა თავის მართლება არ დაიწყო მეტისმეტი ახალგაზრდობით, სისუსტით ან იმით, რომ ქალი იყო. მისი ტახტზე ყოფნის უფლებას განუწყვეტლივ ემუქრებოდნენ. თუმცა დედოფალმა მაშინაც არ დაიხია უკან, როცა მეფე ჰენრი VIII-ს უკანონო ქალიშვილი უწოდეს. პირიქით, მან გაოცება არჩია. ამან იგი ღვთისადმი მოწიწების, მისი სასწაულებისა და მასზე დამოკიდებულების სამყაროში გადაიყვანა.

ადრიდანვე ისწავლა ელისაბედმა სიტყვების ფრთხილად შერჩევა. ასე რომ არ მოქცეულიყო, ოცდახუთი წლის ასაკსაც ვერ მიაღწევდა. დაბადებიდან სიკვდილამდე იყო გარშემორტყმული მისთვის ზიანის მიყენების მსურველებით. მის სამეფო კარზე და ქვეყანაში იყვნენ მოღალატეები და ძალაუფლების მოყვარულები, რომლებიც სიამოვნებით გამოიჭერდნენ სიტყვებში. მისმა ნახევარდამ და წინამორბედმა დედოფალმა, მარიამ ტიუდორმა „სისხლიანი მერის“ სახელი დაიმკვიდრა

მისი მმართველობისას განხორციელებული სიკვდილით დასჯის რაოდენობის გამო. მარიამი ეძებდა ელისაბედის მოკვლის შესაძლებლობასაც და იმდენად შორს წავიდა, რომ ლონდონის ტაუერშიც კი გამოამწყვდია, სადაც ელისაბედის დედა, ანა ბოლეინი იყო დატუსაღებული თავის მოკვეთამდე. დედოფალ მარიამის შემოტევები და შეთქმულებები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დასრულდა.

ელისაბედის ტახტზე ასვლიდან მოკლე დროში, მისი ბიძაშვილი, შოტლანდიის დედოფალი მარიამ სტიუარტი კათოლიკური ეკლესიით ზურგგამაგრებული მოუბრუნდა ინგლისს და არაერთხელ შეეცადა ტახტის ხელში ჩაგდებას. საბოლოოდ, ელისაბედმა მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა, როცა მისი საზარელი მკვლელობის ჩანაფიქრი გამჟღავნდა. ელისაბედს უღალატეს, უარყვეს, ცუდად მოექცნენ, მაგრამ მან სიძნელეებს საუკეთესო მონარქად ჩამოყალიბების საშუალება მისცა, რომელიც კი ინგლისს ოდესმე ჰყოლია.

დედოფალმა ელისაბედმა გათხოვებას და მემკვიდრის გაჩენას პირობის დადება ამჯობინა, რომ მისი სამეფოს საპატარძლო და დედა გახდებოდა. მიძღვნის წარმოუდგენელმა საფეხურმა მას სამეფოს გაძლიერების სტრატეგიებზე მეტად ზრუნვის თავისუფლება მიანიჭა. განათლების მიღების და საკუთარი თავის განუწყვეტელი სრულყოფის გარდა, ელისაბედმა გარს შემოიკრიბა ბრძენი მრჩევლები და ყოველთვის თვალყურს ადევნებდა მის ქვეშევრდომთა განწყობას და კეთილდღეობას.

დედოფალ ელისაბედის მმართველობისას:

- რელიგიური დაპირისპირებები შეწყდა და ერთიანი ინგლისის ეკლესია ჩამოყალიბდა.
- ინგლისის იზოლირებული და სხვებზე დამოკიდებული ეკონომიკა მრავალფეროვანი და დამოუკიდებელი გახდა.
- აყვავდა მეცნიერება და ხელოვნება.
- ინგლისი საზღვაო ძალად იქცა.
- წინ წაიწია ამერიკის დასახლებამ და ათვისებამ.

დედოფალმა ელისაბედმა ქვეყანა ოქროს ხანაში შეიყვანა და პატარა სამეფო იმპერიად გადააქცია.

გასაკვირი არ არის, რომ მას ძუ ლომი ეწოდა. ამ მიღწევების მიუხედავად, მისი როგორც დედოფლის ფუნქცია ყოველთვის ტვირთად რჩებოდა. მან თქვა:

„მეფობა და გვირგვინის ტარება გაცილებით დიდებულია მათთვის, ვინც ამას უყურებს და ნაკლებად საამურია მათთვის, ვისაც თავზე ადგია იგი.“[5]

ისტორიული წიგნები გვეუბნება, რომ მან გვირგვინის ტარებაზე გაცილებით მეტი გააკეთა. ელისაბედი ინოვაციების, ვაჭრობისა და გამოკვლევების პიონერი იყო. იგი შესანიშნავად აცნობიერებდა განუყოფელი ერთგულების ძალას და ბევრი რამ გააკეთა ერის განვითარებისთვის, მაშინ როცა საფრანგეთი და სხვა მსგავსი ქვეყნები ვერ აცდნენ რევოლუციებით მოტანილ დაქსაქსულობას.

ელისაბედი უშიშარი მებრძოლი გახლდათ. ქვემოთ მოყვანილია ამონარიდი მისი სიტყვიდან, რომელიც არმიასთან ერთად ბრძოლის ველზე გასვლის წინ წარმოთქვა:

„დაე, ეშინოდეთ ტირანებს, მე კი ყოველთვის ისე ვიქცეოდი ღვთის წინაშე, რომ უდიდეს ძლიერებას და დაცულობას ჩემი ქვეშევრდომების ერთგულებას და კეთილ ნებას ვანდობდი. და აი, დღეს თქვენს შორის ვარ, როგორც ხედავთ, არა დასვენებისა და გართობის გამო, არამედ სრული გაცნობიერებით, რომ თქვენთან ერთად ვიცოცხლო ან მოვკვდე გახურებულ ბრძოლის ველზე. მზად ვარ პატივი და სისხლი, თვით სიცოცხლე გავწირო ღვთის, ჩემი სამეფოსა და ხალხისთვის.

ვიცი, რომ ჩემი სხეული სუსტ და უძლურ ქალს ეკუთვნის, მაგრამ გული და მტკიცე ნერვები მეფის, თან ინგლისის მეფის მაქვს. ზიზღით ვუყურებ პარმას, ესპანეთს ან ნებისმიერ ევროპელ პრინცს, რომელიც ჩემი სამეფოს საზღვრების გადმოლახვას შეეცდება. მე თავად ავისხამ იარაღს მათ წინააღმდეგ, სანამ რაიმე უპატიობა დამჯაბნიდეს. მალე მოვიპოვებთ დიდებულ გამარჯვებას ღვთის, ჩემი სამეფოსა და ჩემი ხალხის მტრებზე.“[6]

ასეც მოხდა.

ხედავთ, რა მოხდა, როცა ერთმა ქალმა გაოცება ამჯობინა შეშინებას? ელისაბედი უშიშრად მიყვებოდა ღმერთს და საკუთარი ხვედრის მიმართ გულგრილი არ იყო. იგი უგულისყუროდ არ ეკიდებოდა ღვთის რჩევას და ლოცვებს თავის დღიურებში

სამ ენაზე იწერდა. შედეგები მართლაც რომ გამაოგნებელი აღმოჩნდა. შესაძლოა, გრძნობთ, რომ ღმერთი რაღაც გამორჩეულისა და საშიშისკენ მოგიწოდებთ. თუ ასეა, ლუსისა და დედოფალ ელისაბედ I-ის მაგალითებს წინსვლისთვის თქვენი გამხნევების უფლება მიეცით.

მნიშვნელობა არ აქვს, რას იზრახავენ სხვები თქვენთვის. თუ ღმერთმა თქვა, ერწმუნე მას. წადი, სადაც კი წასვლას გთხოვს. მოუსმინე, რასაც გეტყვის. მიჰყევი ლომს, როცა წინ მიგიძღვის. ენდე „შინაგან ცოდნას“ მაშინაც კი, როცა სხვებს ეს არ ესმით.

მზად ხარ გაოცებისთვის?

11
ჩურჩულიდან ღრიალამდე

„ლომი არ ვიყავი, მაგრამ
წილად მხვდა ლომივით ღრიალი“
– უინსტონ ჩერჩილი

ლომები ღრიალებენ. ეჭვგარეშეა, იცით ეს, მაგრამ გსმენიათ თუ არა ძუ ლომის ღრიალის შესახებ? ხვადმა ან ძუ ლომებმა ეფექტურად რომ დაიღრიალონ, ჯერ სხეულის მდგომარეობა უნდა შეიცვალონ. ძალის ამგვარი პირველყოფილი განაცხადის ამოხეთქვას მოდრეკა სჭირდება. ისინი ძლიერ თავებს ძირს ხრიან და მკერდს იფართოებენ, რომ ფილტვები ჰაერით აივსონ. საინტერესოა, გრძნობენ თუ არა ისინი, რომ გასკდომის პირას არიან, როცა ამ განაცხადს ამოუშვებენ. ლომის ღრიალი ხომ თითქმის რვა კილომეტრზე ისმის წყნარ ღამეში და თავის გზაზე მიმავალი ადამიანებისა თუ სხვა ქმნილებების გულებს არყევს. იგი მაშინვე გარს შემოგერტყმის და ყოველგვარ საქმიანობას მეყსეულად გაწყვეტინებს თავისი შიშისმომგვრელი საოცრებით.

ასევე ჩვენც, ღვთის ძუ ლომებს თუ გვსურს ასეთი სიმძლავრის ხმის ამოშვება, ამჟამინდელი მდგომარეობის შეცვლა დაგვჭირდება. ღრიალის ამოსაშვებად მაღლა აწეული თავები ძირს უნდა დავხაროთ და მოვიდრიკოთ. თავმდაბლობისა და ლოცვის პოზა ისეთ მდგომარეობაში აღმოგვაჩენს, რომ ღვთის სულის მაცოცხლებელი სუნთქვით ავივსებით. დარწმუნებული ვარ, დაღრიალებას მაშინ შევძლებთ, როცა ღვთის სულის შედინება გადააჭარბებს მისი სიცოცხლის სისავსის დატევის ჩვენეულ უნარს.

თუმცა ძუ ლომის ღრიალისგან განსხვავებით, ჩვენი ღრიალი უბრალო ხმაზე გაცილებით მეტ შედეგს მოიტანს. ჩვენი განაცხადი დამატყვევებელი სიტყვების, საქმეების და რწმენის ნაბიჯების ღვთიური ნაზავი იქნება. როცა რწმენის, იმედის და

სიყვარულის უხილავი მხარეები პიროვნებისთვის ხელშესახები გახდება და მსოფლიოს საჭიროებებსა და ღვთის სიყვარულზე ჩვენს ერთიან პასუხში გამოიხატება, ჩვენს ღრიალს გაიგონებენ. როცა ჩვენს ლომს მივბაძავთ, ქვეყნიერება მოისმენს მის ღრიალს. შემდეგ ყველა წამოიძახებს: „თაყვანი ეცით ერთადერთ ღმერთს!“

ჩვენი მსოფლიო სავსეა სხვადასხვა სახის ღრიალით. როცა ღრიალის კონცეფციას ვიკვლევდი, ბევრი ღრიალის შემძლე აღმოვაჩინე. ოკეანე ღრიალებს. ველური მბორგავი ქარიც ღრიალებს. ჩანჩქერები ღრიალებენ, როცა წყლის უზარმაზარ სვეტებს დიდი სიმაღლიდან ისვრიან. აღელვებული ფანები სტადიონებზე ღრიალებენ.

ზეციურ ტახტთან მდგომი ოთხი ქმნილება გრგვინავს: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა“ და მათი ხმა ზეცის კარიბჭეებს აზანზარებს (ეს. 6:4). დედამიწაზე მათ სიტყვებს სიმღერების ფორმით ვიმეორებთ, მაგრამ წმიდა ღმერთის შესახებ განაცხადი თავდაპირველად ღრიალის სახით მოდის.

ჩვენი უზნაესი ღმერთი, ყოვლის უფალი ... ღრიალებს.

> „მაღლიდან დაიღრიალებს უფალი ლომივით, თავისი წმიდა სამყოფელიდან გამოსცემს ხმას“ (იერ. 25:30, თარგმანი *Message*).

და კიდევ ერთი:

> „ღმერთი ვარ მე და არა კაცი, წმიდა ვარ თქვენს შორის და რისხვით არ მოვალ. უფალს გაჰყვებიან, ლომივით დაიღრიალებს იგი, დიახ, დაიღრიალებს და მისი ძენი თრთოლვით წამოვლენ დასავლეთიდან“ (ოს. 11:9-10)

რა აძლიერებს ბგერას ისე, რომ აღარ შეიძლება მისი წოდება ჩურჩულად, ხმაურად, ყვირილად და ძახილად? ნუთუ მხოლოდ ხმის აწევა იძლევა ღრიალის ეფექტს, რომელიც თავისი ძალით გვანცვიფრებს?

ᲘᲒᲘ ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, აღმოვაჩინოთ ჩურჩულის დინამიკა.

მეფსალმუნე წერს:

> „გავიგონე უნაზესი ჩურჩული მისგან, ვინც მეგონა, რომ არასოდეს დამელაპარაკებოდა“ (ფს. 80:6, თარგმანი *Message*).

აქ მეფსალმუნე აღწერს ღვთის ჩურჩულის განცდის საოცრებას. იქნებ მან ადრეც აღწერა და უმღერა ღვთისადმი ერთგულებას? შესაძლოა, ამ ფსალმუნში იგი ხელახლა იხსენებს საოცრებას, როცა ღმერთთან მისი მოზიარეობა დაიწყო. ჩვენ ვერ ვიცნობთ იმას, რაც ადრე არ გაგვიგონია. დავითმა პირველად ყმაწვილობისას მოისმინა ღვთის სიტყვა, როცა მწყემსი იყო და ამის შემდეგ ყველგან ესმოდა ღვთის ხმა. ღვთის სიტყვას „ყველაზე ნაზი ჩურჩული“ ეწოდება. დიდებული ღმერთი ნაზ ნახევარტონებში ლაპარაკობს, რითაც ხაზს უსვამს ჩვენი ადამიანური ცხოვრების სასტიკ რეალობას.

ამრიგად, ჩვენი მიწვევა სიწყნარეს გულისხმობს: შეჩერდით და გაიგეთ, რომ მე ვარ ღმერთი!“ (ფსალმ. 46:10)

დარწმუნებული ვარ, რომ უზენაესმა ღმერთმა და ყველაფრის შემოქმედმა იცის, რომ მისი შვილები მოიხიბლებიან და დამშვიდდებიან მისი ჩურჩულით.

აღმოვაჩინე, რომ მოჩურჩულე ღმერთის იდეა უფრო გასაოცარია, ვიდრე ღმერთისა, რომელიც ყვირის. მისგან ალბათ ქუხილის მსგავსი ხმა უფროა მოსალოდნელი, ხოლო ჩურჩული – გასაკვირი. ღმერთი ნაზი ხმიანობით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. როგორც უფსკრული გასძახის უფსკრულს, ღვთიური ჩურჩული შემოქმედის ხმის ექოა, რომელიც მის შვილებში, ქმნილებებში გახმაურდება.

ელია ღმერთს ქარში, მიწისძვრაში, ცეცხლში ეძებდა, მაგრამ იგი ჩურჩულში აღმოჩნდა (იხილეთ 3 მეფ. 19:12). როცა ელიამ წყნარი, ჩუმი ხმა გაიგონა, გამოვიდა მღვიმედან და ყური მიუგდო, რაც ღმერთმა უთხრა.

მშვიდ ხმას საფუძვლიანი და სიღრმისეული ნათქვამის გადმოცემა შეუძლია მათთვის, ვინც საკმაოდ მშვიდია მოსასმენად. ამ სიწყნარეში ჩვენს სულს ესმის მამა ღმერთის გულისხმიერი ჩურჩული. ყოველ ჩვენგანს სწყურია ღვთის ხმის მოსმენა. შექმნილი ხართ იმისთვის, რომ შემოქმედის ხმა გესმოდეთ. მიეცით მას უფლება, რომ თქვენი სულის სიღრმეებს ელაპარაკოს და თქვენი გულის წადილი აღასრულოს.

დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ლაპარაკს ყოველთვის ჩურჩულით იწყებს. ყველაფერი ხმამაღალი ჩურჩულით იწყება. როცა ორსულად ვიყავი და ჩემში არსებული მოძრაობა შევიგრძენი, ეს მომავალი ბავშვის ჩურჩული იყო. ტირილი შინაგანი ჩურჩულით იწყება. შესაძლოა, პირველად გაიგონეთ ღვთის ნაზი ხმა შინაგანი ტირილის პასუხად: „ღმერთო, მშიერი ვარ, შეშინებული და მარტოსული."

იგი პასუხად გეჩურჩულება, „ნუ გეშინია. აქ ვარ, შვილო."

ზოგჯერ ქალს ჩურჩულის სიმბოლოდ წარმოვიდგენ. დედა არწევს შეშინებულ ბავშვს, მაგრამ კი არ უყვირის, ჩასჩურჩულებს. წლების განმავლობაში მესმოდა, როგორ ჩურჩულებდნენ ღვთის ასულები, როცა მათ შინაგანში რაღაც იღვიძებდა. თითქმის სამი ათწლეულია ჩემს ქმარს ვეჩურჩულები საწოლში. ღამის საფარქვეშ და თბილ საწოლში ხმამაღლა ლაპარაკი თითქოს შეუფერებელია. ეს გახლავთ ჩურჩულის, დასვენებისა და ახლო ურთიერთობის ადგილი.

ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ თაყვანისცემის მსახურებაზე ვჩურჩულებდი, როცა ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად ერთმანეთის გვერდიგვერდ ვისხედით. ჩუმად ჩავილაპარაკებ, როცა რაღაც უხეშს და არასწორს გავიგონებ. „ეს არასწორია", ვჩურჩულებ. ჯონი და ჩემი ბიჭები თავს მიქნევენ და ზოგჯერ მხარზე ხელს მითათუნებენ გაგების ნიშნად, „გვესმის, რა დღეში ხარ. საჭირო არ არის ხმამაღლა თქმა."

ვჩურჩულებ, როცა იძულებას ვგრძნობ. არასწორი მეჩვენება, გავჩუმდე და არ დავუპირისპირდე მეტისმეტად მცირეს, მეტისმეტად გამორჩეულს, დამახინჯებულს ან უბრალოდ, მცდარს. შესაძლოა, ეს არის ჩემი ფუნქცია. უნდა დავიჩურჩულო ჭეშმარიტება, რომ ცუდი თესლი ჩაახშოს და ფესვები ვეღარ გაიდგას. ჩემი ჩურჩული უარყოფს იმას, რაც ხმამაღლა ითქვა

ვჩურჩულებ, როცა არ ითქვა ის, რაც ღმერთმა მე მიჩურჩულა და გამოკვეთა ჩემს ცხოვრებაში. ეჭვგარეშეა, თქვენც გქონიათ მსგავსი გრძნობა. თუ ღვთის ჩურჩული გაგიგონიათ, გეცოდინებათ, რომ ის წმიდა და თქვენი ყურადღების ღირსია. ხშირად ქადაგების ან სწავლებისას უბრალოდ ვიმეორებთ სხვებისგან ნასწავლს. საქმე სულ სხვაგვარადაა, როცა ღმერთი ლაპარაკობს. მისი ჩურჩული ზედაპირულად მისაღები არ არის და პატივისცემა გვმართებს.

ღმერთი ეჩურჩულება მის ძეებს და ასულებს. გრძნობთ, რომ დადგა დრო და ჟამი, როცა უნდა იჩურჩულოთ და თავადაც მოისმინოთ ღვთიური ჩურჩული? შესაძლოა, ახლაც

გესმით იგი. ჩურჩული იდუმალებისა და წინასწარმეტყველების დიალექტია.

ათასობით წლებია, რაც ღვთიური ნაზი ხმის ძიება ხდებოდა, მაგრამ პასუხად ხშირად სიჩუმეს იღებდნენ.

> „მრავალი წინასწარმეტყველი და მეფე მარჯვენა მკლავს გაიღებდა, რომ ენახა, რასაც თქვენ ხედავთ, მაგრამ თვალიც ვერ შეავლო, და ესმინა, რასაც თქვენ ისმენთ, და ჩურჩულიც ვერ მოისმინა“ (ლუკ. 10:24, თარგმანი, *Message*).

ძველი წინასწარმეტყველები და მეფეები ესწრაფოდნენ მის მოსმენას, მაგრამ ღმერთი კი ჩურჩულებდა. ისინი ცდილობდნენ როგორმე ცალი თვალით მაინც დაენახათ მომავალი, მაგრამ მათ ჰორიზონტზე არაფერი ჩანდა. არსაიდან ისმოდა ხმა, ხილვა ან სახება, არაფერი, რაც აიძულებდა გარშემო მყოფებისთვის ეკითხათ, „გაიგონე?“

დადგა დრო, როცა სიტყვა მოვიდა, მაგრამ არა ჩურჩულის, არამედ პიროვნების სახით. ჩურჩულით ნათქვამი სიტყვა გახდა ხორცი და ხმამაღლა ლაპარაკობდა ხალხში სიარულის, შეხების, სწავლების, განკურნების და მკვდრეთით აღდგომისას. სამწუხაროა, რომ მათ, რომელთაც ძალიან უნდოდათ მოსმენა, აღარ აქვთ ყურები სასმენად. მათ ვერაფერი გაიგონეს, რადგან ღმერთი სხვაგვარად გამოიყურებოდა და ლაპარაკობდა, ვიდრე ისინი მოელოდნენ. იესომ უჩურჩულა მებაჟეებს და მეთევზეებს და ხმამაღლა შესძახა ფარისევლებს.

ნაცვლად იმის, რომ ბაგეებით ეთქვა, ვინ იყო და რისთვის მოვიდა, იესომ ეს საკუთარი სიცოცხლით გააცხადა. იგი საქმეებით იმაზე ხმამაღლა ლაპარაკობდა, ვიდრე სიტყვებით ამის გამოთქმა შესაძლებელი იქნებოდა.

ჩურჩულიდან ყვირილამდე

ბევრი ჩვენგანის მსგავსად, ჩემი მეგობარი ბობი ჰიუსტონიც ისმენს ზეციურ ხმას და უყურებს, როგორ აყალიბებს უზენაესის სული მისი ასულებისთვის დავალებას. მან დაიჭირა ის, რასაც ბევრი ჩვენგანი ხედავს ამ პოეტურ სიტყვებში:

ღვთიური ჩურჩული ყვირილად იქცა.

მსოფლიოს ქალები ამ სიტყვებზე რეაგირებენ.

სულ უფრო მეტ და მეტ ღვთის ასულს ესმის მისი ჩუმი ხმა. მაინც, რაში მდგომარეობს ღვთის ჩურჩული? რატომ მაღლდება მისი ხმა? ერთიანი ღაღადი ისმის სამართლისთვის, რამაც ჩვენი იმედის გამოცხადება მოიტანა. როცა ღვთისმშობელმა მარიამმა ღვთიური ხსნის აღთქმა მიიღო მისი ხალხისთვის, გულში საგანძურივით შეინახა. დღეს ღვთის ასულები მზარდი რაოდენობით აცხადებენ სიცოცხლესა და თავისუფლებას, რაც უფალმა უკვე ჩათესა მათ გულებში. ამის შედეგად, ის, რაც ცალკეულ ადამიანთა გულებში ჩურჩულის სახით დაიწყო, ერთობლივ შეძახილად იქცა. სიტყვა ამაღლდა სიჩუმის ხანგრძლივი დაცვის შემდეგ.

> „რასაც ჩურჩულით მოისმენთ, ერდოებზე იქადაგეთ“ (მათ. 10:27)

იესომ ჯერ ჩურჩულით თქვა და მისმა მოწაფეებმა კი გაახმოვანეს. მან შინაგანი წვდომა და სიბრძნე ვიწრო წრეს გაუზიარა და შემდეგ მათ საიდუმლოდ ნათქვამის საჯაროდ გაცხადება დაავალა.

დარწმუნებული ვარ, დედამიწაზე ის პერიოდი დადგა, როცა გუშინდელი ღვთიური ჩურჩული ხვალინდელ ყვირილად გადაიქცევა. დარწმუნებული არ ვარ, რომ ამის პოტენციურ მასშტაბებს ვაცნობიერებთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი თქვენგანი ახლა დაძაბული ისმენს. რაც უფრო ახლოს მოხვალთ, მით მეტად გაიგონებთ სუსტ ხმაურს – შინაგან ძვრებს.

ღვთის ჩურჩული ისეთი მომხიბვლელია, რომ შეიძლება შეშინდეთ კიდეც!

ისეთი გამომწვევია, რომ მისი გაყოლის შედეგებმა, შეიძლება, იზოლაციაშიც მოგაქციოს!

იმდენად დიდებულია, რომ თუკი ერთხელ ამოძრავდა, მისი გაჩერება შეუძლებელი იქნება!

> „ცის სვეტები თრთიან და ძრწიან მის შერისხვაზე;
> თავისი ძალით დააცხრო ზღვა და
> თავისი გონებით შემუსრა ქარიშხალი
> (ზღვის ურჩხული);
> მისი ერთი ამოსუნთქვით მოიწმინდა ცები,
> ერთი თითით განგმირა გაქცეული გველი;
> აჰა, ესენი მისი გზების დასაწყისია მხოლოდ და

> მისი მმართველობის უბრალო ჩურჩული!
> რას ვიზამდით, ძლიერებით რომ დაეგრგვინა?“
> (იობ. 26:11-14 თარგმანი *Message*).

მართლაც ... რას ვიზამდით? ალბათ, შიშით ავკანკალდებოდით, მაგრამ ისინი, რომლებიც იცნობენ და ენდობიან მის ჩურჩულს, არ შეეწინააღმდეგებოდნენ მის გვრგვინვით მოსვლას. ჩვენი გულის სიღრმეში არსებული რაღაც მოკრძალებით მოისმენდა, როცა იგი ხმას აუმაღლებდა. მთელი ეს ველური ძლიერება და ღვთიური მმართველობა ჩურჩულის დონეზე მოქმედებს. მისი ამოსუნთქვა ცებს წმენდს!

როცა ღმერთმა პირველად ჩამჩურჩულა სიცოცხლე, თავისუფლება, იმედი, ძალა, მგზნებარება, ფასეულობა და სილამაზეც კი, ცოტა არ იყოს, დავიძაბე. მან მაშინ შემომთავაზა გაფართოება, როცა მეგონა, რომ გაშლისა და ზრდისთვის სივრცე აღარ არსებობდა.

ჩემი შეშფოთების საუკეთესოდ აღწერა ალბათ ასე შეიძლება: ვთქვათ, გაიგონე ჩურჩული, რომელიც გაცილებით მეტს ნიშნავს შენი ცხოვრებისთვის, ვიდრე მიმხვდარხარ, რომ ეს ყევლაფერია, რის გარეშეც შენი ცხოვრება ნამდვილი ვერ იქნებოდა. ჩურჩული ეწინააღმდეგება იმას, რაც საჯაროდ გაცხადებული გაგიგონია.

და მაინც, ჩურჩული რაღაც იდუმალის, სიღრმეული ადგილისკენ გიბიძგებს და აღვიძებს აქამდე გამოუხატავ სწრაფვას. იგი გაცილებით მართალი გეჩვენება, ვიდრე ტელევიზორში მოგისმენია ან წიგნებსა და ჟურნალებში წაგიკითხავს. ნაჩურჩულები გამოცხადების მიღების შემდეგ იგივე აღარ ხარ, რაც აქამდე იყავი. მოულოდნელად ხვდები, რომ ერთი თვის, კვირის ან თუნდაც ერთი დღის წინანდელი ადგილები, ურთიერთობები და საუბრები უხერხულობას გიქმნის, თუმცა ადრე სრულიად მისაღები იყო.

როცა პირველად გავიგე ღვთის ჩუმი ხმა, სწორედ ასე მოხდა. რაღაც დონეზე ვხვდებოდი, რომ კავშირი გამიწყდა იმასთან, რაც აქამდე ვიცოდი, მაგრამ რწმენა არ დამიკარგავს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გარიყული ვიყავი, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, რატომ ან როგორ მივსულიყავი ჩემს მომდევნო ნავსაყუდელში. რაც ადრე სტაბილური მეჩვენებოდა, ახლა დაუდგენელი, გაურკვეველი და უხერხული იყო. ერთადერთი გარკვეულობა ჩემს ცხოვრებაში ის გახლდათ, რომ რაღაც შეიცვალა და იგივენაირი ვეღარ ვიქნებოდი.

დიახ, ჩურჩულს აქვს იმისგან შენი სწრაფად გამოყოფის ძალა, რაც აქამდე იცოდი – და ზუსტად ამგვარი გზით. ზოგიერთმა ამას შეიძლება ეპიფანია (ღვთის გამოცხადება) უწოდოს, სხვებმა – თვალთახედვის შეცვლა.

როცა ღვთის ძიებას ვიწყებ, იგი ჩურჩულით მპასუხობს.

„ყური მომაპყარ და ჩამჩურჩულე შენი პასუხი; ძალიან მჭირდები“ (ფსალმ. 55:2, თარგმანი, *Message*).

მის პასუხებს გარკვეულწილად, გაყოფა მოაქვს და რაღაც დროით უხერხულობას გიქმნის. სწორედ ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი, რომ ღვთის ჩურჩულის გაგებისას სიმშვიდე შევინარჩუნოთ, მოვუსმინოთ და კარგად გავიგოთ შინაგანად.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი წერდა: „ბგერები ხმიანობენ, ყვირიან და ბობოქრობენ, სანამ მე მათ ნოტებად არ ვაქცევ.“[1] რა მოხდებოდა, თუ არ ჩაწერდა შიგნით მოსმენილ ხმებს? არა მარტო მოგვაკლდებოდა მისი გენიალური მუსიკა, არამედ დამატყვევებელი ბგერების სიმფონიით აღძრულ ფიქრებს, სიყვარულს, ოცნებებს და შთაგონებასაც დავკარგავდით.

როცა ღვთიური ჩურჩული ჩემში ფიქრების ორომტრიალს წარმოქმნის, ვერ ვმშვიდდები, სანამ ყველაფერს არ ჩავიწერ. ზეციდან შთაგონებული ნაზი ხმის დაჭერის მრავალი გზა არსებობს. ზოგიერთი ჩვენგანი სიტყვის სახით იწერს ხმას; სხვები მას მუსიკად გარდაქმნიან. ვიღაცამ შეიძლება იგი ქადაგების, დრამის ან მოთხრობების სახით გაახმოვანოს, რომელიც მის შინაარსს გადმოგვცემს. იქნებიან ისეთებიც, რომლებიც კრეატიულ ჩურჩულს ხელოვნებასა და არქიტექტურაში გამოხატავენ, რასაც ჩურჩულის ფორმა და ფუნქცია ეძლევა.

მეთოდის შერჩევას მნიშვნელობა არ აქვს, მისი ჩაწერა კი აუცილებელია.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲮᲛᲘᲐᲜᲔ ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲘ

ყველას გაგვიგია გამოთქმა, „იცხოვრე ხმააღლა“, მაგრამ ეს ფრაზა მინდა შევავსო. იცხოვრე ხმამაღლა იმით, რაც შინაგანად გაქვს.

რალფ უალდო ემერსონმა თქვა: „ვერც ერთი ჩვენგანი ვერ მიაღწევს ვერაფერს აღმატებულს და ბიძგის მომცემს, თუ არ მოუსმენს ჩურჩულს, რომელიც მას ერთადერთს ესმის.“

ისწავლე მოსმენა და საკუთარ სულში ჩაღრმავება. სხვებს

ნუ სთხოვ გითხრან ის, რის მოსმენაც მხოლოდ შენ შეგიძლია. ამის გაკეთებით მათ მიანიჭებ შენს გულში გახმიანებულ ღვთის ჩურჩულზე მეტ ძალაუფლებას. პატივი მიაგე ღვთის ჩურჩულს და დრო გამოყავი იმის მოსასმენად, რაც შენს აღმატებას მოემსახურება.

ხშირად მარტონი ვართ, როცა ჩურჩულს ვისმენთ. თუმცა არ ვართ ერთადერთნი, ვისაც მოსმენა შეუძლია. ღმერთს ყველასთან ლაპარაკი სურს, ვინც საკმარისად წყნარად იქნება იმისთვის, რომ მოისმინოს. ამისთვის საჭიროა ხანგრძლივი პაუზის გაკეთება, რომ მოისმინო სულიწმიდის ხმა და შემდეგ მისი სიტყვები ძლიერებით დაიჭირო. როცა ჩვენი წილი ჩურჩულის გამოხატულებას გავითავისებთ, მზად ვიქნებით სხვების ჩურჩულის ამოსაცნობადაც. წყნარად მოსმენის პერიოდი შეიძლება მოუხერხებელი იყოს, მაგრამ ეს პროცესი უნდა გავიაროთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი თავი უსაფრთხო ნავსაყუდელთან დაკავშირებული და იქითკენ მიმართული დავინახოთ.

განმარტოებით მოსმენის სეზონი 2006 წლის ბოლომდე გამიგრძელდა, როცა ფილიპინებში აღმოვჩნდი ძლიერი და კეთილი ქალების – ჰელენის, ბობის, ლიზასა და დებორას საზოგადოებაში. ჩვენ ყველანი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოვედით სასწავლო კურსში მონაწილეობის მისაღებად, რომლის მიზანი მსოფლიოს ქალებისთვის ღირსებისა და ძლიერების მოტანა იყო.

ვერც კი წარმომედგინა, რომ ჩემი გამოსვლა ასე რადიკალურად შეიცვლებოდა ამ კონფერენციაზე. უფალთან შეხვედრამ იმდენად არ შეცვალა ჩემი ნათქვამი, რამდენადაც მისი გამოხატვის სტილი. ვფიქრობ, 2006 წლის ბოლოს ჩემს სიტყვებში ნაკლები კითხვები და ბოდიშები ისმოდა.

კონფერენციის შემდეგ უფრო დავუახლოვდი ღმერთს და მივენდე მის ჩურჩულს. აქამდე უფრო შინაგანი დაპირისპირებები, იზოლაციის გრძნობა და მარტოობა მტანჯავდა.

განრიგის თანახმად პირველი მე უნდა გამოვსულიყავი. როცა დავასრულე, დავჯექი და გულისყურით ვუსმენდი სხვა ქალების გამოსვლას. ქადაგება ქადაგებაზე მიდიოდა და თან სიცოცხლე იღვრებოდა ჩემს გადაღლილ, კითხვებით გაწამებულ სულში. თითქოს თითოეული ქალი ხმამაღლა გამოხატავდა ჩემს ჩურჩულებს და საიდუმლოებებს, როცა სრული სიცხადით, ძალით, ცხებულებით და სიკეთით ლაპარაკობდა. ცრემლებს ვერ ვიმაგრებდი, რომლებიც ლოყებზე მოგორავდ-

ნენ და ჩემი სამშვინველის გამომშრალ ადგილებს არწყულებდნენ. ჩემს სწრაფვას და კითხვებს პასუხი გაეცა.

ბოლო სესიის შემდეგ რამდენიმე ქალთან ერთად სასტუმროში დავბრუნდი. ბორძიკით ვცდილობდი სიტყვებით გამომეხატა ის, რაც ჩემში ხდებოდა.

– ეს ზუსტად ის არის, რაც დაწერე და რაზეც ილაპარაკე,

– კომენტარი გააკეთა ბობიმ.

ქალი მართალი იყო, მაგრამ აქამდე არ მომისმენია ეს სიტყვები სხვათა მიერ ხმამაღლა გამოთქმული. წლების მანძილზე მეგონა, რომ მარტო ვიყავი და დახურულ სივრცეში ვლაპარაკობდი. იქედან გამოხედვა შემეძლო, მაგრამ გამოსვლა შეუძლებლად მიმაჩნდა, სანამ ვიღაცამ კარები არ გააღო და არ მომიწვია ფართო, ღია სივრცეში, რომელიც სინათლითა და სიცილით იყო სავსე.

ბობი გადმომწვდა და ფეხზე ხელი დამკრა: „ახლა მარტო აღარ ხარ.“ თავი დავუქნიე და ავტირდი. თავს ბავშვივით ვგრძნობდი, მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებად მაღელვებდა. ის ღამე მნიშვნელოვანი ნიშნული იყო. დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩემს სიმარტოვეს ვაცნობიერებდი, სანამ რაღაცის ნაწილი არ გავხდი. მართლაც შევუერთდი დებს, რომლებიც ძმებს ტოლს არ უდებდნენ და ერთად ცდილობდნენ მსოფლიოს შეცვლას. იმ ადამიანებთან დაკავშირება, რომლებმაც იგივე ჩურჩული მოისმინეს, ძალის მომცემი, საოცარი და განმათავისუფლებელი იყო.

შესაძლოა, თქვენც განიცადეთ მსგავსი რამ. როდისმე გიგრძვნიათ, რომ გარედან შიგნით იყურებით და უცებ აღმოაჩინეთ, რომ უკვე შიგნით ხართ? ასულო, დაო, დედავ და მეგობარო, იცოდე რომ, კუთვნილება ხარ. მარტო არ ხარ და არც არასოდეს ყოფილხარ. გიყურებენ და გესალმებიან ყველანი, რომლებიც შინაგანად ღვთის ჩურჩულს ატარებენ.

ეს მიკუთვნება იმიტომ არ მოხდა, რომ სხვებმა შეამჩნიეს დაუპატიჟებელი რომ იყავით და თავაზიანობის გამო თავი მოვალედ ჩათვალეს. სრულებითაც არა! თქვენ მათი ნაწილი ხართ, რადგან დედამიწაზე წამომდგარი ქალებისა და მამაკაცების საზოგადოებას ეკუთვნით.

> „თქვენ ერთერთი ჩვენგანი ხართ. გაქვთ წმიდის ცხებულება და იცით ყველაფერი. იმიტომ კი არ გწერთ, რომ არ იცოდით, არამედ მინდა დაგიდასტუროთ ჭეშმარიტება, რომელიც იცით და შეგახ-

> სენოთ, რომ ჭეშმარიტება სიცრუეს არ შობს“ (1 იოან. 2:20-21)

მთელ ქვეყნიერებად ღირდა ჩემთვის იმის აღმოჩენა, რომ მიღებული ვიყავი. ვმოგზაურობდი და ყოველ კვირა ასობით ქალს ვუქადაგებდი, მაგრამ თავს სტუმრად ვთვლიდი. ყოველთვის სტუმრობის და უცხოობის გრძნობა ზოგჯერ ძალიან მთრგუნავდა. მოდით, ყველაფერს წერტილი დავუსვათ, საყვარელო. შენ არ ხარ სტუმარი – შენ ოჯახს ეკუთვნი. როცა მრავალნი ერთიანდებიან, სიტყვები ერთმანეთს ეხმიანებიან, ურთიერთობები მყარდება და ხმა თანდათან ზემოთ იწევს. ამგვარი ჩურჩული შეკავშირებისთვის მოგვიწოდებს.

რას ვიტყვით შეძახილზე?

> „ნუ აიმაღლებთ და ნურავის გააგონებთ თქვენს ხმას, სიტყვა არ დაგცდეთ ბაგიდან იმ დღემდე, ვიდრე არ გეტყვით: დაეცით ყიჟინა! მაშინ დასცემთ ყიჟინას“ (ი.ნ. 6:10)

სწორი დროის შერჩევა მნიშვნელოვანია, როცა ჩურჩულის ყიჟინაში გამოხატვის აზრი მოდის. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე, სადაც სტრატეგიული და საშიში ჟამი დგება. ღმერთი საიდუმლოდ უვლის ზოგიერთ საგნებს გარშემო და როცა შესაბამისი დრო დადგება, იერიხოს მსგავსად დასცემს მათ ერთობლივი ყიჟინით.

> „ვინაიდან თვითონ უფალი გადმოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმაზე და ღვთის საყვირზე“ (1 თეს. 4:16)

მის ხმაზე სიკვდილისა და ნგრევის მეფობა გაცამტვერდება.

ისრაელიანებმა შვიდჯერ შემოუარეს იერიხოს, სანამ ყიჟინის ძალა მოეცემოდათ. ასევე ძუ ლომებიც არ დაიღრიალებენ, სანამ არ დარწმუნდებიან მათი ჩასაფრების საიმედოობაში. აქ მნიშვნელოვანი ღრიალი და ხმის ამაღლება კი არ არის, არამედ სტრატეგიული მოქმედება. არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა გამოსცეს ხმა, თუ დავალების შესაბამისი ძალით შესრულების მდგომარეობაში არ იმყოფება.

ყველა ჩურჩული როდი უნდა გავზარდოთ ყიჟინის დონემდე.

„მსგავსად ფეხმძიმე ქალისა, მშობიარობის მოახლოებისას რომ იტანჯება და კივის ტკივილისგან“ (ეს. 26:17)

წლების განმავლობაში ვიტანჯებოდით ტკივილისგან ინდივიდუალურად თუ ერთობლივად, მაგრამ ტკივილის კივილი პასუხი არ არის. პასუხია მშობიარობის ტკივილების მეშვეობით სიცოცხლის შობა. მოდით, დავუბრუნდეთ მშობიარობას, ზიანსა და ტკივილსაც კი, რომ ვშვათ ძლიერი და მგზნებარე ასულების თაობა.

ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ ᲦᲠᲘᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ

ყვირილი ყველას შეუძლია, მაგრამ ყველა ვერ დაიღრიალებს, ყოველ შემთხვევაში, სანამ ამის დრო არ დადგება.

ამრიგად, ზუსტად რაში მდგომარეობს ღრიალი? ღრიალი არ გახლავთ მაქსიმალური ყვირილი. პირველ რიგში, იგი არის უშიშარი განაცხადი. ღრიალი არის რაღაც პირველყოფილი, მოუთოკავი და ცოტათი ძნელად მისახვედრი. ყველა ჩვენგანს აქვს დაღრიალების პოტენციალი, მაგრამ არა როგორც ცალკეულ ადამიანებს. დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანთა ღრიალი ერთობლივი გამოხატულებაა, რომელიც უბრალოდ, ხმების ერთობლიობაზე მეტია. ეს გახლავთ იმ ადამიანთა ხმა, რომელთა ცხოვრებაში ხმამაღალი რწმენა ჩანს და ღვთის სიყვარულსა და იმედს უზიარებენ სხვებს.

ალბათ, ზოგიერთ თქვენგანს ახსოვს ჰელენ რედის სიმღერა 1970-იანი წლებში, რომლის ტექსტში ასეთი სიტყვებია: „მე ქალი ვარ, მოისმინეთ ჩემი ღრიალი!“ გთხოვთ, სწორად გაიგოთ, რომ მხოლოდ ქალები არ ღრიალებენ. არც იმისკენ მოვუწოდებ ქალებს, რომ მამაკაცებს დაუღრიალონ ან პირიქით, მამაკაცებმა – ქალებს. მჯერა, დადგება დრო, როცა ხმებს ავიმაღლებთ და ერთად დავიღრიალებთ!

ახლაც კი მესმის სულში, „მოემზადეთ ასულებო, რადგან ერთობლივად თქვენ ყიჟინს ღრიალად გადაქცევის პოტენციალი აქვს, რომელიც დედამიწაზე გაისმება და ზეცის წინასწარჭვრეტას გამოათავისუფლებს.“ როგორც უინსტონ ჩერჩილმა თქვა: „ლომი არ ვარ, მაგრამ წილად მხვდა ლომივით დაღრიალება.“

ასევე, ჩვენც არ ვართ ლომები, მაგრამ წილად გვხვდა, გამოგვეცა ჩვენი ლომის ღრიალი. ერთადერთი იესოა ქრისტე

და იუდას ლომი. ჩვენ მისი მიმდევრები ვართ, რომლებიც მის ღრიალს ვახმოვანებთ. რამ აიძულა ჩვენი უფალი ლომი, რომ დაეღრიალა? დარწმუნებული ვარ, ამის მიზეზს შევიტყობთ, როცა გამოვიკვლევთ, რატომ ღრიალებენ ხვადი და ძუ ლომები ველურ ბუნებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე სქესის დიდი კატა ღრიალებს, თითოეულის ღრიალი განსხვავებული წარმოშობისაა. ხვადი ლომი, პირველ ყოვლისა, იმისთვის ღრიალებს, რომ ტერიტორიაზე განაცხადს აკეთებს და იცავს მას. როცა ჩამობნელდება, წინამძღოლი ლომი (ან ლომები) წამოიმართება, თავს დახრის, მკერდს გაბერავს, ღამის ჰაერს შეისუნთქვავს და დაიღრიალებს. ეს ხმა მის სამეფოს უცხადებს შემდეგს: „მე ფხიზელი, ძლიერი და აქ მყოფი ვარ. მზად ვარ დავიცვა ჩემი ტერიტორია და პრაიდის ოჯახი მათგან, ვინც ჩემს გამოწვევას გაბედავს. არ დავმშვიდდები, თუ ვინმე შეეცდება მომტაცოს ჩემი ძუ ლომები ან ბოკვერები. ჩვენი საკვები უკანონოდ მონადირე თაღლითს არ შეხვდება, რომელიც ჩვენი ოჯახის წევრი არ არის.“

ლომის ღრიალი აფთრებს აფრთხობს. მისი ძალა იგრძნობა შიგნით და გარეთ, და ყველას აფრთხილებს, ვინც სიბნელეშია დადარაჯებული. შევიწროებას არ მოითმენენ. ღრიალი აშინებს მომხდურებს და საზღვრებს აწესებს.

ლომები იმისთვისაც ღრიალებენ, რომ პრაიდის წევრები მოძებნონ. ღრიალი ამბობს: „მე აქ ვარ. შენ სად ხარ?“ მონათესავე ძუ და ხვადი ლომები ღრიალითვე პასუხობენ.

ღრიალის ძალა და ხმა ბევრ რამეს ავლენს ლომის ხასიათში. ღრიალი შეესაბამება ზომას, ასაკს და ფიზიკურ მდგომარეობას. არსებითად, ღრიალი ამბობს, „ვიცი ვერ მხედავ, მაგრამ გესმის და გრძნობ ამას? ჩემთან რაიმე არ შეგეშალოს!“ და ბოლოს, ლომები ღრიალებენ, როცა განრისხებული არიან.

ამ სიტყვების წერისას არ შემიძლია არ ვიფიქრო, როგორ იყო იესო სავსე ღვთის სახლისადმი მოშურნეობით. გვაქვს ასეთი მგზნებარება, რომ დავხაროთ თავები, ავივსოთ სიცოცხლით და გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ მასთან ურთიერთობაში ვართ?

ახლა, რა აიძულებს ძუ ლომს, რომ იღრიალოს?

ხვადი ლომის მსგავსად, ძუც ღრიალებს ტერიტორიაზე განაცხადის გაკეთებისა და დაცვისას, ასევე პრაიდის სხვა წევრებთან ურთიერთკავშირის დასამტკიცებლად. იგი ღრიალით აწვდენს ხმას სხვა ძუ ლომებს დახმარებისა და დაცვისთვის

და მტრის შემოტევის თავიდან ასაცილებლად. იგი ღრიალებს დაკარგულ ან მოხეტიალე ბოკვერებთან დასაკავშირებლად. თუმცა ძუ ლომის ღრიალის უმთავრესი მიზეზი ბოკვერების დაცვაა.

ამის საილუსტრაციოდ ძუ ლომის ღრიალის მიზეზების ორწლიანი კვლევის შედეგებს დავესესხები.

> ჩანს, რომ ძუ ლომების ერთად შეკრება უზრუნველყოფს ბოკვერების საუკეთესო დაცვას. უფრო მეტიც, ისინი პატარებს პოტენციური ბოკვერების მკვლელი მამრებისგან იცავენ. ძუ ლომებს ერთიანი ღრიალით მინიმუმამდე დაჰყავთ შესაძლებლობა, რომ ასეთი შეხვედრა საერთოდ შედგეს.[3]

ძუ ლომები ერთიანად იმიტომ ღრიალებენ, რომ მარტოხელა ძუ ლომის ღრიალმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს უცხო ხვადი ლომი, რომელიც მათი პრაიდიდან არ არის და მასთან შეწყვილება მოინდომოს. ყველაზე მეტად ძუ ლომებს რომელიღაც მამრის შემოტყუება არ სურთ, რომელმაც შეიძლება მოკლას მათი პატარები, რათა მათ პრაიდს დაეპატრონოს. თავხედი ლომი ხშირად კლავს ბოკვერებს, რომ ძუ ლომებს უფრო მალე მოუნდეთ მასთან შეწყვილება (ძუ ლომები არ წყვილდებიან, სანამ ბოკვერებს ზრდიან). ეს ხვადს საშუალებას აძლევს, მალე მოაგვაროს საკუთარი შთამომავლობის წამოწყების საქმე.

ისტორიულად, ბიჰევიორისტები (ქცევის ანალიტიკოსები) დარწმუნებული იყვნენ, რომ ძუ ლომების სოციალური ქსელის არსებობის მიზეზი ნადირობის გაზრდილი შესაძლებლობებია. ახლა მათ ეჭვი შეაქვთ ადრინდელი კვლევით მიღებულ დასკვნებში და დარწმუნებული არიან, რომ ძუ ლომების ჯგუფად ცხოვრების ნომერ პირველი მიზეზი გახლავთ პატარების დაცვა, ხოლო მეორადი მიზეზი ნადირობისას თითოეული მათგანის ძალისხმევის კოორდინაცია.

როცა წავიკითხე, რომ ჯგუფური ღრიალის მიზეზი მათი ბოკვერების სიკვდილისა და ზიანისგან დაცვა ყოფილა, კინაღამ ავქვითინდი. კვლევისას დაადგინეს, რომ სამი ძუ ლომისგან შემდგარი ჯგუფის ერთობლივ ღრიალს შეუძლია მკვლელი ხვადი მოიგერიოს.[4]

რას გვეუბნება ჩვენ ეს ფაქტი?

„მარტო დაუცველი ხარ. მეგობართან ერთად ყველაზე უარესისთვისაც მზად ხარ. შეგიძლია მესამე მოიყვანო? სამმაგი თოკი მალე არ გაწყდება“ (ეკლ. 4:12, თარგმანი *Message*).

„არ დაიჯეროთ, რომ რამდენიმე მზრუნველ ადამიანს არ შეუძლია მსოფლიოს შეცვლა. სინამდვილეში, სწორედ ისინი არიან, ვისაც ეს ოდესმე გაუკეთებია.“

– მარგარეტ მიდი

თუ ძუ ლომებმა იციან, რომ პატარები უსაფრთხოდ არ არიან, როცა ისინი სხვა ძუ ლომებისგან მოშორებით ცხოვრობენ, ჩვენ რატომ გვინდა ვიყოთ ასე დამოუკიდებლები? ერთად შეგვიძლია შვილების დაცვა სიკვდილისა და განადგურებისგან. იზოლირებულებს კი შანსი არ გვაქვს.

თუ ეს ასეა, რატომ გვეშინია აღიარება, რომ ერთმანეთი გვჭირდება? საჭირო არ არის მთელ მასაში ჩართვა. უბრალოდ, რამდენიმე მზრუნველი, თანამგრძნობი ადამიანი გვჭირდება, რომ მსოფლიო შევცვალოთ მასებისთვის.

ლოცვის ღრიალი

მხოლოდ ერთმანეთთან დაკავშირებულ ლომებს შეუძლიათ უშიშრად ღრიალი. ისინი ხვდებიან არა მარტო ხმის, არამედ დების დაცვის საჭიროებას.

ამრიგად, რატომ უნდა ვიღრიალოთ ჩვენ, ძუ ლომმა დებმა?

ხმა უნდა ავიმაღლოთ, მისი ძლიერი სამეფოს და ჩვენი ერთგულების გამოსაცხადებლად. უნდა ვიღრიალოთ დაკარგულის დასაძახებლად. ჩვენმა ხმამ ახალგაზრდებს უნდა უხელმძღვანელოს და სახლში მშვიდობით დააბრუნოს. ჰაერი უნდა შევძრათ სამართალდამრღვევების, მტრებისა და ქურდების მოძრაობაზე. ერთად ავიმაღლოთ ხმა შვილების დასაცავად სიკვდილისა და განადგურებისგან. სიბნელეს წინ ვერ აღვუდგებით სიჩუმით.

ამაზე უკეთესი მიზეზები ვერ წარმომიდგენია. ახლაც კი ვბრაზობ, რომ ამდენ ხანს ჩუმად ვიყავით. არ გვაქვს ჩუმად ყოფნის უფლება მაშინ, როცა დავალებული გვაქვს მათ გამო ლაპარაკი, რომელთაც ხმის ამოღება არ შეუძლიათ. უკვე გვიანია. სიბნელე შეუმჩნეველი დარჩა, სანამ ჩვენ გვეძინა. ახლა, როცა გავიღვიძეთ, უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთმა გაამრავ-

ლოს ჩვენი ძალისხმევა მისი სინათლის გავრცელებაში. ლოცვა ჩვენი შეკრების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია. ჩვენ ზეციური დაცვა, სიბრძნე და სტრატეგია გვჭირდება ომის მოსაგებად.

> „იესომ თქვა, „გიყვარდეს უფალი შენი ღმერთი მთელი მგზნებარებით, ლოცვით და გონებით“ (მათ. 22:37, თარგმანი *Message*).

აი, სამი ხელშემწყობი საშუალება, რითაც ხმის ამაღლება ღრიალამდე შეგვიძლია: მგზნებარება, ლოცვა და საზრიანობა. თუ ჩვენი ცხოვრების ამ სფეროებში მიძღვნილი ვიქნებით, ისინი ერთმანეთს შეერევიან, სანამ ღმერთი მგზნებარე, გონივრული ლოცვებით არ შეგვიყვარდება.

ვიწყებთ მცირედით და გვწამს დიდის. ღმერთი გვპირდება, რომ იქ იქნება, სადაც ორი ან სამი შეიკრიბება მისი სახელით. ლოცვა გზას გვიმზადებს უზრუნველყოფის, მიზნისა და სტრატეგიული გეგმისთვის. ძუ ლომო დაო, სანაძლეოს დავდებ, შეგიძლია ორი ქალის პოვნა, რომლებიც შენთან ერთად ილოცებენ ... თუნდაც ტელეფონით.

როცა წამოვდგებით, შევიკრიბებით და ხმას ავიმაღლებთ, დაე, ღმერთმა გაამრავლოს სამკაციანი ჯგუფები ოცდაათკაციან ჯგუფებად. დაე, ოცდაათი და ათმაგად გამრავლდეს და სამასი გახდეს. სამასი გადაიქცეს სამი ათასად, ოცდაათი ათასად და ასე შემდეგ, სანამ მლოცველების არმიად არ ვიქცევით, რომლებიც დედამიწიდან ზეცამდე მძლავრად დაიღრიალებენ. სწორედ ის დროა, რომ ჩვენი ლომის ღრიალი გავახმოვანოთ.

> „აღსდექით ლომებივით თვლემის შემდეგ
> დაუძლეველნო რიცხვით.
> წყლის წვეთებივით ჩამოიბერტყეთ ჯაჭვები,
> რომლებიც დაგადეს ძილში – თქვენ მრავალნი
> ხართ, ისინი მცირედნი.“
>
> – პერსი ბიში შელი

ლომებო, აღიმაღლეთ თქვენი ხმა!

ჯონ და ლიზა ბივერებისგან ამ რესურსის და სხვა სწავლებების (საკუთარ ენაზე) ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ვებგვერდებიდან:

www.MessengerInternational.org
www.CloudLibrary.org

მრავალ ენაზე არის შესაძლებელი დამატებითი რესურსების ნახვა და ჩამოტვირთვა YouTube.com-ისა და Youku.com-dan, ასევე სხვა მსგავსი გვერდებიდან.

გამოღვიძება

მთვლემარე ძუ ლომი იღვიძებს და თვალწინ ძალის, მგზნებარებისა და სილამაზის დიდებული სურათი იხატება. მხოლოდ იქ ყოფნით ბატონობს გარემოზე, იცავს თავის მომავალ თაობას, ძალას ანიჭებს ლომს. ძუ ლომების ჯგუფი შემოქმედებით და სტრატეგიულ ძალას წარმოადგენს, რომელსაც ანგარიშს უწევენ და რომელსაც შეუძლია მის გარშემო სამყაროს შეცვლა.

შენც ძუ ლომი ხარ

ავტორი და მქადაგებელი ლიზა ბივერი თავის წიგნში, „ძუ ლომის გამოღვიძება“, ძუ ლომის ცხოვრებასა და სახეს იყენებს მძლავრი და ამავდროულად ნაზი ქალის ნიმუშის საჩვენებლად. ლიზა ამ საოცარი ქმნილების საკვირველი თვისებების გაცხადებით მოუწოდებს ქალებს, რომ აღმოაჩინონ ახლებური მგზნებარება, სიმამაცე და მიზანი.

ისწავლე, რას ნიშნავს:

- იყო ძალის განსაცვიფრებელი წარმომადგენელი
- თავგანწირვით დაიცვა ახალგაზრდა თაობა
- შენი ხმა მისცე დადუმებულს
- იცხოვრო სინათლეში და ინადირო სიბნელეში
- ერთობლივი ღრიალით შეცვალო ყველაფერი

„ძუ ლომის გამოღვიძება“ ბუნების სამყაროს ჩინებული წვდომით და ძუ ლომების შესახებ ბიბლიური სიღრმეების სიმდიდრით არის დატვირთული და ქალებს მოუწოდებს, რომ ძლიერებით და რიცხობრივი სიმრავლით შეცვალონ თავიანთი სამყარო.

ჩვენ ვართ უფლის გამოღვიძებული ძუ ლომები

მგზნებარე. ენამახვილი. დროული. ძლიერი. იუმორით სავსე. ეს სიტყვები აღწერს ლიზა ბევირს – საერთაშორისო მასშტაბის მქადაგებელს, ბესთსელერების ავტორს და სატელევიზიო პროგრამა „მაცნეს“ (`The Messenger”) თანაწამყვანს, რომელიც 216-ზე მეტ ქვეყანაში მაუწყებლობს.

ლიზა მისთვის დამახასიათებელი გულახდილობით გვიზიარებს საკუთარი გამოცდილებით გაჯერებულ ღვთის სიტყვას, რაც ადამიანებს თავისუფლების მოპოვებისა და ცხოვრების გარდაქმნის ძალას აძლევს. მას გული სტკივა სოციალური უსამართლობების გამო და როგორც ცვლილებების მომხრე, სხვებსაც რაზმავს მათ გარშემო და უფრო შორს არსებული მწვავე პრობლემების საპასუხოდ.

გადმოტვირთეთ ეს და სხვა მასალები: www.CloudLibrary.org & www.MessengerInternational.org

teach reach rescue
Messenger International®
MessengerInternational.org

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება

ლიზა ბევირი ფეისბუქსა
და ტვიტერზე